ლამარა ღონღაძე

დიალოგები კვლევისათვის

გამომცემლობა „კენტავრი“
2009 წელი

რედაქტორი: ნოდარ გურაბანიძე

გამოცემის რედაქტორი: ზურაბ მანაგაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირაკლი შეშელიძე

© ლამარა ღონღაძე, დიალოგები კვლევისათვის, 2009
© შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა "ინტერვალი", 2009

ISBN 978-9941-9059-5-7

ლამარა ღონღაძე

წიგნში შესული საუბრები ჩემ მიერ შექმნილი ახალი მასალაა. ისევე, როგორც რეჟისორი თხზავს და ქმნის სხვისი პიესით თავის სპექტაკლს, ისევე, როგორც მსახიობი დებს უზომო შრომას, რათა სხვის მიერ დაწერილი როლი გაითავისოს, ისეთივე უზომო ძალისხმევა გეჭირდება თეატრმცოდნეებსაც, რათა მსახიობებისა თუ რეჟისორების ნალაპარაკევს ის სახე მიეცეთ, მკითხველს რომ დააინტერესებს და მათ ნათქვამსაც ფასეულს გახდის.

ჩვენი პედაგოგები: ბატონი დიმიტრი ჯანელიძე, ქალბატონი ნათელა ურუშაძე გამუდმებით ჩაგვაგონებდნენ — წერის დროს ყოველთვის გეხსომებოდა, როგორ მძიმე, თავდაუზოგავ შრომასთან არის დაკავშირებული სპექტაკლისა თუ როლის შექმნა. რასაკვირველია, ეს მართლაც ასეა, მაგრამ, საუბედუროდ, ისე ჩანს, რაც უფრო მეტი გულისყურით ეკიდებიან ამ შეგონებას ქართველი თეატრმცოდნეები, მით უფრო კარგავენ ფუნქციას. თუ უკვე კარგახნის დაკარგული არ აქვთ იგი?!. რატომ? — იქნებ იმიტომ, რომ ეს თანალმობით განმსჭვალული სიყვარულიანი დამოკიდებულება თეატრმცოდნეების სისუსტედ იქნა აღქმული?! სისუსტეს კი არასოდეს პატიებენ. მით უფრო, ჩვენს სასტიკსა და დაუნდობლობა მოძალებულ რეალობაში, სადაც გულაჩუყებისგან

თვალდაბინდული თეატრმცოდნეები კი არა, ზვიგენივით ბასრკბილებიანი და გველთევზასავით მოქნილი ჟურნალისტებიც კი, დიდი ვაივაგლახით იმაგრებენ თავს. არავის მოუწოდებ, მტაცებლებად იქეცით-მეთქი. უბრალოდ, ვფიქრობ, როგორც საკუთარის, ისე ჩვენი კოლეგების შრომის დაფასება თუ არ ვისწავლეთ და ჩვენი პროფესიის გადასარჩენად რამე არ ვიღონეთ, ხვალინდელი დღე მაინცდამაინც სახარბიელო არ გველის.

ამ პროექტის განხორციელება 2000 წლის შემოდგომაზე დავიწყე. მიზანი თავიდანვე გარკვეული მქონდა — მოკლე და კონკრეტული კითხვების მეშვეობით, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიმეღო თითოეული რესპოდენტისაგან. ისე წარმემართა დიალოგი, რომ თავადვე ყოფილიყვნენ საკუთარი პორტრეტების ავტორები. ეს, რასაკვირველია, გარკვეულ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ვიღაცას შეიძლება ეფიქრა — თეატრალურ სამყაროში თითქმის ნახევარი საუკუნე ისე უცხოურია, ისიც ვერ გაუგია, ეთქვათ, თემურ ჩხეიძის მშობლები ვინ არიან, ანდა "ფაუსტის" წარმოდგენა თოჯინებით პირველად ქართულ თეატრში რომ არ დაუწყიათ და იგი იმთავითვე თოჯინების თეატრის საყვარელი პერსონაჟი რომ გახდა.

თუმცა, ეს, არც ისე დიდ უბედურებად მივიჩნიე იმასთან შედარებით, როცა თეატრმცოდნე თუ ჟურნალისტი, მთელ თავის ცოდნასა და ინფორმაციულ მარაგს შეკითხვებში აქსოვს და მოპასუხეს ჰო-სა და არა-ს გარდა არაფერს უტოვებს სათქმელს.

მკითხველი ალბათ ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ გიზო ჟორდანიასთან და გოგი ქავთარაძესთან დიალოგი 1989 წლით არის დათარიღებული. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება არღვევს პროექტის მთლიანობას. შეიძლება, ჩემს შეკითხვებში მათთან, შედარებით სიტყვამრავალი ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, არც იმდენად, რომ ამ ორ შესანიშნავ რეჟისორთან გაბაასება წიგნში არ შემეტანა.

მიხეილ ჯოჯუა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვისაც 2000 წელსვე ვესაუბრე. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი მსახიობი და მხიარული კაცის ნიღაბს ამოფარებული სევდიანი ადამიანი, დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის. ვფიქრობ, სიცოცხლის წარმავალობისა და თეატრის ეფემერულობის ამ ფონზე, წიგნში მის შესახებ არსებულ თავს, მის კინოროლებთან ერთად,

ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება მისი შემოქმედების მკვლევარებისათვის, და არა მხოლოდ მათთვის.

ამასთანავე მგონია, რომ ამ წიგნის სახით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები მიიღებენ ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოს.

მკვლევარები საკვლევ მასალას.

ფართო საზოგადოება კი გაეცნობა ისეთი რეჟისორებისა და მსახიობების შემოქმედებით პორტრეტების ახალსა და უცნობ წახნაგებს, როგორებიც არიან: ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, გიზო ჟორდანია, მედეა კუჭუხიძე, თემურ ჩხეიძე, ზურა ყიფშიძე, მარინა კახიანი და სხვ.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
ლამარა ღონღაძე

ლილი იოსელიანი

— ლილი იოსელიანი, რეჟისორი, დაბადებული?..

— 1922 წლის 25 მარტს. იმ საშინელ დროს დავიბადე, როდესაც საქართველოში, წითელი არმია შემოიჭრა. ძალარია შეყრილმა დედაჩემმა, ადრეული გაზაფხულის თოვლ-ჭყაპიან დღეს შვიდთვიანი გამაჩინა. ექიმებს უთქვამთ ვერ გადარჩებაო, მაგრამ როგორც ხედავთ დღემდე ცოცხალი ვარ. სამწუხაროდ!..

— მშობლები ვინ იყვნენ?

— დედა – ალექსანდრა (საშა) ელენტი, პედაგოგი იყო. ბიოლოგიას ასწავლიდა. მამა – კონსტანტინე, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი. განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული.

ბაბუაჩემი ანტონ იოსელიანი, თავის დროზე ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლიდა ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში. ხალხოსნობისა და დემოკრატიული იდეების ქადაგებისთვის ციმბირში ორჯერ იყო გადასახლებული. მეორე გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ჯანმრთელობა შერყეული, მალე გარდაიცვალა. ბებიაჩემმა, სისორდიას ქალმა, ამის შემდეგ ჭამა თითქმის სრულიად აღიკვეთა და ექვს თვეში მიჰყვა ქმარს!

— ე. ი. დაჭერა-გადასახლება, თქვენი ოჯახისთვის ჯაბამდეც არ ყოფილა უცხო?

— ასე გამოდის. ეტყობა სისხლში რომ არის რაღაც, არის და არის. ჯაბა მეშვიდე კლასში იყო რომ დაიჭირეს. მუსიკის გაკვეთილზე წავიდა და წავიდა!..

— რა მოხდა, რატომ დააპატიმრეს?

— ომის დროს, რადიომიმღებები ყველას ჩამოართვეს. ყმაწვილების ერთ ჯგუფს ერთი რადიომიმღები მაინც უშოვიათ და სკოლის სარდაფში გადაუმალავთ, ზუსტი ინფორმაციის გასაგებად. ჯაბა, როგორც გერმანულის მცოდნე, ისე მოხვდა ამ წრეში. გერმანული გადაცემები რომ ეთარგმნა მათთვის. თარგმნა მართლაც შეეძლო, ბავშობიდანვე გვყვავდა კერძო მასწავლებელი, მაგრამ ეს ჯგუფი მალე აღმოაჩინეს და ყველას ციხეში უკრეს თავი.

ცხრა თვე ისიც კი არ ვიცოდით ცოცხალი იყო თუ მკვდარი. პირველ სასამართლოზე ყველა მოიყვანეს, ჯაბა არა. იმდენად ცუდად ყოფილიყო ვერ წამოეყვანათ. მეორედ მოიყვანეს, მაგრამ მე და მამაჩემმა ველარ ვიცანით! დედამ იცნო!.. სასამართლო აღარ ყოფილა. ჯაბა ერთ თაყის თანატოლ ბიჭთან ერთად გამოიპარა ციხიდან!..

— თქვენი ბავშვობა და სკოლის წლები უკვე ჯაბაზე დარდით და ფიქრით იყო სავსე?

— შემდგომი მთული ცხოვრებაც. ჯაბაზე და ჩემს ავადმყოფობაზე. ტანჯვის მეტი ბავშვობიდან არაფერი მახსენდება. გარდა იმისა რომ შვიდთვიანი დავიბადე, მენჯის ძვლებიც ამოვარდნილი მქონდა. ახლა ამას ყოველგვარი ოპერაციის გარეშე, გაწელვით აბრუნებენ თაყის ადგილზე. მე კი ბავშვობაში ოთხი უშედეგო ოპერაცია მაქვს გადატანილი. სამწუხაროდ, ნებისყოფის წრთობა ძალზე ადრეული ასაკიდან მომიწია. მთული წელი ვიწექი საავადმყოფოში, ირგვლივ კვნესოდნენ, ტიროდნენ, გამწარებული ყვიროდნენ. მე ვითმენდი, ვუძლებდი ყოველგვარ ტკივილს, რათა ჩემგანაც ისე არ შეწუხებულიყვნენ ადამიანები, როგორც მე ვწუხდებოდი მათ გამო!.. და სულ ასე იყო – მუდმივი ჯოჯოხეთური ტკივილები და ბრძოლა ყვირილის ჩასახშობად!..

ყველაზე ნათელი მოგონება უკავშირდება ჩვენს სახლს ბარნოვის ქუჩაზე. მაშინ გუნიბის ქუჩა ერქვა, გუნიბი ის ქალაქი იყო, სადაც რუსები დაამარცხეს ჩეჩნებმა!..

— და თბილისში ამ ფაქტისადმი მიძღვნილი ქუჩა იყო?!

— დიახ, და თანაც ერთ-ერთ საუკეთესო უბანში – ძველ ვერაზე. ჩვენს სახლსაც საინტერესო ისტორია ჰქონდა, იგი მამაჩემს მისმა პოლონელმა მეგობარმა და კოლეგამ დაუტოვა, როცა მას იმ არეულ წლებში სამშობლოში დაბრუნება მოუწია.

ბარნოვის 48 ნომერთან გავლისას ახლაც გული მიძგერს ხოლმე. პატარა ეზოც გექონდა, ლამაზზე ლამაზი. სწავლაც იქვე, 25-ე არასრულ საშუალო სკოლაში დავიწყე, ნოლი ჯგუფიდან ძალიან მალე გადამიყვანეს პირველ კლასში, ერთ თვეში კი, უკვე მეორე კლასში დამსვეს.

— ე. ი. ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყავით?

— არ ვიცი. ასე კი იყო. ვხატავდი ძალიან კარგად. მერე როცა იძულებული გავხდით ის სახლი დაგვეტოვებია, პლეხანოვზე გადავსახლდით. მე ნერვიულობისაგან სამი თვე ავად ვიყავი. ამის შემდეგ სასიხარულოც აღარაფერი ყოფილა. დავამთავრე მეხუთე რკინიგზის სკოლა.

— უმაღლესი – სად სწავლობდით და როდის?

— თავიდან, უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტზე, გერმანულს ვსწავლობდი, თუმცა, უკვე ვფიქრობდი რეჟისორობაზე. გზას ვეძებდი და აი, აქ, ძალიან გამომადგა ჩემი გაუბედაობა – რვა თვის სტიპენდია დამიგროვდა იმის გამო, რომ აღების მრცხვენოდა! ერთხელაც ეს გაიგო ჩემი ბავშვობის მეგობარმა ელიკო გელდიაშვილმა და ეტყობა გადაირიეო, მითხრა. მერე ძალით მატარა სხვადასხვა ოთახში და იმდენი ქნა, ეს დაგროვილი თანხა ამაღებინა.

ფული გამიჩნდა თუ არა, იმ წუთშივე მოსკოვში წასვლა და სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაბარება გადავწყვიტე. წავედი. ეს იყო 1941 წლის ზაფხულში. უცნობი ქალაქი... თან ყოვლად მოუხერხებელი ადამიანი ვარ?! – პირველი ღამე სადგურში გავათენე. მერე, როგორც იყო მოვძებნე ინსტიტუტი, მაგრამ დარაჯთან შემექმნა პრობლემები. ეს გალეული, ორი გრძელი ნაწნავით დამშვენებული გოგონა რომ დამინახა, სკოლის მოწაფე ვეგონე. თუმცა, შემდეგ ძალიან დამეხმარა ბინის შოვნაში. ნახევრად სარდაფი კი იყო, მაგრამ ამას ვჩიოდი?!.

გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, ჩავირიცხე და სწავლაც დავიწყე, მაგრამ მალე მამაჩემი ჩამოვიდა და უკან წამომიყვანა – გერმანელები ლამის მოსკოვთან არიან და რა დროს აქ ყოფნაა!

უნივერსიტეტში მაინც აღარ დავბრუნდი, თეატრალურ ინსტიტუტში ჩემმა დამ სამსახიობოზე ჩააბარა, მე სარეჟისოროზე. ძალზე ლამაზი და ნიჭიერი და მყავდა, მაგრამ არ დაცალდა, ტუბერკულოზმა იმსხვერპლა.

— თქვენი მასწავლებლები ვინ იყვნენ?

— ერთი სემესტრი შოთა აღსაბაძე, შემდეგ კი რეჟისურას გიორგი ტოვსტონოგოვი მასწავლიდა, მსახიობის ოსტატობას კი სამხატვრო თეატრის მსახიობი ოლღა იაკუბოვსკაია. ომის გამო ამ თეატრის დასი თბილისში იყო ევაკუირებული. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასწავლიდა აგრეთვე სამხატვრო თეატრის რეჟისორი და მსახიობი პაველ დიმიტრის ძე ერმილოვი. არაჩვეულებრივი პიროვნება და შესანიშნავი პედაგოგი. ზოგჯერ ვლ. ნემიროვიჩ–დანჩენკოც გვეწვეოდა ხოლმე ლექციებზე. ერთხელ, ეტიუდის შესრულების შემდეგ, მისი შექებაც დავიმსახურე.

— ვის მოწაფედ მიგაჩნიათ თავი?

— იმ სკოლის, რომელსაც კონსტანტინე სტანისლავსკი ამკვიდრებდა.

— რას ნიშნავს თქვენთვის ტოვსტონოგოვის მოწაფეობა?

— ყველაფერს!..

— პირველი სპექტაკლი, რომელიც თეატრში დადგით?

— მანამდე ინსტიტუტშიც მქონდა რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი. მეორე კურსზე ა. ჩეხოვის „დათვი" დავდგი. ტოვსტონოგოვს ძალიან მოეწონა. შემდეგი დადგმა პ. კაკაბაძის „სამი ასული" იყო, მაგრამ საჯაროდ არ აჩვენეს, იმდროინდელ იდეოლოგიასთან შეუსაბამობის გამო.

სადიპლომო სპექტაკლი თეატრში უნდა დამედგა, მაგრამ ვერ გავბედე ვინმესთვის მეთხოვა. აკაკი ფაღავამ დამიბარა ინსტიტუტში – სადიპლომო ნამუშევარს რატომ არ გვაჩვენებო?! - ავუხსენი მიზეზი. ეს თუ არ შეგეძლო, სარეჟისოროზე რა გინდოდაო?! – გამიწყრა.

მერე ისევ თავად დარეკა სხვადსხვა თეატრში. როგორც იყო, მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის ხელმძღვანელის შალვა კილასონიძისაგან მიიღო თანხმობა. მაგრამ პიესის არჩევანის უფლება მე არ მქონდა. უნდა დამედგა ის, რაც სარეპერტუარო გეგმაში ჰქონდათ. თუმცა მაინც გამიმართლა, დავდგი პოეტი ქალის ა. ბარტოს მშვენიერი პოეტური პიესა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე – „ზღაპარი სიმართლეზე"

— რის გამო ირჩევთ პიესას და თუ გყავთ გამორჩეული ავტორი?
— რასაკვირველია, მყავს – შექსპირი!.. არჩევანს ვაკეთებ მაშინ, როცა მწერლის სატკივარი მეც მტკივა.
— სპექტაკლი, სადაც იგრძენით რომ უკვე ის ხართ, ვინც გინდოდათ რომ ყოფილიყავით?
— ასეთი რამ არ მიგვრძვნია.
— როგორ მუშაობთ პიესაზე?
— ჩემთვის ფორმა არ არის მთავარი. მთავარია შესაბამისი განხორციელება მოვუძებნო ჩემს ჩანაფიქრს. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ზუსტად გამოვხატო ჩემიც და ავტორის ჩანაფიქრიც.
— რას ითხოვთ მსახიობისაგან?
— გულწრფელობას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბერიკული თამაშია საჭირო. მსახიობი აღმსარებელი უნდა იყოს, ან ჩემი დახმარებით გახდეს ასეთი.
— დაასახელეთ თქვენ მიერ დადგმული სამი საუკეთესო სპექტაკლი, ან უბრალოდ, ის სამი სპექტაკლი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ?
— მ.ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები" – გორის თეატრში. „პიგმალიონი" და „სიყვარული გარიჟრაჟზე" – მარჯანიშვილის თეატრში. მართალია, ეს უკანასკნელი მაყურებელმა არ მიიღო და რეპერტუარიდან მოხსნეს, მაგრამ მე მიყვარდა.
— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა". რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა და როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაშია იგი დღევანდელ ქართულ თეატრში?
— კატასტროფულში! – მე უკვე სიგიჟემდე მივდივარ, ისეთ მდგომარეობაშია. სიტყვა არის არა მარტო ღვთიური საჩუქარი, იგი ყველანაირი გრძნობის გამომხატველია. სიტყვა არის სიტყვა, მას შეუძლია მოგსპოს კიდეც და აღგამაღლოს კიდეც. ყველაფერი არის სიტყვა.
— ხელოვანი გამორჩეული და სანიმუშო უნდა იყოს?
— რა თქმა უნდა. ღმერთი შემოქმედი იყო. ამ უდიდესმა შემოქმედმა ვიღაცას მისცა ბედნიერება — შენც იყავი შემოქმედიო?!. ნამდვილი შემოქმედი ჩვეულებრივი ადამიანი არ შეიძლება იყოს.
— „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?" — როგორ ფიქრობთ, როგორია დღევანდელი ქართული თეატრი?

— ქართულ თეატრში აღარ არის მსახიობი?!. აღარ არის სიტყვა, არის კონცეფციები.

— კოკტო ამბობს — „თუ შემოქმედი საზოგადოებასთან საზავო მოლაპარაკებასაც კი თანხმდება, ის დამარცხებულია“ — რა აზრის ხართ კომპრომისზე?

— კომპრომისი ყოველთვის უსამუსობა არ არის. ზოგჯერ ძალიან ჰუმანურ განზრახვასაც ემსახურება. აი, სინდისს თუ დაკარგავ და კომპრომისს დაარქმევ, ეს საშინელებაა.

— თქვენი თაობის სახე? — როგორია იგი?

— ვფიქრობ, ჩემი თაობის სახე ურიგო არ იყო. ბევრი იყო არა მხოლოდ ნიჭიერი და სინდისიერი, იდეალისტებიც იყვნენ, მაღალი პრინციპებისა და პოეტურობის მატარებელი, ცხოვრების გალამაზების მოტრფიალენი.

— რას ნიშნავს თქვენთვის ეროვნული ინტერესები და მოქალაქეობრივი ვალი?

— ეს ჩემთვის ერთი და იგივეა. ადამიანი რომელ ერსაც ეკუთვნის, იმ ერის სულიერი გაძლიერებისათვის უნდა შრომობდეს.

— ნიჰილიზმის მოძალებას თუ გრძნობთ?

— გაათკეცებული ნიჰილიზმის!..

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტიილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა ვუწოდოთ, მაინც განცდასა და წარმოსახვასთან მიუდიოართ. თქვენ რომელი თეატრი გიყვართ?

— ხომ არსებობენ განცდისა და წარმოასხვის მსხიობები? – მე განცდის რეჟისორი ვარ!.. რეჟისორი, რომელიც განიცდის ჟტორს!.. ამ განცდას კი მაშინ ვაღწევ, როცა ვხედები რისი თქმა უნდოდა ავტორს, როცა ვწვდები მის სულს!..

— თქვენი პროფესიის მთავარი სირთულე?

— ყველაზე დიდი სირთულე, რა თქმა უნდა, არის მსახიობი. მისი გარდაქმნა სხვა ადამიანად.

— თეატრმცოდნეებზე რა აზრის ხართ. თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ მათი წყალობით „ძლებს“ დროში?

— ყველა მათგანზე ვერ ვიტყვი, რომ თეატრმცოდნეა! ნამდვილი თეატრმცოდნე უფრო მეცნიერია, მკვლევარია თეატრის. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მათ აზრზე ხშირად დამოკიდებულია აქა თუ იმ შემოქმედის წინსვლა, ან უკუსვლა.

არიან მსახიობები, რომლებზეც ძალიან მოქმედებს მათ მიერ გამოთქმული აზრი.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ, რომ თეატრი ტაძარია, თქვენ რას ფიქრობთ?

— ოსკარ უაილდიც ასე თვლიდა! შეიძლება მისი აზროვნებიდან გამომდინარე ეს უცნაურია, მაგრამ ასე თვლიდა. ტაძარია არა მსახურებით, არამედ იმ კანონებით, რომელიც შემოქმედებითმა კოლექტივმა უნდა გაითავისოს და ცხოვრებაში განახორციელოს. ასეთი თეატრის ეთიკა დაწერა სტანისლავსკიმ. თუმცა ამის გამო მიხეილ ჩეხოვმა მას – დიდი მეოცნებე უწოდა!..

— ჩვენი დიდი წინაპრები არტისტს ხალხის მოძღვარს, ხალხის მასწავლებელს უწოდებდნენ, თქვენ როგორ გგონიათ?

— უკეთესად ვიდრე შექსპირმა თქვა ჰამლეტის პირით, მე ვერ ვიტყვი. მსახიობი ის ადამიანია, რომელიც „ბუნებას სარკედ უნდა გაუხდესო“!..

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გავუფრთხილდით. დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ქართველები?

— ილიას თუ ვერ გავუფრთხილდით, სხვა ილია გვყავს?!

8.9.2006.

გიგა ლორთქიფანიძე

— გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი დაბადებული?..

— 1927 წლის 19 ოქტომბერს. თბილისში.

— ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

— დედა – ნინო მიქელაძე, მამა – დავით ლორთქიფანიძე, მეტყველ-ინჟინერი, განათლებული და ძალზე ჭკვიანი კაცი. როგორც თავადაზნაურთა დიდი ნაწილი, ისიც რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მართალია, როცა მიმხვდარა, რომ მის გარშემოც ძალიან ეიწრიოდებოდა წრე და მალე დაიჭერდნენ, სახლიდან წასულა და საკმაოდ დიდხანს იმალებოდა, მაგრამ 1943 წელს მოსკოვში მაინც დააპატიმრეს და დახვრიტეს.

— ბავშვობის წლებზე რას იტყვით?

— ჩემი ბავშვობა უმძიმეს დროს დაემთხვა. ჯერ 30-იანი წლების შიმშილობა, შიშიანობა, რეპრესიები. შემდეგ ომის საშინელი წლები. შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავი, დედაჩემმა მამაჩემის ძმასთან გამიშვა სოფელში. მეათე კლასში ვიყავი ამ დროს და იქვე გავაგრძელე სწავლა. საბედნიეროდ, სოფელი მაშინ შედარებით ძლიერი იყო – ჭადი პქონდათ, ლობიო, მწვანილი. ფაქტობრივად, სოფელმა გადაარჩინა ომისდროინდელი საქართველო.

იქვე, სოფელ ქვიტირში დავამთავრე სკოლა და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ სად უნდა გამეგრძელებია სწავლა. ხელოვნებასთან ნაზიარები ბავშობიდანვე ვიყავი. დედაჩემის ძმას, ცნობილ დირიჟორს ევგენი მიქელაძეს, მე და ჩემი და მარიკა ხუთი-ექვსი წლიდან უკვე ოპერაში დავყავდით. მეც ძალიან კარგი მუსიკალური მონაცემები მქონდა, თან ისეთ შესანიშნავ პედაგოგთან ვმეცადინეობდი, როგორიც იყო ელისო ვირსალაძის ბებია ანასტასია ვირსალაძე. მაგრამ გაჭირვების გამო მასთან მეცადინეობის გაგრძელება ვეღარ შევძელი.

— მატერიალურმა მხარემ შეგიშალათ ხელი პროფესიონალი მუსიკოსი რომ გამხდარიყავით?

— მატერიალურმაც, სხვა რამემაც. მუსიკალური სამყარო მაინც ძალზე რთულია. თანაც, საბოლოოდ მაინც რეჟისორობის სურვილმა გადამძალა. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე 1944 წელს დავიწყე სწავლა. ჩემთან ერთად სწავლობდნენ მიშა თუმანიშვილი, ჩემი უფროსი მეგობარი. რვა წლით პატარა ვიყავი მასზე. იგი ომგამოვლილი მოვიდა ინსტიტუტში. 6-7 წლით ჩემზე უფროსი იყო აკაკი დვალიშვილიც; მას პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა უკვე დამთავრებული. თანატოლები მხოლოდ მე და ასიკო გამსახურდია ვიყავით. მისაღები გამოცდების დიდ კონკურსში მხოლოდ ამ ოთხმა გავიმარჯვეთ.

— ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— ყველაზე დიდი ბედნიერება ის იყო, რომ მოვხვდით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ისეთ სახელოვან რეჟისორთან, როგორიც იყო გიორგი ტოვსტონოგოვი. მართალია, მასთან მხოლოდ ერთი წელი ვისწავლე, მოსკოვში წასვლამდე, მაგრამ იმ ერთ წელიწადში საოცრად მყარი საფუძველი ჩაუყარა ჩემს თეატრალურ განათლებას. უბრწყინვალესი რეჟისორი და პედაგოგი იყო. ჩემს ერთ-ერთ მასწავლებლად გიორგი ტოვსტონოგოვს ვთვლი.

— თეატრალური ინსტიტუტიდან კიდევ ვინ დაგამახსოვრდათ?

— ინსტიტუტის რექტორი მაშინ აკაკი ხორავა იყო. მას ჰქონდა ფანტასტიკური ნიჭი თავის გარშემო საინტერესო ადამიანების შემოკრებისა. ამიტომ ინსტიტუტში მაშინ ერთმანეთზე უკეთესი პედაგოგები იყვნენ – დიმიტრი ალექსიძე, მალიკო მრევლიშვილი,

დიმიტრი ჯანელიძე, ვახტანგ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, რევაზ ნათაძე, ლეო რჩეულიშვილი... მაშინ ინსტიტუტი ძალიან მცირერიცხოვანი იყო. პედაგოგიან–სტუდენტიანად სულ სამოცი კაცი ვიყავით.

— ე. ი. ის, რასაც დღეს ასეთი ზარზეიმით რეფორმად ასაღებენ, რეფორმა კი არა, საწყის მდგომარეობასთან დაბრუნებაა?

— ის, რაც დღეს ხდება, რეფორმა კი არა, განათლების სისტემის ნგრევაა. გახსენებაც კი არ მინდა მათი, ვინც ამას აკეთებს.

— თბილისში სწავლობდით ბოლომდე?

— არა, მეორე კურსიდან მოსკოვში, თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. ბედნიერება მქონდა იქაც საუკეთესო რუს რეჟისორებთან და პედაგოგებთან მესწავლა. ჩემი მასწავლებლები კ.სტანისლავსკის უშუალო მოწაფეები – ალექსეი პოპოვი და მარია კნებელი იყვნენ.

— რას ნიშანავს თქვენთვის მათი მოწაფეობა?

— რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მრავალგვარ თეატრალურ მიმდინარეობებსა და სკოლებზე, მსახიობის ოსტატობის საკითხებს, მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთობის პრობლემებს, ისე ჩამოყალიბებულს, როგორც სტანისლავსკის აქვს, სხვასთან ვერსად ვიპოვით.

რაც შეეხება მ.კნებელს, ჩემი აზრით, ასეთი პედაგოგი არც რუსეთში და არც საქართველოში არ არსებობდა. მისმა სკოლამ ძალიან დიდი კვალი დააჩნია ჩემს შემოქმედებას. იმის სწავლება თუ როგორ უნდა გვემუშავა მსახიობებთან, მასზე უკეთ არავის შეეძლო. ამბობენ, რომ ეს ძალიან კარგად გამომდის, რაც მთლიანად მ.კნებელის დამსახურებაა.

ამ შესანიშნავი პედაგოგების გარდა მოსკოვში ბრწყინვალე მეგობრებიც შევიძინე. ჩემი თანაკურსელი და მეგობარი იყო შესანიშნავი რუსი (თუმცა ეროვნებით ებრაელი იყო) რეჟისორი ანატოლი ეფროსი. იმდენად ახლო მეგობრები ვიყავით, რომ ერთობლივი სტუდიაც კი ჩამოვაყალიბეთ, ერმოლოვის თეატრის მსახიობთან და ჩვენს ერთ-ერთ პედაგოგთან კონსტანტინე ვოინოვთან ერთად. ასეც ერქვა – ვოინოვის სტუდია. დღე ინსტიტუტში ვიყავით, ღამე სტუდიაში.

ჩვენთან ერთად იყვნენ ოლეგ ეფრემოვი, ვალერი ზუბკოვი, იური ნიკულინი და სხვა.

ეტყობა დღე და ღამე მუშაობით იმდენად ვიყავი გამხდარი და გადაქანცული, რომ გენიალური რუსი თეატრმცოდნე სტეპან მოკულსკი შეშფოთდა კიდეც – რა დაგემართაო? – მკითხა. შემიყვანა თავის კაბინეტში, დახმარება გამომიწერა და თან დაამატა, ერთი თვით მაინც წადი თბილისში, დაისვენე, ძალიან ხარ დასუსტებულიო. ამ დროს III კურსზე ვიყავი. რუს ინტელიგენციას, პროფესორ-მასწავლებლებს, არაჩვეულებრივად თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩვენს მიმართ.

— ამჟამინდელ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტზე რა აზრის ხართ?

— თითქმის მთელი ცხოვრება გავატარე თეატრალურ ინსტიტუტში, ამჟამად უკვე თეატრის და კინოს უნივერსიტეტში. ეს არის ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი დაწესებულება, სადაც ყოველთვის შემოქმედებითი ატმოსფერო იყო. მიმიღეს ჯერ ასისტენტად, შემდეგ გავხდი პედაგოგი, პროფესორი, კათედრის გამგე, 1999-2005 წ.წ. ვიყავი რექტორი, ამჟამად თეატრალური განყოფილების სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. მე ვფიქრობ, ყველაზე დიდი უბედურება რაც განათლების ამჟამინდელ რეფორმას მოაქვს ის არის, რომ ახალგაზრდებს წაართვეს არჩევანის უფლება, მისდიონ თავის მოწოდებას. თავად ის ფაქტი, რომ ხუთი სხვადასხვა ინსტიტუტი უნდა დაასახელოს, სადაც სწავლა უნდა, უკვე მცდარია. ესენი ხომ ხშირად სრულიად განსხვავებული უმაღლესი სასწავლებლებია. ჩემს ჯგუფში, მაგალითად, სწავლობს გოგონა, რომელსაც აგრონომიულზე უნდოდა ჩაბარება. მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა კიტა ბუაჩიძის პიესა „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“. მედეა ჯაფარიძე თამაშობდა ახალგაზრდა სოფლელ გოგონას. რომ ეკითხებოდნენ – რომელ უმაღლესში გინდა შესვლაო – სადაც მოვხვდებიო! – ამბობდა და ამაზე ჰომერიული სიცილი და ტაში იყო. ისეთ სისულელედ ითვლებოდა ის, რომ ადამიანმა შეიძლება კონკრეტულად არ იცოდეს სად უნდა სწავლა. ადამიანს, რომელსაც აგრონომობა უნდა და თეატრალურ უნივერსიტეტში უკრავ თავს, ამას რეფორმა ჰქვია?!.

— თქვენი პირველი სპექტალი თეატრში?

— ჩემი პირველი სპექტაკლიც ისევ და ისევ დაკავშირებული იყო ჩემს მასწავლებელთან მ. კნებელთან, რომელიც მაშინ, „ტრანსპორტის თეატრის“ ხელმძღვანელი იყო.

— „ტრანსპორტის თეატრი“ რაღას ნიშნავდა?!

— ტრანსპორტის სამინისტრო აფინანსებდა და იმიტომ ერქვა ასე. სწორედ იქ დაედგით მე და ანატოლი ეფროსმა ჩვენი საკურსო სპექტაკლი – იულიუს ფუჩიკის შესახებ, რომლის ცხოვრება და სიკვდილი, მაშინ ძალიან აქტუალური თემა იყო. ვფიქრობ, საინტერესო სპექტაკლიც გამოგვიოდა. პიესა ბურიაკოვკის იყო და ერქვა „პრაღა ჩვენი იქნება“. მოგვიანებით, იმავე თემაზე მ. თუმანიშვილმა თბილისშიც დადგა სპექტაკლი.

ეროობლივმა მუშაობამ ჩემი და ეფროსის მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა, თუმცა შემდეგ თანდათან გაიყო ჩვენი გზები.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდით?

კეთილად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული სტუდენტის მიმართ საქართველოში დიდი ინტერესი იყო, მაგრამ ჩემი თავის მიმართ მომთხოვნელობამ გადამაწყვეტინა დამოუკიდებელი მუშაობის მეტი გამოცდილება შემეძინა და მერე წამოვსულიყავი სამშობლოში. ამიტომაც წავედი ვილნიუსში და ითქმის ორი წელი ვიმუშავე. იქაურ რუსულ დრამატულ თეატრში დავდგი სადიპლომო სპექტაკლი ალ. კრონის „პარტიის კანდიდატი“. კაუნასშიც მიმიწვიეს, სადაც ძალიან საინტერესო მუსიკალურ-დრამატული თეატრი იყო. ორი დადგმა იქ განახორციელე. საქართველოში რომ ჩამოვედი, 6-7 სპექტაკლის ავტორი ვიყავი უკვე.

— საქართველოში რომელ თეატრში დაიწყეთ მუშაობა?

— თეატრში არა, ინსტიტუტში მიმიღეს პირდაპირ. ამ დროს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო შესანიშნავი პიროვნება, მწერალი, მოღვაწე მიხეილ კვესელავა. იგი ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს დაინტერესდა ჩემით. „გიტისშიც“ მოვიდა, მნახა და იქვე შემომთავაზა – სამუშაოდ ჩვენს ინსტიტუტში წამოდიო.

თავდაპირველად აკაკი ვასაძის ასისტენტი ვიყავი. მერე ჩემი ჯგუფიც მომცეს და ასე თანდათანობით აეწყო მუშაობა. ჩემს მიმართ, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებიდანაც იჩენდნენ ინტერესს, მაგრამ მე ისევ სხვა გზა აირჩიე. ამ დროს

გორში ძალიან საინტერესო თეატრი იყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქართველი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. მან გორში მუშაობა შემომთავაზა. ეს აზრი ძალიან მომეწონა და სიხარულით დავთანხმდი. ყუშიტაშვილის წყალობით, გორის თეატრი, მაშინდელ საქართველოში მოწინავეთა რიგებში იდგა.

ორი წარმოდგენა დავდგი იქ – შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“ და ფ. შილერის „ყაჩაღები“. ამ სპექტაკლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. თბილისიდან უამრავი ხალხი ჩამოდიოდა მათ სანახავად. ასე თანდათანობით დავიმკვიდრე საინტერესო ახალგაზრდა რეჟისორის სახელი.

ერთხელაც მე და ლილი იოსელიანი მარჯანიშვილის თეატრის მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა დაგვიბარა და თეატრში მუშაობის დაწყება შემოგვთავაზა. ეს იყო 1951 წელი. ჯერ ერთ დადგმაზე მიგვიწვია. რასაკვირველია, ძალიან გამეხარდა. ბავშვობიდანვე ამ თეატრის თაყვანისმცემელი ვიყავი. თეატრით გატაცებული ბავშვები გაყოფილები ვიყავით – მარჯანიშვილელებად და რუსთაველელებად. მე ყოველთვის „მარჯანიშვილელი“ ვიყავი და დღესაც მიმაჩნია, მარჯანიშვილის თეატრში რომ დასი იყო, მსგავსი არაფერი ყოფილა სხვაგან. როცა თეატრში მივედი, უშანგი ჩხეიძის გარდა ყველა იქ იყო. ესენი იყვნენ – სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მერი დავითაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, შალვა ღამბაშიძე, პიერ კობახიძე ...

— მხოლოდ მსახიობთა ასეთი თანავარსკვლავედი განაპირობებდა თქვენს არჩევანს თუ კიდევ იყო რაღაც, რაც გიზიდავდათ?

— თეატრის სტილისტიკაც ჩემთვის უფრო ახლობელი იყო. უფრო მაღელვებდა. ჩემი აზრით, მარჯანიშვილის თეატრი ყოველთვის უფრო რეალისტური იყო.

— მარჯანიშვილის თეატრში თქვენი პირველი სპექტაკლი იყო?..

— კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“. როცა ამ სპექტაკლის დადგმის სურვილი გავუმხილე ვ. ტაბლიაშვილს, ძალიან გაეხარდა – რეპერტუარში კომედიების დიდ ნაკლებობას განვიცდითო. თავად თითქმის არ დგამდა კომედიებს, რომანტიკული პიესები უფრო უყვარდა. გაანაწილე როლები და დაიწყე მუშაობაო – მითხრა. ფიქრით როლები კარგა ხნის განაწილებული მქონდა:

– ვერიკო ანჯაფარიძე – მირანდოლინა, სერგო ზაქარიაძე და შალვა ღამბაშიძე – კავალერი რიპაფრატა, ვასო გოძიაშვილი – გრაფი, ჟორჟოლიანი და კვანტალიანი – მარკიზი და ა. შ. მაგრამ ეფიქრობდი ამ მსახიობებთან მუშაობას ვინ დამანებებს-მეთქი?! თავს იმით ვინუგეშებდი რომ ვახტანგი ამ განაწილებით მაინც მიხვდებოდა – რა მინდოდა და საით ვისწრაფვოდი. წარმოიდგინეთ, ტაბლიაშვილი დიდი სიხარულით შეხვდა როლების ასეთ განაწილებას და მეც შევუდექი მუშაობას.

ამ დროს ვარ სულ რაღაც 22-23 წლის. რეპეტიცია კი ამ ბუმბერაზ მსახიობებთან უნდა ჩავატარო?! – ადამიანებთან, რომლებსაც ღმერთებად ვთვლიდი!.. ეს ბარიერიც გადავლახე და მუშაობაც კარგად აეწყო. იმდენად კარგად, რომ ჯერ კიდევ პრემიერამდე კარგა ხნით ადრე შემომთავაზეს თეატრში მთლიან შტატზე გადასვლა. მაშინ ასე იყო: თუ სადმე ერთი შტატი გეკავა, სხვაგან ნახევარ შტატზე უნდა გემუშავა. მე თეატრი ვარჩიე და ინსტიტუტში ნახევარ შტატზე დავრჩი.

იმავე პერიოდში დავდგი, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესო მწერლის სერგო კლდიაშვილის „დაბრუნება“, მერე ვიქტორ გაბესკერიას „უფსკრულთან“. ჩემი ბიოგრაფიისათვის და ვფიქრობ, ქართული თეატრისათვის საინტერესო სპექტაკლი, სადაც მართლა პირველად გაჟღერდა, რომ მთლად დალაგებულ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ, რომ კორუფციაც არის, მექრთამეობაც და ყველაფერი უბედურებაც. ამიტომაც იყო, რომ ერთი გაწამაწია ატყდა ამ სპექტაკლის გარშემო – ხან უშვებდნენ საჩვენებლად, ხან ხსნიდნენ.

— პირველი სპექტაკლი, სადაც იგრძენით რომ უკვე ის ხართ, ვინც გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— ასეთი სპექტაკლი არ არსებობს. შეიძლება მთელი ცხოვრება იმუშაო, მაგრამ მაინც ვერ თქვა, რასაც ვეძებდი – მივაგენიო.

— კეთილი, მეტ-ნაკლებად კმაყოფილებაზე ვისაუბროთ.

— მაშინ შეიძლება დავასახელო კაუნასის მუსკალურ-დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლი 1950-51 წ. წ. სეზონში. ტიპური საბჭოთა ოპერეტა იყო. გალპერინის „მეოცნებენი“, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო ნამუშევარი გამოვიდა. თეატრის წინ მშვენიერი ბაღი იყო, საიდანაც თეატრის ასეთივე ლამაზ ფოიეში შედიოდი. სპექტაკლს სწორედ ამ ბაღიდან ვიწყებდი, შემდეგ

მოქმედება ინაცვლებდა ფოიეში და გადადიოდა სცენაზე. ეს იყო საკარნავლო მსვლელობის მსგავსი რაღაც. ჩემ მიერ მიგნებულმა ფორმამ დიდი აღტაცება გამოიწვია. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემი ეს მიგნება შემდეგ სხვა რეჟისორებმაც გამოიყენეს. გრიბოედოვის თეატრშიც, სხვაგანაც.

ვფიქრობ, გორში დადგმულ შ. დადიანის პიესაშიც იყო საინტერესო მომენტები.

— ქუთაისზე არ გიამბნიათ?

— საერთოდ, თავგადასავლებით სავსე რეჟისორი ვარ. სად აღარ ვმუშაობდი – მოსკოვი, ვილნიუსი, კაუნასი, გორი, ქუთაისი, რუსთავი... მარჯანიშვილის თეატრში ხუთი-ექვსი სპექტაკლი მქონდა უკვე დადგმული, ქუთაისში რომ წავედი. არასოდეს დამავიწყდება კულტურის სამინისტროს კოლეგიის ის სხდომა ქუთაისის მთავარ რეჟისორად რომ მამტკიცებდნენ. ეს მაშინ უზარმაზარი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში. 27 წლის ახალგაზრდას ამხელა ტრადიციების მქონე თეატრის მთავარ რეჟისორობას მანდობდნენ?!.

— რომელი წელი იყო ხომ არ გახსოვთ?

— 1954 წელი. კოლეგიის სხდომაზე საოცარი ამბავი მოხდა. დაიწყო თუ არა სხდომა, გაიღო კარები და შემოანათა შალვა ღამბაშიძის საოცრად საყვარელმა სახემ. მას მოჰყვნენ – სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი და პიერ კობახიძე?!. სიტყვა ითხოვა ბატონმა შალვამ – ვიცით სადაც უშვებთ გიგას, ჯერ ადრეა მაგისთვის მთავარი რეჟისორობა. დაგვიტოვეთ ეგ ბიჭი, გავზრდით, დავავაჟკაცებთ და მერე სადაც გინდათ გაუშვითო!..

მადლიერების გამო ცრემლები მომადგა, მაგრამ უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი წასვლა და უკან ვეღარ დავიხევდი.

ორი დღის შემდეგ სადგურზე სტუდენტები ქუთაისისაკენ რომ მაცილებდნენ, უცებ შალვა ღამბაშიძე და გიორგი შავგულიძე დამადგნენ თავზე, ვაგზლის რესტორანში მიმიპატიჟეს და გზა დამილოცეს.

მაშინ ქუთაისში ბრწყინვალე დასი იყო. წამყვანი მსახიობები იქაც ის თაობა იყო მარჯანიშვილთან რომ მუშაობდა ქუთაის – ბათუმის თეატრის შექმნიდან – შოთა პირველი, ვახტანგ მეგრელიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, ანდრო მურუსიძე, ვარლამ

ჩხიკვაძე, კაპია აბესაძე, ქეთევან კოლხიდელი... სამი სეზონი ვიმუშავე იქ. ქუთაისის თეატრის ახალი შენობა გავხსენით ჩემი სპექტაკლით „ტარიელ გოლუა“.

წარმატებით ჩავატარეთ გასტროლები თბილისში, თბილისელ მაყურებელს ჩემი ორი სპექტაკლი ვაჩვენეთ – „ტარიელ გოლუა“ და „ოტელო“.

გასტროლების შემდგ კვლავ მარჯანიშვილის თეატრში დავბრუნდი. იუმცა ძალიან მალე 1963 წ. გრიბოედოვის თეატრის მთავარ რეჟისორად გადამიყვანეს. იქ ერთი სეზონი დავყავი და კვლავ მარჯანიშვილის თეატრში დამაბრუნეს, ახლა უკვე სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად. სამი წელი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე. როცა ამ პერიოდში დიდი ქართველი რეჟისორი დოდო ალექსიძე რუსთაველის თეატრიდან გაუშვეს, მე დავურეკე ბატონ დოდოს და ვუთხარი – ჩემი ორი თანამდებობიდან რომელსაც აირჩევთ, იმაზე მობრძანდით და იმუშავეთ მარჯანიშვილის თეატრში-მეთქი. დიდი მადლობა გადამიხადა და მითხრა, უკვე შევუთანხმდი უკრაინელებს და ამ შეთანხმებას ვერ დავარღვევო. გასაოცარი ადამიანი იყო ბატონი დოდო.

— ამ პერიოდის სპექტაკლებიდან რომელს გაიხსენებდით?

— ამ პერიოდში დავდგი, ჩემი აზრით, ჩემს შემოქმედებაში ყველაზე პრინციპული სპექტაკლი „კახაბერის ხმალი“. დავდგი აგრეთვე „ღალატი“.

— ოთარბეგის როლზე რუსთაველის თეატრიდან გყავდათ მოწვეული აკაკი ხორავა?

— ხორავა რუსთაველის თეატრიდან მაშინ უკვე გაშვებული იყო. გენიოსების მონაწილეობით შევქმენი ეს სპექტაკლი. ა. ხორავა – ოთარ ბეგი, ვ. ანჯაფარიძე – ზეინაბი, ს. თაყაიშვილი – ისახარი, ვ. გოძიაშვილი – ბესო, ა. ომიაძე – ანანია, ძალიან კარგები იყვნენ ახალგაზრდები: თ.არჩვაძე – დათო, მ. ბებურიშვილი – ერეკლე, მარინა თბილელი-რუქაია, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი რეჟისურით განსაკუთრებულად კმაყოფილი ვიყავი. უბრალოდ, ვარსკვლავ-მსახიობთა სპექტაკლი იყო.

მერე თითქოს რაღაც მოხდა თეატრში, უფრო ის, რომ ამ დროისათვის უკვე ძალიან წამოიზარდნენ ახალგაზრდა მსახიობები – ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, ზაზა ლებანიძე – შესანიშნავი და ძალიან ნიჭიერი მსახიობი ქალი და სხვა. არავითარი შეკრებები და

შეთქმულებები არ ყოფილა. უბრალოდ, გაჩნდა სურვილი ახალგაზრდებს რამე გაგვეკეთებია ერთად. ამან უფროსი თაობის ეჭვიანობა და აღშფოთება გამოიწვია.

— ეს რაში გამოიხატა?

— აშკარა უკმაყოფილება გამოითქვა ჩემს მიმართ. ჩათვალეს, რომ მე მათ ვღალატობდი და მარჯანიშვილელთა საწინააღმდეგო პოლიტიკას ვეწეოდი. თავდაპირველად მათ დაიწყეს კრებები ჩემ წინააღმდეგ.

— რას ითხოვდნენ?

— გიგა უნდა წავიდეს თეატრიდანო! ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ჩემ გვერდით დამდგარიყვნენ. მითანაგრძნობდა უფროსი თაობის ნაწილიც. განსაკუთრებით სესილია თაყაიშვილი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჩვენი წასვლა თეატრისათვის დამღუპველი იქნებოდა. ეს ამბავი იმდენად მტკივნეულად განიცადა, რომ წერილიც კი მიწერა თეატრის სამხატვრო საბჭოს – თქვენ ღუპავთ მარჯანიშვილის თეატრს, მე არ მინდა ამის მონაწილე ვიყო და მივდივარ თეატრიდანო!...

— ე. ი. სესილია ამ კონფლიქტის გამო წავიდა თეატრიდან?

— წერილში პირდაპირ წერდა – მე იმ ასაკში აღარა ვარ ახალი თეატრის შექმნაში მაგათთან ერთად რომ მივიღო მონაწილეობა, მაგრამ არც იმ თეატრში შემიძლია დარჩენა, სადაც ასეთ უსამართლბას სჩადიანო და მართლაც წავიდა!...

ძალიან აქტიურად გვიჭერდა მხარს მედეა ჯაფარიძეც. განსაკუთრებით მძიმე კრება ჩატარდა კულტურის სამინისტროში, სადაც ღია დაპირისპირება მოხდა ჩვენს შორის. კულტურის სამინისტრო ჩვენს მხარეზე იყო. პირადად მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს ძალიან ვაჟკაცური პოზიცია ეკავა, მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვთქვით რომ მაინც წავალთ!

— თუ თეატრიდან სხვების წასვლას არ მოითხოვდით და თავად მიდიოდით, კრებები რაღა საჭირო იყო?

— თეატრის დანგრევა არ უნდოდათ. ამის გარდა კვეხნად ნუ ჩამომართმევთ და არც მე ვეთმობოდი. ამასთან დაკავშირებით ერთი პარადოქსი მაქვს, როცა მეკითხებიან, შენს ცხოვრებაში ყველაზე სწორ ნაბიჯად რა მიგაჩნიაო – მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლა და ყველაზე დიდი შეცდომად? – უკან დაბრუნება — მეთქი!..

— როცა თეატრიდან წამოხვედით უკვე იცოდით, რომ რუსთაველში წახვიდოდით?

— არაფერიც არ ვიცოდით. კულტურის სამინისტრომ შემოგვთავაზა სანკულტურის შენობას გადაგიკეთებთ, სახელწოდებასაც შეეუცვლით და იქ იმუშავეთო. ეს რატომღაც ძალზე უარყოფითად მიიღეს ჩემმა თანამოაზრეებმა. ყველამ უარი თქვა. ამ დროს გაჩნდა აზრი – წავსულიყავით რუსთაველში. მეტალურგთა ეს ქალაქი, მაშინ ახალი დაარსებული იყო და პერსპექტივებიც დიდი ჰქონდა. რუსთაველში წასვლას ყველამ დაუჭირა მხარი.

რუსთაველის პერიოდი პრინციპულად განსხვავებული ხანაა ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. განსაკუთრებული ბედნიერებაა როცა ახალ თეატრს ქმნი. პირველი ათი წელი მაინც რაღაც საოცრება იყო, სულ ზენიტში ვიყავით.

— რუსთაველში თეატრის შენობა დაგხვდათ?

— არანაირი შენობა არ დაგვხვედრია. კლუბი ჰქონდათ ერთი და ქალაქის ხელმძღვანელობამ იმის რეკონსტრუქცია დაიწყო. დიდი ენთუზიაზმით მიგვიღეს და ყველანაირად გვიწყობდნენ ხელს, მაგრამ სანამ რეკონსტრუქცია დამთავრდებოდა რამე უნდა გვეღონა. ამ დროს მოხდა სასწაული – სენაკის რაიონის რაიკომის მდივანმა შონიამ შემოგვთავაზა მთელი ზაფხული მის რაიონში, სოფელ ნოქალაქევში დაგვესვენა და გვემუშავა კიდეც. შესანიშანვი პირობები შეგვიქმნა, მდინარის პირას, სკოლის შენობაში დაგვასახლა და უფასო სასადილო გაგვიხსნა. დღე და ღამე თავს დაგვტრიალებდა.

— რუსთაველის თეატრი რომელი სპექტაკლით გახსენით?

— პირველი სპექტაკლი იყო ედმუნდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი". მასზე მუშაობა ჯერ კიდევ მარჯანიშვილის თეატრში ყოფნისას მქონდა დაწყებული. ნოქალაქევში მასზე მუშაობაც გავაგრძელე და ორი ახალი პიესის — კოროსტილიოვის „დეკაბრისტებისა" და მ. გორკის „ფსკერზე" რეპეტიციებსაც შევუდექი.

რუსთაველის თეატრი 1967 წლის 27 ნოემბერს გავხსენით „სირანო დე ბერჟერაკის" პრემიერით. თვენახევარში წარმოვადგინეთ „დეკაბრისტები" („ასი წლის შემდეგ") – და კიდევ ერთი თვის

შემდეგ „ფსკერზე“. ახალი თეატრის განაცხადი მართლაც ძალიან სერიოზული იყო.

— მახსოვს „სირანოს“ ... პრემიერაზე ლამის მთელი თბილისი იქ იყო.

— არა მხოლოდ იმ დღეს, ჩვენს პრემიერებზე, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოეშურებოდნენ რუსთაველისაკენ. გენიალური ქართველი მსახიობი სერგო ზაქარიაძე, გახსნის დღეს, სპექტაკლის შემდეგ, სცენაზე ამოიჭრა და სიტყვით მოგვმართა. ძალზე საგულისხმო რამ გვითხრა – თეატრის დაარსება ადვილია, მაგრამ გაგრძელებაა რთულიო!.. ვფიქრობ, ეს სირთულეც დავძლიეთ. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სულ რაღაც წელიწადნახევრის იყო თეატრი, მოსკოვში გასტროლებზე რომ გაგვიშვეს! – შვიდი სპექტაკლი გექონდა წაღებული! წელიწადნახევარში შვიდი საგასტროლო სპექტაკლის მომზადება ადვილი არ არის.

საკავშირო პრესის ფურცლებზე რამდენიმეჯერ გამოითქვა ასეთი მოსაზრება – ამჟამად საბჭოთა კავშირში სამი საინტერესო თეატრია – „სოვრემენიკი“, პანევეჟისის და რუსთაველის თეატრიო. ასეთ შეფასებას ისინი ადვილად არ იმეტებენ.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აკაკი ვასაძის მოსვლა რუსთაველის თეატრში. იმდენად მოწონდა ჩვენი თეატრი, პირდაპირ გვითხრა – ამ თეატრში მუშაობის საშუალება მომეციათო! რამდენიმე მნიშვნელოვანი სახეც შექმნა.

— რატომ დაბრუნდით მარჯანიშვილის თეატრში?

— დაგვიბარა იმდროინდელმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და გვითხრა იღუპება მარჯანიშვილის თეატრი, მოკიდე შენ მიერ წაყვანილ ხალხს ხელი და დაბრუნდით თეატრშიო! – თერთმეტი ახალი შტატი მოგვცეს. მე დამნიშნეს დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. ეს იყო 1974 წელს.

— დაბრუნების შემდეგ თქვენი პირველი სპექტაკლი იყო...

— სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. ბოლოს ისეთი მომენტიც დაგვიდგა, როცა მე განუწყვეტლივ უნდა მეფიქრა, თუ რა უნდა ეთამაშა ამა თუ იმ მსახიობს. განსაკუთრებით, ვფიქრობდი ოთარ მეღვინეთუხუცესზე. ოიდიპოსი კი ის როლია, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა ეთამაშა მას.

— როგორ ფიქრობთ, გამოუვიდა მას ეს როლი?
— მე მგონია რომ ძალიან საინტერესო იყო. განსაკუთრებით პირველ ხანებში, მერე ცოტა დაიშალა სპექტაკლი.
— ვინ იყო მისი ოიდიპოსი?
— სიმართლის მაძიებელი კაცი. ამ ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა ის იყო, რომ თუნდაც საკუთარი თავის დაღუპვის ფასადაც რომ დაგიჯდეს, სიმართლეს მაინც უნდა მიაკვლიო. ოიდიპოსი გრძნობს, რომ დაღუპვისკენ მიდის, მაგრამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმართლის დადგენაა. ეს ნაწარმოებში დევს. მე ყოველთვის ვცდილობდი ის ამომეხსნა, რაც ნაწარმოებში იყო. არც ის არის სწორი თითქოს ეს ანტიკური ტრაგედია არის ბედისწერის გარდაუვალობაზე. თუ ყველამ ვიფიქრეთ, მაინც ის მოხდება რაც გვიწერიაო, ეს მონური ფსიქოლოგიაა და მეტი არაფერი.

ჩემი აზრით, ამ სპექტაკლით მე შევებრძოლე ბედისწერის გარდაუვალობასაც და ე. წ. „ოიდიპოსის კომპლექსის" თეორიასაც. რა კომპლექსებზეა საუბარი? – ეს აბსოლუტურ სისულელედ მიმაჩნია. ოიდიპოსმა რა, იცოდა რომ ის ქალი დედამისი იყო?! – მან ხომ ეს უბედურება გაიგო თუ არა, თვალებიც დაითხარა და ცხოვრებაც დაამთავრა.

მე მინახავს ბათუმში, ა.ჩხარტიშვილის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფე". იუსუფ კობალაძე თამაშობდა. დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლი რუსთაველის თეატრში და მისი სამივე ოიდიპოსი– აკ. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ე. მანჯგალაძე. ვფიქრობ, რომ ოთარის მიერ შექმნილი ეს სახე ერთ-ერთი საინტერესო იყო.
— თქვენ და ოთარ მელვინეთუხუცესი, ვფიქრობ, ეს მნიშვნელვანი თემაა?
— როცა ასეთი ტანდემი იქმნება ძალიან ნაყოფიერია შემოქმედება. როგორც რ. სტურუასა და რ. ჩხიკვაძეს ცალ-ცალკე იმ დონის არაფერი შეუქმნიათ, რაც ერთად შექმნეს, ასევეა ჩვენ შემთხვევაშიც, ჩემს სპექტაკლებში მისი სვლა ტრიუმფალური გამარჯვებით დაგვირგვინდა ჩემსაე ფილმში – „დათა თუთაშხია". თუმცა, ამას მხოლოდ ჩემს დამსახურებად არ ვთვლი – უნიჭიერესი მსხიობისა და გენიალური ავტორის ჭაბუა ამირეჯიბის შეხვედრამაც განაპირობა.

— ვისაუბროთ გიგა ლორთქიფანიძეზე კინოში.

— კინოში მისვლის შესაძლებლობა ჯერ კიდევ 1954 წელს მქონდა, როცა თეატრში მ. ბარათაშვილის პიესის „ჭრიჭინას“ წარმატებული დადგმის შემდეგ, მასზე ფილმის გადაღება შემომთავაზეს. ჩემს სპექტაკლში მარჯანიშვილის თეატრში ამ როლს ფანტასტიურად თამაშობდა მედეა ჯაფარიძე. რადგან მსახიობის არჩევას ამა თუ იმ როლზე მაშინაც და დღესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, მე მოვითხოვე ჭრიჭინა ჩემს ფილმშიც მედეა ჯაფარიძეს ეთამაშა. მაშინ ცეკა როლების განაწილებაშიც ერეოდა და მედეა ჯაფარიძის დამტკიცებაზე უარი მითხრეს. რაღაც ხელოვნური მიზეზი მოიგონეს — თითქოს წლოვანებით არ შეეფერებოდა. ასეთი არაობიექტური გადაწყვეტილების გამო, უარი ვთქვი გადაღებაზე. მერე კარგა ხანს კინოსკენ აღარც გამიხედავს.

კინოზე ხელახლა ფიქრი მხოლოდ მაშინ დავიწყე როცა ჭაბუა ამირეჯიბის მართლაც საუკუნის რომანის „დათა თუთაშხიას“ გავეცანი. მაშინ კი ვიფიქრე — ეს რომ არ გადაიღო მოკვდები — მეთქი! — და იქვე გამიჩნდა მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმის გადაღების იდეა. ეს არის 1975 წელი. მაშინ ამის ტრადიცია ჩვენში თითქმის არ არსებობდა.

მოხდა გასაოცარი დამთხვევაც. კინოსტუდიის მაშინდელ დირექტორს რეზო ჩხეიძეს და კინემატოგრაფისტთა კომიტეტის თავჯდომარეს აკაკი დვალიშვილსაც, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად გაჩენიათ აზრი, რომ „დათა თუთაშხია“ სწორედ მე გადამეღო!.. მაგრამ, დიდი სურვილის მიუხედავად, როცა შემომთავაზეს გადაღება, ძალიან შემეშინდა. ჩემს მეუღლეს ქეთინო კიკნაძეს უნდა ვუმადლოდე, რომ გავბედე და ასეთ დიდ საქმეს შევები. როცა სახლში ვთქვი — რა დროს სხვა პროფესიაში ძალის მოსინჯვაა, ახალ ცხოვრებას ხომ ვერ დავიწყებ-მეთქი?! ქეთინომ — უნდა დაიწყოო! — მითხრა და მართლაც დავიწყე. შედეგიც, ვფიქრობ, შესანიშნავი გამოვიდა. გარკვეული სირთულეების გადალახვა, რასაკვირველია, ამ ფილმის გამოც დაგვჭირდა. დადგა დრო, როცა „დათა თუთაშხია“ უნდა გვეჩვენებია საკავშირო ტელევიზიის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის ლაპინისათვის. ეს იყო ძალიან ჭკვიანი, განათლებული და საშიში კაცი. მკაცრი

ძალიან. თუ ფილმი არ მოეწონებოდა, გამორიცხული იყო ვიზა მიეცა.

წინასწარ გაგვაფრთხილეს – ლაპინმა დიდი-დიდი ერთი საათი უყუროს ფილმს, იმდენი დრო სად აქვს, რაც აქ ფილმები შემოდის ყველა ბოლომდე ნახოსო. არადა, ჩვენ შეიდსერიანი ფილმი გვაქვს ჩატანილი!..

დაიწყო ფილმის ჩვენება. ლაპინი მარტო უყურებს. ასეთი ჩვეა ჰქონდა. ჩვენ რედაქტორთან ველოდებით როდის გავა ერთი საათი. ერთიც გავიდა და ოთხიც, ლაპინი არა და არ ჩანს?!.

მოხდა სასწაული, მან ბოლომდე უყურა ფილმს!..

ბოლოს დაგვიძახა, ოთახში გაიარ-გამოიარა და გვითხრა – ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს შეიძლება შეშურდეს ასეთი რაოდენობის გენიალური არტისტებიო! – ამ სიტყვებმა გადაწყვიტეს ფილმის ბედი. მანამდე სხვა პასუხისმგებელ პირებში დიდი კამათი გამოიწვია სეთურის სცენებმა. ფიქრობდნენ, რომ ეს პირდაპირი მინიშნება იყო საბჭოთა წყობაზე. საბოლოოდ ეს სერია გადარჩა, მაგრამ ერთი ეპიზოდი მაინც ამოგვიგდეს. იმ ეპიზოდში დათას და ზამთარაძეს ბავშვები ესხმოდენ თავს. ძალიან კარგი სცენა იყო, მაგრამ გვითხრეს – რაღაც მეტისმეტად ჰგავს არტეკსო!*..

ერთი შეფერხება კიდევ მაშინ გვქონდა, როცა საკავშირო ტელევიზიამ დაიწყო ჩვენება. ორი სერიის მერე უცებ შეწყვიტეს?!. – შევშფოთდით. გამოირკვა, რომ სსრკ ცენტრალური კომიტეტიდან სეთურის სცენისათვის უყურებია ვიღაცას და აღშფოთებულა – რას აჩვენებთ ეკრანზეო?!.

ფილმის ჩვენების განახლება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, როცა პოლიტბიუროს მთელმა შემადგენლობამ ნახა. მთლიანად ფილმი მოეწონათ და სეთურის გამო აღარ ჩაგვძიებიან. მერე და მერე, ფილმის ბედი ისე წარიმართა, რომ საკავშირო სახელმწიფო პრემიაც მოგვცეს და ბევრი სხვა ჯილდოც. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში დიდი წარმატებით გადიოდა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება სწორედ რუსეთში ხვდა წილად. უამრავი წერილი მოდოდა რუსეთიდან.

ძალიან ბევრი ფილმის გაგრძელებას გვთხოვდა. ხომ არ გვინახავს როგორ დაიღუპა დათა და იქნება მეთევზეებმა გადაარჩინესო!..

---

* პიონერთა ბანაკი იალტაში.

ერთი ქალი გვწერდა – ქვრივი ვარ, ორმოცდაშვიდი წლის. დიდი მადლობა იმისათვის ყოველ საღამოს ჩემს ოჯახში გასაოცარი მამაკაცები რომ შემოდიანო!..

ოთარს კემეროოდან ერთი გოგონა წერდა: ხუთი და-ძმა ვართ, მამა გარდაგვეცვალა, დედა სხვას გაპყვა, ჩვენ კი უპატრონო ბავშვთა სახლში ვიზრდებით. ძვირფასო ბიძია დათა, თქვენ, ასეთმა ძლიერმა და ჭკვიანმა კაცმა, იქნება იპოვოთ დედაჩვენი და დაარწმუნოთ, შვილების ასე მიტოვება არ შეიძლებაო!..

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მე საპატიო მილიციელის წოდება მომენიჭა! ასე ასაბუთებდნენ – თქვენი ფილმის ჩვენების დროს – კრიმინალური დანაშაული სამოცდათოთხმეტი პროცენტით, ხოლო გამოსაფხიზლებელში მოხვედრილთა რიცხვი კი ოთხმოცდასამი პროცენტით შემცირდაო!..

— ავტორები, რომლებიც გამორჩეულად გიყვართ?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის პოლიკარპე კაკაბაძე, რომლის პიესაზე დადგმული სპექტაკლი „კახაბერის ხმალი" ჩემს ყველაზე საუკეთესო სპექტაკლად მიმაჩნია. ნოდარ დუმბაძე, რომელთანაც მთელი ცხოვრება ვითანამშრომლე და ჭაბუა ამირეჯიბი.

— რა არის ის ძირითადი, რის გამოც პიესას ირჩევთ?

— ჯერ ერთი, ნაწარმოები თავისი ბუნებით უნდა იყოს ეროვნული, ქართული. მეორე ის, რომ მწვავედ უნდა იყოს დასმული გარკვეული ცხოვრებისეული საკითხები. მაგალითად, ხშირად ჰგონიათ, რომ „მე, ბებია, ილიკოს და ილარიონის" დადგმას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. პირიქით, ოფიციალური კრიტიკა კითხულობდა – რა სოფელია ასეთი, არც კოლმეურნეობა რომ არ არის, არც პარტიული ორგანიზაცია და არც კომკავშირიო?!

— მაშინ ხომ პიესის გმირი ფრიადოსანი, დამკვრელი ანდა ძოწინაველ ადამიანი უნდა ყოფილიყო. აქ მსგავსი არაფერი იყო. მაგრამ იყო დიდი ცხოვრებისეული სიმართლე.

— ანუ თქვენთვის მთავარია ეროვნულობა, სოციალური სიმახვილე და სიმართლე?

— ჟურნალი „ცისკარი" გამოდიოდა, მგონი, ახლა აღარც გამოდის, რომლის რედაქტორიც იყო ვახტანგ ჭელიძე, შესანიშნავი ლიტერატორი, კრიტიკოსი, მაშინ სწორედ ამ ჟურნალმა დაბადა

ახალი დინება ქართულ ლიტერატურაში, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი. ჩემი აზრით, ქართულ ლიტერატურაში მათ მოაბრუნეს უბრალო და მართალი ადამიანები. დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის გმირების მსგავსი ადამიანები.

— როგორ მუშაობთ პიესაზე?

— ერთხელ გიორგი ტოსტონოგოვმა ძალიან საინტერესო რაღაც გვითხრა – არიან რეჟისორები, რომლებსაც ერთი გასაღები უდევთ ჯიბეში და უნდათ, რომ ყველა კარი იმით გააღონო. არა და ის მხოლოდ ერთი კარების გასაღებიაო. ამიტომაც არის ან საკეტს ამტვრევენ, ანდა კარებს აფუჭებენო!..

მართლაც ასეა, არ შეიძლება შექსპირის ნაწარმოები და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები ერთი და იმავე გასაღებით გააღო. პირველ რიგში მე ავტორის თავისებურებებს ვითვალისწინებ. მისი პატივისმცემელი ვარ. შესანიშნავად თავის დროზე თქვა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, – როცა პირველად სამხატვრო თეატრი დაიბადა ყველანი ამბობდნენ რეჟისორული თეატრი დაიბადაო, მერე ამბობდნენ – მსახიობების თეატრი დაიბადაო, მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ყოველთვის ავტორის თეატრი ვიყავითო.

მეც მიმაჩნია რომ რეჟისორმა, პირველ რიგში უნდა აღმოაჩინოს ავტორი, განსაზღვროს მისი სტილი, თავისებურებანი და ყველაფერი მას დაუმორჩილოს.

— რას ითხოვთ მსახიობისაგან?

— პირველ რიგში სიმართლეს. მოქმედების უნარს, თეატრალური სიყალბისაგან გათავისუფლებას, დამოუკიდებელ აზროვნებას, პატივს არ ვცემ მარიონეტად გადაქცეულ მსახიობს.

— დაასახელეთ თქვენ მიერ დადგმული სამი საუკეთესო სპექტაკლი?

— ჩემს შემოქმედებაში პრინციპული მნიშვნელობა პქონდა სპექტაკლებს – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „კახაბერის ხმალი“. ძალიან მიყვარს და ძალიან მაღლა ვაყენებ ჩემ ორ სპექტაკლსაც „ასი წლის შემდეგ“ და „ფიროსმანი“.

— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა“. რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა და როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაშია იგი დღევანდელ ქართულ თეატრში?

— კატასტროფულში! – კ.სტანისლავსკი ამბობდა, რომ მსახიობის ყველაზე დიდი უზრდელობა ცუდი მეტყველებაა!..

— ხელოვანი გამორჩეული და სანიმუშო ადამიანი უნდა იყოს?

— ხელოვანი თუ სანიმუშო არ არის, თუ მისგან მაგალითის აღება არ შეიძლება, იგი, ჩემი აზრით, ვერ იქნება გამომსახველი თავისი ქვეყნის ტკივილებისა. ხელოვანი ზნეობრივადაც უნდა გამოირჩეოდეს და, რაც მთავარია, თავდადებული უნდა იყოს თავისი ხალხისათვის. პირველ რიგში უნდა შეგეძლოს იგრძნო შენი ხალხის ტკივილი, შენი ხალხის სიხარული რაშია. თუ ერის სამსახურში არ დგახარ, შეიძლება დროებითი წარმატებები გქონდეს, მაგრამ ნამდვილი ხელოვანი ვერ იქნები. ზნეობრივადაც უნდა გამოირჩეოდე, კაცობითაც და, რაც მთავარია, უნდა იყო თავდადებული შენი ხალხისათვისა და მათი ინტერესებისათვის.

— „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული“? თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე მგონია, არასოდეს არ ჰქონია ქართულ თეატრს ასეთი კრიზისი ახლა რომ აქვს. ქართული თეატრი ყოველთვის იყო დასახლებული უბრწყინვალესი მსახიობებით. მე სამხატვრო თეატრის დასიც ვიცი, მცირე თეატრის დასიც, ინგლისური დასებიც, მაგრამ ისეთი მდიდარი აქტიორული სკოლა, როგორიც ქართულ თეატრს ჰქონდა, იშვიათი იყო. ამ მხრივ შეიძლება უფრო მეტად ვგავდით რუსულ თეატრს; რუსული თეატრიც ძალიან მდიდარი იყო დიდი მსახიობებით. ამას წინათ ვფიქრობდი– ახლა რომ თუთაშხიას გადაღება მინდოდეს, ვერ გადავიღებდი. გარდა იმისა, რომ ფილმი დასახლებულია მართლაც გენიალური არტისტებით, არ მეყოლებოდა ორი ისეთი გარეგნობის და სულიერი სამყაროს პიროვნება, როგორებიც არიან ოთარ მეღვინეთუხუცესი და თენგიზ არჩვაძე. ორი ისეთი პიროვნება, რომლებიც უნდა დაჯახებოდნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლა უნდა ყოფილიყო საინტერესო ყველასათვის. დღეს ყველაფერი დაწვრილმანდა და მგონი ცოტა ღლაბუცში გადავიდა. რეჟისურის გატაცებამ საკუთარი პერსონის წარმოჩენის სურვილით ძალიან დააზარალა თეატრი. რეჟისურა მსახიობების აღზრდის უმთავრეს საყრდენად კი არ დარჩა, თვითმიზნურ ძიებებს გადაჰყვა. ამიტომაც არის, რომ ქართულ თეატრში საერთოდ აღარ არის საინტერესო მსახიობი.

— კოკტო ამბობს — „თუ შემოქმედი საზოგადოებასთან საზავო მოლაპარაკებასაც კი თანხმდება, ის დამარცხებულია“ — რა აზრის ხართ კომპრომისზე?

— ნემიროვიჩ-დანჩენკო ამბობდა, რომ „თეატრი არის კომპრომისი, კომპრომისი და კიდევ კომპრომისი!“, მაგრამ არა საკუთარ სინდისთან და რწმენასთან. ამას წინათ, ერთ გადაცემაში ვთქვი, რომ დღევანდელ ქართულ თეატრში კატასტროფული მდგომარეობაა, თუნდაც იმიტომ, რომ მას მასხარას როლიც კი წაართვეს-მეთქი. მასხარას იმის უფლება ჰქონდა, რომ მეფისთვის სიმართლე ხუმრობით მაინც ეთქვა. თუ თეატრი და კინო არ არის დისიდენტური ის მოწინავე არ არის. თეატრი, კინო, ლიტერატურა და საერთოდ ხელოვნება არსებულის წინააღმდეგ თუ არ არის, მაშინ რისთვის არსებობს? საბჭოთა თეატრიცა და კინოც ყოველთვის დისიდენტური იყო. ადრეც, მეფის რუსეთის დროს, ქართულ თეატრში იდგმებოდა „სამშობლო“, „ღალატი“. მართალია შეფარულად ამბობდნენ სათქმელს, მაგრამ ის ხომ თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო, რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. „შემოჰკარ ზარი გოგია, შემოჰკარ ზარი თავისუფლებისა“ – სცენაზე ამას რომ იტყოდნენ, დარბაზში კიეილი იწყებოდა, რატომ? – იმიტომ, რომ ისინი იმ წუთში, იმ დროს არსებულ მჩაგვრელს ებრძოდნენ.

თუ თეატრმა ეს ფუნქცია დაკარგა და თუ იმისათვის ვარსებობთ, რომ პანეგირიკი მივუძღვნათ არსებულ ხელისუფლებას, მაშინ ყოფნა და მუშაობა არ ღირს.

— თქვენი თაობის სახე — როგორია იგი?

— მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე!.. ხომ ფაქტია, რომ იმ დროის მსოფლიოში არსებობდა გამოთქმა – ქართული კინოსა და ქართული თეატრის ფენომენი?! – ამ ფენომენის დამკვიდრებაში სწორედ ჩემს თაობას უდევს უდიდესი წვლილი. ჩვენი ხელოვნება ყოველთვის რაღაცნაირად სცილდებოდა საბჭოთა სტერეოტიპების ფარგლებს. ჩემს კოლეგებს მოსკოვში, ლენინგრადსა თუ კიევში ხშირად უკითხავთ – თქვენთან საბჭოთა ხელისუფლება არ არისო?!

— რას ნიშანავს თქვენთვის ეროვნული ინტერესები და მოქალაქეობრივი ვალი?

— ეროვნული ინტერესების სფერო ისე კარგად არავის განუსაზღვრავს, როგორც ილიას – „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ამაზე დიდი საფიცარი, მე მგონია, არც ერთ შემოქმედს არ უნდა ჰქონდეს. ქართველი შემოქმედისათვის ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაც კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება. ჩემთვის არავითარი განსხვავება არ არის რუსულ და ამერიკულ ჩექმას შორის!..

— ნიჰილიზმის მოძალებას თუ გრძნობთ?

— ნიჰილიზმი მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი ფიქრობს, რაც არ უნდა გავაკეთო, არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო. თუ ისეთი უბედურება შეგვეყრება, რომ ცინიზმი და ნიჰილიზმი გახდება ჩვენი მამოძრავებელი, ეს დაგვღუპავს.

— არისტოტელური — არაარისტოტელური, ილუზიური — ანტიილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა ვუწოდოთ, მაინც განცდასა და წარმოსახვასთან მივდივართ. თქვენ რომელი თეატრი გიყვართ?

— მეთოდოლოგიაშია განსხვავება – განცდიდან წარმოსახვამდე მიხვალ, თუ პირიქით. მიზანი ერთია, მაგრამ მე მაინც განცდის ხელოვნების მომხრე ვარ.

— თქვენი პროფესიის მთავარი სირთულე?

— კოლექტიურობა, ჭეშმარიტი თეატრი ერთმორწმუნეთა თეატრია, მაგრამ ამის მიღწევა ძალიან ძნელია. რუსთაველის თეატრის პირველ ათწლეულში ჩვენ ეს შევძელით.

— თეატრმცოდნეებზე რა აზრის ხართ. თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ მათი წყალობით „ძლებს“ დროში?

— ეს შესანიშნავი და მნიშვნელოვანი პროფესიაა. მათ დიდი როლი აქვთ ნათამაშები ჩემს ცხოვრებაშიც. ვგულსხმობ როგორც ქართველებს, ისე რუსებს. ვფიქრობ, რომ ჩემ მიმართ, ჩემი სპექტაკლებისა თუ ფილმების მიმართ ყოველთვის სიყვარულიანი დამოკიდებულება ჰქონდათ.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ რომ თეატრი ტაძარია, თქვენ რას ფიქრობთ?

— უნდა იყოს, მაგრამ არ არის. ტაძარი იმ თვალსაზრისით არის, თუ იქ ერთმორწმუნენი არიან, როგორც მაგალითად, სამხატვრო თეატრის საუკეთესო წლებში.

— იმ ფულის გამო „საშშობლოს“ დასადგმელად რომ იყო საჭირო, ქართული თეატრის ერთ-ერთი სიამაყე ვასო აბაშიძე, მუხრან ბატონის წინაშე „შეხტა და შემობზრიალდა“, თქვენ თუ ხართ მზად, ღირსება შესწიროთ ქართულ თეატრს?

— საკუთარი ღირსების შეწირვაზე თანახმა ვარ, მაგრამ თეატრის გადასარჩენად. თუ თეატრის ღირსება უნდა გაიწიროს – არა! ეს ტრაგიკული მაგალითია, ვასო აბიშიძეს არ უნდა დასჭირვებოდა ამის გაკეთება.

— თეატრი რეჟისურისაა თუ მსახიობის?

— ჩემი პროფესიის საწინააღმდეგო რამეს ვიტყვი. მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ დარგში მთავარია ის, რის გარეშეც შეუძლებელია მისი არსებობა. თეატრი შეიძლება იყოს დრამატურგის გარეშე, მრავალი საუკუნე არსებობდა რეჟისორის გარეშე, მაგრამ მსახიობის გარეშე არასოდეს. თეატრი არის – მსახიობის.

— კ. მარჯანიშვილს მიაჩნდა — „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— გენიალური ფორმულირებაა. თუ სიხარული არ მოაქვს, ჩემთვის ის მკვდარი თეატრია.

— ჩვენი დიდი წინაპრები არტისტს ხალხის მოძღვარს, ხალხის მასწავლებელს უწოდებდნენ. თქვენ როგორ გგონიათ?

— ასეც უნდა იყოს. სხვაგვარად მაყურებელი თეატრისადმი რწმენას დაკარგავს

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდით. დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეთ ქართველები?

— ილია თავის დროს უსწრებდა. დღეს თუ ჩვენთან არის ის, ვინც ეპოქას უსწრებს, რასაკვირველია, განსაკუთრებით უნდა მოვეფეროთ, მაგრამ საერთოდ სჯობს ყველას გაუფრთხილდეთ.

20. VI. 2006.

გიზო ჟორდანია

— რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე თქვენ მიერ დადგმული სპექტაკლისათვის — ბ. ვასილიევის „ამაღამ მგონი იქნება ქარი“ — კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდით. ეს პირველად მოხდა თქვენს ცხოვრებაში თუ მანამდე უკვე იყავით ამ პრემიის ლაურეატი?

— არა, ეს პირველია და, ვფიქრობ, ბოლოც, რადგან, როგორც ვიცი, ამ პრემიით ერთი და იმავე პიროვნების ორჯერ დაჯილდოება არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, მე ისეთს არავის ვიცნობ, ვისაც ერთხელ მეტად მიეღოს იგი.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს ჯილდოც ერთგვარად წინასწარ არის განწირული განაწილების პრინციპისათვის — მთავარია გული არავის დაწყდეს!

— არ ვიცი, შეიძლება. თუმცა ალბათ უკეთესია ადამიანს ჯილდო იმდენჯერ მისცე, რამდენჯერაც იმსახურებს.

თავისთავად, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. ძალიან მიხარია ისიც, რომ ამავე პრემიით დაჯილდოვდა ჩვენი შესანიშნავი მსახიობი გოგი ქავთარაძე – ჩვენმა შემოქმედებითმა მეგობრობამ თითქოს ამაშიც ერთგვარი გაგრძელება პპოვა. საქმე ისაა, რომ გ.ქავთარაძე ჩემს ორ სპექტაკლში თამაშობს: „მარადისობის

კანონში“ – ბაჩანა რამიშვილს და „ყვარყვარე თუთაბერში“ – ყვარყვარეს.

— ორივე ეს წარმოდგენა თქვენ სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგით?

— დიახ, იმ თეატრში, რომელსაც გოგი ქავთარაძე ხელმძღვანელობს. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ დადგმული ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ პირველი პრემიერა იყო, რომელიც სოხუმის ქართული თეატრის დასმა ახალ შენობაში წარმოადგინა. გოგი ქავთარაძის ადგილზე ალბათ ბევრი ვერ შეელეოდა ახალი თეატრის საკუთარი პრემიერით გახსნის შესაძლებლობას, მაგრამ მან ვაჟკაცურად სძლია პატივმოყვარულ ცდუნებას და ეს საშუალება მე დამითმო. იმავე თეატრში, გასული წლის სექტემბერში, ჩემი მეორე სპექტაკლის – პ.კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ პრემიერა იყო. ყვარყვარეს, როგორც გითხარით, გოგი თამაშობდა. მისი, როგორც მსახიობის ერთ-ერთი ძვირფასი თვისება ის არის, რომ არაჩვეულებრივად დამყოლი, მიმნდობი და ბავშვივით უშუალო ხდება. თითქოს პირველად ისმენს იმას, რასაც ეუბნები. ამ დროს იგი აზროვნებს, როგორც მსახიობი და არა რეჟისორი. მას ბევრი შესანიშნავი როლი აქვს შექმნილი, როგორც თეატრში, ისე ეკრანზე, მაგრამ, ვფიქრობ, ყვარყვარე მათ შორის საპატიო ადგილს დაიკავებს.

— ამ ნაწარმოების დადგმის გადაწყვეტილება ალბათ იმთავითვე გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იმ თვალსაზრისითაც, რომ ყველა ჩვენთაგანის მეხსიერებას ჯერ კიდევ შთამბეჭდავად აქვს შემორჩენილი რობერტ სტურუას მიერ დადგმული „ყვარყვარე“. თუმცა ისიც გასაგებია, რომ თუ ყველაფერს ასე მივუდგებით, პირამიდების შემდეგ კაცობრიობას ალბათ აღარაფერი უნდა აეშენებია.

— ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი არსებობდა, მაგრამ მსახიობებს და რეჟისორებს ამის გადალახვა უფრო ადვილად შეუძლიათ. ეს მათი პროფესიაა – ირწმუნონ და გაითავისონ სწორედ ის სინამდვილე, რომელსაც მოცემულ მომენტში სთავაზობენ, მითუმეტეს თუ ეს სინამდვილე პოლიკარპე კაკაბაძის მსგავსი ოსტატის მიერაა შექმნილი. „ყვარყვარე თუთაბერი“ ჩვენი თეატრის საგანძურია, მისი მსგავსი ქართულ თეატრს არც არაფერი გააჩნია. ამას გარდა, არც არსად მოიპოვება დრამატურგიული

შედევრების ისეთი განძთსაცავი, საიდანაც ყოველ რეჟისორს მხოლოდ მისთვის დაწერილი პიესის აღება შეეძლება. სამაგიეროდ არის ნაწარმოებები, რომლებიც ყველასთვის არის შექმნილი, ყველას სათქმელს იტევს. „ყვარყვარე თუთაბერი“ სწორედ ასეთი ნაწარმოებია. როცა რუსთაველის თეატრში რ.სტურუამ „ყვარყვარე“ დადგა, რა თქმა უნდა, ყვარყვარიზმი მაშინც ძალიან აქტიურად მძვინვარებდა, მაგრამ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს მაინც გარკვეულწილად შეურიგებელი პოზიცია ეკავა, ებრძოდა კიდეც. მერე და მერე თანდათან მათი ყურადღებაც მოდუნდა და ყვარყვარიზმი ლამის ცხოვრების ნორმად იქცა, ყვარყვარე ისე ჩასახლდა და გალაღდა ჩვენში თუ ჩვენს გვერდით, რომ ველარც ვამჩნევთ. თანაც სულ ახალი და ახალი ტიპის ყვარყვარეები ჩნდებიან. ყვარყვარე თითქოს ხვეწს და სრულყოფს თავის არსებობის ფორმებს. ამიტომაც არის იგი ასე საშიში. მას შემდეგ, რაც ოციან წლებში დაიბადა, სულ იზრდება და იზრდება; პოლიკარპე კაკაბაძე თითქოს მთელი ცხოვრება ქმნიდა და სრულყოფდა ამ გმირს სხვადასხვა სახეში. ამიტომ მიუეცი ჩემს თავს უფლება, მისი ნაწარმოებების სხვა პერსონაჟებიც, დადებითი თუ უარყოფითი გმირები „გადამესახლებია“ ჩემს სპექტაკლში. ისინი თავინთ ბევრ გამოვლინებაში თითქოს ყვარყვარეს ორეულები, მისი მრწამსის მატარებელნი არიან. მათ მიერ წარმოთქმული, ერთი შეხედვით უმტკივნეულო ფრაზებიც კი, დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვაგვარად ჟღერს. მაგალითად, ერთი გმირი ასეთ რამეს ამბობს, ყველა სახლში ჩონგურს აკაჟღერებო!.. ვიცით რა ჩონგურებიც აკაჟღერეს სახლებში და რა თავზარიც დასცეს ადამიანებს!.. მე ვფიქრობ, რომ ყვარყვარე ძალიან ხშირად უნდა დაიდგას, რათა არასოდეს დაგვიწყდეს, მუდამ გვახსოვდეს მისი არსებობა და არასოდეს დაუშვათ მისი მომძლავრება.

— გასულ შემოდგომაზე, ერთ პატივსაცემ მანდილოსანთან შესულა ცოლის ხარჯზე მცხოვრები მეზობელი და უთქვამს — სულ უსაქმურს რომ მეძახი, ერთი მოგესმინა რა სიტყვა ვთქვი მიტინგზე!.. ახლა რაღას იტყვი, ხომ ხედავ ჩემი დროც დგებაო!.. — რა უნდა ვთქვა, შვილო, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე შენნაირების მეტი რა მინახავსო!.. — უთქვამს დიასახლისს...

— საქმეც ისაა, რომ ყვარყვარე კაცად თავს არეულობის დროს გრძნობს! ასეთ დროს ცოცხლდება, ლაღობს. როცა საზოგადოებას არ სცალია მისთვის, სწორედ მაშინ წამოყოფს თავს და თავად იცლის საზოგადოებისთვის!.. ყვარყვარეს მიმართ თვალის არიდების, ყურადღების მოდუნების, დათმობის ყოველი წუთი ძალიან ძვირი უჯდებათ ადამიანებს. არა და ვაი, რომ დღეს ისევ ბევრი ახალი ყვარყვარე გამოჩნდა და იმისგანაც არა ვართ დაზღვეული, რომ ხვალ და ზეგ კიდევ მეტი არ გამოჩნდება!..

— ჩვენ ოპტიმისტები ვართ, ბ-ნო გიზო!

— ვფიქრობ, არც ჩემს სპექტაკლებს აკლია ეს გრძნობა!..

— უკვე რამდენიმე წელია რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი ხართ, რამ განაპირობა თქვენი მიწვევა?

— ხშირად მეკითხებიან ამას... რობერტ სტურუასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩემ მიერ აღზრდილ მსახიობთა ჯგუფი მცირე სცენაზე იმუშავებდა. მათთვის ხელმძღვანელობა კვლავ მე უნდა გამეწია, მაგრამ მცირე სცენის მთავარი რეჟისორის თანამდებობა არ არსებობს. გამოსავალი მოინახა იმაში, რომ რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი გავხდი!.. პატივმოყვარეობა, როგორც ყველას, ალბათ არც მე მაკლია, არც ზედმეტად თავმდაბალი ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ვერ შევძლებ ამ საპატიო და ყველა ჩვენთაგანისათვის საოცნებო ტვირთის ზიდვას. მაგრამ არც იმის აღიარება მიჭირს, რაც ისედაც ყველასთვის ნათელია, – დღევანდელ რუსთაველის თეატრში ვისაც არ უნდა ერქვას ეს სახელი, წამყვან ფიგურად, თეატრის ერთადერთ წარმმართველ ძალად რობერტ სტურუა დარჩება მაინც.

რაც შეეხება უშუალოდ ჩემს საქმიანობას – ჯერჯერობით კვლავ ახალგაზრდებთან მუშაობით ვარ დაკავებული, მინდა მტკიცედ დავაყენო ისინი ფეხზე. მერე მეც უფრო მშვიდად და დაჯერებით ვიმუშავებ დიდ სცენაზე. თუმცა, ეს პირველი არ იქნება ჩემთვის. 1965 წ. ბათუმიდან სწორედ რუსთაველის თეატრში გადმომიყვანეს. არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ გაკიხსენო ის ზრუნვა, რომელიც თეატრის მაშინდელმა დირექტორმა დორიან კიტიამ გამოიჩინა ჩემს მიმართ. სწორედ მან დამირეკა ბათუმში და მითხრა: მიხეილ თუმანიშვილისა და საერთოდ, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ჩვენს თეატრში გვინდა გადმოგიყვანოთო. 1970 წლამდე ვიმუშავე ამ თეატრში.

— მახსოვს თქვენი სპექტაკლები: ნ. აზიანის „უკანასკნელი მასკარადი“, თ. ჭილაძის „აქვარიუმი“, კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“... მაგრამ კვლავ დავუბრუნდეთ თქვენს ჯგუფს, რომელიც მცირე სცენაზე მუშაობს. ამ ახალგაზრდების მოყვანა რამ განაპირობა, თეატრი ახალგაზრდა მსახიობების ნაკლებობას განიცდიდა?

— არა, არა, პირიქით, იმაზე მეტი მსახიობია, რაც ერთ თეატრს სჭირდება! ას რვა მსახიობია დასში! ეს წარმოუდგენლად დიდი, ლამის კატასტროფული რაოდენობაა. წლის განმავლობაში ყველა მათგანის ეპიზოდური როლით დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელია. მათ შორის ძალიან ბევრი უშტატოა.

— რას ნიშნავს უშტატო მსახიობი? ადამიანი, რომელიც გარკვეულ საშტატო ერთეულზე არ არის გაფორმებული და ხელფასს არ იღებს, ალბათ, უმუშევარია?

— მთლად ასეც არ არის. გამოსვლებში უხდიან და ზოგიერთი გაცილებით მეტს იღებს, ვიდრე შტატში მყოფი, მაგრამ საგანგაშო სხვა რამეა – როდემდე შეიძლება ასე იყვნენ?! რაიონში წასვლა არავის უნდა, მათაც კი, ვინც სპეციალური ლიმიტებით მოეწყვნენ ინსტიტუტში. ადრე უფრო მიდიოდნენ სხვა ქალაქებში სამუშაოდ. მე ხუთი-ექვსი წელი ვიმუშავე ბათუმში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები აქ ცხოვრობდნენ. ალბათ მუშაობა არ უნდათ, თორემ როგორ შეიძლება, წლების განმავლობაში იყო თეატრში ისე, არც შტატის იმედი გქონდეს და არც როლების?! განა არ შეიძლება თბილისის გარდა სხვაგანაც გახდე დიდი მსახიობი!.. თუმცა, ბოლომდე ვერც მათ გაამტყუნებ. უმეტეს შემთხვევაში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები არ აქვთ რაიონში ჩასულ მსახიობებს, რომ აღარაფერი ვთქათ უმცირეს მატერიალურ ანაზღაურებაზე, სიგარეტის ფულადაც რომ არ პყოფნით. ვეღარც ოცდაათიანი წლების დამკვრელური ენთუზიაზმით მუშაობას აიძულებ – კიბის ქვეშ ვიმუშაოთ და სხვენში ვიცხოვროთო!.. ალბათ რაიონის ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ ჩასულ მსახიობთა თუ რეჟისორთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად. უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ადამიანს ადამიანური პირობები შეუქმნან და პრობლემაც ადვილად გადაწყდება.

რაც შეეხება ჩემი ჯგუფის დამკვიდრებას რუსთაველის თეატრის სცენაზე: ამ საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ რეპერტუარმა, რომელიც ჩვენი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებით შეიქმნა. თავიდანვე ისე წარიმართა ჩვენი მუშაობა, ისე გამთლიანდა ჯგუფი და იმდენად ბუნებრივად იქცა ერთ კოლექტივად, რომ თითქმის თავისთავად გაჩნდა აზრი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც არ დაშლილიყვნენ. სულერთი იყო სად ვიქნებოდით, სასწავლო თეატრში თუ სადმე სხვაგან. მთავარი იყო ჩვენ მიერ შექმნილ წარმოდგენებს ეარსება. ამ დროს რობიკო სტურუამ ნახა ჩვენი სპექტაკლები და მცირე სცენაზე მუშაობა შემოგვთავაზა. ასეთი რამ ყველას ცხოვრებაში არ ხდება!.. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდით. ჯერჯერობით ისინი ხელშეკრულებით ორი-სამი წლით არიან მოწვეულნი, მერე ენახოთ როგორ გამოიჩენენ თავს. დიდი სურვილი მაქვს ახალგაზრდა რეჟისორებმა უფრო ხშირად იმუშაონ მათთან. მინდა გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც რაღაც ახალს, მოულოდნელს შესთავაზებს და აიყოლიებს.

— თუ არ ვცდები, რუსთაველის თეატრის თითქმის ყველა მთავარი რეჟისორი მის კედლებშივე ჩამოვალიბდა, იქ გაიარა თვითდამკვიდრების, წინამძღოლად ქცევის რთული და ხშირ შემთხვევაში არც თუ მოკლე გზა. თეატრი თითქოს თავად ზრდიდა თავის მესაჭეს. მაგალითად, დიმიტრი ალექსიძე რუსთაველის თეატრში 24 წლის მოღვაწეობის შემდეგ ჩაუდგა სათავეში თეატრს. არანაკლები გზა განვლეს მიხეილ თუმანიშვილმა, რობერტ სტურუამ, თავიდანვე თვით ახმეტელიც კი არ გამხდარა მთავარი რეჟისორი. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი რუსთაველის თეატრი ზრდის თავის მომავალ ლიდერს?

— თუ გავიხსენებთ, რუსთაველის თეატრს არც ისე ბევრი მთავარი რეჟისორი ჰყოლია – კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, აკაკი ვასაძე, დიმიტრი ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა. მარჯანიშვილს თუ არ ჩავთვლით, ჩემამდე მხოლოდ ჩხარტიშვილი იყო მოწვეული... რაც შეეხება აღზრდას, თეატრი ვერაფერს გახდება თუ პიროვნება არ გამოჩნდა. ყოველი მათგანი პიროვნება იყო. არის თუ არა დღევანდელ რუსთაველის თეატრში ასეთი პიროვნება, ამას დრო გვიჩვენებს. საერთოდ, დღესდღეობით

თეატრებში და არა მარტო საქართველოში, ისეთი დაბნეულობაა, ლიდერის აღზრდაზე ფიქრი კი არა, ის ვეღარ გაურკვევიათ, რა ქნან, როგორ იმოქმედონ მომავალში.

— რომ გადარჩნენ?

— დიახ. წინათ ჩვენ ვჩხუბობდით, ვიღაცას ვებრძოდით, ათას ხრიკს მივმართავდით, რომ აკრძალული გვეთქვა. ახლა თავად ამბობენ, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე საშინელებები გვიკეთებიაო!.. რა თქმა უნდა, ხელოვნების სათქმელი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სიმართლე, მაგრამ წლების განმავლობაში ყოველი მიზანსცენისა თუ თითოეული სიტყვისათვის ბრძოლამ ბევრი რამ დაგვაკლო, უპირველესად კი, ნამდვილი ხელოვნების სიღრმისეული წვდომის უნარი დაგვიქვეითა. საოცარი რამეები ხდებოდა. წეღან „უკანასკნელი მასკარადი" ახსენეთ. (ადრე „დეზერტირკას" სახელწოდებით იდგმებოდა). რომ არ მოეხსნათ, იძულებული გავხდით მესამე მოქმედება საერთოდ აღარ გვეთამაშა. სცენაზე ბოლშევიკები რომ შემოდიოდნენ სპექტაკლიც წყდებოდა!.. ახლა „ელენა სერგეევნა, ძვირფასო" ყველგან იდგმება, ფილმიც გადაიღეს. სულ რამდენიმე წლის წინ კი გრიბოედოვის თეატრში ჩემ მიერ დადგმული ეს პიესა პირდაპირ მოსკოვიდან მოხსნეს!.. ოცდაათი წარმოდგენა გადაჭედილ დარბაზში ვითამაშეთ, ათი სპექტაკლი წინასწარ იყო გაყიდული, მაინც მოხსნეს. რობერტ სტურუას მიერ დადგმულ „სეილემის პროცესში" ბოლო ფრაზა რომ დარჩენილიყო, მთელი ომი გაიმართა. ყველაფერმა ამან თავისი დამღა დაგვასვა და ერთბაშად მისგან გათავისუფლება ადვილი არ არის, თუმცა გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ქართული თეატრი ქართველი მწერლების ვალშიც არის. არც კლასიკა გვაქვს სათანადოდ ათვისებული და არც თანამედროვე უნიჭიერესი მწერლების ოთარ ჭილაძის, გურამ გეგეშიძის, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებების დადგმით ვართ განებივრებული.

— როგორც ვიცი, ამჟამად მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ ნაწარმოებზე მუშაობთ?

— დიახ, ჩემს ჯგუფთან, სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსზე ვდგამ მ. ჯავახიშვილის „მუსუსს". ვფიქრობ, რომ ამ დიდი მწერლის სამყაროსთან შეხვედრა დიდად გაზრდის და გაამდიდრებს სტუდენტებს. ლექსიკურად მდიდარი, ნამდვილი, ძარღვიანი, მამაპაპური ქართულის გემოს გაიგებენ.

თორემ თანამედროვე პიესების ყველა გმირი ერთნაირად მეტყველებს. სულ ერთია ვინ არის, რა სულიერ-ინტელექტუალური მარაგის პატრონია, ყველა ერთი და იმავე ლექსიკითა და მწიგნობრულ-ლიტერატურული ენით საუბრობს თუ გადმოსცემს ავტორის აზრებს. ამის გათავისება სტუდენტსაც უჭირს და მსახიობსაც. როგორ იქნები ბუნებრივი, ვთქვათ, მეეტლის როლში, როცა მისთვის შეუფერებელი ენით მეტყველებ.

— ზოგჯერ გსაყვედურობენ რომ თქვენს დადგმებში, განსაკუთრებით თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე, ბევრი სიმღერა და ცეკვაა.

— ვიცი. ეს პირდაპირაც უთქვამთ, ირიბათაც, მაგრამ ჩემთვის ამას გართობის, მხიარულებისა და თვითმიზნურად გაჩაღებული ცეკვა-თამაშის ფუნქცია არ აქვს. ჩემი აზრით, ხაზგასმული თეატრალობა და აღტაცებული ზეიმურობა უხდება თეატრს, მაგრამ არც ის არის უცხო, როცა იქვე საიდანღაც ცრემლი მოჟონავს და გოდება ისმის. გლოვაც, ცეკვაც, სიმღერაც და სიტყვაც ცხოვრებაშიც განუყრელად თანაარსებობენ და თავს ვერაფინ დასდებს, რომ კაცი, რომელიც ცეკვავს, ყოველთვის ბედნიერია!..

— თუ „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა", რატომ არ შეიძლება ამღერებული მსახიობი თავისი გმირის უმძიმეს დრამაზე მოგვითხრობდეს.

— ის, რასაც ვაკეთებ და როგორც ვაკეთებ, ჩემი ენაა, მე ასე ვსაუბრობ მაყურებელთან, რადგან მიმაჩნია, რომ მსახიობი გამოსახვის ყველა იმ საშუალებას, რაც გააჩნია, თავისუფლად უნდა ფლობდეს და თავისუფლად იყენებდეს მაყურებელზე ზემოქმედებისათვის. ჩემს სტუდენტებსაც ამას ვასწავლი.

1989. 8. VI.

მედეა კუჭუხიძე

— მედეა კუჭუხიძე, რეჟისორი, დაბადებული?..

— 1937 წ. 10 ივლისს.

— ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

— მამა — შალვა კუჭუხიძე, მრავალმხრივი განათლების, ძალზე საინტერესო ადამიანი იყო. სამი უმაღლესი პქონდა დამთავრებული. მათ შორის კონსერვატორიაც, მაგრამ მთელი ცხოვრება მუშაობდა როგორც ეკონომისტი. დედა — ნინო ალშიბაია, აფხაზი თავადის ასული გახლდათ, რომელსაც სატყეო — საინჟინრო პქონდა დამთავრებული. მაგრამ ჩემი, ანუ პირველი შვილის, დაბადებისთანვე დაანება მუშაობას თავი და მთელი ცხოვრება შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს შესწირა.

— ბავშვობის წლები?..

— ეს იყო ოცდაათიანი წლების რეპრესიების და ომის ხანა. ოთხი წლის ვიყავი მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. იყო შუქშენიღბვები, გაჭირვება და ქალების მორიგეობა ღამე, სახლების სახურავებზე. მახსოვს, რა ცუდად მოქმედებდა ჩემზე, როცა დედაჩემი აირწინაღს აიღებდა და სამორიგეოდ მიდიოდა.

— სკოლის წლებზე რას იტყვით?

— ვინაიდან ჩვენს სახლთან ძალიან ახლოს იყო, თავიდან მე-5 ქალთა სკოლაში მიმიყვანეს, პეტრიაშვილის ქუჩაზე. მაშინ

სკოლების უმრავლესობა ჰოსპიტალად იყო გადაკეთებული. ამიტომ დარჩენილ სკოლებში ბავშვების ძალიან დიდი რაოდენობა იყო. მერხზე 5-6 ბავშვი ვისხედით. წერის დროს იდაყვებით ვერ ვეყრდნობოდი მაგიდას, იმდენად მცირე ადგილი გვეკავა. შემდეგ ეს ჩვევად მექცა. ამასთან, ბავშობაში სხვებზე დიდი ვიყავი და ამიტომ უკანა მერხზე მიწევდა ჯდომა. რადგან ძირითადად ბიოლოგიის კაბინეტში გვიტარდებოდა გაკვეთილები, გამუდმებით უნდა მეყურებია შემინული კარადისათვის, სადაც ბიოლოგიისათვის საჭირო თვალსაჩინოებებთან ერთად, დასპირტული ემბრიონიც იდო! – ესეც ძალიან მძიმედ მოქმედებდა ჩემზე.

მერე ბინა გამოვიცვალეთ, საცხოვრებლად სოლოლაკში გადავედით და პირველ ქალთა სკოლაში, წმინდა ნინოს ყოფილ სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა. მეთორმეტე კლასში ვიყავი როცა ქალთა და ვაჟთა სკოლები შეერთდა. ჩვენ ამან უკვე აღარ მოგვიწია, რადგან სკოლას ვამთავრებდით.

ამ სკოლაში სამი უბრწყინვალესი პედაგოგი მყავდა, რომლებმაც ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინეს ჩემზე და დღემდე ძალიან მადლიერი ვარ მათი. ესენი იყვნენ — ჩვენი კლასის დამრიგებელი ნინო აღნიაშვილი, რომელსაც თავადაც წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. და მის გამგედაც იყო ნამუშევარი. ეს იყო ფანტასტიკური პიროვნება და ადამიანი. პედაგოგიკის ვირტუოზი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ქართულს მასწავლიდა შალვა გიგაშვილი. ესეც საოცარი პიროვნება იყო. მე იმ დროს ვსწავლობდი როცა, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა, ანდა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა პროგრამაში არ იყო?! – მაგრამ ჩვენი მასწავლებელი ამას საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, გვასწავლიდა იმას, რაც მას მიაჩნდა, რომ ჩვენ უნდა გვცოდნოდა. დღემდე არ ვიცი როგორ უთმენდნენ ამას. ეს ხომ ვერ დაიმალებოდა. მყავდა კიდევ ქიმიის მასწავლებელი — ზინა ხუნდაძე. ეს იყო თავისი საქმის უდიდესი სპეციალისტი. არაორგანულ სამყაროში შიგნით ჩაყვინთვის მძაფრი სურვილი მან გააღვიძა ჩემში. ეს ადამიანები არასოდეს დამავიწყდება.

სკოლაში ყოველთვის ძალიან კარგად ვსწავლობდი და ამის გამო გამორჩეული ვიყავი. ამან კი ის განაპირობა, რომ შური ბავშვობიდან მაქვს ნაგემი!..

— სკოლის დამთავრების შემდეგ, პირდაპირ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარეთ?

— დიახ, სამსახიობო ფაკულტეტზე, რითაც ყველა ძალიან გაეკვირვე. ძალიან სერიოზული ბავშვი ვიყავი და თან სკოლაც ოქროს მედალზე დავამთავრე. თეატრში კი დავყავდი მამაჩემს, მაგრამ, რასაც ჰქვია თეატრალი, არავინ მყოლია. ერთი შეხედვით, ნამდვილად ძალიან მოულოდნელი იყო ჩემი გადაწყვეტილება, თუმცა პირველივე ტურზე დამიწუნეს!.. შემდეგში, მიხეილ თუმანიშვილსა და ბაბულია ნიკოლაიშვილს რომ ვახსენებდი თქვენ დამიწუნეთ-მეთქი, ორთავე კატეგორიულად უარყოფდა. რადგან თეატრალურზე არ მიმიღეს, უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

— ამ დროს რეჟისორობაზე არ ფიქრობდით?

— როგორ არა, მაგრამ ეს ისეთი რთული და მიუწვდომელი მეგონა, ჩაბარებაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. თუმცა, თეატრი რომ მინდოდა, ეს სრულიად ცხადი და გარკვეული იყო ჩემთვის.

უნივერსიტეტში, როგორც მედალოსანმა, ერთი გამოცდა ჩავაბარე — ქართული წერა. სულხან-საბა ორბელიანის შესახებ დავწერე. მაშინ სიებს არ აკრავდნენ. კომისიის წევრები გვატყობინებდნენ ნიშანს. როცა მივედი კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ივანე გიგინეიშვილმა გრიგოლ კიკნაძე იხმო – გრიშა, მოვიდა ის გოგონაო?!. თურმე გრიგოლ კიკნაძეს ძალიან მოწონებია ჩემ მიერ დაწერილი თემა და უნდოდა ვენახე. მირჩია კიდეც ფილოლოგიურზე ისწავლეო, მაგრამ არ დავთანხმდი.

ერთი წელი ვისწავლე ისტორიულზე. ისტორია დღესაც ერთ-ერთი გატაცებაა ჩემი, მაგრამ მაინც თეატრი ვარჩიე. სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაბარება გამაბედინა აწ განსვენებულმა მერაბ ჯალიაშვილმა, რომელიც შემთხვევით გაიცანი. თავად მგონი, მაშინ ამთავრებდა სარეჟისოროს, მან დამარწმუნა რომ მე შემეძლო რეჟისორი გამოვსულიყავი.

შესაძლებელი იყო უნივერსიტეტიდან გადმოსვლა, მაგრამ მე გამოცდების ჩაბარება ვამჯობინე. საგამოცდო კომისიაში იყვნენ — ინსტიტუტის რექტორი ილია თავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, დიმიტრი ალექსიძე, ვასო ყუშიტაშვილი, მალიკო მრევლიშვილი!..

ეტიუდი რომ დავამთავრე, მოხდა სასწაული – საგამოცდო კომისიამ აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა, ხორავამ კი ხელში ამიყვანა და — გილოცავთ, მაკო საფაროვა დაიბადაო!..

ყველა მაქებდა. მე მაინც ვთქვი – შარშანაც ვაბარებდი და დამიწუნეს-მეთქი!..

— ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— ჩვენი ჯგუფი აიყვანა ვასო ყუშიტაშვილმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ თეატრი, უწინარეს ყოვლისა, არის არტისტი! ამიტომ სულ მეუბნებოდა, რად გინდა რეჟისორობა, გადადი სამსახიობოზეო. მაგრამ ვერ დამიყოლია. თუმცა, ინსტიტუტში სხვადასხვა სპექტაკლებში ვთამაშობდი. ამან მე, როგორც რეჟისორს, ძალიან ბევრი რამ მასწავლა.

ყუშიტაშვილი რეჟისურას გვასწავლიდა, მსახიობის ოსტატობა ერთი სემესტრი გვასწავლა აკაკი დვალიშვილმა, შემდეგ იყო გადასახლებიდან ახლადაბრუნებული ალექსანდრე (საშა) მიქელაძე. ბატონი საშაც იყო ის პიროვნება, რომელმაც ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და არა მხოლოდ პროფესიის თვალსაზრისით. პირველ კურსზე მეტყველებას მასწავლიდა სერგო ზაქარიაძე, დიდი არტისტი და დიდი ადამიანი. და ჩემდა საბედნიეროდ, სიცოცხლის ბოლო წლებში, ჩემი ძალიან ახლო მეგობარი, ეს ძალიან დიდი იღბალი იყო ჩემი. მასწავლიდა აგრეთვე — მალიკო მრეველიშვილი, ფასდაუდებელი მოღვაწე, რომლის სკოლა ქართულ სასცენო და საერთოდ, ქართულ მეტყველებაში განუმეორებელია.

ყუშიტაშვილის შემდეგ რეჟისურას მასწავლიდა მიხეილ თუმანიშვილი, სასწაული პროფესიონალი, და თავის საქმეს შეწირული კაცი. მსახიობის ოსტატობას კი ლილი იოსელიანი! ითვლება რომ მსახიობებთან მუშაობა მეხერხება, თამამად შეშიძლია ვთქვა ეს მთლიანად ლილი იოსელიანის დამსახურებაა. იმიტომ, რომ ლილისნაირად ეს არავინ იცის.

— ე ი. ვისი მოწაფე ხართ?

— თითოეულმა მათგანმა ბევრი მომცა.

— პირველი სპექტაკლი, რომელიც დადგით თეატრში?

— წინასადიპლომო სპექტაკლი, დაედგი სანკულტურის თეატრში. ახალგაზრდები მაინცდამაინც არ ეწყალობდით ამ თეატრს, მაგრამ ჩემი მასწავლებელი ვასო ყუშიტაშვილი დიდი სიამოვნებით მუშაობდა იქ და აღფრთოვანებული იყო იქაური მსახიობებით.

მე, ასე ვთქვათ, მიხეილ თუმანიშვილის მაგიერად მომიწია ამ თეატრში მისვლა. მათ თუმანიშვილს თხოვეს სპექტაკლის დადგმა. მან უთხრა, მე არ მცალია, მაგრამ ჩემს საუკეთესო მოწაფეს გამოგიგზავნითო. ასე მოვხვდი სანკულტურის თეატრში. დავდგი ჩეხი ავტორის ბლაჟეკის პიესა „უხვი საღამო", პიესა არ იყო სანიტარულ-ჰიგიენურ თემაზე, მაგრამ როგორღაც მოგვცეს დადგმის უფლება. საკმაოდ კარგი სპექტაკლი გამოვიდა.

იქვე დავდგი სადიპლომო სპექტაკლიც. ამ დროს უკვე ლილი იოსელიანიც იქ იყო, მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო რუსთაველის თეატრის მსახიობის ალექსანდრე აფხაიძის პიესა „დავიბრუნოთ ჩვენი ახალგაზრდობა". ეს უკვე სამედიცინო თემაზე იყო.

დავდგი აგრეთვე ვადიმ კოროსტილიოვის „მე მჯერა შენი". ამის დადგმა ლილი იოსელიანმა შემომთავაზა, რომელიც ამ დროს ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ერთხელაც მიბარებს კულტურის მინისტრი, უაღრესად განათლებული და საინტერესო პიროვნება თენგიზ ბუაჩიძე და მეკითხება – საქართველო გიყვარსო?!..და თავადვე ამატებს – ძალიან კარგი, შენ ახლა სამშობლოს ყველაზე მეტად სჭირდები სოხუმშიო!.. ასე წავედი სოხუმში სამუშაოდ. წელიწადნახევარი დავრჩი იქ და საკმაოდ მძიმედაც დაავადდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ნ. ხრუშჩოვმა თეატრს დოტაციები მოუხსნა. შიმშილისაგან ტუბერკულოზი დამემართა, თან ძალიან მძიმე ფორმით.

თბილისში, თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ილია თავაძემ დამაბრუნა. ასისტენტად დამაწყებინა მუშაობა. ამ დროს გიგა ლორთქიფანიძე დანიშნეს მთავარ რეჟისორად გრიბოედოვის თეატრში და მან შემომთავაზა „ანა ფრანკის დღიურის" დადგმა. არიადნა შენგელაია იყო ახალი ჩამოსული და მას უნდა ეთამაშა ანა. ეს სპექტაკლი, 1964 წელს, ერთ თვესა და ათ დღეში დავდგი.

სპექტაკლს ფანტასტიური წარმატება ხვდა წილად. ძალიან მოეწონათ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებსაც. ვერიკო ანჯაფარიძემ მომკიდა ხელი და თქვა, ძლივს ვიპოვე რეჟისორი, რომელიც კ. ჩაპეკის „დედას" დადგამსო. დედა უნდოდა თავად ეთამაშა. ასე მოვხვდი მარჯანიშვილის თეატრში.

— რის გამო ირჩევთ პიესას?

— მიმაჩნია, რომ გარდასახვა, რომელიც არის საფუძველი თეატრალური ხელოვნების, არ ეხება მარტო არტისტს. რეჟისორსაც ეხება. მეც უნდა გარდავისახო იმ პუტორისდაკვალად ვისაც ვდგამ და არა ერთადერთი ხერხით მივუდგე ყველა პუტორს. ვირჩევ ან იმ იდეის გამო რომელიც მაწუხებს, ან იმის გამო, რომ რაღაც საინტერესო ფორმები მებადება, რომლის რეალიზაციაც მინდა. მქონია შემთხვევა, როცა წმინდა კომერციული თვალსაზრისითაც ამირჩეია.

რაც შეეხება გამორჩეულ პუტორს – ამოჩემებული არავინ მყავს, თუმცა რაოდენობრივად ყველაზე მეტჯერ ლალი როსებას პიესები დავდგი. ძალიან მიყვარს პოლიკარპე კაკაბაძე და ნიკო ლორთქიფანიძე.

— სპექტაკლი, სადაც იგრძენით რომ თქვენ უკვე ის ხართ, ვინც გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— ქარჯანიშვილის თეატრში რომ მივედი, უშანგი ჩხეიძის გარდა ყველა დამხვდა. ამხელა არტისტებში მოუხვდი თითქმის სრულიად ბავშვი, მაგრამ ნდობის მოპოვება არ გამჭირვებია. ვგრძნობდი რომ მსახიობებს შევუყვარდი და ჩემთან მუშაობა უნდოდათ მაშინაც კი, როცა პიესა არ მოსწონდათ. ფიქრობდნენ, რადგან მედეას უნდა, ესე იგი რაღაც არის!..

მე კარგად თუს უკვე მაშინ ვგრძნობდი, როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში სულ პირველი სპექტაკლი დავდგი. ეს იყო სერვანტესის „სალამანკის გამოქვაბული". ჩემთან სამუშაოდ მსახიობები მაშინაც სიამოვნებით მოდიოდნენ თეატრებიდან.

ხშირად ეხუმრობ, თუმცა ეს სიმართლეა — თავი ქრონიკულად მტიკვა, მაგრამ არის სამი ადგილი, სადაც არ მტკივა — რეპეტიციაზე, ზღვაზე და თვითმფრინავში!..

— როგორ მუშაობთ პიესაზე?

— გაცილებით მეტს ვმუშაობ რეპეტიციების დაწყებამდე. პირველ რეპეტიციაზე მისვლამდე აბსოლუტურად ყველაფერი ვიცი, თეორიული მასალაც და ისიც, პრაქტიკულად რა უნდა გაკეთო. მაგალითად, როცა იაპონიაში საგასტროლოდ ჩავიტანე ჩემ მიერ დადგმული ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკველელობა ციურ ბაღეთა კუნძულზე" აღმოჩნდა, რომ მათი თეატრის თეორია მათზე უკეთ მე ვიცოდი. დიდად გაოცებულები დარჩნენ ამის გამო.

— დაასახელეთ თქვენ მიერ დადგმული სამი საუკეთესო სპექტაკლი, ან უბრალოდ ის სპექტაკლი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ?

— როდესაც მე პირველი სპექტაკლი „ხუთი საღამო“ დავდგი მარჯანიშვილის თეატრში. პრემიერის შემდეგ მსახიობებმა ბანკეტი მოაწყვეს. გვესწრებოდა მოსკოვიდან ჩამოსული ქართველი რეჟისორი სერგო ეფლახიშვილი. ყველა მილოცვას, ჩემი მასწავლებელი თუმანიშვილიც ესწრება ამ ჩემს დიდ ზეიმს. დიდად ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი რამ გავაკეთე და უცებ ეს ეფლახიშვილი ამბობს — თქვენი ჩავარდნლი სპექტაკლების სადღეგრძელოს ვსვამო!.. ისე მეწყინა!!! — რა არის ეს ამ ზეიმის დროს?!. რაც დრო გადის ვხვდები, რა გენიალური რაღაცა მითხრა. იმიტომ, რომ გაცილებით მეტი მომცა ჩავარდნილმა სპექტაკლებმა, ვიდრე წარმატებულმა. წარმატება, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა. მაგრამ წარუმატებლობაც ძალიან გეხმარება.

მაქვს სპექტაკლები, რომლებიც მიყვარს, მაგრამ მაქვს ისეთებიც, რომლებიც აღიარებულია საქართველოშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც.

ძალიან მიყვარს ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“, ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, ლ. როსებას „პროვინციული ამბავი“ და პ. კაკაბაძის „პორტოპოლოს ტუსაღები“.

— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა“. რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა და როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაშია იგი დღევანდელ ქართულ თეატრში?

— ეს ძალიან აქტუალური საკითხია. ამაზე დაეწერე კიდეც „ეპოქაში“. იმის გარდა, რომ სიტყვამ დევალვაცია განიცადა ობიექტური მიზეზების გამო, მიზანმიმართულადაც ხდება სიტყვის დისკრეტიზაცია. თეატრი არის ვერბალური ხელოვნება — სალაპარაკო ტექსტი, ქმედითი სიტყვა. ამჟამად საშინელი მდგომარეობაა. ზიხარ მესამე რიგში და არ გესმის რას ამბობს მსახიობი?!. ყოფაშიც საოცრად დაქვეითდა მეტყველების კულტურა, იმიტომ, რომ არ არსებობს ეტალონი. წინათ ლექტორებად ამ მხრივ ძალიან მკაცრად არჩევდნენ, ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რაც უარესად მეტყველებს ადამიანი, მით უკეთესი!.. უკეთესი მდგომარეობა არც რუსულ თეატრშია, მაგრამ

ეს განსაკუთრებით ჩვენთვისაა საშიში ტენდეცია — „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“!.

— ხელოვანი გამორჩეული და სანიმუშო უნდა იყოს?

— ამ თემაზე ისეთ ადამიანებს აქვთ ინსტრუქციები დაწერილი, როგორიც იყო, მაგალითად, გოეთე, ფილოსოფოსი ჰაზლიტი და სხვები და სხვები. ჩვენთან ჯერ კიდევ ვალერიან გუნია და ვასო აბაშიძე წერდნენ ამაზე. რასაკვირველია, უდიდესი პასუხისმგებლობაა, როდესაც შენ მრავალი ადამიანის წინაშე გამოდიხარ.

— „არის თუ არა თეატრი ქართული?“ — როგორ ფიქრობთ, როგორია დღევანდელი ქართული თეატრი?

— პოლიკარპე კაკაბაძე მედიას მეძახდა. მე დიაცი!.. ერთხელ მითხრა – მედია, წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო დაიპყრო მტერმა. ყველაფერს სპობს და ანადგურებს, რადგან უნდა ჩვენი სახსენებელი აღგავოს მიწისაგან პირისა. ერთადერთი, რასაც ხელს არ ახლებს, ქართული თეატრია, იმიტომ რომ ამ თეატრით ვერავინ დაასკვნის რომელი ქვეყანაა!.. 1971 წელს მითხრა ეს!.. ის რომ ენახა რაც დღეს ხდება?! — რა თქმა უნდა, დღევანდელი თეატრი არ არის ქართული.

— კოკტო ამბობს — „თუ შემოქმედი საზოგადოებასთან საზაო მოლაპარაკებაზეც კი თანხმდება, ის დამარცხებულია“ — რა აზრის ხართ კომპრომისზე?

— გააჩნია. ცხოვრება ეს არის კომპრომისების ჯაჭვი, მაგრამ შემოქმედებაში, მიმაჩნია, რომ ეს დაუშვებელია.

თუმცა, არც ცხოვრებაში წავსულვარ ისეთ კომპრომისებზე, როგორიც იყო. მაგალითად, კომუნისტურ პარტიაში შესვლა ანდა სპექტაკლების მიძღვნა საბჭოურ დღესასწაულებზე. სამი სპექტაკლი მომიხსნეს, როგორც ანტისაბჭოური.

— რომელი იყო ეს სპექტაკლები?

— ედუარდ დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“, რომელიც საკავშირო ცეკას დადგენილებაში იყო მოხსენიებული, როგორც ნიმუში საბჭოთა იდეოლოგიის საწინააღმდეგო მიმართულებისა. კარლ გოცის „ლურჯი ურჩხული“ და ალექსანდრე სამსონიას „ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები“.

— თქვენი თაობის სახე — როგორია იგი?

— ეს უფრო მაძიებელთა თაობა იყო ალბათ.

— რას ნიშანავს თქვენთვის ეროვნული ინტერესები და მოქალაქეობრივი ვალი?

— ეროვნულობის განცდა და შეგრძნება თუ არა გაქვს, უფლებაც არ გაქვს იყო ხელოვნებაში. მამაზეციერს, რომელსაც არაფერი არ შეშლია ისე ააწყო ყველაფერი, რომ არ სდომებოდა ეროვნული მრავალფეროვნება, რატომ გააკეთებდა ასე?!.

— ნიჰილიზმის მოძალებას თუ გრძნობთ?

— უფრო აგრესიის მოძალებას ვგრძნობ. ეს ძალიან მაშინებს. ჩემი ბოლოდროინდელი გატაცების, ფიზიკის აღმოჩენების და მათ მიერ დადასტურებული მამაზეციერის არსებობა პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რომ ეს აგრესია ჩვენვე გვიბრუნდება იმ კატაკლიზმების სახით, რაც დღეს მსოფლიოში ხდება.

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტიილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა ვუწოდოთ, მაინც განცდასა და წარმოსახვასთან მივდივართ. თქვენ რომელი თეატრის მომხრე ხართ?

— რა თქმა უნდა, განცდის თეატრის. ამაზე შრომებიც მაქვს დაწერილი. განცდა რომ ამოიძირკვოს, იმ ტოტსაც მოხერხავენ რაზეც არის მოთავსებული თეატრი.

— თქვენი პროფესიის მთავარი სირთულე?

— მთავარი სირთულე არის ის, რომ არ არის ინდივიდუალური შემოქმედება. ის, რომ სპექტაკლის შექმნაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ყველაზე დიდი სირთულე, რა თქმა უნდა, არის მსახიობი. მისი გარდაქმნა სხვა ადამიანად.

— თეატრმცოდნეებზე რა აზრის ხართ. თუ გიფიქრიათ რომ თქვენი შემოქმედება სწორედ მათი წყალობით „ძლებს" დროში?

— კომპეტენტურ კრიტიკას ძალიან ვაფასებ. როდესაც სპექტაკლს დგამ, ყოველთვის გყავს ვიღაც, ვიზეც ფიქრობ — მას თუ მოეწონება!.. ნიკო ჭავჭავაძე და აკაკი ბაქრაძე, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ ჩვენი თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები, რომ შეაფასებდნენ სპექტაკლს, ისე სხვა ვინ შეძლებდა ამას? — აღარაფერს ვამბობ კულტურის მინისტრზე, ოთარ თაქთაქიშვილზე, რომელიც იყო უგანათლებულესი პიროვნება. იყვნენ ძალიან კარგი თეატრმცოდნეებიც. მადლობა ღმერთს, ბევრი მათგანი დღესაც ცოცხალია. ჩვენი სპექტაკლების შეფასება არ ხდებოდა უწიგნური ჟურნალისტების დონეზე.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ რომ თეატრი ტაძარია, თქვენ რას ფიქრობთ?

— ეს გერმანელებისაგან მოდის. რა თქმა უნდა, თეატრი ტაძარი არ არის, თეატრი არის თეატრი!..

— იმ ფულის გამო „სამშობლოს“ დასადგმელად რომ იყო საჭირო, ქართული სცენის ერთ-ერთი სიამაყე ვასო აბაშიძე, მუხრან ბატონის წინაშე „შეხტა და შემობზრიალდა“, თქვენ თუ ხართ მზად ღირსება შეწიროთ თეატრს?

— მოლიერიც კუნტრუშებდა ლუი XIV წინაშე, იმისათვის რომ „ტარტიუფი“ დაედგმევინებია!..

— თეატრი რეჟისურისაა თუ მსახიობის?

— ჩემი აზრით, უნდა იყოს მსახიობის. მაგრამ ეს არ ნიშნავს თეატრის ხელმძღვანელი უნდა იყოს მსახიობი. ეს ყოველთვის ძალიან ცუდად მთავრდება.

— კ. მარჯანიშვილს მიაჩნდა — „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეჭროს მას მხნეობა“. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეს არის ჩემი ღვიზი და იმიტომაც ჰკიდია ჩემს ოთახში მარჯანიშვილის პორტრეტი ისეთ ადგილზე, დილით, თვალის გახელისთანვე რომ შეეხედო ამ გენიალურ ადამიანს.

— ჩვენი დიდი წინაპრები არტისტს ხალხის მოძღვარს, ხალხის მასწავლებელს უწოდებდნენ. თქვენ როგორ გგონიათ?

— ასე უნდა იყოს, ამის საუკეთესო ნიმუშია ვალერიან გუნია, რომელზეც მე პატარა მონოგრაფიაც კი მაქვს დაწერილი.

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გავუფრთხილდით. დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ქართველები?

— ამ საკითხზე ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ. ეს შეკითხვა რომ დაგესვათ, ვთქვათ, ათი წლის წინ შეიძლება ვინმე დამესახელებია. ამჟამად არ ვიცი. ჩემს გატაცებებზე რატომ არაფერს მეკითხებით?..

— გეკითხებით?..

— ფილოსოფია და თეოლოგია ყოველთვის იყო და დღემდე არის ჩემი გატაცება, მაგრამ ამას ახლა ფიზიკაც შეემატა. ყოველთვის მაწუხებდა რომ მართალია ფუნდამენტური, მაგრამ მაინც ცალმხრივი განათლება მქონდა — ჰუმანიტარული. ბოლოს

გადაეწყვიტე, რომ ფიზიკა შემესწავლა, თან პირდაპირ თერმოდინამიკის მეორე საწყისიდან დავიწყე. შემდეგ ველარც მოვეშვი.

— ალბათ ყველაზე უფრო იმან მოგხიბლათ, რომ ფიზიკოსები, ეს ყველაზე უფრო მატერიალისტურად მოაზროვნე ხალხიც კი, ბოლოსდაბლოს სულიერი სამყაროს აღიარებამდე მივიდნენ?

— რა თქმა უნდა. გარდა მაგისა, მეოცე საუკუნის ყველაზე საინტერესო ფილოსოფოსები მაინც ფიზიკოსები არიან.

— კიდევ რით გინდათ რომ სრულყოთ თქვენი პორტრეტი?

— ერთ რამეზე ვოცნებობ — ჩემი ერი არ გადაგვარდეს. ქართველები კეთილი ხალხი იყო. სიკეთე ხომ ისევე, როგორც სიყვარული თავად ღმერთია.

— რადგან მაინც ღმერთისკენ გვაქვს მისწრაფება, ე. ი. დარწმუნებულები უნდა ვიყოთ რომ გადავრჩებით.

— ეს ფსევდომორწმუნეობაც მაშინებს.

— მე მგონია, მათ შორის ერთი ღრმად მორწმუნე თუ მაინც იქნება, (და, ალბათ, აუცილებლად იქნება) ამ ერთსაც კი შეუძლია ერი იხსნას, არა?

— როცა გერმანიაში ფაშიზმი მომძლავრდა, დიდ საგონებელში ჩავარდნენ იმდროინდელი დიდი ფიზიკოსები. ჰაიზენბერგი წერს — ძალიან შეშინდით იმის გამო, რომ ჩვენი მიღწევები ბოროტ ძალას არ გამოეყენებია. ბევრს ვმსჯელობდით იმის შესახებ, თუ რა გზას დავდგომოდითო. ბოლოს გადაეწყვიტე რჩევისათვის ჩემს მასწავლებელთან მაქს პლანკთან მივსულიყავი, მაშინ ის 90 წელს იყო მიღწეული. მან მითხრა — სამშობლოში უნდა დარჩეთ და აქ გადარჩენის კუნძულები შექმნათ, რათა ეს საშინელება როცა გადაივლის, ყველაფერი მოპარტახებული არ აღმოჩნდესო. ამ გადარჩენის კუნძულების იდეის ძალიან მჯერა. ასე გააკეთეს მეოცე საუკუნის ქართველ 60-იანელთა თაობის ბევრმა საუკეთესო წარმომადგენლებმა. მათ გადაწყვიტეს, რომ შესულიყვნენ კომუნისტურ პარტიაში და გარკვეული თანამდებობები დაეკავებიათ, რათა, ასე ვთქვათ, შიგნიდან გაეკეთილშობილებიათ სისტემა. ასე მოხვდა, მაგალითად, ცეკას განყოფილების გამგედ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ბუაჩიძე. ასეთმა ხალხმა, მართლაც, მოახდინა დადებითი გავლენა.

2006. IX.

თემურ ჩხეიძე

— თემურ ჩხეიძე, რეჟისორი, დაბადებული?..

— 1943 წლის 18 ნოემბერს, თბილისში. მოსამსახურის ოჯახში, როგორც საბჭოთა ანკეტებში ვწერდით!..

— მშობლები?..

— დედა — შედეა ჩახავა. რუსთაველის თეატრის მსახიობი. სხვა რა ვთქვა? — მიყვარს?!.. დედა არის დედა!.. მამა — ნოდარ ჩხეიძე. ისიც მთელი ცხოვრება რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. საკმაოდ ადრეულ ასაკში, 44 წლისამ, მიატოვა თეატრი. კარგი მსახიობი იყო ნამდვილად, თუ რატომ მიატოვა თეატრი თანდათან ვხვდები. მგონი ცოტა სიჯიუტეც მოეძალა. სხვადასხვა თეატრში იწვევდნენ, მაგრამ არსად აღარ წავიდა — რუსთაველის თეატრის მსახიობი ვარო, ამბობდა.

— ბავშვობა?

— არანაირი განსაკუთრებული ბავშვობა არ მქონდა, ხშირად ვიყავი ავად. ნაშთები დღემდე მაქვს გამოყოლილი. ავადმყოფობა დღესაც ჩემი ჩვეულებრივი მდგომარეობაა. ავადმყოფობასა და ავადმყოფობას შორის ვმუშაობ ინტენსიურად. იმის გარდა, რომ ბავშვობა თავისთავად გრჩება, როგორც ზღაპრული მოგონება, ჩემი ბავშვობა იმითაც იყო შესანიშნავი, რომ უამრავი საუკეთესო

ადამიანი მეხვია გარს. ისინი ცდილობდნენ რაღაც წვლილი მაინც შეეტანათ ჩემს აღზრდაში. ბებია და ბაბუა ძალიან წიგნიერი ადამიანები იყვნენ და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს ჩემს ფსიქიკას. მუდამ ჩემს გვერდით იყო მამიდაჩემი — ციალა ჩხეიძე. დღეს თუ მაქვს ქართულის კარგად ცოდნის პრეტენზია, ეს მისი დამსახურებაა. მახსოვს ბავშვობაში, როცა თავად რამეს თარგმნიდა, მეც მომცემდა რაღაც ნაწილს და მეტყოდა — შენც სცადეო. შეიძლება სისულელე იყო ის, რასაც მე „ვთარგმნიდი", მაგრამ მისთვის მთავარი იყო, სიტყვაზე მუშაობის ჩვევა ჩაენერგა ჩემთვის, სიტყვის ფასის წვდომა და ნიუანსებში გარკვევის უნარი განვითარებია. ვფიქრობ, ეს შეძლო კიდეც.

— სკოლა?..

— იყო ასეთი მე-6 ვაჟთა სკოლა, თავიდან იქ შემიყვანეს, შემდეგ 53-ე სკოლაში გადავედი, მე-5 კლასიდან დამთავრებამდე კი პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ნამდვილად კარგი მასწავლებლები მყავდა. მართალია, ახლა ამის თქმა მიღებული არ არის — საბჭოთა ყველაფერი ცუდია?!.. მაგრამ სწავლების დონე ჩემს დროს საკმაოდ მაღალი იყო. ქართული და რუსული ლიტერატურის სურნელის შეგრძნება, ისტორიის სიყვარულის გაღვივება, სწორედ სკოლაში მოხდა. რაც დრო გადის, ჩემი მასწავლებლების მიმართ აღტაცება უფრო მემატება.

— უმაღლესი განათლება სად მიიღეთ და როდის?

— თეატრალურ ინსტიტუტში. მაშინ ასე ერქვა. სარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე 1965 წელს. დაახლოებით მესამე კურსამდე დიმიტრი (დოდო) ალექსიძესთან ვსწავლობდი, მაგრამ როდესაც ბატონი დოდო რუსთაველის თეატრიდან წავიდა და სამუშაოდ კიევში გადავიდა, დამთავრებამდე ჩვენი ჯგუფი თითქმის უპატრონოდ დარჩა. სხვადასხვა რეჟისორის ხელიდან ხელში გადავდიოდით!..

— და მაინც ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?

— რა თქმა უნდა, მიხეილ თუმანიშვილი. მარტო იმიტომ არა, რომ ბატონი დოდო წავიდა. მისი წასვლით მე უბრალოდ მორალურად განვთავისუფლდი და მთლიანად ბატონ მიშასთან გადავედი. ისიც ძალიან გულგაშლილი იყო ჩემს მიმართ. რასაკვირველია, აქ მშობლების როლიც ძალიან დიდი იყო. ვერ დავიჩემებ, რომ თუმანიშვილისათვის შვილი ვიყავი, მაგრამ მისი

უახლოესი მეგობრების შვილი ნამდვილად ვიყავი, დედაჩემთან მას ნახევარ ცხოვრებაზე მეტი ჰქონდა გატარებული. ერთად მუშაობდნენ, დღე და ღამე ერთად იყვნენ. ბოდიშს ვიხდი ამას რომ ვამბობ, მაგრამ ბატონ მიშასთვის ყოველთვის მეტი ვიყავი, ვიდრე ჩვეულებრივი მოწაფე. ამის გამო შეიძლება ტკივილიც უფრო მეტად ეგრძნო თუ რამე არ გამომივიდოდა და გაბრაზებითაც სხვაზე მეტად გამბრაზებოდა. მან, მან და მხოლოდ მან ჩამინერგა ის რაც ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ დოდო ალექსიძეს ძალიან ვემადლიერები, ჩემი მასწავლებელი, რასაკვირველია, თუმანიშვილი იყო. თავისი მსოფლმხედველობით, რეჟისორული ხედვით, მეთოდოლოგიით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ასლი ვარ. უბრალოდ, ჩემებურად მივყვები მის მიერ მონიშნულ გზას. ისიც სულ ამას ჩამაგონებდა, რომ შეიძლება რაღაც ასეა მიჩნეული, მაგრამ შენ აუცილებლად შენეული ხედვა, შენეული მიდგომა უნდა გაგაჩნდესო.

— რას ნიშნავს თქვენთვის თუმანიშვილის სკოლა?

— შემიძლია ყოველგვარი პათეტიკის გარეშე გითხრათ, რომ ყველაფერს! ამასთან, ძალიან ნათლად მახსოვს ბატონი მიშას სიტყვები — სკოლა, რომელიც არ ვითარდება მკვდარიაო! სკოლა არის სწავლებისა და ძიების პროცესი. ერთ ადგილზე გაჩერება და მხოლოდ დოგმებით საზრდოობა საშინელებაა. რეჟისურაშიც არის კანონები, მაგრამ ეს კანონები დროსთან ერთად იცვლებიან. იცვლება თხრობის მანერა, ფორმა, ესთეტიკა, უფრო მეტიც, სიმართლის შეგრძნებაც კი. რაც გუშინ ძალიან ბუნებრივი გვეგონა, დღეს შეიძლება ის ყალბად მოგეჩვენოს და ა. შ.

— პირველი თეატრი, სადაც დადგით თქვენი პირველი სპექტაკლი, როგორც პროფესიონალმა რეჟისორმა?

— ზუგდიდის დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრი. დაუდგი, ჩვენი თაობის მსახიობის ჯემალ მონიავას პიესა „კორპუსი ხუთი, ოთახი ორმოცდათხუთმეტი“. საერთო საცხოვრებელზე იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ერთად წავედით ზუგდიდის თეატრში სამუშაოდ — მე, ჟანრი ლოლაშვილი, ავთო მახარაძე, ლილი ბურბუთაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ჯოყოლა ფილფანი, მხატვრები მიხეილ ჭავჭავაძე და აკაკი რამიშვილი. იქაც დაგვხვდნენ ახალგაზრდები და დავდგით ახალგაზრდული სპექტაკლი, რომელსაც დიდი სიყვარულით ვიგონებ დღემდე.

— სპექტაკლი, სადაც იგრძენით რომ თქვენ უკვე ის ხართ, ვინც გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— თუ კეკლუცობაში არ ჩამეთვლება, ეს ჯერ კიდევ არც ერთ სპექტაკლში არ მიგვრძნია. შეიძლება ყველაზე ახლოს ამ კითხვასთან შალვა დადიანის „გუშინდელნით" მივედი.

— რის გამო ირჩევთ პიესას?

— შეიძლება ეს ჩამორჩენილობაა, მაგრამ პიესამ პირველ რიგში ემოციური ზემოქმედება უნდა მოახდინოს. ყველა სხვა პროცესი შემდეგ იწყება — — გონებრივი სამუშაო, ანალიზი. მაგრამ მოცემულმა ისტორიამ თუ ემოციურად არ შემძრა, სულ რომ ფანტასტიკურად იყოს დაწერილი, ვერ დავდგამ. ჩემზე თუ არ მოქმედებს რამე, როგორ უნდა დავდგა სპექტაკლი, რომელმაც სხვაზე უნდა იმოქმედოს?!..

— გამორჩეული ავტორი თუ გყავთ?

— არა. იმდენი ავტორი მიყვარს, რომ გამორჩევა ნამდვილად არ შემიძლია.

— როგორ მუშაობთ პიესაზე?

— გმადლობთ, კარგად!.. უფრო მეტი დრო მიდის მოფიქრებაზე. ვიდრე რეპეტიციებზე. იმიტომ რომ ყველაფერი წინასწარ უნდა ვიცოდე, განაწილებული და გაანალიზებული მქონდეს. ძალიან ზუსტად უნდა ვიცოდე რა მინდა, რისთვის, რატომ, რას ემსახურება თითოეული ეპიზოდი, რა მანერის მხატვრობაში უნდა გათამაშდეს მოცემული სიუჟეტი. მხოლოდ ამის შემდეგ ვხედავ მსახიობებს.

— მსახიობისაგან რას ითხოვთ?

— იმდენ რამეს, ჩამოთვლას აზრი არ აქვს!.. მაგრამ მთავარი, რის გარეშეც არაფერი გამოვა, არის ის, რომ მსახიობი შინაგანად აუცილებლად ელასტიური უნდა იყოს. შინაგანი პლასტიკა თუ არ აქვს, ასეთ მსახიობთან მირჩევნია არ ვიმუშაო.

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტიილუზიური და საერთოდ, რა ტერმინიც არ უნდა მოვიშველიოთ, საბოლოოდ მაინც გრძნობასა და გონებასთან მივდივართ. წარმოსახვა თუ განცდა — თქვენი თეატრი როგორია?

— გინდა — არ გინდა, ყველაფერი წარმოსახვაა, მაგრამ მე უფრო განცდისკენ ვიხრები. განცდის თამაში არ შეიძლება, იგი შედეგად უნდა იბადებოდეს.

— კლასიკური მწერლობა თქვენს შემოქმედებაში?

— იმისათვის, რომ პროზაული ნაწარმოები აიღო დასადგმელად, ის აუცილებლად შინაგანად დრამატურგიული და სიუჟეტის ოთხმოცი პროცენტი მაინც დიალოგებზე უნდა იყოს აგებული. როცა შინაგანი დრამატურგიულობა არის, მაგრამ დიალოგები ნაკლებადაა, მაშინ თამაზ გოდერძიშვილთან ერთად ვიწყებ მუშაობას და ერთობლივად ვავსებთ ამ ნაკლს. ამიტომ მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" იქნება ეს, თუ თეოდორ დოსტოევსკის „მარადი ქმარი", ისინი დრამატურგიული ნაწარმოებებია. დღემდე მიკვირს მ. ჯავახიშვილს პიესა რომ არ აქვს დაწერილი. უფრო სწორად აქვს, მაგრამ ცუდი. პიესა რაღაც უცნაურად აქვს დაწერილი, მაშინ, როცა მისი პროზა უფრო მეტად ჰგავს პიესას. ეს საოცარია.

ჩემ მიერ დადგმული პირველი პროზაული ნაწარმოები იყო იან ოტჩენაშეკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი", მოზარდმაყურებელთა თეატრში. ჩეხი მწერლის ეს ნაწარმოები მაშინ ძალიან პოპულარული იყო. ინსცენირება ეკუთვნოდა რეჟისორ იური კაკულიას.

მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი" რუსთაველის თეატრში დავდგი. ძალიან მიყვარდა ეს სპექტაკლი. შემდეგ იყო დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" რობერტ სტურუასთან ერთად. დავით კლდიაშვილი, აი, ვინ არის კიდევ გენიალური მწერალი!.. მართლაც ბევრი ინსცენირება მაქვს დადგმული — „ჯაყოს ხიზნები", „ჰაკი აძბა," „ბედი მდევარი", „თეთრი კურდღელი"... ამჟამადაც სულ ვეძებ, იქნებ რამე აღმოვაჩინო. დრამატურგებს ძალიან წყინთ — ჩვენ ხომ ვწერთ პიესებსო?! მაგრამ მე მათი დადგმა მიჭირს და რა ვქნა?!.

— რუსთაველის თეატრი — მარჯანიშვილის თეატრი, რას ნიშნავს თითოეული მათგანი თქვენთვის?

— რუსთაველის თეატრი მთელი ჩემი ცხოვრებაა. თითქმის იქ დავიბადე!.. მისი თითოეული კუნჭული არის ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა და საერთოდ ყველაფერი. ოცნებითაც კი ვერ მივდივარ სხვაგან. პრინციპში მთელი ჩემი ცხოვრება სამ თეატრთან არის დაკავშირებული — რუსთაველის, მარჯანიშვილისა და ლენინგრადის დიდ დრამატულ თეატრთან. სხვაგანაც ბევრგან

დამიდგამს სპექტაკლები, მაგრამ მხოლოდ ეს სამი თეატრია ჩემი ცხოვრება.

— მარჯანიშვილს მიაჩნდა — „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. — თქვენ რა აზრის ხართ?

— სწორედ ამ აზრის ვარ. არ ვეკამათები მარჯანიშვილს, მაგრამ მე მინდა თეატრმა დააფიქროს კიდეც ადამიანი. ერთ ადამიანს მაინც თუ დააფიქრებს და ეს ფიქრი ერთ-ორ დღეს მაინც გაპყვება, ბედნიერი ვიქნები. ჩემთვის ეს არის მთავარი.

— როგორ მიხვედით მარჯანიშვილის თეატრში?

— დამიბარეს და დამნიშნეს! — რადგან ბატონი გიგა ლორთქიფანიძე „დათა თუთაშხიას“ გადაღებაზე მიდიოდა, მე დამნიშნეს სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად.

დღის პირველი ნახევარი იყო, მაშინდელმა ცეკას მდივანმა — ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რომ მიმიღო და მითხრა — კულტურის სამინისტროსთან ერთად ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ მარჯანიშვილის თეატრს თქვენ უხელმძღვანელოთო.

— ამ მიმართულებით არ მიფიქრია, მოსაფიქრებელ დროს თუ მომცემთ, პასუხს გეტყვით-მეთქი — ვუთხარი.

— როგორ არ მოგცემთ, ახლა პირველი საათი ხდება, ორ საათზე ბიურო გვაქვს და დაგამტკიცებთო!.. — მიპასუხა.

რა უნდა მეფიქრა? — გადაწყვეტილი იყო ყველაფერი. ამჟამად ხედავთ, ხელმძღვანელი აღარ ვარ, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრს მაინც ვერ ვცილდები.

— მარჯანიშვილის თეატრში თქვენი პირველი დადგმა იყო იბსენის „მოჩვენებანი“, არჩევანი თქვენი იყო?

— ის აზრი, რომ „მოჩვენებანი“ უნდა დადგმულიყო და ვერიკო ანჯაფარიძესა და აკაკი ვასაძეს უნდა ეთამაშათ, გიგა ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. მე არაფერ შუაში ვარ!.. გული მისკდებოდა ეს ორი ბუმბერაზი მსახიობი რომ მეჯდა რეპეტიციაზე და მე უნდა დამეინტერესებია?!.. საშინელება იყო!.. მეორე მხრივ ბედნიერება იყო!.. ალბათ შეცდომებსაც ბევრს ვუშვებდი რეპეტიციებზე?.. ისინი ძალიან კეთილშობილი ადამიანები იყვნენ და მპატიებდნენ. მათთან ვიგრძენი ხელშესახებად თუ რას ნიშნავს სულიერი ძალა?!.. მათ უკვე ფიზიკური ძალა გამოცლილი ჰქონდათ და თითქმის მთლიანად სულიერი ძალით მოქმედებდნენ.

სამი სკამი ედგათ სხვადასვა ადგილას სარეპეტეციო დარბაზამდე გზადაგზა რომ დაესვენათ!..

— ტოვსტონოგოვის შემდეგ სწორედ თქვენ მიგიწვიეს ლენინგრადის დიდ დრამატულ თეატრში; თუ შეიძლება ისაუბრეთ ამის შესახებ?

— ცამეტი წელია დგას საკითხი, რომ მე ვიყო ამ თეატრის ხელმძღვანელი. ცამეტი წელი არ ვეთანხმებოდი, იმიტომ, რომ მაშინ მთლიანად უნდა გადავსულიყავი ლენინგრადში, რადგან ხელმძღვანელმა თეატრი არ უნდა მიატოვოს. მეორეც, მე რატომ უნდა ვყოფილიყავი, როცა კირილ ლავროვი შესანიშნავად უძღვებოდა ამ საქმეს.

ამჯერად ლავროვმა კატეგორიულად დააყენა საკითხი — მე მივდივარ, ან შენ დათანხმდები ან კულტურის სამინისტროს ვთხოვ დანიშნოს ვინმე!.. ჩემი პასუხი ასეთი იყო — კეთილი, ვიქნები მთავარი რეჟისორი თუ შენ სამხატვრო ხელმძღვანელად დარჩები — მეთქი. ამასთან უპირობოდ მოვითხოვე ჩემი არჩევა მომხდარიყო ფარული კენჭისყრით. მართლაც ჩავატარეთ არჩევნები და სამოცდათოთხმეტი ამომრჩეველიდან სამოცდათერთმეტმა მომცა ხმა. ეტყობა ამპარტავანი ვარ!.. — მიხარია ეს სამოცდათერთმეტი ხმა.

— არჩევნები როდის ჩატარდა?

— წელს, მაისის ბოლოს — მოკლედ, ყველა გზა მოჭრილი მაქვს.

— მშვენიერია!..

— ვერ გეტყვით მშვენიერია თუ არა, ამას ორ წელიწადში გავარკვევ.

— თქვენი ხელოვნებით, არა მხოლოდ ახლო, შორეული საზღვარგარეთიც დაიპყარით. გიყურებთ და ვფიქრობ, ღმერთო, ამხელა შემოქმედი რა უბრალო ადამიანია?!.

— დაიპყარი არა!.. არავინ არ დამიპყრია!.. დრამატულ თეატრში სპექტაკლი ახალგაზრდობაში დავდგი ჩეხეთში. საოპერო სპექტაკლები ნამდვილად ბევრი დამიგროვდა. დადგმული მაქვს ლენინგრადში, გენუაში, ვენეციაში, ესპანეთში, „ლა სკალაში“ „მეტროპოლიტენ ოპერაში“, საფრანგეთში, წელს უნდა დავდგა მოსკოვის დიდ თეატრში — შოსტაკოვიჩის „ლედი მაკბეტი მცენსკის მაზრიდან“. პრემიერა 18 ნოემბერს უნდა იყოს.

თქვენს შეკითხვაში ძალიან აჭარბებთ, არაფერი ამხელა რეჟისორი არ ვარ. მეგონა უკეთესი ვიქნებოდი.

— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა." რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა და როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაშია იგი დღევანდელ ქართულ თეატრში?

— მე თუ მკითხავთ ზუსტი სიტყვის მიგნება არის გენიოსების ხვედრი. გენიალური პოეტებისა და მწერლების. მას გაფრთხილება უნდა. ძალიან მწყდება გული, რომ სიტყვა თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას. ისე ისვრიან სიტყვებს და ისე უდიერად ეპყრობიან!.. ვის არ ეკითხე, მაგრამ პასუხი ვერავისგან მივიღე

— როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის დროს, როცა რუსეთის გავლენის ქვეშ ვიყავით, საქართველოში ქართული ენა გაცილებით მაღალ დონეზე იყო; ეს ხომ ფაქტია, რომ ყველგან, პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, თუ სადაც გნებავთ, გაცილებით უკეთესი ქართულით ვწერდით და ემეტყველებდით. დღეს ამ თვალსაზრისით *თავზარდამცემი* მდგომარეობაა!..

— მათ შორის ქართულ თეატრშიც?

— ქართულ თეატრში შედარებით ნაკლებად. იქ თუ რამე პრეტენზიაა, მეტყველებას უფრო ეხება. მეტყველება ძალიან მწირი გახდა. მაგრამ ის, რაც პრესასა და ტელევიზიაში ხდება, ნამდვილად თავზარდამცემია. ერთადერთი გაზეთი, სადაც კარგი ქართულით წერდნენ „ახალი ეპოქა" იყო და ისიც დახურეს?!..

— თუ შეიძლება დაასახელეთ თქვენ მიერ დადგმული სამი საუკეთესო სპექტაკლი?

— არ ვიცი!.. ალბათ მაინც „გუშინდელნი", „ჯაყოს ხიზნები" და „პაკი აძბა".

— რას ნიშნავს თქვენთვის კომპრომისი?

— სრული უკომპრომისობა არ არსებობს, თუ ადამიანი იდიოტი არ არის. ხანდახან კომპრომისზე სწორედ იმიტომ მიდიხარ, რომ რაღაც გაკეთდეს. ადამიანებთან ურთიერთობა გულისხმობს დათმობას. თეატრი თანაცხოვრებაა. ელასტიურობის გარეშე როგორ გაძლებ თეატრში?!..

— როგორია დღევანდელი ქართული თეატრი?

— ალბათ მრავალფეროვანი. თუმცა არა ისეთი, როგორიც მინდა იყოს.

— თქვენი თაობის სახე?

— აი, ეს ნამდვილად არ ვიცი! ღვთის მადლით, თაობა სრულიად განსხვავებული ადამიანებისაგან შედგება. ჩვენი თაობაც სხვადასხვაგვარია. თუმცა ალბათ საუკეთესო წარმომადგენლებით უნდა ვიმსჯელოთ. არ ვართ ძლიერები. სამოციანელები უფრო აქტიურები იყვნენ.

— ეროვნული ინტერესები რას ნიშნავს თქვენთვის?

— ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რამ არის. ოღონდ, თვალდათხრილი პატრიოტი ვერასოდეს ვიქნები. და არც ვიქნები, რამდენზეც ჭკუა მეყოფა! ეროვნული თვითშეგნება საკუთარი თავის დანახვისა და სხვისი შეფასების უნარიცაა. ამ წლებმა იმაშიც დაგვარწმუნა, რომ ბევრი დემაგოგიის საშუალებასაც იძლევა. თუ მიმაჩნია რომ ხეპრესთან მაქვს საქმე, ვერ გავყვები, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველია?!.. სწორედ იმავე ეროვნული ინტერესების გამო.

— თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ თეატრმცოდნეების წყალობით „ძლებს“ დროში?

— ინფორმაციული თვალსაზრისით შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ესა თუ ის სპექტაკლი, მაყურებლის მეხსიერებას თუ არ შემორჩა, ყერაკითარი თეატრმცოდნეობითი ნაშრომი მას ვერ უშველის. მოდი გვარებს ნუ დავასახელებთ, მაგრამ მე მახსოვს თეატრმცოდნეების ნაქები სპექტაკლები, როლებიც შემდეგ დრომ სრულიად გააქარწყლა. თეატრმცოდნეებს კი არ ვადანაშაულებ, მინდა ვთქვა, რომ როცა მოვლენა ძალიან ახლოს არის, შეუძლია ძალიან დიდი ეფექტი მოახდინოს ყველაზე და მათ შორის ჩემზეც. მაგრამ გავა დრო და გამოჩნდება, რომ თეატრმცოდნეების საქებარი რეცენზიები დარჩება, სპექტაკლი კი, არა!.. ისე რომ სპექტაკლი მხოლოდ თეატრმცოდნეების მცედელობით დროს ვერ გაუძლებს.

რაც შეეხება თეატრმცოდნეებს, ერთნიშნად ვერც მათ განსაზღვრავ. შემიძლია გითხრათ რა აზრის ვარ ზოგადად თეატრმცოდნეობაზე. რა თქმა უნდა, იგი აუცილებელია. შეუძლებელია არ წაიკითხო რას წერენ შენზე. რაც არ უნდა გულსატკენი იყოს, აუცილებლად იწყებ ფიქრს — რატომ, რისთვის?.. ერთადერთი რაც ძალიან არ მომწონს შეურაცხყოფაა. არ მოსწონთ სპექტაკლი? — ღმერთო ჩემო, მერე რა მოხდა?!.. ეს ხომ მათი უფლებაა, მაგრამ შეურაცხყოფა რა შუაშია?!.. არის

მართლაც მაღალპროფესიულ დონეზე დაწერილი რეცენზიებიც. მე მაგალითად შენახული მაქვს რამდენიმე ასეთი რეცენზია, რომელსაც პერიოდულად ვკითხულობ ხოლმე. მაინტერესებს იმიტომ, რომ ძალიან კარგი ანალიზია გაკეთებული იმისა თუ რატომ არ გამომივიდა ესა თუ ის სპექტაკლი. მათზე ბევრი მიფიქრია, მისაუბრია ავტორებთან, ეს ყველაერი ხომ ძალიან საინტერესოა.

— თუ შეიძლება ისაუბრეთ თქვენს პედაგოგიურ მუშაობაზე?

— პედაგოგობას, ასე ვთქვათ, წყვეტილად ვეწევი — აქაც, პეტერბურგშიც. თუმცა იქ უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს, რადგან მასტერკლასებს მატარებინებენ. საქართველოში ამჟამად ასპირანტები მყავს, მაგრამ მათთანაც პერიოდულად მიწევს მუშაობა. თუმცა ვცდილობ მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩემი ასპირანტები ჩემს გვერდით იყვნენ. ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და ვმუშაობთ. ვმუშაობთ იმიტომ, რომ შემდეგ სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი აქ არ ვიქნები. როცა დაუბრუნდები კიდევ სამი თვე ყოველდღე ჩემთან იქნებიან და ასე. თუმცა ინსტიტუტში მეუბნებიან, რომ იურიდიულად მათთან შემოდგომასა და გაზაფხულზე თითო თვე მუშაობა გეკუთვნის და რას იკლავ თავსო?!. თავს კი არ ვიკლავ, მინდა რაღაც ისწავლონ. როცა სტუდენტები გყავს, დღე და ღამე შენს გვერდით უნდა იყვნენ.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ რომ თეატრი ტაძარია, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ მას ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც ტაძარს, თორემ თეატრი როგორ შეიძლება ტაძარი იყოს?!.

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გავუფრთხილდით, დღეს თუ გგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ქართველები?

— იმდენად ცოტა ვართ და იმდენად უნიკალური რამ არის სიცოცხლე, რომ ყველას უნდა გავუფრთხილდეთ.

2004. VIII.

გოგი ქავთარაძე

— სოხუმიდან ჩამოსულ ადამიანს რომ არ ულხინს, ეს არ ახალია, მაგრამ იქნებ მაინც იმით დაგვეწყო, რაც ყველაზე მეტად გინდათ უთხრათ თქვენს მაყურებელს და მათაც, ვისი დაბრუნებაც ადამიანური სამყაროსთვის ჯერ კიდევ შეიძლება.

— არა მხოლოდ სოხუმიდან, დღეს ზედმეტად მოგვიმრავლდა კუთხეები, საიდანაც ჩამოსულ ხალხს არ ეზეიმება. ჩვენ ტემპერამენტმოუიოკავი, ფიცხი ხალხი ვართ. ეს კარგია თუ ცუდი ამის განსჯას არ ვაპირებ. ის მაწუხებს, რომ ხშირად, როცა გონების მოხმობას ვახსენებთ, სწორედ ამით გვიპირისპირდებიან, — ჩვენ სხვანაირები ვართ და ისე ვერ მოვიქცევით, როგორც ვთქვათ, ბალტიისპირელებიო. მაგრამ რა არის ცუდი იმაში თუ საკუთარი ისტორიიდანაც გამოიტან დასკვნებს, კარგ მაგალითზეც ისწავლი და თუ საჭირო იქნება, მიბაძავ კიდეც. არა მგონია, მაგალითად, ცუდი იყოს ესტონეთის სახალხო ფრონტიდან იმის გადმოღება, რომ ოცამდე კომისიაში სხვადასხვა დარგის ყველაზე გამორჩეული სპეციალისტები ჰყავთ შეყვანილი. განა ჩვენთვისაც ბედნიერება არ იქნებოდა, რომ სწორედ მაღალი ინტელექტი და პროფესიონალიზმი იყოს ჩვენი საზოგადოებრივი აქტივობის კრიტერიუმი?!.

თუ ლიტვა არ თაკილობს ქართველ კინემატოგრაფისტებთან გამოგზავნოს ახალგაზრდები სასწავლებლად, ჩვენთვის რატომ არის შეურაცხმყოფელი სხვებისგან რაღაც ჩვენც ვისწავლოთ და საერთოდ, ვიცხოვროთ და ვიაზროვნოთ ისე, როგორც მეოცე საუკუნის ცივილიზებულ ერს შეეფერება და ჩვენი მიუღელი ენერგია ერთმანეთის ქიშპობასა და ანგარიშსწორებას არ მოვახმაროთ?! ახლაც დიდი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული არარსებული ტახტისთვის?!. ამ გახურებულ მარათონში კი აშკარად ველარ ვხედავთ, ჩვენს საქმეებს ზერელობისა და სულწასულობის ბეჭედი რომ აზის.

— აფხაზურ თეატრს თეატრალურ ინსტიტუტში აღზრდილები არ აკლია. არც მათი საძრახისი მტრობაა უცნობი. ასეთ ადამიანებს ვერც სიკეთით და ვერც მარცხენა ლოყის მიშვერით სასიკეთო გზაზე ვერ დააყენებ, მაგრამ მაინც, ხშირად მახსენდება ის ჯგუფი, რომლებმაც ქართული ენის სწავლება მოითხოვეს. ეტყობა აქ ადვილად შემოაცვდათ ხელში მტრის ის ხატი ბავშვობიდან რომ უნერგავდენ. ამჟამად, შეიძლება, ისინიც სხვებივით აქტიურობენ, იქნებ ეშინიათ კიდეც მოღალატეობა არ დასწამონ. მინდა მჯეროდეს, რომ სულიერად ალბათ ძალიან უჭირთ.

— არ ვიცი. თუმცა -იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ჩანს, ისინი სახარბიელოდ ერთსულოვანნი არიან თავის აგრესიულობაში, რაც ჩვენ ასე გვაკლია. რაც შეეხება სიკეთის ძიებას, იქნებ კვლავ უნდა ვეძებოთ ის ადამიანები, ჩვენს გაწვდილ მარჯვენას უიარაღო ხელს რომ შეაგებებენ... მიუკარია, საკუთარ თავთან ვიყოთ მართლები — ჩვენ ყველაფერი ვცადეთ!..

— საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობაზე, თვისუფალი ქვეყნისთვის მებრძოლ ყველაზე საიმედო საკრებულოდ რომ გვესახებოდა, ძალადობის ისეთი მოუთოკავი აღზევება ვიხილეთ?!

— მსხვერპლი, ბ-ნ ალექსანდრე (ლალი) ჯაჯანიშვილთან ერთად მთელი ქართული ინტელიგენცია აღმოჩნდა. დაუნდობლობისა და გაწირვის ისეთი ატმოსფერო ბატონობდა დარბაზში, ბ-ნი ალექსანდრეს დიდი მამაც რომ შემობრძანებულიყო, საეჭვოა რამე შეეცვალა.

საქართველოს ინტელიგენციას ბევრი უკადრისი მოქცევა და უკეთური ადამიანი ახსოვს, მაგრამ, ბედის ირონია ხომ არ არის,

ამჟამად უკვე თავისუფლებისა და სამშობლოს სახელით რომ მძლავრობენ მასზე?! მეტის მეტი ხომ არ არის რობერტ სტურუას ყოველი კუთხიდან უბოდიშოდ უკიჟინო, რაც ენაზე მოგადგება და თავის მოწონება რომ მოგინდება სვეტიცხოველისა და საამაყო განძთსაცავის შემდეგ, ასევე უბოდიშოდ წაუძღვე სტუმრებს მის სპექტაკლებზე?! — ამ ადამიანებმა, ალბათ საჭიროა იცოდნენ, რომ სანიმუშო საქციელი სულაც არ არის, ერის საუკეთესო შვილებთან ანგარიშსწორებით დაიგროვო ქულები.

— ჩემთვისაც კატეგორიულად მიუღებელია, ჩვენი ინტელიგენციის ასეთი აგრესიული, ისტერიული დევნა. გაუგებარია ვისგან მოდის ასეთი დაუნდობლობა ლიანა ისაკაძის, რევაზ ჩხეიძის, რობერტ სტურუას და სხვათა მიმართ. ეს ვიღას შეიძლება დავაბრალოთ? — აქაც მესამე ძალა გვაქეზებს, ისინი გვეუბნებიან, რაც უფრო მეტ ადამიანს გამოაცხადებთ ხალხის მტრად და სუკის აგენტად, უკეთესი იქნებაო?!.

ჩვენს გვერდით არ დგანანო! — ეს მათ ეჩვენებათ, ვისაც ეროვნული მოღვაწეობა ქუჩაში დგომა ჰგონია!.. ვფიქრობ, ინტელიგენციამ უფრო მტკიცედ უნდა დაიცვას თავი, რათა კიდევ ერთხელ არ დაუშვათ უხეში ძალის გაბატონება. არ ვამბობ კიდევ ერთი გაერთიანება შეექმნათ-მეთქი. სამ ქართველზე ისედაც ერთი პარტია მოდის. მოვლენებს ხელოვნური გაღვივება ნამდვილად არ სჭირდება.. ვფიქრობ, პირველ რიგში ლიდერები უნდა იბრძოდნენ შემჭიდროებისათვის. უნდა უფრთხილდებოდნენ ხალხის ნდობას.

ის, რაც 7 ნოემბერს მოხდა ვანდალიზმად მიმაჩნია. რა უნდა მეპასუხა ომის ვეტერანისათვის — ჩვენ რაღას გვერჩოდენო, — რომ მეკითხებოდა? — საკუთარი სიცოცხლით ვიცავდი მაგ დროშასო!.. იმ ათასობით, მილიონობით ადამიანს რას ვერჩით, რომელთა სისხლიც ამ დროშებს სცხიათ?! ნუთუ მათი თავგანწირვა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ჩვენ მაინც აღარ მოვუწყოთ ბარბაროსული დარბევები?!.

— ამ ზაფხულს ხაშურში პირდაპირ მიტინგზე მოუკლავთ ყმაწვილი, რომელსაც თურმე მათი დაცვა უცდია, ვინც მომიტინგეთაგან მტრად იყო შერაცხული?!.

— სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, შეუნიღბავად დამკვიდრდა ყოველად მიუღებელი ტენდენცია — უმნიშვნელო კრიტიკისთვისაც კი ადამიანს მტრად აცხადებენ და ეროვნული მოძრაობის ღალატს

სწამებენ. ეს არც თუ უცნობი მოვლენაა, კრიტიკა მანამდეც კაპიტალიზმის აგენტობად ითვლებოდა?!.

— ეროვნული მოძრაობა მე ერთმანეთისა და სამშობლოს ბედით შეწუხებული მთელი ქვეყნის თანამოაზრეობა მგონია.

— ყოველ შემთხვევაში არც ცალკეული ჯგუფებისა თუ პარტიების კუთვნილებაა და მარტო კრიტიკის ჩახშობითა და ყველაფრის სხვაზე დაბრალებით შორს ვერ წავალთ.

— უკანასკნელ ხანს მიმდინარე ცვლილებებმა თითქოს განაიარაღა თეატრები. ალბათ გსმენიათ, რომ თეატრები ვერ იყენებენ თავისუფლებას. ჩვენს თეატრებს ლამის „უძრაობის ხანის" დადგომას უკიჟინებენ. ალბათ არც ის არის კარგი, როცა ძალით გაჩუმებენ და არც ის, როცა გაიძულებენ იყვირეო! — შემოქმედი სათქმელს წლობით ამწიფებს და როცა ის ჩნდება, აკრძალვა და შიში ვერ აჩერებს.

— ახლა იმასაც კი გვედავებიან 9 აპრილის მოვლენებს არ გამოეხმაურეთო! — მკრეხელობად მიმაჩნია ამ და მსგავს მოვლენებზე რამის გაკეთება. იმდენად მოუშუშებელია ჭრილობა, იმდენად მტკივნეულია ყოველგვარი შეხება. მეშინია ამგვარმა შეძახილებმა კომპრომისისკენ არ უბიძგოს თეატრებს და ამანც ისეთივე ხასიათი არ მიიღოს, როგორც ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო სპექტაკლებმა.

გაოცებული ვარ ერთი ფაქტითაც, ე.წ. თაროებზე შემოდებული ფილმები და ხელოვნების სხვა დარგის აკრძალული ნიმუშები ჩვენთან ყველაზე ნაკლები აღმოჩნდა?! — იმიტომ, რომ მაშინდელი ხელმძღვანელობისაგან, პირადად ედუარდ შევარდნაძისაგან ყოველთვის ბევრის უფლება გვქონდა და ვიყენებდით კიდეც. როცა ყველაფერი ნებადართული გახდა, აღმოჩნდა რომ იგი დიდი ხნის ნათქვამი გვქონდა! თუმცა, შეიძლება ნაბოძები თაავისუფლება ბარიერადაც იქცა. ნამუსზე შეგდებული კაცის მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ამან კი ნახევრად სიმართლეც დაბადა.

— „მაწუხებს ის, რაც აწუხებს მთლიანად ქართულ თეატრს" — ეს თქვენი სიტყვებია; უფრო კონკრეტულად რას იტყვით?

— იმ ოცი წლის მანძილზე, რაც პერიფერიის თეატრებში ვმუშაობ. ჩემი ძირითადი ამოცანა, თბილისის გარეთ შემექმნა ისეთი თეატრი, რომელიც ტოლს არ დაუდებდა, როგორც ჩვენი დედაქალაქის, ისე საბჭოთა კავშირისა და თუ გნებავთ მსოფლიოს საუკეთესო

თეატრებს. ვინც რაიონების თეატრების ყოფას იცნობს, დამეთანხმება, ეს ადვილი საქმე არ არის. ამ ოცნებასთან მიახლოება, ვფიქრობ, ყველაზე მეტად სოხუმის თეატრში შეეძელი. ამას მაფიქრებინებს ის უშეღავათობა, რითაც ყველგან გვეპყრობიან. თუმცა, ყველაფერ ამის მიღწევა ძალზე მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გვიხდება. არც სულიერ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებებით ვართ განებივრებული. ამჟამად ვიდეოს შეძენა მოვახერხეთ, რათა საინტერესო სპექტაკლები ასე მაინც ვნახოთ.

დიდი სიხარულით იყო სავსე ის დრო, როცა ბ-ნი დოდო ალექსიძე დგამდა სპექტაკლს. ეს სკოლა იყო.

ძალიან ბევრი მისცა მსახიობებს ბ-ნ გიზო ჟორდანიასთან მუშაობამ. ასეთი შეხვედრები დიდად სასარგებლოა და ძალიან გვინდა გაგრძელდეს.

ჩვენი ოცნებაა რომ ბ-მა მიხეილ თუმანიშვილმა დადგას სპექტალი ჩვენთან. ჩვენი წარმოდგენები ნახოს, ესაუბროს დასს, მიგვითითოს, მკაცრად მოგვთხოვოს.

გვინდა ბ-ნი გიგა ლორთიფანიძე, რობიკო სტურუა, თემურ ჩხეიძე მოვიწვიოთ.

გვინდა თეატრმცოდნეები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი თეატრის ცხოვრებაში.

— გოგი.. ქავთარაძე — რეჟისორი, მსახიობი, თეატრის ხელმძღვანელი, პიესაც გაქვთ დაწერილი რობერტ სტურუასთან ერთად, თამაშობთ თეატრსა და კინოში, ჟურნალისტებისა და კრიტიკოსების ყურადღება არ გაკლიათ, ერთი სიტყვით პოპულარული ხართ. გარეგნულად ასეთი ნებიერი გოგი ქავთარაძე, მართლა ასე გამორჩეულია ბედისაგან?

— ვერ ვიტყვი რომ ცხოვრებით უკმაყოფილო ვარ. მით უფრო ახლა, როცა ასეთი საოცარი დასი მყავს. პატივს ვცემთ, გვიყვარს ერთმანეთი, თუმცა იშვიათად ვლაპარაკობთ ჩვენს სიყვარულზე. ცხოვრებაში იქნებ ბევრი ტკივილიც მქონია და წარუმატებლობაც, იყო ბევრი ხვეულები, ტალახში სიარული, გაჭირვება, სიცივე, გაყინულ დარბაზში თითო-ოროლა მაყურებლისთვისაც გვითამაშია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს. თუ ბედის ნებიერი ვჩანვარ, ასე იყოს!.. ზოგჯერ ქუჩაში გაგესაუბრება ვინმე და უცებ გკითხავს — თბილისში როდის გადმოდიხარო?! —

თითქოს ყველაზე მოაკარი თბილისში გადმოსვლა იყოს! — ე. ი მან არაფერი იცის შენს შესახებ, შენ კი მუშაობ! — ასეთ შემთხვევაში გული მეტკინება ხოლმე.

— ვიღაცის წინაპარი ცოტა უფრო ადრე ჩამოვიდა თბილისში, ვიღაცის ცოტა გვიან, სხვები სხვა დროს ჩამოვლენ და ღმერთმა ნუ ქნას ან ქართული სოფელი მოეშალოს საქართველოს ან იქიდან ჩამოსული ქართველები. ამ ბოლო დროს თბილისელ და სოფლიდან შემოხიზნულ ქართველებზეც გახშირდა ლაპარაკი. პირველად ალბათ ეს იმ გადამთიელთაგანმა თქვა, ვისი წინაპარი იქნება მსტოვრადაც იყო შემოგზავნილი! როგორ ფიქრობთ, თბილისელობა დაბადების ადგილით განსაზღვრული მონოპოლიაა თუ ყველა ქართველის უფლება. ახლა კიდევ თბილისელებად და არათბილისელებად დაყოფა გვინდა, როცა საქართველოს კუთხეებს ლამის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აცხადებენ?!

— დღეს ნამდვილი თბილისელობაც და ქართველობაც იმაში გამოჩნდება თუ როგორ ვიზრუნებთ ქვეყანაზე. ჩემთვის ყველაზე საკალალო ინტელიგენციის სიმცირეა სოფლად, კულტურული, სულიერი ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების კრიზისია. ამდენი უმაღლესი სასწავლებელი დაგროვდა თბილისში, რატომ არ შეიძლება ზოგიერთი სხვაგან გადავიტანოთ. ამით ხომ იმ კუთხეში კიდევ ერთი მეცნიერულ-კულტურული ცენტრი შეიქმნება.

— ერთგან თეატრის მაცოცხლებელ ძალაზე წერდით. რაშია იმ თეატრის მაცოცხლებელი ძალა, რომელსაც თქვენ ქმნით?

— ახალგაზრდობაში. ასაკს კი არა, იმ თავდავიწყებას ვგულისხმობ, ყველა თაობას რომ გვაერთიანებს. ყველანი ახალგაზრდები ვართ, რადგან ყველა თავდავიწყებით ვართ შეყვარებული ჩვენს თეატრზე. და ეს დიდ სიხარულს გვანიჭებს. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მსახიობს რომ სამუშაო ჰქონდეს. ეს შემოქმედებით ატმოსფეროსაც ქმნის და ადამიანურსაც. ზოჯერ, იმისათვის, რომ რომელიმე მსახიობი გულდაწყვეტილი არ დარჩეს, კომპრომისი გვიწევს, ზოგჯერ არ გამოგვდის ჩანაფიქრი, მაგრამ მთავარია, მსახიობმა იგრძნოს რომ შენ მასზე ფიქრობ, გიყვარს იგი.

1983 წლიდან ოცდახუთამდე ახალგაზრდა მოვიდა თეატრალური ინსტიტუტიდან. ისინი არაჩვეულებრივად

მონდომებულები, ზრდილები და რაც მთავარია, პროფესიონალები არიან. ინსტიტუტის ძალიან მადლობელი ვარ ამის გამო.

— ქართული თეატრი და ქართული მწერლობა თითქოს ყველაფერს აკეთებს თანამშრომლობისთვის, მაგრამ უფრო ხშირად, ორივე მხარე ერთმანეთით უკმაყოფილოა. განაწყენებული ავტორები ზოგჯერ შურისძიების ულირს საშუალებას მიმართავენ. თქვენ როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?

— ჩვენს შორის, რასაკვირველია, ისეთი ურთიერთობა აღარ არის, როგორც მარჯანიშვილისა და ახმეტელის დროს იყო. ყოველ შემთხვევაში, თუ თეატრის მოღვაწენიც ისე კითხულობენ მათ ნაწარმოებებს, როგორც ისინი დადიან სპექტაკლებზე, ტრაგიკული მდგომარეობა გვქონია. რაც შეეხება განაწყენებულ მწერლებს. თქვენ, ალბათ, ჟურნალ „კრიტიკაში" გამოქვეყნებული წერილის მინაწერს გულისხმობთ. მწერალი, რომელიც ასეთ ღვარძლს აფრქვევს ადამიანებს, მწერალი არ არის. ამ მინაწერის ავტორი, იმ პიესის ავტორია, რომელიც რობერტ სტურუამ არ დადგა. მან კი ასე იძია შური!..

ახლა ბევრმა მოირგო სამშობლოს ინტერესების დამცველის როლი. სინამდვილეში კი პირად ანგარიშსწორებას ეწევა. ქართველების ლანძღვას სხვებიც კარგად ახერხებენ, ჩვენ, უმჯობესია ერთმანეთს გავუფრთხილდეთ.

20. XI. 1989.

გოგი მარგველაშვილი

— თქვენ ვინ ხართ?

— გოგი მარგველაშვილი, რეჟისორი. ხანდახან მსახიობიც. მყავს მეუღლე და ქალ- ვაჟი. და კიდევ დედა — ზინა კვერენჩხილაძე.

— სად და ვისთან სწავლობდით?

— თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ მიხეილ იუმანიშვილთან.

— ამჟამად სად მუშაობთ?

— თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრში და თეატრალურ ინსტიტუტში. ვარ სარდაფის თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

— თქვენ ხართ თეატრის შესახებ კანონის ერთ-ერთი ავტორი, რატომ დაინტერესდით კანონშემოქმედებით?

— ჩემთვის მთავარი იყო, რომ ხელისუფლებას ედიარებინა თავისი ვალდებულებები ხელოვნების ამ დარგის მიმართ. ამის გარდა კანონის არსებობა, იმის იმედსაც გვაძლევს, რომ შეიძლება მინიმალურ დონეზე, მაგრამ მაინც, დაცული იყოს ჩვენი უფლებები.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დაგვერღვია თეატრების არსებობის ორგანიზაციული ერთსახეობა. ახალი კანონი იმის საშუალებას იძლევა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციულ საფუძველზე დაარსებულმა თეატრებმა თავისუფლად იარსებონ.

ჩვენ მიერ შექმნილ კანონში პირველად დაფიქსირდა, რომ თეატრს უნდა პყავდეს დამფუძნებელი, რომელსაც გარკვეული ვალდებულებები თავადაც ექნება. დამფუძნებელსა და მის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელს შორის უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, სადაც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი.

კანონი განსაზღვრავს იმასაც, რომ თეატრში პირველი პირი არის სამხატვრო ხელმძღვანელი. და აგრეთვე იმასაც, რომ თუ სამხატვრო ხელმძღვანელი არ არის რეჟისორი, ასეთ შემთხვევაში, თეატრში უნდა იყოს მთავარი რეჟისორის თანამდებობა.

— შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მიერ შემუშავებული კანონი ძალიან კარგია?

— მთლად ასე არ არის საქმე. საუბედუროდ, საქართველოში კანონის მიღება კი არა, მისი ამოქმედებაა ყველაზე ძნელი. უამრავი კანონი გვაქვს, მაგრამ ირგვლივ საშინელი უკანონობაა გამეფებული! საქართველო ერთ დიდ კრიმინალურ ზონასავითაა, სადაც ავტორიტეტის ხელისუფლება უფროა, ვიდრე კანონის უზენაესობა. ჩვენთან დღეს ყველაფერს ავტორიტეტი წყვეტს ისე, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც კანონში წერია.

იმედი მაქვს, რომ ავტორიტეტების ეს ინსტიტუტები თანდათან გაქრება. ესეც ძველი, ბოლშევიკური სისტემის გადმონაშთია, სადაც კანონზე მაღლა ყოველთვის იდეოლოგია და ის მონსტრები იდგნენ, რომლებიც ამ იდეოლოგიას ახორციელებდნენ.

— მაინც ვინ არიან, ასეთი ავტორიტეტი მონსტრები?

— ასეთების შეტი რა არის?!. სხვა ქვეყანაშიც შეიძლება ვინმეს ასეთი სურვილი გაუჩნდეს, მაგრამ იქ ამის საშუალებას კანონი არ მისცემს. ჩვენ კი, გვაქვს პრეტენზია ცივილიზებულები ვიყოთ, მაგრამ ეტყობა დიდი დრო დაგეჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილად ასეთები გავხდეთ.

— თეატრის მოღვაწეების ახალი პროფესიული კავშირის დაარსება აუცილებელი იყო?

— ამით, პირველ რიგში, კრიმინალური სამყაროს პრინციპებზე აგებული ურთიერთობების მოწესრიგება გვინდოდა. დარგობრივი პროფესიული კავშირის არსებობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებელია. ამის გარეშე თითქმის შეუძლებელია გაუმკლავდე მის მკაცრსა და დაუნდობელ ურთიერთობებს,

გაუმკლავდე იმ სასტიკ დამოკიდებულებას ჩვენი ინტერესებისა და ჩვენი ღირებულებების მიმართ რომ იჩენენ ხელმძღვანელის საკარძელში აღმოჩენილი ადამიანები.

რატომ არ უნდა ვკითხოთ მათ — რა უფლება აქვთ, ისე გველაპარაკონ და მოგვექცენ, თითქოს მხოლოდ ისინი იყვნენ იმ ქონების მეპატრონეები, რომელსაც ქართულ თეატრში მომუშავე მთელი თაობები ქმნიდნენ?!. რაც გაკეთებულა ერთად გაკეთებულა, უცებ კი ამ საერთო სახლში, ერთი მეპატრონედ იქცა, მეორე მდგმურად?! უნდა გამოგაგდებს, უნდა არა!.. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ, რომ ჩვენი უფლებების დასაცავად ყველაზე უკეთესი საშუალება პროფესიული კავშირი იქნებოდა.

— ხომ არსებობდა თეატრის მოღვაწეთა კავშირი, რა საჭირო იყო ახალი კავშირის შექმნა?

— ამ რამდენიმე წლის წინათ, რეჟისორთა ლიგამ დიდი ომი გადაიტანეთ თეატრის მოღვაწეთა კავშირთან, იმის გამო, რომ ვითხოვდით კავშირს აეღო თავის თავზე ჩვენი უფლებების დაცვა. მაგრამ ეს არ მოხერხდა. საბოლოოდ მივიღეთ გადაწყვეტილება ახალი პროფესიული კავშირი შეგვექმნა.

— თქვენი პატიოსნების გარდა, რა გარანტიაა, რომ ეს კავშირიც პატიოსანი ადამიანების გასაბრიყვებელი კიდევ ერთი ხაფანგი არ არის?

— ამის გარანტიაა ჩვენი წესდება.

— წესდება, მე მგონია, ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციასაც კარგი აქვს. ჩვენზე ზრუნვის მთელი მათი პათოსი კი საბოლოოდ კინოსახლში თავიანთვის კაზინოს გახსნით გამოიხატა. თქვენთან ეს გამორიცხულია?

— გამორიცხული ამ ცხოვრებაში არაფერია!.. მაგრამ ჩვენ ასეთი ინტერესები არ გვაქვს.

— თეატრში რაზე მუშაობთ?

— არაფერზე, რადგან ფული არ გვაქვს. ჩვენი თეატრის მომავალი ძალიან გაურკვეველია. ფაქტობრივად, თეატრი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩა. ჩვენ ვართ სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ ნაწილი, მაგრამ, ორიათასი წლის ბიუჯეტიდან საერთოდ არის ამოღებული „ქართული ფილმი“. ე. ი. ჩვენ არა თუ დაგვაფინანსებს სახელმწიფო, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, საერთოდ აღარ ვარსებობთ.

— ეს ხომ მშვენიერი საშუალებაა, რომ თქვენმა პროფკავშირმა თავისი ძალა გამოავლინოს?

— თეატრი ეკუთვნის საქალაქო საზოგადოებას, რომელიც არის კერძო სამართლის იურდიული პირი. მთელი ტრაგედია იმაშია, რომ ხელისუფლებას შეუძლია ჩვენს წინაშე მართალი იყოს! — როცა შენ კერძო სტრუქტურის ნაწილი ხარ, სახელმწიფოსგან რაღას ითხოვ?!.

— ხომ შეგიძლიათ, „ქართულ ფილმთან" ერთად იბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც დაფინანსება შეგიწყვიტათ?

— ხელისუფლებას თავის მართლება ყოველთვის შეუძლია! ამჯერად იტყვის, დაფინანსების ფორმას ვცვლითო! თუ აქამდე ფული მიდიოდა „ქართულ ფილმში", ახლა იგი წავა კინოცენტრში, რომელიც ან მოგცემს ფულს და ან არა! ასეთ პირობებში, რომელ შემოქმედებით მუშაობაზეა ლაპარაკი?!.

— ინსტიტუტში რას აკეთებთ?

— ჩემს ჯგუფთან ვდგამ შექსპირის ტრაგედიას „რომეო და ჯულიეტა"...

— რეჟისორობა რთული პროფესიაა?

— რეჟისურა განხორციელებაა. რა უნდა ბევრმა იცის, მაგრამ როგორ უნდა განახორციელოს, ცოტამ. რეჟისურის სირთულე სწორედ იქიდან იწყება, როცა სათქმელი მოფიქრებული გაქვს და მის გადმოცემაზე იწყებ მუშაობას.

— ვინ მიგაჩნიათ თქვენ იდეალად?

— ძიხეილ თუმანიშვილი. ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც თეატრი მართლა ტაძარი იყო. თავად ჰქონდა თეატრთან ასეთი დამოკიდებულება და იმიტომ.

— არტისტი ხალხის მოძღვარია?

— მე მგონია, დღეს, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების თეატრებში, სწორედ მაგის ძიებაში არიან — ვინ არის არტისტი და საერთოდ, რა ფუნქცია უნდა იტვირთოს თეატრმა.

— გიყვართ კრიტიკოსები?

— ისე რა. ყველას თავისი საქმე აქვს. იმათ — მათი, ჩვენ — ჩვენი! კარგია, როცა სპექტაკლის ანალიზს აკეთებენ, და არა პიესის შინარსს გვიყვებიან! მაინტერესებს, როცა იმაზე წერენ, რაც ჩემ მიერ დადგმულ სპექტაკლებში დაინახეს.

— ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე, ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი მსახიობი, თითქმის უმუშაევარია. როგორც რეჟისორს, არ გიფიქრიათ, რომ მისთვის დაგედგათ სპექტაკლი?

— შეიძლება მიფიქრია, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება. გაგვიჭირდებოდა ალბათ მუშაობა. სტაბილურ დროში რომ გვეცხოვრა, შეიძლება ეს უფრო ადვილი ყოფილიყო. მაგრამ, დღესდღეობით ყველაფერი არის ისე, როგორც არის!.. სამწუხაროდ.

— პატრიოტი ხართ?

— საკუთარი თავის პატივისმცემელი ადამიანი ვარ! ამპარტავნებას არ ვგულისხმობ. ადამიანი, რომელიც თავის თავს არ სცემს პატივს, არც ქვეყნისათვის ვარგა და არც საკუთარი თავისათვის.

— კონფორმიზმს როგორ უყურებთ?

— ცუდად!.. სამწუხაროდ, კონფორმიზმი ჩვენთან არსებობის განუყოფელ ნაწილად იქცა და თითქმის აღარავის აღარ აწუხებს. თითქმის ყველა ასე მსჯელობს — რა ვქნა, სხვაგვარად არ გამოდიოდა?!. და ზოგი ოჯახით იმართლებს თავს, ზოგი ძმაკაცით, მეზობლით, მეგობრით და რა ვიცი რითაც გინდა.

— ყველაზე ძალიან რა არ მოგწონთ?

— ალბათ ის, ქართველებმა ვერაფრით ვერ გავაცნობიერეთ — პრობლემა სხვაში კი არა, ჩვენშია! რაც რამე გვჭირს, აუცილებლად სხვას უნდა დავაბრალოთ — სომხებს, რუსებს, თურქებს, ამერიკელებს და ვისაც გინდა, ოღონდ არა საკუთარ თავს.

— ღმერთი თუ გეგულებათ სადმე?

— რა ვიცი... ალბათ კი.

— ე. ი. ნიჰილისტი არ ხართ?

— ვარ!.. სწორედ იმიტომ რომ მეგულება!..

— ხომ არაფერს დაამატებთ?

— დავამატებ. ჩვენთან პრობლემა მარტო იმაში კი არ არის, რომ ვიღაცა ვიღაცას ჩაგრავს! მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ადამიანებს შეაგნებინო — მათ რაღაცის უფლება აქვთ! დაარწმუნო რომ შეუძლიათ ხმა ამოიღონ, გააპროტესტონ!..

2000 . XI.

გოჩა კაპანაძე

— ვინ არის გოჩა კაპანაძე?

— კეთილი ადამიანი!

— სეჩუანიდან?!.

— კეთილი ადამიანი თბილისიდან, რომელიც ცდილობს იცხოვროს ქრისტიანულად და იყოს პროფესიონალი.

— რეჟისორი ხართ თუ მსახიობი?

— მე მგონია, მსახიობი ვარ. მსახიობი, რომელიც უფრო მასშტაბურად აზროვნებს. სამსახიობო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, მაგრამ, ჩემმა პედაგოგებმა ბატონმა გიზომ და ქალბატონმა ნანა კვასხაძემ, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მხოლოდ ცალკეული გმირის კი არა, მთლიანად პიესის არსში ჩაწვდომა და ანალიზი გვცოდნოდა. ალბათ ამიტომაც გამიადვილდა რეჟისურაში გადასვლა.

— როგორ მოხვდით ინსტიტუტში?

— სანამ მოხვდებოდი, ხუთი წელი ვაბარებდი და არ მიღებდნენ. როგორც პროფესიისთვის შეუფერებელს.

— ნიჭს ვერ ხედავდნენ?

— შეიძლება მართლაც არ ჩანდა. ეტყობა შებოჭილობა არ მაძლევდა საშუალებას, ჩემი შესაძლებლობები მეჩვენებინა.

თავისთავადაც მორიდებული ადამიანი ვარ და წარმოიდგინეთ მაშინ რა დამემართებოდა?! შედიხარ მერვე აუდიტორიაში, ვეშაპის ხახის მსგავს უზარმაზარ სივრცეში და მაგიდასთან კი სხედან ინსტიტუტის ავტორიტეტები — დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი, გიზო ჟორდანია, ბაბულია ნიკოლაიშვილი, იური ზარეცკი, მონიკა კაჭარავა... არ ვიცი, ბატონმა გიზომ მაშინ რა დაინახა ჩემში, მაგრამ მე მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები.

ათი წელია მე თავადაც უკვე პედაგოგი ვარ და უნდა ვთქვა რომ ის, რაც ბატონ გიზოს აქვს, სხვისთვის თითქმის არ შემიმჩნევია. ბატონ გიზო ჟორდანიას აქვს არაჩვეულებრივი პედაგოგიური ალღო. ნერგში ნაყოფის დანახვის გასაოცარი უნარი. სწორედ ამ ნაყოფისათვის ამზადებს და ეფერება ნერგს.

მაშინ მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში სამმა ადამიანმა მივიღეთ სამიანი — მე, მერაბ ნინიძემ და ზაზა პაპუაშვილმა!.. მოგვიანებით, ქალბატონმა ეთერ გუგუშვილმა, მაშინდელმა ჩვენმა რექტორმა, ერთ-ერთ წერილში გაიხსენა ინსტიტუტში მიღებისათვის ჩემი ხუთწლიანი ბრძოლა და ასეთი დასკვნით დაამთავრა — სამწუხაროდ, ნიჭიერების გამოცნობაში, ზოგჯერ სახელოვანი ოსტატებიც ცდებიანო!..

— და მაინც რატომ გახდით რეჟისორი?

— მგონი იძულებით!.. ჩვენს ჯგუფს გამორჩეული ბედი ხვდა წილად. ბატონი გიზოს ხელმძღვანელობით ყველა მიგვიღეს რუსთაველის თეატრში. დაგვითმეს მცირე სცენა, სადაც ჩვენს სპექტაკლებს ვთამაშობდით. გვყავდა ჩვენი მაყურებელი. ძალიან კარგი გასტროლები გვქონდა პოლონეთში, გერმანიაში, შოტლანდიაში, ინგლისში... მერე დაიწყო არეულობები და დაიძაბა ურთიერთობები გარეთ. ასეთივე პროცესები განვითარდა თეატრშიც. თანდათან დაიძაბა ურთიერთობა ჩვენსა და რუსთაველის თეატრის ძირითად შემადგენლობას შორის. ბევრი რამ, ახალგაზრდობის გამო, ჩვენც ვერ მოვზომეთ ალბათ... ამ დროს მე, ნანუკა ხუსკივაძე და მერაბ ნინიძე მიგვიწვიეს ინგლისში, ახალგაზრდულ თეატრში, რომელიც პიტერ ბრუკის მეთოდით მუშაობდა. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა შექმნან სპექტაკლი, რათა საერთო ენა იყოს ქმედების და არა სიტყვის.

ჩვენი იქ ყოფნის დროს, თბილისიდან თანდათან საშინელი ამბები მოდიოდა. დაიწყო სამოქალაქო ომი. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ აქ მყოფ ქართველებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ ინგლისის მოქალაქეობა მიიღონო. რასაკვირველია, მეც შემეძლო სულ რაღაც ხუთ წუთში ინგლისის მოქალაქე გავმხდარიყავი, მაგრამ მე ეს არ მინდოდა.

— პატრიოტობის გამო?

— მე მიშაჩნია, რომ ადამიანი სადაც დაიბადა, იქ უნდა ცხოვრობდეს. ამიტომაც დავბრუნდი თბილისში, სადაც საშინელი ამბები დამხვდა. მცირე სცენის რეპერტუარი მთლიანად მოეხსნათ. ჩვენი ჯგუფიდან ბევრი მსახიობი უკვე დიდ სცენაზე მუშაობდა. მე მათ შორის ვერ მოვხვდი. არც იმის იმედი ჩანდა, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდებოდა. თანდათან შემომეპარა პროფესიის შეცვლის ფიქრი. ვფიქრობდი უნივერსიტეტში ჩამებარებია. და ამ დროს მოხდა სასწაული! — საფრანგეთიდან, თეატრის საერთაშორისო ცენტრიდან მივიღე შეტყობინება, რომ შემეძლო მესწავლა სარეჟისორო ჯგუფში, რომელიც პიტერ ბრუკს აჰყავდა!

ჩემი გამგზავრება მაშინ უზრუნველყვეს ორმა შესანიშნავმა ქართველმა — მამუკა კიკალეიშვილმა, ნათელში იყოს მისი სული და გოგა ხაინდრავამ.

— პიტერ ბრუკმა საიდან იცოდა თქვენი არსებობა?

— პიტერ ბრუკის ყურადღების ორბიტაში, მისი მეუღლის ნატაშა პარის წყალობით მოვხვედი. თბილისში ყოფნის დროს, მათ ჩვენი სპექტაკლიც „სამანიშვილის დედინაცვალი“ ნახეს. მის მეუღლეს იქიდან დავამახსოვრდი და იმ პერიოდში, როცა ბატონმა პიტერ ბრუკმა სარეჟისორო ჯგუფის აყვანა გადაწყვიტა, ნატაშა პარიმ მეც გამიწია რეკომენდაცია.

ექვსი თვის შემდეგ ავიღე სერთიფიკატი და გავხდი რეჟისორი!.. ბატონმა ბრუკმა პარიზში დარჩენა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. შუა სეზონი იყო და ექვსი თვე უნდა მეცადა უქმად. მე კი იმდენად ვიყავი ენერგიით დამუხტული, რომ მაშინვე მინდოდა მუშაობის დაწყება. წამოსვლის წინ ბატონმა ბრუკმა და მისმა მეუღლემ რესტორანში წამიყვანეს. ბრუკი მთელი საღამო რუსულად მესაუბრებოდა. ეტყობა ოდესის ნოსტალგიით, საიდანაც იყო

წარმოშობით. თავისი ბოლო წიგნიც მაჩუქა და მითხრა, მე თითქმის აღარ ვწერ რეჟისურაზე, ეს უფრო სხვა ტკივილებზეაო!..

— დიდი სკოლა გაგივლიათ?!.

— რასაკვირველია, ბრუკთან გატარებული ყოველი წუთი განსაკუთრებული იყო, მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც მისი სპექტაკლის „პელეასი და მელისანდრას" გენერალური რეპეტიცია იყო. მე ბედნიერება მქონდა იმავე ქუჩაზე მეცხოვრა, სადაც ცოლ-ქმარი ბრუკები ცხოვრობდნენ. იმ საღამოსაც ჩვეულებრივად გამომიარეს და ერთად წავედით თეატრში. მივედით და რას ვხედავ? — დარბაზი სავსეა თორმეტი, ცამეტი, მაქსიმუმ თხუთმეტი წლის ბავშვებით!.. ისინი იყვნენ პირველი მაყურებლები!.. დამთავრდა სპექტაკლი. შევისვენეთ და ბავშვებმა დაიწყეს სპექტაკლის გარჩევა?!..

ბატონი ბრუკი მარტო ივჯდა სცენაზე. ბიბლიური პერსონაჟივით ნათელმოსილი, ჭაღარა ოსტატი. ბავშვები საში-ოთხი საათის განმავლობაში უსვამდნენ შეკითხვებს და არჩევდნენ სპექტაკლს, მისი ასისტენტები კი სიტყვა-სიტყვით იწერდნენ ყველაფერს.

მერე გაიმართა კამათი. ბოლოს მხოლოდ ბრუკი საუბრობდა და ბავშვები უსმენდნენ. დამთავრდა ყველაფერი და რომ გვგონია უკვე უნდა დავიშალოთ, ბრუკი ამბობს — ათ წუთს შევისვენებთ და დავიწყებთ რეპეტიციას!..

მთლიანად არა, მაგრამ დაახლოებით რვა-ათი სცენა, ამის შემდეგ თავიდან გააკეთა!..

სახლში დაბრუნებისას ვკითხე — ბავშვები რატომ მოიწვიეთ-მეთქი? — ამ ბავშვებისათვის, მე ვარ ჩვეულებრივი თოვლის ბაბუა, რომელმაც სპექტაკლი აჩუქა! ამიტომ მათ გულწრფელობას ხელს არაფერი შეუშლიდა. მათ ადგილზე თუ იქნებოდნენ თეატრალები, რომელთა აზრს მე დიდ პატივს ვცემ, როგორც არ უნდა ცდილიყვნენ, მაინც ვერ გაექცეოდნენ იმ ავტორიტეტს, რაც არის ბრუკი! — ამიტომ ბოლომდე ვერ მეტყოდნენ იმ სათქმელს, რომელიც გაუჩნდებოდათ. ყველაზე გულწრფელად და ალალად, ამის თქმა მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ.

— თბილისში რომ დაბრუნდით, დადგით?..

— გარსია ლორკას „ბერნანდა ალბას სახლი".

— და თუ არ ვცდები, მონოდრამა „ჩემოდანი", არა? რომელიც იყო ძალზე ამაღლებული სპექტაკლი, მტკივნეული იდეით —

ზოგჯერ შეიძლება მთელი ცხოვრება ერთ ჩემოდანში მოთავსდეს და მორჩა!..

— ბატონ მიხეილ თუმანიშვილსაც ძალიან მოწონდა ეს სპექტაკლი. იმ ინგლისელ მსახიობ ქალს, ამ წარმოდგენაში რომ თამაშობდა, არაჩვეულებრივი წერილი გაუგზავნა. ნაწყვეტი ზეპირად მახსოვს — "ეს არის სპექტაკლი, რომელიც გაგონებს პირველი თოვლის მოსვლას და ის ფიფქები, რომლებიც ხელის გულზე ცვივა, დნებიან, ცრემლებად მოდიან და იღვრებიან შენს სულში. მადლობა მინდა ვუთხრა ქერენ კლარკს, დიდი ოსტატობისთვის და ჩემს უმცროს თანამემამულეს მივულოცო შესანიშნავი სპექტაკლი?.."

— ბერნანდა თავიდანვე მარინა კახიანისთვის გქონდათ ჩაფიქრებული?

— არა, ამ როლზე, ჯერ ქალბატონი ზაზა ლებანიძე მუშაობდა. სამი თვე გავდიოდით რეპეტიციებს, მაგრამ ერთხელაც, ქალბატონი ზაზა მოვიდა ჩემთან და მითხრა — არ გვგონოს რომ შენთან მუშაობა არ მომწონს, ან არ გენდობი, როგორც რეჟისორს და უარს იმიტომ ვამბობ. უბრალოდ, ამ ქალის არ მესმის და რა ვქნაო?! უარი თქვა როლზე?!.

— ეს დამწყებისათვის კი არა, უკვე მყარად დამკვიდრებული რეჟისორისთვისაც მძიმე დარტყმაა. შემდეგ რა მოხდა?

— მერე მქონდა ორკვირიანი პაუზა. აღარ ვიცოდი რა მექნა და ამ დროს გამახსენდა მარინა კახიანი!.. მარინას ძალიან მძიმე დღეები ჰქონდა მაშინ. მეუღლეს გლოვობდა და თითქმის არ გამოდიოდა გარეთ. მე რომ მივედი და ეს როლი შევთავაზე, მარინამ შემომხედა და მითხრა — ვიცოდი, დღეს რომ მოხვიდოდიო!.. წუხელის ჩემი მეუღლე მესიზმრა, რომელმაც აღელვებულს ხელზე ხელი მომკიდა და მითხრა — მარინა, ნუ ნერვიულობ, მე კარგად ვარ და საერთოდ, ყველაფერი კარგად იქნებაო!..

ქალბატონ ზაზას არჩევანის დროს, მე ვფიქრობდი, რომ ეს არის ქალი ვამპირი, ქალი დიქტატორი, ფრანკოს რეჟიმის სიმბოლო და სხვა... მაგრამ, ეტყობა, ქვეცნობიერად სულ მაწვალებდა ფიქრი, რომ ბოლოს და ბოლოს ბერნანდა არის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი, რომელიც იძულებული გახდა, თავის თავშიც და შვილებშიც, ადამიანური სურვილები ჩაეკლა..

ჩემთვის ბერნანდა ალბა არის ჩაკეტილი წრე, საიდანაც გაქცევა ყველა ადამიანს უნდა. ზოგჯერ, ამ ჩაკეტილ წრედ, საკუთარი თავიც შეიძლება იქცეს.

ამ პიესის არჩევანი, იმანაც განაპირობა, რაც იმ დროს თეატრის გარეთ ხდებოდა. ჩვენც ყველაფერი გარეთ გვეძახდა, გარეთ გვეწვეოდა..

— შეიძლება ვთქვათ რომ მსახიობის ინდივიდუალობამ გიკარნახათ გმირის სახე?

— ალბათ უფრო გმირის ჩემეულმა ხედვამ მიმაგნებინა მსახიობი. ადვილი შესაძლებელია, წლების შემდეგ კვლავ მივუბრუნდე ამ პიესას და სულ სხვაგვარად დავინახო.

— გყავთ თქვენი მსახიობები?

— ითვლება რომ მყავს — მარინა კახიანი, ნანუკა ხუსკივაძე, დიმა ჯაიანი, ირაკლი კავსაძე, ირინა გუდაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა საღარაძე. საერთოდ ყველა კარგ მსახიობს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველასთან მუშაობას ვერ შევძლებ.

— ოჯახური მდგომარეობა როგორი გაქვთ?

— დიდი ხნის წინ ვიყავი ცოლიანი. ახლა მარტო ვარ.

— კუმირი თუ გყავთ?

— ჩემი კუმირები დღეს შეიძლება ცოცხლები არც არიან, შეიძლება არც არასდროს მინახავს, მაგრამ ვიცი რომ ძალიან დიდები იყვნენ და ძალიან მინდა დავემსგავსო მათ. დიდი ხნის წინათ, როცა „კავკასიური ცარცის წრე" ვნახე, პატარა ვიყავი, მაგრამ ის გრძნობა, რომელიც მაშინ ზვავივით მომასკდა, დარბაზში დედასთან ერთად მჯდომს, დღემდე ცხადად მახსოვს. მაშინ ვუთხარი ჩემს თავს — აქ მინდა ვიყო!..

— და წარმატებასაც მიაღწიეთ?

— ვერ ვიტყვი რომ არა, მაგრამ ეს მაინც ის არ არის, რასაც ჩემს თავს ვუსურვებდი. ერთი ძალიან კარგი თვისება მაქვს, არასოდეს ვარ საკუთარი თავით კმაყოფილი.

— თქვენი თაობის სახე როგორია?

— შეიძლება ეს არის თაობა, რომელმაც ვერ გაარკვია, რა უნდა?!.

— თუ ვერ გაარკვია, სად მოხვდა?!.

— შეიძლება. ეს ალბათ არის თაობა, რომელსაც გამოაცალეს იდეალები, დაუმსხვრიეს კერპები და ფეხქვეშ სიმყარის მაგივრად ჭაობის ზედაპირი შერჩათ... ძალიან მეშინია, ჩვენი შემდგომი

თაობები კიდევ უფრო არ გაუხეშდნენ, მთლიანად არ გაუცოდეთ გული. არ მოხდეს მათი შეგრძნებების, ნერვიული დაბოლოებების პლომბირება.

— გეშინიათ ცინიზმის?

— ძალიან, რადგან ამ დროს კარგის დანახვის უნარს კარგავ და საკუთარი თავის ჭამას იწყებ. ცინიზმის პატარა მონსტრები ყველას გვყავს. ამიტომ უნდა ვეცადოთ ჩვენს თავში მოვსპოთ ისინი და ამით სხვებიც გადავარჩინოთ.

— ღმერთი თუ გეგულებათ სადმე?

— ულმერთო სამყაროზე არც მინდა ვიფიქრო.

— არტისტი მისაბაძი უნდა იყოს?...

— რასაკვირველია. მაგალითად, ბატონი გოგი გეგეჭკორი რომ გაივლის თეატრში, მე მგონია, არ რჩება ადამიანი, რომელიც მოწიწებით არ იმსჭვალებოდეს მის მიმართ.

— ძნელია რეჟისორობა?

— ძალიან. რეჟისორობა ალბათ წლობით დაგროვილი გამოცდილების პროფესიაა.

— სათქმელი თუ გაქვთ?

— თუ სათქმელი არ მაქვს, მუშაობას ვერც დაიწყებ.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— რუსთაველის თეატრში ვდგამ „მედეას“.

— ვის?

— ევრიპიდეს, ანუის, სენეკას, რაზუმოვსკაიას და სხვებისაც!..

— ამდენი ავტორი, რა საჭირო იყო?

— ყველგან მოვიძიე ის მედეა, როგორიც მინდა რომ იყოს იგი. მინდა, რომ ჩემი სპექტაკლი, ორი — კოლხური და ბერძნული ცივილიზაციის შესახებ იყოს, რომელთა შეუთავსებლობამ მედეაც იმსხვერპლა და ორი უცოდველი ყრმაც. ჩემმა მედეამ მინდა დაუმტკიცოს სამყაროს, რომ კოლხური ცივილიზაცია არსებობდა, არსებობს და იარსებებს!..

— შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენში პატრიოტულმა ჯანყმა იფეთქა?

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ ოცდაოთხ საუკუნოვანი ლაქა ჩამოვაცილოთ მედეას....

2000. XII.

გიორგი თავაძე

— გიორგი თავაძე, რეჟისორი, დაბადებული?
— 1962 წლის 5 მარტს.
— მშობლები?
— მამა — მერაბ თავაძე, მსახიობი, კინორეჟისორი. დედა — ირმა გურიელი, მსახიობი, ჟურნალისტი. ჯერ რუსთაველის თეატრში მუშაობდა, შემდეგ მოზარდმაყურებელთა თეატრში. წლების განმავლობაში იყო ტელევიზიის დიქტორი. წერს ლექსებს.
— სად სწავლობდით და როდის?
— 1984-89 წ. წ. თეატრალურ ინსტიტუტში.
— თავიდანვე რეჟისურაზე ოცნებობდით?
— ჯერ მსახიობობა და თუმანიშვილის ძოწაფეობა მინდოდა. მაგრამ როცა სასცენო მეტყველების კათედრის მაშინდელმა გამგემ ბაბულია ნიკოლაიშვილმა მომისმინა, პირდაპირ მითხრა — სუსტი ხმა გაქვს და სჯობს მსახიობობაზე ოცნებას თავი დაანებოო!.. ამიტომ გადავწყვიტე სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაბარება.

იმ წელს დამაგვიანდა, ბატონ მიშას უკვე აყვანილი ჰყავდა ჯგუფი და ხუთი წელი უნდა მომეცადა სანამ ისინი დაამთავრებდნენ და ახალ ჯგუფს აიყვანდა. მაშინ ასეთი წესი იყო. უსაქმოდ რომ არ ვყოფილიყავი, სატელევიზიო თეატრში დავიწყე მუშაობა.

ძალიან გამიმართლა, რადგან სატელევიზიო თეატრის ხელმძღვანელად თუმურ ჩხეიძე დამხვდა. ისე რომ სკოლის მერხიდან პირდაპირ მისი ასისტენტი გავხდი. საოცრად ნაყოფიერი წლები მქონდა. პროფესიის ანბანში პირველად სწორედ მასთან გაეერკვიე.

ხუთი წლის შემდეგ, როცა კელაე დაებრუნდი ინსტიტუტში ჩასაბარებლად, მიხეილ თუმანიშვილის მაგივრად რობერტ სტურუას ჯგუფში აღმოეჩნდი და როგორც აღმოჩნდა, ჩემდასაბედნიეროდ.

სტურუა უფრო პრაქტიკულ მეცადინეობაზე აკეთებდა აქცენტს, ვიდრე თეორიაზე, ძირითადად რეპეტიციებზე დასწრებით, თაეის მუშაობაზე თვალის მიდევნებით გეზრდიდა. თითქმის სულ მის გვერდით ვიყავი — რეპეტიციებზე, სპექტაკლებზე, მხატვართან, კომპოზიტორთან შეხვედრებზე, გასტროლებსა და რესტორნებში! ბატონ რობიკოს ეს საქმეც ძალიან უყვარს! თუმცა, მთელი ღამეც რომ გაათენოს, რეპეტიციაზე არასოდეს დაიგვიანებს. ვერც ვერაეინ ვერაფერს შეატყობს.

ჩვენს ასეთ ურთიერთობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩემთან ერთად მიღებული მეორე სტუდენტი წავიდა და სტურუას მთელი ჯგუფი მარტო მე ვიყავი!..

— ტელევიზიაში მიღებული ცოდნა გამოგადგათ?

— იქ ცოტა სხვა ტიპის პრაქტიკა მქონდა. ტელევიზიამ კადრებით აზროვნება ჩამომიყალიბა. მიმღები კომისიის წევრებმა ამაზე მიმითითეს კიდეც, როცა ჩემ მიერ წარდგენილ რასინის ტრაგედიის „ფედრას" სარეჟისორო გეგმას გაეცნენ. „ფედრა" კი იმიტომ მქონდა არჩეული, რომ თუმანიშვილს ჰქონდა დადგმული რუსთაველის თეატრში.

— იპოლიტს...

— დიახ, მამაჩემი თამაშობდა.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში დაგტოვეს?

— დიახ, და სხვაგან წასვლა ვერც წარმომიდგენია. დიდი მაგიური ძალა აქვს ამ თეატრს. ისე შეგიყვარდება, უბრალოდაც რომ გაიხედო გვერდზე, გგონია ამით მას ღალატობ.

— თქვენი პირველი სპექტაკლი იყო?

— ირაკლი სამსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე". პირველ რეპეტიციაზე ბატონმა რობერტმა შემიყვანა. წესი არ

დაარღვია, თორემ წარდგინება რაში მჭირდებოდა, დასის წევრები ძალიან კარგად მიცნობდნენ. დამფრთხალი მაინც ძალიან ვიყავი. სარეპეტიციო დარბაზში სულ სახალხო არტისტები ისხდნენ — გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, კარლო საკანდელიძე, ნანა ფაჩუაშვილი...

ის წუთიც კარგად მახსოვს, ბატონი რობერტი სარეპეტიციო დარბაზიდან რომ გადიოდა და ღიმილით დაგვიბარა — ახლა თქვენ გააგრძელეთო!..

წამიერი პაუზა და სულშეგუბებული, ვხედავ ყველა მე მიყურებს?!. მორჩა, ველარსად წახვალ, უნდა დაიწყო რეპეტიცია, უნდა გახდე რეჟისორი!.. ჯერ გამიჭირდა, ვნერვიულობდი, მაგრამ მსახიობებმა გამიადვილეს მათთან ურთიერთობა და შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა. ვფიქრობ, ცუდი სპექტაკლი არ იყო, უბრალოდ ცუდმა დრომ მოუწია — არეულობები, ომი, აღარაფის ეცალა თეატრისათვის.

— რამდენი სპექტაკლი გაქვთ დადგმული?

— შემდეგი კვლავ ირაკლი სამსონაძის პიესა „იქ, სადაც ღვარად მოედინება“ დავდგი. მერე სტურუასთან ერთად თამაზ ჭილაძის „ნახვის დღე“. ქუთაისის თეატრშიც დავდგი ერთი სპექტაკლი. სამეფო უბნის თეატრში დავდგი ლაშა ბუღაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“.

— რას ნიშნავს რობერტ სტურუასთან ერთად დადგმული სპექტაკლი — არ იჩრდილებით?

— ვიღაცას შეიძლება ძალიან გაუჭირდეს. მე იმდენად ვარ მიჩვეული ამ ურთიერთობას, რომ არ მიჭირს. შეიძლება თამამად ვღერს, მაგრამ იმდენად ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, რომ ძირეული ჩარევა აღარ გამოდის. ისე არ არის, რომ მე სადღაც, სულ სხვა მიმართულებით მივდივარ, უცებ შემოვა და მთლიანად დაანგრევს ყველაფერს. არც ესთეტიკის და არც სათქმელის თვალსაზრისით ჩემთან ძალიან მტკივნეული ჩარევა და რადიკალური ცვლილებები არ ხდება. თუ ჩაერევა ცუდს ხომ არ გააკეთებს?!. ჩემთვის ხომ ესეც გამოცდილების შეძენაა? მიმაჩნია, რომ რეჟისურა ისეთი პროფესიაა, სწავლა არასოდეს მთავრდება. ახლახანს ერთ პიესაზე ემუშაობდი და ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს საერთოდ არაფერი ვიცოდი და სწორედ აქედან უნდა დამეწყო სწავლა!..

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა ვუწოდოთ, ბოლოს მაინც განცდასთან და წარმოსახვასთან მივდივართ. თქვენ როგორი თეატრი გიყვართ?

— ძალიან მიჭირს, როცა შემოქმედებას რაღაც ტერმინებით ბოჭავენ. ჩემთვის მთავარია ზეიმი იყოს, მაყურებელს ემოცია გადაეცემოდეს. და, რაც მთავარია, ჩემში, როგორც დამდგმელშიც იწვევდეს ემოციას. მიმაჩნია, რომ ყველა შენი ნამუშევარი შენს თავს უნდა დაამსგავსო. მასში ხომ შენს გარკვეულ ნაწილს, შენს სულიერ მდგომარეობებს, შენს ბავშვობას, ისტორიებს ეძებ. ჩემთვის ეს არის სფერო, სადაც მე ერთგვარ აღსარებას ვამბობ ანდა შეიძლება ჩემს სიზმრებს ვყვები. ამიტომ არ მინდა სახელი დავარქვა, თუ როგორი თეატრია ეს. საერთოდ, მე მეჩვენება, რომ ეს ის ტერმინებია, რომლებიც თეატრმცოდნეებმა მოიგონეს!.. რობერტ სტურუას თეატრი ეს არის მოყოლა სხვა ხერხებით. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, შეიძლება მასთან გაცილებით მეტი ფსიქოლოგიური სიღრმეებია, ვიდრე სხვა რომელიმე რეჟისორთან.

— როგორ მუშაობთ სპექტაკლზე?

— პიესაზე მუშაობის დაწყებისას ძალიან მნიშვნელოვანია ვიპოვო მელოდია, რომელიც შეიძლება სპექტაკლში არც გამოვიყენო, მაგრამ მას აუცილებლად უნდა მივაგნო. ხშირად მე თავად ვეთხზავ მას და ვღიღინებ, რათა იმ განწყობას მივაგნო, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სცენების გადაწყვეტაში რომ დამეხმარება.

ამის გარდა ძალიან მნიშვნელოვანია წინასწარ ვიცოდე ფინალი. საერთოდ, არსებითი მაინც სათქმელია. სათქმელს თუ ვერ ვხედავ, პიესას ვერ ვდგამ. მირჩევნია ცუდი სპექტაკლი იყოს, მაგრამ სათქმელი ჩანდეს. თუ ერთიც არის და მეორეც, ამას რა სჯობს.

— სპექტაკლით „ნუგზარი და მეფისტოელი“ რას ამბობთ?

— მე და ლაშა ბუღაძეს შორის უთანხმოება სწორედ იდეაზე განსხვავებული შეხედულების გამო მოხდა. მასთან ნუგზარს ჯოჯოხეთში ის გარემო ხვდებოდა, რომელშიც დედამიწაზე ცხოვრობდა.

ჩემთვის ეს რეალობა და ჩვენი ყოფა ჯოჯოხეთი არ არის. მე არ მაღიზიანებს ეს მდგომარეობა, რადგან ვიცი, რომ უარესიც არსებობს. ამიტომ ჩემს სპექტაკლში ასე გავაკეთე — კაცი (ნუგზარი), რომელმაც ყველაფერზე მოაწერა ხელი და ყველაფერი

მიიღო რაც სურდა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენს, რომ ამისათვის ძალიან ბევრი ადამიანი გაწირა. მათ შორის საყვარელი ადამიანიც. ვფიქრობ, რომ კათარზისიც სწორედ აქ მოხდა. თან, სულ ერთმა პატარა შემთხვევამ გამოიწვია ეს. ე. ი. მაინც იყო გადარჩენილი მცირე მარცვალი, რომელმაც რაღაც შემოატრიალა და ეს გონებაშეზღუდული კაცი ადამიანად აქცია.

— ანუ თქვენ უფრო შემწყნარებლურად მოექეცით გმირს, ვიდრე დრამატურგი?

— მე შეეცადე ბოროტებასთან შეხების გზით ადამიანი პიროვნებად ქცეულიყო. იგი ხომ იმდენად შეზღუდული იყო, რომ ცხოვრება უკეთურმა ძალამ ასწავლა. თუმცა ბოლოს მაინც მიხვდა, რომ რაც უფრო მეტს მოსთხოვს მას, მით მეტ ცოდვაში ჩავარდება. ამიტომაც გაურბის და... ზღაპარივით ხომ არ დავამთავრებდი?– ჩემთან ასეა — ვითომ ზეციისაკენ ადის, მაგრამ... ისევ დაბლა ვარდება!.. უფრო სწორად ამ ასვლისას წყდება — მაღლა თუ დაბლა, ჯოჯოხეთში?!. — იმედი ჰქონდა მიეტევებოდა, მაგრამ არ მიეტევა.

— ეს ავტორს არ მოეწონა?

— მისთვის მთავარი იყო იმის ხაზგასმა, რომ ჯოჯოხეთი ჩვენი ყოფაა და გმირსაც ეს ყოფა უნდა დახვედროდა იქ. მე კი მგონია, რომ ეს არც ისეთი ახალი იდეაა. კარგა ხნის წინ მაქვს ნათქვამი. ამის გარდა, პიესის მეორე მოქმედება საერთოდ არ მომეწონა. არაფერი არ ხდება. ყველაფერს ყვებიან. ძალიან ბევრი ვიწვალე, რათა დრამატურგიული სიცარიელე ამომევსო და პიესა უფრო ქმედითი გამეხადა.

საერთოდ მიმაჩნია, რომ ქართულ დრამატურგიაზე მუშაობა ძალიან ძნელია. იმიტომ არა, რომ ჩვენი ცუდია და სხვა კარგი, უბრალოდ, ჩვენთან თავისუფლებას ძნელად გპატიებენ. ყველაზე მომგებიანი კლასიკურ დრამატურგიაზე მუშაობაა. იგი ისეთი კანონებითაა დაწერილი, სიუჟეტი ისეა აგებული, ისეთი დახვეწილი სახეებია და კონფლიქტიც ისეა დაჭიმული, გამომგონებლობა აღარ გჭირდება.

ჩვენი პიესების უმრავლესობაში პერსონაჟები არ იცვლებიან, არ ვითარდებიან. ამბავიც, როგორც იწყება, ისე მთავრდება.

— თუმცა, ჩემი აზრით, ასეთი სქემატურობა თქვენს სპექტაკლში არ იგრძნობა?

— იმიტომ, რომ ძალიან ვეცადე ტეხილები რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო, რათა გარკვეული ცვლილებებისათვის გამესვა ხაზი.

— მსახიობებისაგან რას ითხოვთ?

— პირველ რიგში ფანატიზმს. პროფესიისადმი თავგადადებული მსახიობები მიყვარს. ვითხოვ ერთგულებას — რეჟისორები ეგოისტები არიან და არასოდეს მოსწონთ მსახიობი ხან აქ რომ არის და ხან იქ. ამის გარდა, აუცილებლად ემოციური უნდა იყოს. ვერ ვიტან ინერტულ მსახიობებს, რომლებსაც ზეზეურად სძინავთ. ადამიანს თუ ძარღვი არ აქვს, ჩემთვის მოსაწყენი ხდება. უნდა იყოს პლასტიური. ყოველ შემთხვევაში, მე ვცდილობ ასეთ მსახიობებთან ვიმუშაო.

— თეატრი რეჟისორისაა თუ მსახიობის? რობერტ სტურუას აბრალებენ, მსახიობები დაჩაგრაო?!

— როგორ არის თეატრი რეჟისორის, როცა ყველაზე მეტ ტაშს მსახიობები იღებენ. რეჟისორი მთავრდება მაშინ, როცა სპექტაკლი იბადება. თუმცა ჩვენს გარეშეც ვერაფერს გააკეთებენ. შემთხვევით ხომ არ გამოუგონიათ ეს პროფესია თავად მსახიობებს. თეატრის განვითარებაში, ეტეობა, დადგა რაღაც ეტაპი, როცა მიხვდნენ, რომ თავად ველარ ართმევდნენ თავს.

რაც შეეხება ბატონ რობიკოს, როცა ხედავს, რომ მსახიობები რაღაცას ვერ აკეთებენ, მათ გასაკეთებელს თავად აკეთებს! ეს არის და ეს.

— მეჩვენება რომ თანამედროვე თეატრში მიზანსცენების დადგმის კულტურა აღარ არსებობს. თქვენ როგორ გგონიათ?

— თქვენ მართლაც ძალზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ, მგონი მართლაც დაიკარგა. შეიძლება ისეთი მიზანსცენები არა მაქვს, როგორიც ვთქვათ, მეიერჰოლდს, მაგრამ ნერვები ძალიან მეშლება, როცა მსახიობები ჩემ მიერ აგებულ მიზანსცენებს ცვლიან. ამბავს მე მიზანსცენებით ვყვები. თუმცა მსახიობებს მის არსს არასოდეს ვუხსნი. ეფიქრობ არც უნდა იცოდნენ. ალბათ ამიტომაც მიაჩნიათ, რომ ყველაფრის ასე იოლად დარღვევა შეიძლება.

— მარჯანიშვილს მიაჩნდა — „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. თქვენ როგორ გგონიათ?

— ვეთანხმები მარჯანიშვილს!.. თეატრმა მართლაც უნდა გაახალისოს, ბედნიერება მიანიჭოს ადამიანს. თუმცა თეატრი

ძალიან ფხიზელიც უნდა იყოს, თავისი იდეებით მუდმივად ავანგარდში უნდა იდგეს. ძალიან ბევრით უნდა უსწრებდეს დროს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. იმაზე მსჯელობას რა აზრი აქვს, რაზეც ტროლეიბუსსა და მეტროში მსჯელობენ?! ცხოვრების კუდში ადევნებული თეატრი საშინელებაა!..

— თქვენი პროფესის მთავარი სირთულე?

— მთავარი სირთულე თანამოაზრეთა გუნდის შექმნაა. რეჟისორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გვერდით ჰყავდეს ის ადამიანები, რომელთაც მისი ესმით. დიდი დრო და ენერგია ამაოდ გეკარგება, როდესაც მუშაობის დაწყებამდე უნდა აუხსნა, გააგებინო რა გინდა, შენს მრწამსა და ესთეტიკას აზიარო. ხშირად არაფერი გამოდის. თითქოს ძალიან ნიჭიერ მსახიობებს შემოიკრებ, მაგრამ ხვდები რომ ვერაფერს აგებინებ, ან უბრალოდ არ სურთ რომ გაიგონ, არ მოსწონთ ასეთი თეატრი. ერთი სიტყვით, ძალიან კარგია როცა გყავს გუნდი, რომელთანაც მუდამ თუ არა, გარკვეული პერიოდი მაინც იმუშავებ. მუდმივად არც გამოდის. შენც იხარჯები, იმათაც ბეზრდები...

— უფრო როგორი პიესები მოგწონთ?

— მკვეთრი და მძაფრსიუჟეტიანი პიესები. დეტექტივს არ ვგულისხმობ. მომწონს პიესები, სადაც რაღაც ხდება ისეთი, რომელიც ყოველდღიურობის მსგავსი არ არის. ყოფა და თანადროულობა არა ისეთი როგორიც არის, არამედ ცოტა გიჟური და პოეტური!.. თუ პიესაში არ არის რაღაც უჩვეულო, ვერ ვდგამ.

— იმ ფულის გამო "სამშობლოს" დასადგმელად რომ იყო საჭირო, ქართული სცენის სიამაყე ვასო აბაშიძე, მუხრან ბატონის გასაცინებლად „შეხტა და შემობზრიალდა", თქვენ თუ ხართ მზად, ღირსება შეწიროთ თეატრს?

— ალბათ ვარ, მაგრამ რომ ვთქვა, ცოტა შემრცხვება!...

— მოქალაქეობრივი ვალი რას ნიშნავს თქვენთვის?

— ძალიან ბევრს. ერთხელ სუფრასთან ვისხედით და ბაბუაჩემმა ერთი ასეთი კითხვა დამისვა — რა არის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი, თვით სამყაროზეც დიდი, ისეთი, ღმერთს რომ უტოლდებაო? — პატარა ვიყავი და არ ვიცოდი რა მეთქვა. ბებიაჩემს გავხედე, ის რაღაცას მკარნახობდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მერე ისევ ბაბუამ მითხრა — სიმართლეო!...სიმართლემ ყველაფერი იცისო! ჩემთვისაც მთავარია ვიყო მართალი და რასაც

ვემსახურები, სიმართლით ვემსახურო, მოქალაქეობრივი ვალი ჩემთვის ეს არის.

— როგორია თქვენი თაობის სახე?

— ჩემს თაობას საშინელ დროს მოუწია ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და თითო-ოროლამ თუ შეძლო რაღაცის კეთება. ყველაფერი ერთბაშად დაგვატყდა თავზე — იმპერიის მსხვრევა, ომები... და სანამ გონზე მოვედით, სულ სხვა თაობა გამოჩნდა, რომელმაც უცებ ამოავსო ჩვენი დაბნეულობით გამოწვეული სიცარიელე და ყველაფერი გამოგვტაცა ხელიდან. მერე რა, რომ წერა არ იციან — მწერლები მაინც გახდნენ! ხატვა არ იციან — მაინც დიდი მხატვრები ჰქვიათ!... და ა. შ. ჩემი თაობა დაბნეული თაობაა. მე და ჩემს მეგობრებს ხშირად გვისაუბრია ამ საკითხებზე. მშობლიურსაც ვიცნობთ და მსოფლიო ლიტერატურასაც, ისიც ვიცით, რომ ის, რასაც ახლა ჩვენში პრემიებს ანიჭებენ მდარე ლიტერატურაა, მაგრამ რა უნდა ვქნათ?! თეატრი ლიტერატურაზე დგას და იძულებული ხარ ან ასეთ რამეებს აუბა მხარი ან საერთოდ გვერდზე გადგე. ორთავე შემთხვევაში საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდები.

ახალგაზრდა ადამიანისათვის ადვილი არ არის იმის აღიარება, რომ შენ უკვე სადღაც იქ, წარსულში ხარ! არადა იმასაც ხომ აშკარად ვხედავ ჩვენს შორის რამხელა ნაპრალია. ისინი სრულიად სხვაგვარად აზროვნებენ. პრიციპულად წინააღმდეგი არიან იმისა, რაზეც მე ვარ გაზრდილი და რაც ჩემში გარკვეულ ემოციებს იწვევს. არ დაგიმალავთ და ცოტათი სენტიმენტალური ვარ. ისინი ყველაფერ ამაზე ხელს ატაატანებენ — აპა, პა, პა, პა, სენტიმენტალური არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს! .. კი ბატონო, თუ ასე გინდა, შემიძლია არ ვიყო, მაგრამ რატომ?..

— ნიჰილიზმოძალებულები არიან?

— არ ვიცი, რაღაცნაირი სიციცე აქვთ. მათში არის რაღაც გაყინული და მკაცრი. სიყვარულშიც კი. ესეც ალბათ იმ ნაპრალის ბრალია, რომელიც ჩვენს შორის გაჩნდა. თუმცა, ამ დაბნეულობიდან თანდათან გამოვდივართ მგონი.

— ეროვნული ინტერესები რას ნიშნავს თქვენთვის?

— ძალიან ბევრს. ეს ისეთი კოდია თითოეულ ჩვენგანში ჩადებული, რომელიც შეიძლება მოულოდნელად ამოიფრქვეს და ისეთ დროს იჩინოს თავი, როცა სულ არ ელი. პიესას, ქართულია ის თუ არაქართული, მე ყოველთვის საქართველოზე ვდგამ. ყოველთვის

ვცდილობ გამოვიდე იმ სათქმელიდან, იმ პრობლემებიდან, იმ ტკივილებიდან, რომელიც ჩემს ერს აწუხებს.

— „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“

— თუ ქვეყანა ჯერ კიდევ საქართველოა, თეატრიც ქართული იქნება!.. თუმცა თეატრშიც არის რაღაცეები, როცა მიხარია, რომ ეს ქართულია; არის რაღაცეები, როცა მრცხვენია!..

— იყო ხორავას, ვერიკოს, გოძიაშვილის, სესილიას მაყურებელი, ამჟამად არის საინფორმაციო გადაცემების, ტელეშოუების, „ფსიქოს“ მაყურებელი. სად არის თეატრის მაყურებელი?

— შეიძლება ახლა მართლაც შეთხელდა ეს ტალღა, მაგრამ მთლიანად იგი არასოდეს გაქრება. ეს გარდამავალი ეტაპია, ხალხს მობეზრდება პოლიტიკაც და ყველაფერი ის, რითაც ახლაა გატაცებული. თეატრის უნიკალურობა ადამიანების უშუალო ურთიერთობაშია. ბუნებაში ამის მსგავსი არაფერი არსებობს. თეატრს ვერაფერი გაუწევს კონკურენციას.

— უკომპრომისობა რას ნიშნავს თქვენთვის?

— კომპრომისი ცუდია, მაგრამ თეატრი ის ადგილია, რომელიც წინასწარ გვკარნახობს კომპრომისს. იქ რომ მიხვალ, შენი ჩანაფიქრის 30 — 40 % მაინც თუ განახორციელე, უნდა მიიჩნიო, რომ ეს დიდი შედეგია. რასაკვირველია, უნდა იყო შეუპოვარი, გამბედავი, მკაცრი და დაუნდობელიც კი ზოგ შემთხვევაში, მაგრამ!.. ხშირად მახსენდება მოლიერის მეფესთან გაგზავნილი წერილები, პარიზიდან წასვლა და დასსთან ერთად წლების მანძილზე პროვინციაში მოგზაურობა. ბულგაკოვს შესანიშნავად აქვს აღწერილი მისი დაბრუნება პარიზში. როგორ გააჩერა თავისი დასი სანამ პარიზში შევიდოდა, როგორ იდგა რამდენიმე საათი და ფიქრობდა — დაბრუნებულიყო თუ არა პარიზში?!.. ბოლოს გადაუჭირა მათრახი ცხენს და შევიდა იქ, საიდანაც ყოველად უკადრისად იყო გაგდებული!..

ასეთ გიგანტებს, გენიოსებსაც კი თუ ამხელა კომპრომისზე წასვლა უწევდათ, რომ მთავარი გადაერჩინათ, ჩვენ ვინ ვართ?..

— ე. ი. მოლიერის კომპრომისმა მოლიერი გადაგვირჩინა?!..

— რასაკვირველია. ვფიქრობ, გააჩნია რისთვის მიდიხარ კომპრომისზე.

— თეატრი აწყმოში არსებული ხელოვნებაა. რეჟისორების, მსახიობების შემოქმედება თეატრმცოდნეების წყალობით „ძლებს“ დროში. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— თეატრმცოდნეებს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ისტორიებსაც წერენ და ცოცხალ პროცესებსაც ეხმაურებიან, იმას რა სჯობს, როდესაც შენი სპექტაკლის სწორ ანალიზს კითხულობ. რეჟისორს ძალიან ეხმარება ეს.

საერთოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა ერთნი ვართ. დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, კომპოზიტორი, მხატვარი, კრიტიკოსი, ყველანი ერთ ფუძეზე ვართ აღმოცენებული. ამათგან ერთი მხარეც თუ მოიკოჭლებს, ესე იგი, სადღაც, რომელიღაც კედელში ბზარია. ამიტომ, როცა ერთი მხარე ვითარდება, მეორეც კვალდაკვალ უნდა მიპყვებოდეს.

ჩვენი თაობის თეატრმცოდნეები თითქოს უფრო ცოტაა, ან შეიძლება არ ჩანან; ჟურნალისტები კი რას წერენ და რას ითხოვენ, საერთოდ ვერ ვხედავ. მარტო სპექტაკლის აზრს კი არა, ჩვენს ნათქვამსაც ისე ამახინჯებენ, მირჩევნია მათთან ურთიერთობა საერთოდ არ მქონდეს.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ რომ თეატრი ტაძარია?

— თეატრი ტაძარი არ არის და არც შეიძლება იყოს. თეატრი არის თეატრი!..

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდით. დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეთ?

— ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ერს გააჩნდეს სამართლიანობის შეგრძნებისა და მოვლენების სწორად შეფასების უნარი. მე მეჩვენება, რომ ამ მხრივ მაინცდამაინც კარგად არ გვაქვს საქმე. თუმცა, რაღაც ძალა, მაცოცხლებელი ენერგია მაინც იგრძნობა ხალხში. ის, რაც არ ვარგა და რომ არ უნდა შეეგუოს თითქოს ხედება, მაგრამ ვერ ხედება საით უნდა წაიყვანოს თავისი თავი, ხსნა რაშია.

ილიას დროს, ილია მართლაც ყველაფერში იყო. ეტყობა ერს სჭირდება ასეთი ადამიანი. როცა არ ჰყავს, იგონებს მას და უფრო ხშირად ისეთს, არანაირ კრიტერიუმს რომ არ მიესადაგება. აქ ალბათ ის მომენტიც არის, გიჯობს ვიღაცა ამოიჩემო, ყველაფერი მას დააკისრო და შენ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდე.

დღეს რომ ილია არ გვყავს ცხადია, მაგრამ ვილაცას თუ არა, რაღაცას ხომ მაინც უნდა გავუფრთხილდეთ? მე ვფიქრობ, ერთადერთი, რასაც აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ — სარწმუნოებაა!.. — რწმენას უნდა გაუფრთხილდეთ!..

2004. IX.

ლევან წულაძე

— ვინ ხართ თქვენ?

— ლევან წულაძე, რეჟისორი, ოცდათხუთმეტი წლის, მყავს მეუღლე — მანანა კაზაკოვა, მსახიობი. ქალიშვილი — თინათინი.

— სად და ვისთან ისწავლეთ?

— იუატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე — ბ-ნ გიზო ჟორდანიასთან, მეოთხე. კურსიდან სარეჟისორო ფაკულტეტზე — ბ-ნ მიხეილ თუმანიშვილთან.

— იდეალი გყავთ?

— ფრანც კაფკა. თომას მანი. ყველაზე მეტად ალბათ პერმან ჰესე.

— სად მუშაობთ?

— თეატრალურ სარდაფში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ვარ. სამი წელია არსებობს ჩვენი თეატრი.

— ბევრი სპექტაკლის დადგმა მოასწარით?

— ათი თუ თხუთმეტის.

— ხშირად თქვენი სპექტაკლის აფიშაზე ავტორი არ არის მითითებული, რატომ?

— რომელიმე პიესის, უფრო ზუსტად, მისი სიუჟეტური ხაზის ან სიტუაციების გამოყენებით, მე თავად ვქმნი ახალ ნაწარმოებს და იმიტომ. თუმცა, არც ჩემს გვარს ვაწერ ხოლმე. პიესა საბოლოო

სახეს რეპეტიციებზე იღებს, ჩემი და მსახიობების ერთობლივი მუშაობით.

— „და ასე შემდეგ...“, აქაც იგივე მოხდა?

— დიახ. ერთ-ერთი გერმანული ფილმიდან მეორე მოქმედების სიტუაცია გვაქვს გამოყენებული. სცენარი ეკუთვნის ახალგაზრდა გერმანელ მწერალს. იმის გამო, რომ რაღაცით მაინც ვისარგებლეთ მისი სცენარიდან, აფიშაზე მივუთითეთ ამის შესახებ. თუმცა, იმ ფილმში, უფრო ეოდევილური სიტუაციები და მსუბუქი თავგადასვლებია. სოციალური სიმახვილე პიესამ ჩვენთან შეიძინა.

— ჩემთვის, ამ სპექტაკლში, ფასეული ის არის, რომ მძაფრ და უხერხულ რამეებზე, გაბედულად და დაუნდობლად, მაგრამ თანაგრძნობითა და ტკივილით ლაპარაკობთ.

— ძალიან მიხარია ამის მოსმენა, რადგან ვფიქრობ, რომ სევდიანი სპექტაკლი დუდგი და სულ მეშინია, სხვა ელფერი არ შეიძინოს. მაყურებლის რეაქციებმა, გადაჭარბებისკენ და თვითმიზნური სასაცილოსკენ არ უბიძგოს მსახიობებს. ზომიერების დარღვევის მეშინია, თორემ, სევდა, კომიზმისა და ირონიის გარეშე, პათეტიკური მგონია და ყოველთვის ვერიდები.

— თქვეს სპექტაკლში ისიც მხიბლავს, რომ იუმორი და ირონია ცინიზმში არ გადადის.

— დიდი მადლობა ეს რომ მითხარით, რადგან ცინიზმი არის სწორედ ის, რაც თეატრში არ უნდა იყოს. მე მგონია, თეატრი დღეს ადამიანებს გვერდში უნდა ედგეს. მინდა, რომ თეატრი დაეხმაროს ჩემს თანამემამულეებს, გადაატანინოს ის უბედურებები, რომელშიც ვცხოვრობთ. მინდა როგორმე გავუადვილო არსებობა. მთავარია მიხვდეს, რომ ამ გასაჭირში მარტო არ არის.

— ე.ი. იზიარებთ ჩვენი დიდი წინაპრების აზრს, რომ თეატრი ტაძარია, სადაც შეიძლება ნუგეში და შვება იგრძნოს ადამიანმა?

— რა თქმა უნდა. თეატრი სიკეთისთვის, გაუმჯობესებისთვის არის მოწოდებული. ხელოვნება სწორედ მშვენიერებას უნდა ემსახურებოდეს.

— დღეს, არტისტს შეუძლია გამორჩეული იყოს?

— ის დრო, როცა ქართველი არტისტები გაღმერთებულები იყვნენ, თითქოს წავიდა, მაგრამ მსახიობები მაინც უყვართ. სწორედ ეს სიყვარული აძლებინებს მათ და არა მატერიალური ანაზღაურება.

და თუ ისინი დღესაც უყვართ, ე.ი. რჩეულებიც არიან და მართლებიც თავიანთ არჩევანში.

— თქვენს სპექტაკლში „და ასე შემდეგ...“ ორ, არც თუ მაინცდამაინც წარმტაც გმირს, მერი და ლამარა ჰქვია. დარწმუნებული ვარ, ამას ჩემს გასაჯავრებლად არ ჩაიდენდით! — რატომ მერი და ლამარა?!

— აქ სახელები არაფერს წყვეტს...

— შემთხვევითია?

— თითქმის.

— ვიფიქრე, რომ აზრი, სწორედ პოეტთაგან ამ ერთგვარი შარავანდედით შემოსილი სახელების დამიწებაში იყო. გალაკტიონის მერი, გრიგოლ რობაქიძის ლამარა... ივანე ჯავახიშვილი ასეთ რამეს წერს — „თავსართი „ლა“ ჩვეულებრივია სვანურში... რამდენად აუცილებელია სვანურში სახელარსებითისათვის თავსართი „ლა“, იმითაც საუცხოოდ მტკიცდება, რომ ებრაულ სახელს „მარიამ“-საც კი მიუმატეს და სვანურად ითქმის „ლამარია“, ე.ი. მარიამ ღვთისმშობელიო...“ თქვენ კი?!.

— ამდენი არ მიფიქრია. არჩევანი იმან განაპირობა, რომ მინდოდა ისეთი სახელები ყოფილიყო — ეღერადი!..

— კეთილი, მოდი ახლა „ფაუსტზე“ ვილაპარაკოთ. „ფაუსტი“ თოჯინებით, რატომ?

— წინასწარ თითქოს, არაფერი მქონდა დაგეგმილი. არსებობს მეთოჯინეთა კლუბი. იმ კლუბში რადენიმე ადამიანთან ვმეგობრობ. სულ ვფიქრობდით ერთად რამის გაკეთებას. ერთხელაც, ჩვენს მეგობარს, „გერმანულ-ქართული საზოგადოებიდან“, შესაძლებლობა გაუჩნდა ცოტაოდენი თანხა მიეღო გერმანიის საელჩოში. წინასწარი დაკვეთა იყო — გოეთეს წელთან დაკავშირებით უნდა გაგვეკეთებია რამე. მაშინვე შევთანხმდით, რომ „ფაუსტს“ დავდგამდით. ჩემთან მსახიობები, რომლებიც თოჯინებს ათამაშებენ და ახმოვანებენ, დამალულები არ არიან. ყველაფერი ღიად, მაყურებლის თვალწინ ხდება. ამასთან გოეთეს ტექსტის სირთულე და ცოტა პათეტიკურობა, თოჯინების მეშვეობით, უფრო შერბილდა. აზრის აღქმაც გაადვილდა და, რაც მთავარია, თოჯინები უფრო მართლები არიან.

— რის თქმა გინდოდათ?

— ალბათ იმის, რაც ყოველ ადამიანს თუ არა, ყოველ ხელოვანს აწუხებს — ადამიანის ურთიერთობა შეუცნობელ ძალასთან, რომელიც სამყაროს შეცნობის სხვაგვარ გზას გთავაზობს. მეტნაკლები ცდუნების წინაშე ალბათ ყოველი ჩვენგანი მდგარა, როცა გვიფიქრია, რა ადვილია იმის დაუფლება, რაც გვინდა?!. სამწუხაროდ, ამას ბედნიერებასთან არ მიუყევართ. სპექტაკლი იმაზეა, თუ საბოლოოდ რამდენი ტკივილი და უბედურება მოაქვს ამას.

— კონფორმისტი არ ხართ?

— რაც ყველაზე მეტად არ მიყვარს ადამიანში, სიტუაციისადმი მორგებისკენ მიდრეკილება და უპრინციპობაა, რაც თან სდევს კონფორმიზმს.

— ცხოვრება გამუდმებული „არა"-ს თქმაა?

— მიზნისკენ გამუდმებული სწრაფვა, ბრძოლა და ხშირად დამარცხებაც. კონფორმისტები კი არასდროს მარცხდებიან, რადგან ყოველთვის შეუძლიათ მოხერხებული პოზიციის პოვნა.

მე კი დამარცხებული ადამიანიც მიყვარს, რომელიც დამარცხების მიუხედავად, მაინც ძლიერია. რბილი ხასიათის გამო, „არას" იშვიათად ვამბობ, თუმცა პრინციპებს არ ეღალატობ.

— თქვენი თაობის სახე როგორია?

— ჩემი თაობა ფრთამოტეხილი იკარუსი მგონია. ის არის, ვისაც საბჭოეთის ოცნებებიდან თავისუფალ ცხოვრებაზე, რეალობამ ილუზიები დაუნგრია. ის იმედები გაუცრუა, რასაც ელოდა თავისი ერისაგან და საკუთარი თავისგანაც.

თუმცა, მაინც დარწმუნებული ვარ, შეეძლებთ იმას, რომ ჩემი ბავშვობის ოცნებები ამიხდეს და ღირსეული ქვეყნის ამაყი შვილი ვიყო.

9.XI. 2000

დათო საყვარელიძე

— დათო საყვარელიძე, რეჟისორი, დაბადებული?..

— 1970 წლის 21 მარტს. სუყო!..

— ეს რას ნიშნავს?

— არ ვიცი. ბავშვობიდან ასე მეძახიან!..

— მოგწონთ?

— ძალიან. ახლა ფსევდონიმად გამომადგება.

— მშობლები?

— მამა — ივიკო საყვარელიძე, ინჟინერი. კომუნისტების დროს ყოველთვის რომელიღაც ფაბრიკის ან ქარხნის დირექტორი იყო. თავადაც სპეტაკი კომუნისტი გახლდათ.

— და ყოველთვის ძალიან პოპულარული, არა?

— დიახ, თავისი სიმღერით. ჩვენი ოჯახი, უკვე ბაბუაჩემის დროიდან, ქართული სიმღერების საუკეთესო შესრულების დიდი ტრადიციებით იყო განთქმული. ბაბუა — დავით საყვარელიძე და ბებია — მიქელაძის ქალი, შესანიშნავად მღეროდნენ. ბებიაჩემის დისშვილია ნანი ბრეგვაძე. ბებიაჩემის ხუთი დისა და ერთი ძმის ოჯახებიც სიმღერის კულტითა და ქართული ტრადიციული ცხოვრების წესით იყო განთქმული. ჩემი ბავშვობის ფონიც ქართული სიმღერაა, რომლის ხმები დღემდე ბავშვობაში

მაბრუნებენ. დედას — ვერიკო ხითარიშვილს, უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ფრანგული ენის სპეციალისტია. თუმცა, იმის გამო, რომ მე და ჩემი ორი დის აღზრდას დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა, თითქმის მთლიანად მოწყდა თავის პროფესიულ საქმიანობას და ასე ვთქვათ, პროფესიონალი დიასახლისი გახდა!..

— ფრანგული ბავშობიდან იცით?

— არა, ფრანგული სუსტად ვიცი.

— დედას არ უჯერებდით?!

— პირიქით, ძალიან დამჯერი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ორიენტაცია რატომღაც უფრო ინგლისურის შესწავლაზე მქონდა. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, საბჭოთა კავშირის მთელი ყურადღება ამერიკისკენ იყო მიქცეული და, ეტყობა, ჩემი აზროვნებაც ამერიკული და ინგლისური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცა.

— ანუ ამერიკა იყო თქვენი ოცნების ქვეყანა?

— მე დღესაც ასე მგონია, რომ ამერიკა ძალიან მაგარია!.. შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე ვფიქრობ.

— ბავშვობა და სკოლა?

— ჯერ პლეხანოვზე, 23-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ჩემი პირველი პედაგოგი იყო შესანიშნავი ქალბატონი დუშა სანიკიძე. მსახიობ ჟანრი ლოლაშვილის დედა. შემდეგ ვერაზე 53-ე საშუალო სკოლაში გადავედი. სკოლა დავამთავრე 1987 წ. რადგან დაბადებიდან ქართული სიმღერის საოცარი პანგების თანხლებით ვიზრდებოდი, მუსიკა დღემდე ჩემი განუყრელი თანამგზავრია. როგორც წესი, ყოველ დაბადების დღეს რომელიმე ახალ ინსტრუმენტს მჩუქნიდნენ და მეც სიამოვნებით ვსწავლობდი მათზე დაკვრას. ამის გამო ხალხური საკრავებიდან დაწყებული, ყველა ინსტრუმენტზე ვუკრავ. ისეთ რთულ ინსტრუმენტზეც კი, როგორიც ვიოლინოა.

— თეატრი როდის აღმოაჩინეთ?

— ეს როგორღაც თავისთავად მოხდა. ერთხელაც მივხედი, რომ ძალიან ვიყავი გატაცებული ანტიკური დრამატურგიით!.. სკოლაში, გაკვეთილის დროს, ჩუმად ვკითხულობდი ხოლმე სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს?!. შემდეგ კი მათში აღწერილი ცხოვრების სურათებს წარმოსახვაში ვაცოცხლებდი. ამ დროს მე არქეოლოგიც ვიყავი და არქიტექტორიც.

არ ვიცი რატომ დავიწყე მაინცდამაინც ანტიკური დრამატურგიით. თუმცა, მალე მივხვდი, რომ თეატრის განვითარების შემდგომი პერიოდებიც არანაკლებ საინტერესო იყო. გამუდმებით ვფიქრობდი წაკითხულ პიესებში აღწერილი სურათების სივრცეში განლაგებაზე. თანდათან აღმოვაჩინე შექსპირის გენიალური სამყარო!.. ჩეხოვი!.. ბრეხტი!.. ბეკეტი!.. და ასე მოვედი დღევანდლამდე. ამჟამად ყველაზე მეტად თანამედროვე ფრანგული დრამატურგია მიტაცებს.

— სად სწავლობდით და როდის?

— თეატრალურ ინსტიტუტში 1990 წელს მოვხვდი. თავიდან ტელესარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე, რადგან იმ წელიწადს დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე მიღება არ იყო. სპეციალობას ბატონი ნუგზარ ლორთქიფანიძე მასწავლიდა. მართალია, მასთან ძალიან ცოტა ხანს ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ მომცა. არაჩვეულებრივი სიფაქიზით მიყავდით პროფესიის შემეცნების გზაზე. ის, რაც მანამდე, რატომღაც, რაღაც უხეში და ექსტრავაგანტური მეგონა, მისი წყალობით მივხვდი, რომ ძალზე სათუთი რამ იყო.

ბატონი ნუგზარ ლორთქიფანიძის შემდეგ, ჩვენს ჯგუფში ბატონი თემურ ჩხეიძე შემოვიდა. უფრო ზუსტად, სულ რამდენიმე შეხვედრა გვქონდა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი. მანაც მალე დაგვტოვა, რადგან უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა. ამით მე ნაკლებად დავზარალდი, რადგან პარალელურად ბატონ მიხეილ თუმანიშვილის ლექციებზე დავდიოდი სხვა კურსზე. ერთი წლის შემდე კი, როცა ახალი ჯგუფი აიყვანა, მთლიანად მასთან გადავედი. კარგი ჯგუფი იყო. დღეს, ყველა ჩემი თანაჯგუფელი თეატრშია — დათო დოიაშვილი, გიორგი სიხარულიძე, დათო მღებრიშვილი, გურანდა იაშვილი, თორნიკე მარჯანიშვილი. დღემდე ვმეგობრობთ და ვფიქრობ, ძალიან ვამდიდრებთ ერთმანეთს.

1992 წლის გაზაფხულზე, მეორე კურსზე ვიყავით, დათო დოიაშვილის ინიციატივით და დამსახურებით, იტალიაში რომ წავედით და სამი თვე დავყავით მე და დათომ იქ. მაშინ ძველი კავშირები ჯერ კიდევ არსებობდა და რუსეთის საელჩო დაგვეხმარა, რათა რომისა და მილანის თეატრებს გაეცნობოდით. ვნახეთ სპექტაკლები, გავეცანით მათ სტრუქტურას, შევისწავლეთ სარეპერტუარო პოლიტიკა. რაც მთავარია, შეეხვდით გენიალურ

ხელოვანს, „პიკოლო-ტეატროს " ერთ-ერთ დამაარსებელს, ჯორჯო სტრელერს. იმ დროს ახლადაშენებულ სტუდიაში ვნახეთ იგი, სადაც თეატრალიზებულ საპირველმაისო დემონსტრაციის ორგანიზებაზე მუშაობდა. არაჩვეულებრივად დიდ ზემოქმედებას ახდენდა. თუმცა, ერთი შეხედვით, შეიძლება გეფიქრათ, რომ ეს არის გიჟი, რომლისთვისაც იტალიური თეატრის ბედი მიუნდიათ!.. რომელიც ქმნის ამ თეატრის სახეს და წარმართავს არა მხოლოდ დრამატიულ თეატრებს, ოპერასაც!.. სინამდვილეში ეს იყო პიროვნება, რომელიც თავის თავში დიდ ლიტერატურას ატარებდა. უფრო მეტიც, მთელს იტალიურ კლასიკურ ხელოვნებას. მის გემოვნებაში, თეატრალურ აზროვნებაში შერწყმული იყო შუასაუკუნეები, აღორძინება და თანამედროვეობა. ეს იყო ამ უდიდესი კულტურით მოცული დიდი პოეტი. ყოველ შემთხვევაში, თავი ასე ეჭირა და მე ეს მჯეროდა. თითქმის ყველა მისი სპექტაკლი მაქვს ნანახი და ისინი ჩემთვის დღემდე რჩებიან ამოცნობის, განსჯის, ანალიზისა და შესწავლის საგნად.

სადიპლომოდ დასადგმელი პიესაც კარლო გოლდონის „საპატარძლო აფიშით", ჯორჯო სტრელერისა და იტალიური კულტურის გავლენით ავირჩიე. იგი თავის დროზე დიმიტრი ალექსიძეს ჰქონდა დადგმული რუსთაველის თეატრში და როგორც ბატონი მიშასგან ვიცოდი — დიდი წარმატებითაც. მე რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრში დავდგი.

ჯორჯო სტრელერის მეშვეობით გავიცანი... ბატონი რობერტ სტურუაც! — მან დიდი მოკითხვა დამაბარა სტურუასთან და ეს მოკითხვა მას ესპანეთში გადავეცი! — იტალიის შემდეგ, იმავე წლის ზაფხულში, იმ დროს აღმოჩნდი სევილიაში, როდესაც იქ რუსთაველის თეატრი იმყოფებოდა გასტროლებზე. ბატონი რობერტი იქ ვნახე პირველად და იმდროინდელი შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია. რობერტ სტურუა საზღვარგარეთ?!.. ეს სხვა ადამიანია!.. სასწაულია!.. მას შეუძლია გასაოცარი დღესასწაულებით შეგიძღვეს იქაურ სამყაროში და იმ არაჩვეულებრივ სიკეთეებს გაზიაროს, რომელსაც ასე კარგად იცნობს.

ესპანეთის შემდეგ ბატონ რობერტთან კიდევ უფრო დაახლოება იმ დროს მოხდა, როცა იგი „სეჩუანელ კეთილ ადამიანზე" მუშაობდა. მე რეპეტიციებს ვესწრებოდი. ინსტიტუტი ჯერ არ

მქონდა დამთავრებული, მაგრამ მე უკვე ვიყავი იქ მიმდინარე ამბების ერთ-ერთი მონაწილე.

რუსთაველის თეატრში ჩემი პირველი სპექტაკლი იყო ებრაელი დრამატურგის ნანოხ ლევინის ძალიან საინტერესო პიესა „პირდაღებული". ლევინი ისრაელში გავიცანი. ისიც მაგარი გიჟი იყო!.. საბწუხაროდ, ამ რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა. შემდეგი პიესა იყო ედუარდ ბონდის „ვიწრო ბილიკი ჩრდილოეთისაკენ". ბატონ რობერტთან ერთად კი კარლო გოცის „ქალი გველის" დადგმაზე ვიმუშავე. ეს სპექტაკლი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში გამოყენებულია ჩემი მუსიკა, ჩემივე შესრულებით. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ მე ამ მიმართულებითაც ძალიან ბევრს ვმუშაობ. სხვადასხვა თეატრის ოცდაათამდე სპექტაკლისთვის მაქვს მუსიკა დაწერილი. ისეთებისთვისაც, როგორიც იყო, მაგალითად, დათო დოიაშვილის გახმაურებული წარმოდგენა „ცხოვრება იდიოტისა".

„ქალი გველის" მერე სარდაფში გადავინაცვლე და იქ დავდგი ლაშა ბუღაძის პიესა „ოთარი". რაც მთავარია, ამ დროისათვის მე აღმოვაჩინე, რომ მთელი თაობები ორი დიდი რეჟისორის, ორი მონსტრის — თემურ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას გავლენის ქვეშ ვიყავით მოქცეულები!.. არა მხოლოდ რეჟისორები, დრამატურგები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები მთლიანად ამ ორი პოლუსიდან გამომდინარე მოქმედებდა. ჩემმა თაობამ კი მგონი ისიც აღარ იცოდა, საერთოდ თუ შეიძლებოდა სხვაგვარად დადგმა?!. ეს ერთგვარი „საბჭოთა კავშირი" ამ დიდმა რეჟისორებმა რომ შექმნეს, რასაკვირველია, ერთის მხრივ ცუდი არ იყო, მაგრამ მეორე მხრივ ძალიან ცუდად მოქმედებდა, რადგან არანაირ გასაქანს აღარ აძლევდა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, ახალი სამეტყველო ენის ძიებას.

მე ეს კარგად ვიცი, რადგან სხვადასხვა თეატრებში ბევრს ვმუშაობ და კარგად ვხედავ სტურუას სპექტაკლებიდან ლამის მთელი სცენები აქვთ გადატანილი!..

როდესაც ყველაფერი ეს გავიაზრე, მივხვდი რომ აუცილებლად უნდა მეძებნა ამისგან თავის დაღწევის გზები, რაც ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა რომ ყოველნაირად ვცდილობ სხვაგვარად ვიაზროვნო, ვგრძნობ, გავლენისაგან თავისუფალი მაინც არ ვარ.

ლაშა ბულაძის პიესის არჩევანიც ამან განაპირობა. მინდოდა ჩემი სამეტყველო ენა ახალგაზრდულ სიტყვაზე, ახლებურ აზროვნებაზე აღმოცენებულიყო. მინდა ვთქვა ისიც, რომ ლაშას სახელმა სწორედ ჩემი სპექტაკლის შემდეგ დაიწყო მზარდი პოპულარობა. თავად სპექტაკლის შესახებ კი რობერტ სტურუას რომ ჰკითხოთ, დღესაც გეტყვით — ასეთი ძლიერი სპექტაკლი არ მაქვს ნანახიო!.. ჰკითხეთ რა?

— აუცილებლად. მანამდე იქნებ მითხრათ, რა მოგცათ თეატრალურმა ინსტიტუტმა?

— ყველაფერი. იქ სწავლის წლები ჩემთვის საუკეთესო, არაჩვეულებრივი, ზღაპრული მოგონებაა. მე ხომ თუმანიშვილის მოწაფე ვიყავი?! მისგან ვისწავლე ჩემი შინაგანი სამყაროს, განცდებისა და ფიქრების გრამატიკულად სწორად გადმოცემა. მაზიარა რეჟისურის მართლწერის წესებს. სამწუხაროდ, იგი აღარ არის. იმისათვის კი, რომ ახალი თუმანიშვილი გაჩნდეს, დროა საჭირო.

— ოპერას როდის დაუკავშირდით?

— ბავშვობიდან. მიღებული მუსიკალური განათლების გამო, ძალიან მალე მივხვდი, რომ საოპერო ხელოვნება იყო ჩემი მომავალი. ოპერის თეატრში კი ბატონმა ჯანსულ კახიძემ მიმიყვანა 1998 წელს და თავისთან ერთად მამუშავა — ოპერის „სოფლის ღირსების“ დადგმაზე. „სოფლის ღირსება“ და არა „სოფლის პატიოსნება“ როგორც ხშირად წერენ ხოლმე.

დამოუკიდებლად კი კონსერვატორიის დიდ სცენაზე განვახორციელე ჯაკოპო პერის დრამა მუსიკისათვის „ევრიდიკე“. ამ დადგმამ ახალი თაობის მომღერლების დიდი გაერთიანება გამოიწვია.

იმავე 1998 წლიდან, ორი წლის განმავლობაში სტაჟირებას გავდიოდი ინგლისის ნაციონალურ თეატრში. თან უამრავ პატარ — პატარა დადგმებს ვახორციელებდი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია სპექტაკლი, რომელიც საფრანგეთის საელჩოს დახმარებით დავდგი. ეს იყო თანამედროვე ევროპული სამყაროსთვის ძალიან ცნობილი დრამატურგი ქალის, ლიტერატურაში ერთგვარი მიმართულების — ტროპიზმის შემქნელის, ნატალი საროტის პიესა — „ის არის აქ.“ პიესა არის აზრზე, რომელიც სადღაც აქ, ჩვენთან ახლოს იმყოფება. ხშირად

ჩვენგან დამოუკიდებლადაც, თუმცა რადგან არის, გრძნობ და გაწუხებს კიდეც!.. მაგალითად, ვაჩერებ ტაქსს, ვჯდები და მძღოლს გარკვეულ ადგილზე წაყვანას ვთხოვ, თან ყველაფერს ამას ისე ვაკეთებ, რომ მან იფიქროს — მე ზედმიწევნით წესიერი ადამიანი ვარ. გარკვეულწილად, ისე, რომ თავადაც არ აქვს გაცნობიერებული, ისიც ისე იქცევა, რომ არც მე ვიფიქრო თითქოს გასაძარცვავად აპირებდეს ჩემს გატაცებას!.. ერთი სიტყვით, ჩვენს შორის უმჭიდროესი ურთიერთობა მყარდება!..

— ანუ არასიტყვიერი ენით უწყვეტი და მძაფრი დიალოგი გაქვთ ერთმანეთთან?

— დიახ, ეს ასე ვოქვათ, ერთგვარი ჭადრაკის თამაშივითაა, რადგან სულ ისეთი სვლები უნდა ვაკეთო, რაც იმ სხვას ამა თუ იმ აზრში დაარწმუნებს. აზრში, რომელიც აქ არის!..

— წარმატებული იყო თქვენი სპექტაკლი?

— ვფიქრობ, დიახ. ქართველ მსახიობებთან ერთად თამაშობდა საფრანგეთიდან სპეციალურად ამ სპექტაკლისათვის მოწვეული, იქ ამჟამად ძალიან ცნობილი მსახიობი ქალი ნატალი რიშარი. სპექტაკლი სამეფო უბნის თეატრში დავდგი, რადგან მიმაჩნია, რომ ექსპერიმენტისათვის იქ ფანტასტიკური თეატრალური სივრცეა. რუსთაველის თეატრისაგან განსხვავებით, რომელიც ძალაუნებურად ტრადიციული აზროვნების ჩარჩოებში გაქცევს, სამეფო უბნის თეატრში მეტი თავისუფლება მქონდა. სივრცის ცვალებადობა ქცევის კანონებსაც ცვლის. ამ პიესაზე მუშაობამ ისიც მიმახვედრა, რომ თუ გინდა დღეს მიხვდე ხუთი წლის შემდეგ მსოფლიოში რა გაბატონდება, პარიზთან კონტაქტი არ უნდა გაწყვიტო.

— ე. ი. შეცდით, როცა ბავშვობაში უარი თქვით „დედათქვენის“ ენაზე?

— ახლა ხომ დავუბრუნდი?!.

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტიილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა დავარქვათ, საბოლოოდ მაინც განცდასა და წარმოსახვასთან მიგდიხართ, თქვენ როგორი თეატრის მომხრე ხართ?

— მე ავტორისა და პიესის სამყაროს გადმომცემი ვარ. ამიტომ ეს ჩემგან კი არა, ავტორისაგან უფროა დამოკიდებული. თეატრის საშუალებით ვეძებ ჭეშმარიტებას. ამ გზაზე გრძნობაც არის და

გონებაც. ამიტომ მჭირდება მსახიობი, რომელიც ამიხსნის რატომ განიცდის ამ თუ იმ ამბავს. პიესას ისე ვერ ავიღებ, თუ არ განვიცადე იგი. მსახიობისაგან კი ვითხოვ რომ გამიგოს, ჩაწვდეს, ჩემში პიესით გამოწვეულ განცდებს, ტკივილებს და გადმოსცეს იგი.

— როგორ ირჩევთ პიესას?

— არასოდეს მოკიდებ ხელს პიესას მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი დრამატურგის სახელის ზურგს ამოვეფარო და მისი სახელით გავიტანო თავი. თუ პიესა არ შემიყვარდა, მგონია რეჟისორიც არ ვარ. მაგრამ საკმარისია წავიკითხო ნაწარმოები და მომეწონოს, მნიშვნელობა აღარ აქვს, დრამატულია იგი თუ არა. ასე დამემართა, მაგალითად, აკა მორჩილაძის მოთხრობაზე „წიგნი და ფრიდონიანა.“ მას არანაირად არა აქვს პიესის სტრუქტურა, მაგრამ ერთი წელია მისი დადგმის სურვილს დავატარებ. ამ წუთში დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე კარგად ეს მოთხრობა არავინ იცის. ჩემთვის მასში მთავარი, ღირებულებების ძიებაა.. საჭიროა ახალი ღირებულებების დამკვიდრება, რომელსაც ჭეშმარიტების ძიების გზით უნდა მივაკელიოთ.

— კინომსახიობის თეატრში დადგმულ მოლიერის „ტარტიუფში“ რა იყო მთავარი თქვენთვის?

— საერთოდ, ძალიან მინდოდა დამედგა სპექტაკლი ჩემი პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის მიერ დაარსებულ თეატრში. განსაკუთრებით „ტარტიუფზე“ ვფიქრობდი. ბატონი მიშას „დონ ჟუანის“ შემდეგ, მოლიერს ამ თეატრში დიდი ტრადიცია აქვს. ვფიქრობ, ამ სპექტაკლის დადგმით ჩემი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატე ბატონი მიშას პიროვნების მიმართ. და ის სიყვარულიც, რომელიც მან თავისი თავისა და თეატრის მიმართ ჩამინერგა.

ძალიან ვეცადე არაფერი შემშლოდა, არ დამერღვია და არ ავცდენოდი იმ ნორმებს, რომელსაც ის მასწავლიდა. არანაირი შეღავათი არ გამიკეთებია ჩემი თავისათვის. ამჟამად კი ის შეგრძნება მაქვს, რომ ვინც ამ სპექტაკლს ნახავს, ვერც წარმოიდგენს სხვაგვარი თუ შეიძლება იყოს „ტარტიუფი“ — და იცით რატომ? — იმიტომ, რომ ყოველთვის ვცდილობ ესა თუ ის პიესა ისეთი კუთხით წარმოვუჩინო მაყურებელს — ჩემით კი არა, ავტორით აღფრთოვანდნენ ისე, როგორც მე ვარ აღფრთოვანებული მისით; ანდა პირიქით — ჩემსავით შეწუხდნენ.

„ტარტიუფში“ შემაწუხა იმან, როგორ შეძვრა ოჯახში საზიზღარი ვირუსი და დაიწყო იმის ნგრევა, რაც ქვეყნის სიწმინდე უნდა იყოს. ყველაფერი ოჯახიდან იწყება. არსებობენ ოჯახები, რომლებიც ძალიან კარგი, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ და ძალიან საყვარლები არიან. ჩემთვის ქვეყნის სიძლიერის დასაყრდენად სწორედ ასეთი ოჯახები მოიაზრებიან. ეს ალბათ ჩემი ბავშვობის, ბედნიერი და ნათელი მოგონებების ხატია, რომელსაც სიცრუის და თანაც, სიცრუის რაღაც ახალი სახე, განადგურებით ემუქრება!.. თუმცა რეჟისორს რა ჩანაფიქრიც არ უნდა ჰქონდეს, ხორცშესხმის დროს რაღაც სახეცვლილებები მაინც ხდება. მაგალითად, ძალიან მინდოდა მსახიობებს თეთრი ლექსით რომ ესაუბრათ. ვერ მოვაღწიე.

— რატომ?

— მე ამას მიხეილ თუმანიშვილის სკოლისადმი მსახიობების დიდ ერთგულებას ვაბრალებ!.. ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობის დროს, მე და ქალბატონმა ლილი ფოფხაძემ დიდი ენერგია დავხარჯეთ იმაზე, რომ თითოეული ფრაზისათვის მუსიკალურობა შეგვენარჩუნებია. რეპეტიციის დროსაც გამუდმებით ჩავაგონებდი — მე ვდგამ ოპერას!.. ყოველ სიტყვას თავისი მუსიკალობა ახასიათებს და მინდა, რომ იგი შეიგრძნოთ და გადმოსცეთ-მეთქი!. მუსიკალობა, რომელიც მაღალი წრის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ინტონაციებს შეიცავს. მათ კი აიღეს და თითოეული ფრაზა დაამიწეს, ამის შედეგად კი მივიღეთ, რომ ერთმა ბურჟუაზიულმა ოჯახმა მოინდომა იმაზე მაღლა მდგომად წარმოეჩინა თავი, ვიდრე სინამდვილეშია?!. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით. მგონია, უდიდესი გამოცდა ჩავაბარე! წარმოიდგინეთ, რომ თორმეტ მიხეილ თუმანიშვილს ვესაუბრებოდი ერთდროულად?!. — თითოეული დეტალის ახსნისას მათი მოჯადოება მიწევდა, რათა იმაში დამერწმუნებია რაც მინდოდა. ურთულესი ხალხია. ისინი მსახიობები კი არა, ფაქტობრივად, რეჟისორები არიან.

მათგან მეც ბევრი ვისწავლე. დამანახეს თუმანიშვილის სიღრმე, სადამდე ჩავიდა იგი მათ ცნობიერებაში, რა კვალი დააჩნია ქართულ თეატრს მთლიანად. იმის რწმენა შემძინეს, რომ ამიერიდან არც ერთ მსახიობთან შეხვედრის აღარ შემეშინდეს.

— ე. ი. გარკვეული სკოლა თქვენც გაიარეთ?
— ძალიან დიდი. თუმცა მათი ბოლომდე გადმობირება მაინც ვერ შევძელი. თუმანიშვილის შემდეგ, რასაკვირველია, ძნელი იქნებოდა იმაში დარწმუნება, რომ ჩემი თეატრალური ხედვა მასზე საინტერესოა!.. ეს თავიდანვე წაგებული თამაში იყო, მაგრამ მე მაინც ვცადე ჩემი სულიერი სამყარო გამეხსნა მათთვის, მათ ეს დაინახეს, მაგრამ...
— კარები არ გაუღეს?
— არ ჭირდებოდათ! ალბათ მიიჩნიეს, რომ... თუმცა, რომლებმაც მიიჩნიეს, ყველაზე კარგად ისინი თამაშობენ!..
— საიდუმლოდ ხომ ვერ გამიმხელთ ვინ არიან ისინი?
— ნახეთ სპექტაკლი და მიხვდებით. ვისაც შეამჩნევთ, რაღაც „ობრაზს" თამაშობს, ის ჩემი არ იქნება. რაც შეეხება ტარტიუფს — გიორგი ნაკაშიძეს, იგი ჩემი მეგობარია, ერთად ვსწავლობდით და ერთ ენაზე ვმეტყველებთ.
— თქვენ მიგაჩნიათ, რომ რეჟისორს თავის დასი, თავისი მსახიობები უნდა ჰყავდეს?
— რა თქმა უნდა. თუ გინდა რაღაც სერიოზული შექმნა და არა ჩვეულებრივი სარეპერტუარო სპექტაკლი. საზღვარგარეთ ჯერ მსახიობთა ჯგუფი იკრიბება და მერე იწვევენ მათთვის საინტერესო რეჟისორს. აქ კი მე თავად მივიწვიე ჩემი თავი!.. იმიტომ, რომ ჩვენთან არაკის არაფერი არ აინტერესებს. რუსთაველის თეატრის მსახიობები სხვა თეატრის სპექტაკლებს არც ნახულობენ. მთელი მათი მოწადინება სტურუას სპექტაკლში მოხვედრისკენ არის მიმართული!..
— როგორ ფიქრობთ, კინომსახიობის თეატრში გაჩნდა თქვენდამი ინტერესი?
— იმისათვის, რომ ამა თუ იმ დასში შენი სამეტყველო ენა დაამკვიდრო, ჯერ მათი გამოცდილების, ცოდნის, მათი სკოლის მსხვრევაა საჭირო, ანატოლი ვასილიევმა ერთხელ თქვა — მე სტუდენტებთან კი არა, მსახიობებთან ვმუშაობ და პირველი ორი თვე ყველანაირ წარმოდგენას ეუნგრევ თეატრზე, რათა შემდეგ ჩემი ხედვა დავამკვიდროო!.. შენი ხედვის დამკვიდრება საკმაოდ რთული და გრძელვადიანი პროცესია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, იქ პიესის დადგმა კიდევ რომ გადავწყვიტო, სუყოსთან თამაში

მთელ დასს მოუნდება. ასეა, სადაც მივდივარ სუყოს ვირუსს ვტოვებ!..

— თეატრი რეჟისორისაა თუ მსახიობის?

— თეატრი ორივეს კუთვნილებაა. და არა მარტო მათი, იგი ასევე ეკუთვნის გამნათებელს, კაპელდინერს, დარაჯს... მე, როგორც რეჟისორს, საოცრად მამდიდრებს თითოეული მათგანის ბუნება. რობიკო სტურუას სწამებენ ხოლმე თითქოს მისი თეატრი მხოლოდ რეჟისორისაა. თითქოს მას მსახიობები არ უყვარდეს?!. ამაში ვინ დამარწმუნებს?!. სტურუას გაცილებით მეტად უყვარს მსახიობი, ვიდრე, რომელიც გნებავთ სხვა რომელიმე რეჟისორს, ანდა მათ, ვინც ასეთ ცილს სწამებს. მსახიობები სწორედ იმ რეჟისორებს არ უყვართ, ათას საშინელებას რომ აკეთებინებენ მათ და არც კი ეცოდებათ. სინამდვილე ეს არის.

— თქვენი პროფესიის მთავარი სირთულე?

— გაუნათლებლობა, უგემოვნება და ამბიციურობა. ყველა სირთულეს უმეცრება ქმნის. იგი ადამიანს ღუპავს.

— იმ ფულის გამო „საშშობლოს“ დასადგმელად რომ იყო საჭირო, ქართული სცენის ერთ-ერთი სიამაყე ვასო აბაშიძე მუხრან ბატონის გასაცინებლად „შეხტა და შემობზრიალდა“. თქვენ თუ ხართ მზად ღირსება შეწიროთ ქართულ თეატრს?

— ამ ფაქტში მე მუხრან ბატონის ღირსების აყრას უფრო ვხედავ! ვასო აბაშიძე, თავისი საქციელით უმაღლეს ღირებულებებს ემსახურებოდა. იმისათვის კი, რაც ჩემთვის ღირებულია, თავს გავწირავ.

— მარჯანიშვილს მიაჩნდა — „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა!.“ თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეს რაღაც ცოტა კომუნისტურია!.. თეატრი თუ მარტო გართობად იქცა, ყოველგვარი ძალა გამოეცლება. თეატრი ჩემთვის არის საფეხური, გზა სულიერებისა და ჭეშმარიტების შემეცნებისათვის.

— ყველაფერთან ერთად, როგორც ვიცი, ორგანიზაციულ საქმიანობასაც კარგად ართმევთ თავს?

— ჩემი თაობა იმ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ იძულებული ვართ დადგმის ფინანსურ-ორგანიზაციული მხარე, მთლიანად ჩვენვე მოვაგვაროთ. ამან მაიძულა ჩემს თავში ეს ნიჭიც აღმომჩინა და აღშეზარდა. თანაც, ყოველთვის მიყვარდა სამუშაო პროცესის

ორგანიზება. დღეს, როცა აღარ არის თეატრის მუშაობის კომუნისტებისდროინდელი არაჩვეულებრივად აწყობილი სისტემა, ჩემი ეს უნარი ძალიან გამომადგა. რაზეც დღეს ჩვენ გვიწევს ფიქრი, საბჭოთა პერიოდის რეჟისორებს საერთოდ არ ეხებოდათ. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ რობიკო სტურუა ან თემურ ჩხეიძე მაღაზიებში გაეშვათ ქსოვილების ან სხვა საჭირო ნივთების საყიდლად?!. რეჟისორებს სპექტაკლის დადგმის გარდა არაფერი ეკითხებოდათ. ამჟამად, როცა თეატრში მივდივარ, თეატრის დირექტორი ამ სიტყვებით მხვდება — დაგადგმევინებ სპექტაკლს თუ დადგმისთვის საჭირო ფულს მოიტანო! — ფულის შოვნა კი ჯოჯოხეთურად ძნელია. თავი უნდა დაიმცირო და ეხვეწო ადამიანებს, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ თეატრი!.. ყველაფერმა ამან მაიძულა სამენეჯერო საქმიანობის პროფესიული ცოდნა შემეძინა. დღეს პროფესიონალი მენეჯერიც ვარ. მაგალითად, ახლახანს მოვამზადე პროექტი ოპერის რეფორმის შესახებ. ვფიქრობ გაიმარჯვებს, რადგან ამ მიმართულებითაც მაქვს სტაჟირება გავლილი, ინგლისის ნაციონალურ ოპერასა და მილანის „ლა სკალაში."

— პროექტი თუ გაიმარჯვებს, თქვენ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდებით თუ?...

— ალბათ უფრო გენერალური დირექტორი ან პრეზიდენტი.

— თუ შეიძლება თქვენ მიერ ჩამოყალიბებულ კავკასიურ თეატრალურ ლაბორატორიაზე ისაუბრეთ?

— 1998 წელს თეატრმცოდნე ლევან ხეთაგურმა ინგლისელი დრამატურგები ჩამოიყვანა სტუმრად. ჩავატარეთ ერთობლივი ღონისძიებები, დავიწყეთ თანამშრომლობა და თანდათან განმიმტკიცდა აზრი, რომ მომავალი ახალ დრამატურგიას აქვს. ინგლისის თეატრების რეპერტუარის ოთხმოცდაათი პროცენტი თანამედროვე დრამატურგების პიესებს უჭირავთ. კლასიკას თითქმის აღარავინ დგამს. კლასიკური პიესების დადგმის ფუფუნების უფლება მხოლოდ ისეთი ზებუნებრივი სახელის მქონე რეჟისორებს შეიძლება მიეცეთ, როგორებიც არიან თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა..

— ანუ ახალგაზრდა ინგლისელ დრამატურგებთან ურთიერთობამ მიგიყვანათ დასკვნამდე, რომ?..

— რომ საჭირო იყო ორგანიზებული დაპირისპირება ირგვლივ გამეფებულ ქაოსსა და გულგრილობასთან. ამის გამო შევქმენით

კაუკასიური თეატრალური ლაბორატორია, რომელიც აერთიანებს ქალაქებს — თბილისს, ბაქოს, ერევანს. ფართო ურთიერთობები გვაქვს ჩეჩნებთანაც.

ჩვენი ერთ-ერთი ფუნქციაა პოპულარიზაცია გავუწიოთ, როგორც ჩვენს თანამედროვე დრამატურგებს საზღვარგარეთ, ისე უცხოელ დრამატურგებს ჩვენთან. ჩვენი მუშაობის შედეგად, ბევრი ქართველი დრამატურგის პიესა იდგმება საზღვარგარეთ. ამის გარდა, ყოველ წელს გამოვცემთ პიესების კრებულს და ა. შ.

— წიგნად გამოცემულ ლაშა ბუღაძის პიესის „ის სკამი და ეს საწოლი", წინასიტყვაობაში თქვენ წერთ — „ვეძებთ, ვეძებთ იმ მხატვრულ ენას, რომლითაც ჩვენი თაობა ალაპარაკდება, რომელიც თავის მხრივ მოგვაძებნინებს ახალ თეატრალურ ფორმებს". მიაგენით?

— მე აღმოვაჩინე, რომ თანამედროვე დრამატურგები რეჟისორულად აზროვნებენ, თავად გვკარნახობენ დადგმის ხერხებს. ლაშა ბუღაძის ლიტერატურული ენა, ჩემი თაობის სამეტყველო ენად მიმაჩნია, ძალიან მხიბლავს იგი თავისი სლენგით, თვითირონიით, ხშირად ცინიკური, თითქმის შავი იუმორით. ჩემთვის ეს ინტელექტუალური იუმორია.

ჩემს სპექტაკლებში მინდა ადამიანები მოქმედებდნენ და არა გმირები, როგორც, მაგალითად, რობერტ სტურუასთან. მასთან ნებისმიერი განცდა გლობალურ მასშტაბებამდეა აყვანილი. ეს შეიძლება კომუნისტებისდროინდელი ტენდენციაა! — მეფე ლირის განცდები ჩემთვის სახელმწიფოს მეთაურის განცდები არ არის, როგორც მისთვის. თუ დავდგამ, ჩემთან მასში ბევრად უფრო თქვენეულს აღმოაჩენთ, მეზობელს, ახლობელს იპოვით. ერთი შეხედვით, შეიძლება ეს აკნინებს ამ ნაწარმოებს, მაგრამ ჩემი თაობისათვის, ის რაც გარშემო ხდება, სწორედ ჩვენს მეგობრებზე, ნათესავებზე, დედებსა და მამებზე თავს დამტყდარი უბედურებაა. ამ ცვლილებებმა შეცვალეს ისინი და მეც მათგან გამომდინარე ვხედავ სამყაროს.

ჩემთვის გმირი არის ოჯახი! — მამა, დედა, შვილები. ოჯახი, რომელიც მიყვარს, სტაბილურია და თბილი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სამყარო ოჯახში უნდა გადაეარჩინოთ?

— მე ვფიქრობ, რომ ჩემში მამის განცდა არაფრით არ შეიძლება იქცეს რაღაც პოლიტიკური კატაკლიზმების საფუძვლად. ვერც ჰამლეტის პრობლემებს ვაქცევ პოლიტიკურ თეატრად. დღეს ეს

დროში ჩამორჩენილი უგემოვნებობა მგონია. ჩემეული არის ლეონარდოს „ოჯახი“. ამ ქმილებაში მე ვხედავ უსასრულობას და არა პოლიტიკურ ნიშნებს. ეს არის წმინდა ოჯახი — სადაც არის მარიამი, არის შვილი და უსასრულობა!.. რა საჭიროა მისთვის რაღაც გლობალური, პოლიტიკური იდეების თავზე მოხვევა.

— იმის თქმა გსურთ, რომ თეატრში თქვენ რღვევა კი არა, ჰარმონია გაინტერესებთ?

— რასაკვირველია. იმიტომ რომ ყველაფერი კარგად იყო და დაირღვა!..

— მოქალაქეობრივი ვალი რას ნიშნავს თქვენთვის?

— ამ ვალის შეგრძნება ბოლო ხანებში უფრო გამიმძაფრდა. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, შენს გარშემო მყოფი ადამიანების წინაშე, საზოგადოების წინაშე, რომლის დახვეწა-განვითარებას, სულიერ ამაღლებას უნდა შეუწყო ხელი. ადამიანი, რომელიც თავისი მეგობრების, თავისი ხალხის სულიერ გამდიდრებას, განვითარებას, უკეთესისაკენ სწრაფვას არ უწყობს ხელს, საზოგადოების მტერია.

— თქვენი თაობის სახე როგორია?

— კარგიც და ცუდიც. საერთოდ, ალბათ უნდა იყოს ძალიან სახელმწიფოებრივი, ძალიან ჰუმანური და გახსნილი. ჩემი თაობის სახე მინდა, რომ იყოს ისეთი, რომელიც მუდამ ძალიან მაღალი ღირებულებების შესაქმნელად ზრუნავს. რომლისთვისაც ომის მოგება კი არა, მისი თავიდან აცილება იქნება მთავარი.

იდეალად მესახება ინტელექტუალური, სპორტული, ჯანსაღი ცხოვრების წესის მატარებელი, ძლიერი ადამიანი, რომელსაც დიადი საქმეების ჩადენა შეუძლია. შეიძლება იყოს აგრესიულიც, მაგრამ მასზე ამაღლება უნდა შეძლოს. მე, მაგალითად, შემიძლია ვიყო ძალიან აგრესიული, კარგი გაგებით, ვიყო დაუნდობელი, საშინლად თვითკრიტიკული და თვითმგვემი, თუმცა ყველაფერი ეს არ მჭირდება, რადგან სულიერად ამაზე მაღლა ვდგავარ და სწორი ღირებულებებით ვცხოვრობ. ასე მგონია. შეიძლება არც ვარ ასეთი. მინდა კი, რომ ვიყო.

— ეროვნული ინტერესები რას ნიშნავს თქვენთვის?

— ნიშნავს, რომ ჩემს პროფესიაში მოვნახო ღრმად ეროვნული სვლა. ჩემს რეჟისურაში მე ვეძებ ძალიან ქართულს. ჩვენ უნდა

შევიმეცნოთ, რომ ქართული ორნამენტის შემქმნელი ერი კაცობრიობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და მას უნდა გაუფრთხილდეთ. ეროვნულად ქმნადობას ისე მოვეპყრათ, როგორც უმაღლეს ღირებულებას. ჩვენი ფესვები იმდენად ღრმაა, არ მგონია თავისი სიძლიერე ოდესმე დაკარგოს. ამ ფესვს მოწყვეტილი ადამიანი კი, ნამდვილად დაღუპულია.

— თეატრმცოდნეებზე რა აზრის ხართ. თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ მათი წყალობით „ძლებს" დროში?

— მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში მაყურებლისათვის იდგმება სპექტაკლი, რეჟისორის ნამუშავრების შემფასებლები არიან თეატრმცოდნეები. მაგრამ იმისათვის, რომ მე კარგად შემაფასონ, მინიმუმ ჩემზე კარგად მომზადებულნი მაინც უნდა იყვნენ! დღესდღეობით, სამწუხაროდ, ჩემზე მცოდნე თეატრალურ კრიტიკოს მე არ ვიცნობ! მათ არც ჩემზე მეტი სპექტაკლი აქვთ ნანახი და არც ჩემზე მეტ ინფორმაციას ფლობენ. მათგან მოვითხოვ ძალიან ღრმად შეისწავლონ საერთაშორისო თეატრალური ცხოვრება! — ადამიანი, რომელიც არ იცნობს თანამედროვე დრამატურგიას, არ იცნობს თანამედროვე თეატრალურ ტენდენციებს, უბრალოდ, ინფორმაცია არ აქვს ამის შესახებ, ჩემს ნამუშევარს როგორ გაიგებს?!. ბევრი მათგანი აქ დადგმულ სპექტაკლებსაც კი არ ნახულობს. მე ვფიქრობ, ქართული თეატრისათვის დიდი დანაკლისია, რომ არ არსებობს ისეთი ქართველი თეატრმცოდნე, რომლის დაწერილის წაკითხვის სურვილი გამიჩნდება!..

— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა." რა როლს ასრულებს სიტყვა თქვენს შემოქმედებაში?

— ჩემთვის სიტყვა ყველაფერია. მე ვარ ადამიანი, რომელიც ლიტერატურას თარგმნის სივრცის ენაზე. მე ვაცოცხლებ იმას, რაც ოდესღაც დაიწერა. ადამიანი, რომელიც ცვლის ავტორის ტექსტს, ჩემთვის ნიშნავს, რომ იგი ვერ მიუხვდა მას. საზღვარგარეთ ამას ვერავინ გაბედავს. არც ერთი ავტორი თავის ტექსტს არ დაგარღვევინებს. რეჟისორს, რომელმაც ესა თუ ის ავტორი აირჩია, მოეთხოვება ამაღლდეს ან დადაბლდეს ავტორის დონემდე. ან არა და თავი დაანებოს მას!..

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ, რომ თეატრი ტაძარია. თქვენ რას ფიქრობთ?

— გარკვეულწილად შეიძლება ტაძარია. მაგრამ ჩემთვის იგი ლაბორატორიაა. ძალიან დიდი ძიების ასპარეზი.

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდით. დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეთ ქართველები?

— მისი მკვლელობა ჩვენი ისტორიის ერთი დიდი შავი ფურცელია. ყველა ქართველში არის ილიას სულის გარკვეული დოზა. იმ მწარე გაკვეთილიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თითოეულ ქართველს უნდა გაუფრთხილდეთ ისე, როგორც ილიას უნდა გაფრთხილებოდით!.. ყველაზე დაცემულ სულსაც კი თუ ისე მოვეპყრობით, როგორც ილიას ნაწილს, ვფიქრობ, უკუვარდნა კი არა, წინსვლა დაიწყება!..

2004. VII.

ზურაბ ყიფშიძე

— ვინ ხართ თქვენ?

— კაცმა არ იცის ვინ ვარ!... ვარ ზურა ყიფშიძე ვასილის ძე, დაბადებული 1953 წლის 10 აგვისტოს. ლომი! ცოლშვილიანი. მყავს ვაჟი გიორგი და გოგონა ელენე ყიფშიძე. დედა — ელენე ყიფშიძე და ორი არაჩვეულებრივი დეიდა — ქეთევანი და ნინო, ჩემი გამზრდელები და ბიძა გიგა ყიფშიძე.

— მოდით ჯერ დედათქვენზე — ქალბატონ ელენეზე ვისაუბროთ?

— წლებისა და ავადმყოფობის მიუხედავად, დედაჩემი მაინც ახალგაზრდულად გამოიყურება. ის ახლაც ინტენსიურად უნდა მუშაობდეს თეატრში, მაგრამ, სამწუხაროდ, სამუშაო საერთოდ არ აქვს. არის პატარა ბავშვივით გულუბრყვილო და საყვარელი. თავისი ოჯახისა და აღზრდის წყალობით საკმაოდ განათლებულიც, მაგრამ ამას საგანგებოდ არასოდეს წარმოაჩენს.

როლის შექმნასთან დაკავშირებით ხშირად ვკამათობთ ხოლმე. ის უფრო გარედან ხედავს სახეს. ჯერ გარეგნულ იერსახეს წარმოიდგენს, მე პირიქით, ჯერ გმირის შინაგანი ბუნება უნდა გავითავისო. თუმცა, თუ საჭირო რეზულტატს მიიღებ, ალბათ, ერთიც კარგია და მეორეც.

— როგორც პარტნიორები თუ შეხვედრიხართ?

— სამწუხაროდ, არა. ერთადერთხელ გადაგვიღეს ერთად და იმდენად არასწორი გრიმი გაუკეთეს, ეკრანზე მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა და ზურგიდან გადაიღეს!...

— თქვენი მეუღლეც მსახიობია, არა?

— დიახ, ლელა თურმანიძე, ამჟამად უკვე ყოფილი მსახიობი, რომელმაც პროფესიული კარიერა მე შემომწირა. რამდენად ობიექტური ვარ არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ცუდი მსახიობი არ იყო. ერთხანს მანეკენადაც მუშაობდა. ამჟამად მთლიანად ჩვენით არის დაკავებული.

— რომელ თეატრში მუშაობთ?

— კინომსახიობის თეატრში, მაგრამ მესამე სეზონია მარჯანიშვილის თეატრშიც ვარ, ვთამაშობ ბატონ თემურ ჩხეიძის სპექტაკლებში.

— სად და ვისგან ისწავლეთ?

— თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ დოდო ალექსიძესთან ვსწავლობდი. სამწუხაროდ, კინოში გადაღებებით გამოწვეული გაცდენებისა და არც თუ სანიმუშო ყოფაქცევის გამო, გამრიცხეს!..

მერე მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდი, სერგეი გერასიმოვისა და თამარ მაკაროვას ჯგუფში. იქ უკვე საკმაოდ კარგად ვიქცეოდი! დამთავრების შემდეგ, ბატონმა მიშამ მიმიღო კინომსახიობთა თეატრში. ბატონ მიშასთან თითქმის ოცდახუთი წელი ვიმუშავე და სწორედ ის მიაჩნია ჩემს ყველაზე დიდ მასწავლებლად.

— ბევრს მუშაობთ?

— 1992 წელს რობერტ სტურუამ სევილიაში მსოფლიო გამოფენისათვის დადგა კალდერონის „ცხოვრება სიზმარია". ამ სპექტაკლში მთავარ როლზე ვიყავი მიწვეული. სულ რამდენჯერმე ვითამაშე, ესპანეთსა და თბილისში. თუ ამ სპექტაკლს არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, 1993 წლის შემდეგ პრემიერა არ მქონდა ნათამაშები, სანამ თემურ ჩხეიძეს არ შეეხვდი. ბატონი თემური, ჩემი მასწავლებლის მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფეა. მისი მოძღვრებით გაზრდილი და მისი თეატრალური ესთეტიკის გამზიარებელი. ამასთან, რასაკვირველია, თავისებური და თვითმყოფადი. არაჩვეულებრივად მუშაობს მსახიობებთან. აქვს გასაოცარი უნარი ყოველგვარი დაძაბულობისა და შინაგანი

პროტესტის განმუმხტველი ატმოსფეროს შექმნის. მასთან მუშაობა ძალიან ადვილია, მიუხედავად იმისა, რომ რთულად დასაძლევ ამოცანებს გვაძლევს. აქვს კიდევ ერთი თვისება, რითაც ძალიან მაგონებს ბატონ მიშას. სახის შექმნისაკენ ისე მიყვეხარ, დარწმუნებული ხარ, ყველაფერს მარტო შენ აკეთებ.

— იდეალი თუ გყავთ?

— თითქმის მარჯანიშვილის თეატრში გავიზარდე. იქ კი, იმდენი დიდი მსახიობი იყო!.. აღრფთოვანებული ვიყავი უშანგი ჩხეიძის ლეგენდით. ძალიან მიყვარდა გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, ვასო გოძიაშვილი... ჩემი იდეალი იყო სერგო ზაქარიაძე.

ჩემს აღრფთოვანებას იწვევდა რამაზ ჩხიკვაძის, გოგი გეგეჭკორის, ეროსი მანჯგალაძის, გურამ საღარაძის თაობაც.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ადრე კანონზომიერად ხდებოდა თაობათა ცვლა. ახლა არ მესმის, როგორ შეუძლიათ თეატრის მესვეურებს, მთელი თაობა თავის ნებაზე მოწყვიტონ თეატრს და სხვები მოიყვანონ?! ეს პროცესი ისედაც მტკივნეულია უფროსებისათვის და მართებული იქნება, თუ ყველა ვეცდებით, რომ ხანდაზმულებიც, შუა თაობაც და ახალგაზრდებიც თავთავის ადგილზე დარჩნენ! როცა ესენი ერთად არიან, ერთნაირად ფიქრობენ და საინტერესოდ მუშაობენ, ამას რა სჯობს? ახალგაზრდებს აუცილებლად გვერდით უნდა ჰყავდეთ ისინი, ვისგანაც შეეძლებათ ისწავლონ და გაიზარდონ.

— თქვენს თაყვანისმცემლებს ხშირად ენანებათ ის წლები, როცა თქვენ ახალ სპექტაკლზე არ მუშაობთ?

— მე და ბატონ მიშასაც სულ ამაზე გვქონდა კამათი. მას უნდოდა ბევრი როლი მეთამაშა, მე კი მერჩია ცოტა მეთამაშა და ხარისხიანად. გარკვეული პერიოდები როლებს შორის ყოველთვის იქნება. მთავარია, ფორმა არ დაკარგო.

— თქვენი საოცნებო როლი?

— რომელიმე როლზე განსაკუთრებულად არასოდეს მიოცნებია. მხოლოდ რიჩარდზე მქონდა ჩემი ვერსია — როგორ ვითამაშებდი. ბატონმა მიშამ ეს იცოდა... თუმცა არასოდეს მითხოვია, რომელიმე სპექტაკლი დაედგათ მხოლოდ იმიტომ, რომ მე მეთამაშა.

— შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენთან თქვენი დიდი ნიჭიერების რეალიზაცია არ ხდება?

— საზღვარგარეთ რომ მეცხოვრა და ასეთივე ბედი მქონოდა, შეიძლება უკეთესად ვყოფილიყავი, მაგრამ მიმაჩნია, თუ შენს სამშობლოში გაქვს სამუშაო, სახლში უნდა დარჩე.

საზღვარგარეთიდან რამდენიმე სერიოზული მოწვევა მქონდა, მაგრამ მაშინ ბატონი მიშა ცოცხალი იყო და მასთან მუშაობა ვარჩიე. რომ წავსულიყავი, არ ვიცი რა იქნებოდა. შეიძლება არც არაფერი ყოფილიყო!..

— როგორია თქვენი თაობის სახე?

— ჩვენ უფრო რომანტიკული და ოცნებებში მაცხოვრებელი თაობა ვიყავით. ბევრი ფული არასოდეს გვქონდა, მაგრამ თითქმის არც გვჭირდებოდა. იმდენს კი ვშოულობდით, რაც გვინდოდა, თუმცა, ბევრი არც არაფერი გვინდოდა!..

— ადამიანი თუ გამორჩეული, პოპულარული და აღიარებულია, როგორც თქვენ, ბედნიერიც არის?

— აღიარებული თუ ვარ, რასაკვირველია, ბედნიერიც ვარ, რადგან ჩვენთან აღიარება ძალიან უჭირთ. შეტიც, ფეხი თუ წაგცდა, არათუ გაგრიყავენ, შეიძლება ჩაგქოლონ კიდეც.

— კითხვა თუ გიყვართ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან! ახალგაზრდობაში დიდი დრო დავკარგე ქუჩაში, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც იქაც ვისწავლე, ვნანობ, თუნდაც ჩემი წინაპრების გამო, რომლებისთვისაც წიგნი, სასიცოცხლო აუცილებლობა იყო. ამას გარდა, უწიგნურობა, აშკარად ჩანს სცენაზე და ძნელი ასატანიცაა.

საერთოდ, ალბათ უნდა ეცადო, რომ ყველა წიგნი თავის დროზე წაიკითხო. ბუნებრივი ზრდის პროცესი იმასაც გულისხმობს, რომ განათლება თანმიმდევრულად მიიღო. როცა ეს ირღვევა, გამოსწორება ძნელია. ძალიან მიყვარს მუზეუმებიც. მოსკოვში რომ ვსწავლობდით, მე და ჩემი მეგობარი გია რიგვავა, ქალბატონ ვიქტორია სირაძის შვილი, დროის უმეტეს ნაწილს სწორედ მუზეუმებში ვატარებდით. ლამის იქ ვცხოვრობდით!..

— არტისტი მოძღვარია თუ მასხარა?

— ჩარლი ჩაპლინი, ალბათ, მასხარაც იყო და მოძღვარიც.

— თეატრი ტაძარია?

— ბატონი მიშა ასე მასწავლიდა. მერე ნელ-ნელა მივხვდი, რომ თეატრი არას თეატრი! სადაც თხრიან, ოცნებენ, და იმ ნიჭით, ღმერთმა რომ მასცა და კარგმა პედაგოგმა გაუწვრთნა, არაჩვეულებრივ გარეშეს ქმნიან.

— ღმერთი თუ გეგულებათ სადმე?

— უამისოდად ძალიან ძნელი იქნებოდა ცხოვრება. მეც ცოდვილი ვარ, მაგრამ, იმდენად ხშირად უშვილია, როცა თითქოს საშველი აღარსად იყო, რომ უსახლკარო რწმენა მაქვს მისი ძლიერების. თუმცა ფანატიკოსი არ ვარ. საერთოდ, არ მიყვარს, როცა მთლიანად დამოკიდებული ხდები ვიღაცაზე ან რაღაცაზე. სასაძელი იქნება ეს, სიგარეტი თუ საყვარული, ნარკოტიკზე ხომ ლაპარაკიც არ არის.

მე ფანატიკოსი მარტო მუშაობაში ვარ.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ბატონი თემური აპირებს მუშაობის დაწყებას ორკაციან პიესაზე... ვნახოთ, გეგმები ბევრია. ახლახანს დავამთავრე გადაღება გიული ჭოხონელიძესთან, რომელიც ძალიან დიდხანს იღებდა „ანთიმოზ ივერიელს“.

— ძნელია მსახიობობა?

— ბატონი დოდო ალექსიძე ხშირად გვიმეორებდა სტანისლავსკის სიტყვებს, სადაც მსახიობის შრომა მეშახტის შრომასთან არის გაიგივებული. ამერიკელები თურმე წლების მანძილზე აკვირდებოდნენ და იმ დასკვნამდე მოვიდნენ, რომ პრემიერის შემდეგ მსახიობები წინასაინფარქტო ზღვარზე იმყოფებიან... ამ მდგომარეობიდან კი, თურმე ტაშს გამოჰყავს!..

— გივვართ სიცოცხლე?

— რა თქმა უნდა, თუმცა მიმაჩნია, რომ არ ვუფრთხილდები მას. ადრე ბატონი მიშას მომთხოვნელობა და რეჟიმი მშველოდა. ვეარჯიშობდი კიდეც. ახლა ეს ცოტა ძნელი გახდა.

— არტისტი გამორჩეული უნდა იყოს?

— ბატონი მიშა მიიჩნევდა, რომ უნდა იყოს. სულ მეჩხუბებოდა, რომ ლამაზად ჩაცმულს მეკლო. მე ასე არ ვფიქრობ. შეიძლება დიდი მსახიობიც კი შეუმჩნეველი დარჩეს. გარკვეულ ვითარებაში ის მაინც გამორჩეული იქნება. ასეთი გამორჩეულობა მომწონს და არა ისეთი, რომ მაინცდამაინც ქუჩაში გამჩნევდნენ შუქნიშანიოით!..

— დღევანდელობაზე რას იტყვით?

— ადრე ჩვენ სიცრუეში ვცხოვრობდით, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ეს სიცრუე იყო. წინაპირობა იყო ასეთი და ჩვენ მას ვიღებდით. ახლა თითქოს სიმართლეში ვცხოვრობთ, მაგრამ არის რაღაც ტოტალური სიცრუე და ორმაგი ფარისევლობა. კი ბატონო, იყიდება საღეჭი რეზინი, უცხოური მანქანები, სიგარეტი და სხვა, მაგრამ, ირგვლივ საშინელებები ტრიალებს!..

რომანტიზმი და შემწყნარებლობა წაგვართვეს! იმის საშუალება მოგვისპეს, ჩვენს გამზრდელებს ისე მოეუაროთ, როგორც ეკადრებათ!.. შვილებთანაც შერცხვენილები ვართ, რადგან ვერც მათ ვაძლევთ, რაც ჭირდებათ. ვერც იმას ეუბნები შვილს — შენ უკვე დიდი ხარ და საკუთარ თავს მოუარეო! შენ ვერ ველი, თავს და ის რას გააწყობს?!

ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ხდება. გაგიჟებული ადამიანების ქცევა უფროა — ოღონდაც დღეს რაშე მიიტაცონ და ხვალ სულაც დაქცეულა ქვეყანა!

— ასეთ სიტუაციაში, რა უნდა გააკეთოს არტისტმა?

— ის, რასაც აკეთებს! — სიცივეში, უსინათლობაში, შშიერ-მწყურვალი, იდგეს სცენაზე და იმ ადამიანებს, რომლებსაც მასავით უჭირთ, იმის საშუალება მისცეს, ცოტა ხნით მაინც დაივიწყონ თავიანთი დუხჭირი ყოფა და ამაღლდნენ ცხოვრებაზე.

— რაზე ოცნებობთ?

— ნორმალურ ქვეყანაზე. სიმშვიდეზე. რბილ, თბილ, საყვარელ, მუსიკალურ, მხიარულ და თვითირონიულ ერზე, როგორიც ოდესღაც მეჩვენებოდა, რომ ვიყავით.

უფრო ღია საღებავებზე ვოცნებობ და კიდევ იმაზე, ჩემს საგრიმიოროში სითბო იყოს და.. იატაკიდან ვირთხები არ მოძვრებოდნენ! ... მე კი საშინლად მეშინია ვირთხების!..

2000 XII.

მარინა კახიანი

— თქვენ ვინ ხართ?

— რთული შეკითხვაა. ამ ქვეყნად შეიძლება ისე იცხოვრო, ვერც გაიგო ვინ ხარ?! ამბობენ, თითქოს ადამიანი ყველაზე კარგად თავის თავს იცნობსო, მაგრამ მე ასე არ მგონია. ხანდახან გვერდით მყოფმა გაცილებით მეტი იცის შენზე, ვიდრე თავად შენ. თუმცა, ალბათ, ბოლომდე არც არავინ იცის — ვინ ვინ არის?! ხანდახან ისეთ რაღაცას აღმოაჩენ შენში, რაც წლების განმავლობაში გეგონა, რომ არ გქონდა. ავიღოთ თუნდაც სიკეთე და ბოროტება. ამ ორ უკიდურესობას შორის ხომ ძალიან ბევრი რამეა. თავად ადამიანია მათ შორის. მერე ან ერთისკენ მიპყავს ღმერთს, ან მეორისკენ. მეც, ალბათ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც საშუალება აქვს თავისი ნიჭი თუ უნიჭობა მაყურებელზე შეამოწმოს. ამას გარდა, ვარ ადამიანი, რომელიც ცდილობს არავის აწყენინოს, ბოროტება არ გაუკეთოს. თუმცა ხანდახან ვიღაცისთვის ბოროტება უკვე ის არის, შენ რომ არსებობ!.. ისევე როგორც შენდაუნებურად ხარობს ვიღაც შენს გამო.

— ოჯახური მდგომარეობა?

— ვარ შვილი და დედა. მეუღლე ვიყავი და აღარ ვარ.

— თქვენი მეუღლე ვინ იყო?

— მსახიობი და კინორეჟისორი გია მატარაძე. მუშაობდა რუსთაველის თეატრში..

— რუსთაველის თეატრში ხართ თქვენც?

— დიახ, თითქმის ოცი წელია.

— სად და ვისთან სწავლობდით?

— დავამთავრე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. ჩემი პედაგოგები იყვნენ კუკური პატარიძე, ნიკა ჯანდიერი, თამაზ მესხი, მალიკო მრევლიშვილი, რუსუდან ფარემუზაშვილი, რობერტ სტურუა, რომელმაც ბოლო კურსზე აიყვანა ჩვენი ჯგუფი. ნუ მიწყენენ ჩემი პედაგოგები და მე ვფიქრობ, რომ მსახიობისათვის ყველაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა. ბევრი რამ სწორედ იმ სიხარულებმა, იმ ტკივილებმა და მოულოდნელმა სიურპრიზებმა მასწავლა, ცხოვრებამ რომ მაგემა. და იმ ადამიანებმაც, ცხოვრების გზაზე რომ შემხვედრიან.

— კიდევ რა დაგამახსოვრდათ ინსტიტუტიდან?

— თავად ინსტიტუტი! ინსტიტუტში გატარებული ყოველი დღე დღესასწაული იყო. უბედნიერესი ადამიანები ვიყავით იქ ყოფნის გამო. ცხოვრებას იმედებითა და ოცნებებით ვუყურებდით... არაჩვეულებრივი ჯგუფი გვქონდა. ერთმანეთის სიხარულითა და ტკივილით ვცხოვრობდით. თუმცა ტკივილი მაშინ ალბათ ნაკლები იყო. არც მახსოვს. ეტყობა ჩემმა გონებამ წაშალა იგი. დამრჩა მხოლოდ საუკეთესო მოგონებები. ჩვენი ინსტიტუტიც დღეს ალბათ ისევე ნაცრისფერია, როგორც ყველაფერი ჩვენს ირგვლივ. არ მგონია, ასეთი წარმოდგენა ჩემი დეპრესიის ბრალი იყოს. სამწუხაროდ, ძალიან მძიმეა ჩვენი რეალობა.

— ვისი მადლიერი ხართ?

— პირველ რიგში ჩემი მშობლების. ბედნიერი ვარ მათ გამო. ცუდი ის არის, რომ მამა აღარ მყავს. დამრჩა დედა, რომელიც ჩემი საუკეთესო მეგობარია. მარტო ჩემი არა, ყველა ჩემი მეგობრის მეგობარიცაა. მადლიერი ვარ ბედის, რომ ასეთი პიროვნება მყავს გვერდით. მადლიერი ვარ მამაჩემის, რომელიც დინჯი, დაფიქრებული, განათლებული და ნამდვილი ინტელიგენტის თვისებების მქონე პიროვნება იყო. მუდამ სიყვარულით ვიხსენებ ჩემს ბებიას და ბაბუას. მადლიერი ვარ ჩემი მეგობრების და რაც მთავარია, ჩემი მეუღლის, რომელიც ჩემთვის ქმარიც იყო,

მეგობარიც, მაწყალებელიც და მამაკაციც, რომლის მსგავსი ცოტა დადის ამ ქვეყნად.

— რაზე ოცნებობთ?

— მე მეოცნებე ვარ!.. და ეს ძალიან მილამაზებს ცხოვრებას. ხშირად მგონია, რომ ალისას მსგავსად ოცნებათა ქვეყანაში დავრჩი და მიხარია. რომ ეს ბავშვურობა კელავ დარჩა ჩემში. ამის გარეშე ძალიან უფერული და მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება.

— თქვენი გარეგნობით ბავშვურ შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებთ. პირიქით, თქვენს შემხედვარეს, მაცდური ქალის გამომწვევ-დამაინტრიგებელი მანერები უფრო ეცემა თვალში?!.

— შეიძლება მცდარი წარმოდგენა მაქვს ჩემს თავზე და თქვენ ხართ მართალი. შეიძლება, ასეთი ნიღაბი იმიტომაც აეიფარე, რომ სწორედ ინფანტელურობის დაფარვა მინდოდა და მერე ჩვეულად მექცა? — არ ვიცი. იქნებ ჩემი ამ გარეგნული ფორმის განმტკიცებას რეჟისორებმაც შეუწყეს ხელი. მათ ხომ ხშირად უყვართ გამზადებული ფერების დადება თავიანთ ტილოებზე და ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ შეიძლება შენში სხვა ფერებიც არსებობს?.. ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ხშირად ეს ასეა. ძალიან მინდა. ეს ჩემი, ასე ვთქვათ, სტერეოტიპი დავარღვიო, შევცვალო, მაგრამ ჯერჯერობით რაღაც არ გამოდის. დიდი იმედი მქონდა, რომ ეს მოხდებოდა ბატონ რობერტ სტურუას ერთ-ერთ სპექტაკლში — „კაცია — ადამიანი?!“, სადაც თავდაპირველი ჩანაფიქრით მკითხავი უნდა მეთამაშა. ძალიან მიხაროდა, ვფიქრობდი ვითამაშებდი მკვეთრად სახასიათოსა და განსხვავებულს, მაგრამ მერე ბატონ რობერტს ეს სახე საერთოდ აღარ მოუნდა და სხვა ხაზით წავიდა. მე მაჭანკალი ვითამაშე, მაგრამ ვფიქრობ, თავი ვერ დავაღწიე იმას, რისგანაც მინდოდა გათავისუფლება.

რაც შეეხება ოცნებას, ჩემი ოცნებები და იმედები, პირველ რიგში ჩემს შვილთან არის დაკავშირებული. უდიდესი სიამოვნებაა, როცა მიპყვები და თვალს ადევნებ იმ პროცესს, როგორ იზრდება ახალი სიცოცხლე შენს თვალწინ. როგორ თანდათანობით იმეცნებს სამყაროს და როგორ ცვალებადობს... ამის გარდა, რა თქმა უნდა, ჩემი ოცნებები ჩემს პროფესიასთანაც არის დაკავშირებული. არტისტები ცოტა შერეკილები ალბათ იმიტომაც ვართ, რომ მთელი სამყარო ჩვენთვის თეატრშია მოქცეული და მინდა ამ სამყაროს რაღაც ახალი შევმატო.

და ბოლოს, როგორც ყველა ქართველს, მეც მინდა, დალაგებულ, მოწესრიგებულ ქვეყანაში ვიცხოვრო. რომ ჩემს ქვეყანას მართავდნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ხალხს მონებივით არ მოექცევიან. არავინ იცის ვინ, სად და რა პირობებში აღმოჩნდება ხვალ და მინდა რომ იმათ, ვინც დღეს ასე უმოწყალოდ ძარცვავს ქვეყანას, თავიანთი შვილების გამო მაინც გაიხედონ წინ. ძალიან ბევრი მაღლა მყოფი დანარცხებულა ძირს, ისე რომ ვეღარ ამდგარა. იქნებ ხანდახან მაინც დაფიქრდნენ ამაზე.

— იდეალი თუ გყავთ?

— კერპებზე მაინცდამაინც არა ვარ ორიენტირებული, მაგრამ გატაცებები მაქვს.. ბავშვობაში, მაგალითად, ანა მანიანზე ვიყავი გაგიჟებული. რაღაც პერიოდში დოსტოევსკი მიტაცებდა.

— თუ ლამაზი, გამორჩეული და პოპულარულია ადამინი, როგორც თქვენ, ე. ი. ბედნიერიც არის?!.

— მე კი არა, ულამაზესი ქალები — გრეტა გარბო, მერლინ მონრო, რომი შნაიდერი, ავა გარდნერი და სხვები არ იყვნენ ბედნიერები!.. მათ მართლაც ჭეშმარიტმა სილამაზემ და გამორჩეულობამ ვერ მოუტანა ბედნიერება და სულიერი წონასწორობა და მათთან მე რა მოსატანი ვარ.

— ბედნიერება სულიერ წონასწორობაშია?

— ალბათ ამაშიც, მაგრამ მე უფრო ის აზრი მომწონს რომ ბედნიერება, მოპოვებისკენ სწრაფვაშია. უკვე მიღწეული, რაღაცნაირად უფერულდება და უინტერესო ხდება. თუმცა, როცა რაღაც დიდი ტკივილი დაგატყდება თავზე და რაღაც ძალიან აგიფორიაქებს სულს, მაშინვე იგებ უშფოთველი, გაწონასწორებული ცხოვრების ფასს. ეს თითქოს გვახსოვს, მაგრამ მაინც უჩვეულო გვიტაცებს. სადღაც წავიკითხე და ძალიან მომეწონა — კონკიას თავგადასავალი გვაინტერესებს მანამ, სანამ უფლისწულს შეხვდებაო!.. მერე მართლაც აღარ მივყვებით, რადგან ვიცით, ყველაფერი ჩვეულებრივად იქნება!..

— კონკიასგან განსხვავებით, ყველაფერი არაჩვეულებრივად თქვენ მიერ გახმოვანებულ ალექსისთან იყო, არა?

— ძალიან გამიმართლა, რომ მართლაც არაჩვეულებრივ ქალს ვახმოვანებდი. „დინასტიაც“ ერთ-ერთი საუკეთესო სატელევიზიო სერიალია. ჯოან კოლინზს, ამ როლის შემსრულებელ მსახიობსაც ხშირად მამსგავსებენ, შეიძლება იმ მანერების გამო, თქვენ რომ ახსენეთ. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ გადაწყვიტა „მედეა“ დადგას.

— ვისი?

— სხვადასხვა ავტორები გააერთიანა — ევრიპიდე, ანუი, სენეკა და რაზუმოვსკაია. ვცდილობდი გადამეთქმევინა „მედეას“ დადგმა, თუმცა ვერ შევძელი. მესმის, რომ მედეა ერთ-ერთი საოცნებო როლია მსახიობისათვის, მაგრამ ძალიან მეშინოდა. ბატონ გოჩას ალბათ აქვს მიზეზი და მიზანი, სწორედ ახლა და სწორედ ეს პიესა დადგას, მაგრამ მაინც მეშინია. ძალიან რთული ხასიათია.

ასპაზია პაპატანასიუ მყავს ამ როლში ნანახი. უფრო ზუსტად მედეას მონოლოგები მაქვს მოსმენილი ფილარმონიის სცენიდან. როლი მთლიანად არც უთამაშია მაშინ, მაგრამ, როგორც მახსოვს, მთელი მონოლოგების მანძილზე ეტიროდი. ახლა ვფიქრობ, ალბათ, ისეთი წამლეკავი ენერგია და ტრაგიზმი მოდიოდა სცენიდან რომ მე, თორმეტი წლის ბავშვი, ვერ ვუმკლავდებოდი.

როცა გოჩა კაპანაძემ ბატონ რობერტ სტურუას უთხრა „მედეას“ დადგმას ვაპირებო, სტურუამ ასე უპასუხა — მართალი რომ ვთქვა, მე დღემდე არ ვიცი, როგორ უნდა დაიდგას „მედეაო“!.. მოგეხსენებათ, მას უკვე დადგმული აქვს იგი!..

— ძნელია მსახიობობა?

— ერთი შეხედვით ძალიან ადვილია. ყველას შეუძლია აიღოს ტექსტი, წაიკითხოს, დაიზეპიროს და ა. შ. მაგრამ საბოლოოდ, მსახიობობა ძალიან რთულია და თან ძალიან კარგი!..

— ბევრი როლები გაქვთ ნათამაშები?

— ჩემი პირველი როლი რუსთაველის თეატრში საპოენიკოვა იყო. დიდი ბედნიერება მხვდა წილად, რომ რობერტ სტურუამ როლი თაყის ერთ-ერთი შესანიშნავ სპექტაკლში „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. თეატრში თითქმის ფეხის შედგმისთანვე მათამაშა. საპოენიკოვა დღემდე რჩება ჩემს უსაყვარლეს როლად. მე მგონია, რისი მიღწევაც იქ შეეძელი, რა თქმა უნდა, ბატონი რობერტის მეშვეობით, მერე იშვიათად მომიხერხებია...

„დაკრძალვა კალიფორნიაში“ — კიტი ვითამაშე... შემდეგი იყო კორდელია — რობერტ სტურუას მიერ დადგმულ სპექტაკლში „მეფე ლირი“. ამ როლზე არასოდეს მიოცნებია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ჩემი მსახიობური ბუნებისაგან შორს იდგა. ეტყობა რაღაც სტერეოტიპული წარმოდგენა მქონდა მასზე.

— და ამ წარმოდგენით ეს იყო, ასე ვთქვათ, ცისფერი როლი?

— რაღაც ამდაგვარი. ბატონმა რობერტმა მიმახვედრა, რომ კორდელია არ შეიძლებოდა ყოფილიყო უმწეო, ლირიული ქალი. მას ხომ აღმოაჩნდა ძალა, სიყალბეს რომ აღდგომოდა წინ?!. რაც უფრო მეტს ვფიქრობ მასზე, მით უფრო მომწონს. საშუალება რომ მქონდეს, ბევრ რამეს ალბათ კიდევ უფრო სხვაგვარად გავაკეთებდი. კორდელია მამამისის ნაკლსაც ძალიან კარგად ხედავდა, მაგრამ მაინც უყვარდა იგი, რადგან ის იყო მისი მშობელი! ლირის ნაკლი კი ის იყო, რომ მეფობა თავისი განუყოფელი ნაწილი ეგონა, თავისი ღირსება. განიარაღდა და ვიცით რაც დაემართა... დღევანდელ თანამდებობის პირებსაც ასე ემართებათ — სკამზე დასხდებიან თუ არა, ყოველისშემძლე ჰგონიათ თავი!.. გამოაცლი სკამს და ისეთივე არარაობები ხდებიან, მანამდე რომ იყვნენ!.. თუმცა ისევ ჩემს როლებს მივუბრუნდეთ, არ შემიძლია, არ გავიხსენო „კვაჭი კვაჭანტირაძე", სადაც რებეკას ვთამაშობდი. აუთო ვარსიმაშვილის დაღგმა იყო. ვარსიმაშვილსვე ეკუთვნოდა „ტიტუს ანდრონიკუსი", ძალზე სისხლიანი სპექტაკლი, სადაც ლავინიას ვთამაშობდი. ეს როლი საინტერესო იმითაც იყო, რომ მთელი მეორე მოქმედება თითქმის სულ სცენაზე ვიყავი, მაგრამ ენაც მოკვეთილი მქონდა და ხელებიც. ასეთი რამ ჩემგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, რათა ჩემი ყოფნა საინტერესოც ყოფილიყო და მეტყველიც. ეფიქრობ, გარკვეულწილად ეს ამოცანა დავძლიე.

ძალიან საინტერესო როლი იყო ლიდა, სპექტაკლში „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" (რეჟისორი გოგა ოიავაძე). იმის მერე ბევრი როლი ვითამაშე — ბერნანდა ალბა, მარიამ სტიუარტი, კლარა, მარინა... მაგრამ მე ვფიქრობ, ლიდა, ჩემი ყველაზე სრულყოფილი როლი იყო. იქ ყველაზე ახლოს მივედი სახესთან. საერთოდ, მე ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ყველა ისეთი როლის თამაში მარგუნა ბედმა, რომლებიც მიყვარს.

— კიდევ რა გიყვართ?

— სიცოცხლე მიყვარს, თუნდაც იმიტომ, რომ მზე ანათებს!.. ჩემი ფანჯრებიდან აი, ის მშვენიერი ხეები რომ მოჩანს, ათასფერი ფოთლებით და საერთოდ, რამდენი რამეა ცხოვრებაში ისეთი, რასაც შეუძლია სიხარული მოგანიჭოს? — მთავარია, აღქმის უნარი არ გაგიცვდეს.

— კითხვა გიყვართ?

— კითხვის გარეშე ბევრ რამეს ალბათ ვერ გაუძლებდი. წიგნი ძალიან დამეხმარა იმ ტკივილის გადატანაში, რაც განვიცადეარიან ცხოვრებისაგან შეძენილი ცოდნით დაბრძენებული ადამიანები, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანს მაინც კითხვა ზრდის. ამიტომ, ძალიან მტკივა გული, დღევანდელ ახალგაზრდებს ასე ძალიან რომ არ უყვართ კითხვა.

— ვინ არის არტისტი?

— ალბათ ის ადამიანი, ვისაც უნდა, რომ დიდხანს იყოს ბავშვი!..

— ჩვენს დღევანდელ პირობებში, არტისტს შეუძლია გამორჩეული იყოს? თუმცა მგონი, თქვენ ამას ახერხებთ?!

— ჩვენი საზღვარგარეთული კოლეგებისაგან განსხვავებით, სადაც ამაზე მილიონები იხარჯება, თუ მაინც რამე გამოგვდის, ეს ალბათ უფრო ჩვენი შინაგანი გამორჩეულობის, შინაგანი სიმდიდრის ხარჯზე ხდება. სერგო ზაქარიაძე, თურმე, ომის დროს, არაფრით არ დგებოდა პურისა და ნავთის რიგში! — ძალიან უჭირდა ალბათ, მაგრამ მას არ უნდოდა, ადამიანებს, რომლებიც ეთაყვანებოდნენ, ასეთ ყოფაში ენახათ. მგონია, როცა სცენაზე, ამ ამაღლებულ, საჩინო ადგილზე დგეხარ და სხვები დაბლიდან გიყურებენ, რაღაცით მაინც აუცილებლად გამორჩეული უნდა იყო.

— თეატრი ტაძარია ?

— თეატრი კერპია, რომელიც გვიყვარს და რომელსაც მსხვერპლად ვეწირებით.

2000 XII.

ქეთი ჩხეიძე

— ვინ ხართ თქვენ?

— ქეთი ჩხეიძე, მსახიობი. მყავს მეუღლე ერეკლე ღლონტი, ყოფილი ექიმი, ამჟამად ბიზნესმენი, ორი შვილი და დედა — ნანა ჟორდანია.

— სად და ვისთან სწავლობდი?

— თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ გიზო ჟორდანიასთან.

— თქვენს ჯგუფს გამორჩეული ბედი ჰქონდა?..

— ჩემი ჯგუფის განსაკუთრებული ბედი, ჩემი აზრით, უკვე ის იყო, რომ გიზო ჟორდანიასთან მოვხვდით. გამორჩეული ვიყავით იმაშიც, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი ჯგუფი მიგვიღეს რუსთაველის თეატრში. ჩვენამდე, ბატონი გიზოს ჯგუფი წაიყვანა რუსთაველის თეატრმა, შემდეგ ძარჯანიშვილის თეატრმა და ა. შ.

— ე. ი. ბატონი გიზო, უკვე ინსტიტუტშივე ქმნის, თანამოაზრეთა პატარა თეატრებს?

— ასე გამოდის. ინსტიტუტიდან ძალიან კარგი სპექტაკლები წავიღეთ თეატრში: „ანა ფრანკის დღიური", „სამანიშვილის დედინაცვალი", „მუსუსი", „ამაღამ მგონი იქნება ქარი". ჩვენ გვქონდა ჩვენი რეპერტუარი და გვყავდა ჩვენი მაყურებელიც. ბატონ რობერტ სტურუასაც, სწორედ ჩვენი სპექტაკლების გამო

მოეწონეთ და იმ პირობით მიგვიღო თეატრში, რომ მცირე სცენაზე გაგვეგრძელებინა მუშაობა.

მანამდე, ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი, ქალბატონი ეთერ გუგუშვილიც ძალიან მონდომებული იყო, რომ დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში შეგვექმნა მუდმივმოქმედი ახალგაზრდული თეატრი. მაგრამ როცა ბატონი რობერტ სტურუას შემოთავაზება გაჩნდა, რასაკვირველია, რუსთაველის თეატრში მუშაობის პერსპექტივამ უფრო მოგვეხიბლა.

— რამდენი წელი იყავით რუსთაველის თეატრში?

— თითქმის ათი წელი ვთამაშობდით მცირე სცენაზე ჩვენს სპექტაკლებს. დაყდგით ახალი სპექტაკლებიც.

— რატომ დაიშალეთ?

— თანდათან განელდა თავდაპირველი აღმაფრენა. თეატრის შიდა პრობლემებმაც იჩინა თავი. ნელ-ნელა გამოიკვეთა, თითქოს გაუმჟღავნებელი, მაგრამ შესამჩნევი დაპირისპირება დიდი სცენისა და მცირე სცენის დასს შორის...

— რობერტ სტურუამაც აღარ გაიმეორა დოდო ალექსიძის საბედისწერო შეცდომა და სანამ მას აუტეხავდით რამეს, თქვენ გამოგიშვათ?

— რაღაცნაირად, თანდათან დავიშალეთ. ჯერ თითქოს გამოშვებასაც არაყინ გვიპირებდა, მაგრამ ხანდახან მეძალებოდა ფიქრი, რომ წამოვიდოდი თეატრიდან...

— რატომ?

— შეიძლება იმიტომ, რომ ათი წელი მხოლოდ იმას ვთამაშობდი, რითაც თეატრში მივედი! ბუნებრივია, გამიჩნდა აზრი, რომ თუ ასეთი სერიოზული დროის მანძილზე ვერაფერი შექმენი, ესე იგი რაღაცაშია საქმე?! ჩვენი პროფესია ასეთია, გაქვს სამუშაო? — ხარ მხახიობი! არა გაქვს? — წადი, დაისვენე!..

— ბატონი გიზო არ გაძლევდა სამუშაოს?

— როგორ არა! ვინმეს დადანაშაულება არც მიფიქრია. წამოსვლის წინ, ახალ სპექტაკლზე ვმუშაობდით და საკმაოდ ინტენსიურადაც, მაგრამ...

— რა მოხდა?

— ამ დროს უკვე, ბატონ გიზოსა და ბატონ რობერტს შორისაც დაიძაბა ურთიერთობა. უფრო სწორად დაძაბულობა უკვე აშკარა გახდა. ეს მოხდა, ერთ-ერთი საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა წარმატებული გასტროლები საზღვარგარეთ: პოლონეთში, გერმანიაში, შოტლანდიაში, ესპანეთში, ინგლისში. და აი, სწორედ ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ, მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. ჩამოუედით თუ არა, ბატონმა რობერტ სტურუამ დაგვიბარა და გვითხრა — თეატრში შემცირებაა, იძულებული ვარ თქვენი ჯგუფიდან რამდენიმე კაცი დავტოვო, დანარჩენები კი გაგიშვათო!.. ასეთი შოკური ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, პირველად ინსტიქტურად დაიწყეთ გამოთვლა — ჩვენს შორის ვინ გადარჩებოდა?!. თუმცა, მალე მოვეგეთ გონს, და მიეხვდით, რომ ჩანაფიქრში გაცილებით ვერაგული რამ იდო!.. ჩვენ მარტო სამუშაოს კი არა, სპექტაკლებსაც უნდა გამოვთხოვებოდით. სპექტაკლიდან ათი-თორმეტი მსახიობი რომ მოიხსნება, მისგან რაღა უნდა დარჩეს?! ინდივიდუალურად თავის გადარჩენაზე ფიქრს თავი დავანებეთ, იქვე მოვილაპარაკეთ და ბატონ რობერტს ვუთხარით — გვირჩევნია, ყველა ერთად წავიდეთ, ვიდრე უარი ვთქვათ. პირველ რიგში, ბატონ გიზოზე და შემდეგ ჩვენს სპექტაკლებზე.

— ბატონი გიზო სად იყო ამ დროს?

— იქ იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს, გადაწყვეტილებებს ვიღებდით ჩვენ. მერე, ეს ამბავი, ქალაქშიც გახმაურდა. ბევრი შეეცადა დაგვხმარებოდა. მათ შორის ბატონი გიგა ლორთქიფანიძეც, რომელმაც შემოგვთავაზა — ნუ დაიშლებით, მე დაგითმობთ მსახიობის სახლის სცენას, დაგინიშნავთ ხელფასებს და საერთოდ, თქვენს გვერდით მიგულეთო! რასაკვირველია, ბატონი გიგას ძალიან მადლიერები ვიყავით, მაგრამ ამ დროს, კულტურის სამინისტროც ჩაერია საქმეში. იმის მიუხედავად, რომ არეულობა უკვე დაწყებული იყო, კულტურის სამინისტროს ჯერ კიდევ პქონდა ძველებური ძალა და ავტორიტეტი. კულტურის მინისტრს შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო თეატრის გადაწყვეტილებებში. ამის სიკეთე ის გახლდათ, რომ თეატრის მესვეურებს არ შეეძლოთ ისეთი ერთპიროვნული მმართველობა, როგორც ახლა. მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, ბატონმა ვალერი ასათიანმა, სტურუასთან შეხვედრის შემდეგ დაგვიბარა და გვითხრა — არავითარი შემცირება არ გემუქრებათ, შეწყდეს ამაზე ლაპარაკი და ხვალიდან ყველა გამოცხადდით თეატრშიო!..

— ბატონი გიზო ბოლომდე დუმდა?!.

— მინისტრის ამ განცხადების შემდეგ ისიც დარჩა, მაგრამ ურთიერთობები უკვე გაბზარული კი არა, დამსხვრეული იყო. ის დიდი ზეიმი, რომელიც თავისი ინიციატივით გაგვამართინა ბატონმა რობერტმა, ჩაკვდა, მოისპო.

აი, ასეთ დროს შეუდგა ბატონი გიზო „კაცია-ადამიანის?!" დადგმას. დაასრულა პირველი მოქმედება და გადავედით მეორე მოქმედებაზე... ერთხელაც დერეფანში მხვდება ჩემი ჯგუფელი გოჩა კაპანაძე და მეუბნება — სად მიდიხარ?... არაკითარი რეპეტიცია აღარ იქნება, გიზო ჟორდანია წავიდა თეატრიდანო!..

მიუხედავად იმისა, რომ გიზო დედაჩემის ძმაა, თითქმის მისი გაზრდილი ვარ და მისი მოწაფეც ვიყავი, არაფერი ვიცოდი. არაფერი უთქვამს სახლში... გაოგნებული, გაფითრებული და იმედგაცრუებული გამოვედი თეატრიდან. მივდივარ, რათა მოვძებნო ბატონი გიზო და ვკითხო — რა მოხდა?!. რაც მთავარია, პირველ რიგში მე მის გამო უფრო ვწუხდი, ვიდრე იმის გამო, თუ მე რა მეშველებოდა, ჩემი დარეჯანით?!. მივედი ოპერასთან და დღემდე არ ვიცი, რამ მომაფიქრა ის მიამიტური გადაწყვეტილება, რომელიც მივიღე! — გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი თეატრში და ბატონი რობერტისათვის მეკითხა — რა მოხდა?!.

დავბრუნდი და ბატონ რობერტთან, რეპეტიციაზე შევაგზავნე თანამშრომელი — თუ შეუძლია დამელაპარაკოს — მეთქი?!. — რატომღაც ჩავთვალე, რომ ამის უფლება მქონდა?!. თან, იქვემყოფ ჩემს ჯგუფელს, ირაკლი მაჭარაშვილს ვთხოვე, ერთად დაველაპარაკოთ ბატონ რობერტს, იქნებ შევძლოთ რამის გამოსწორება, შევარიგოთ, მეთქი!..

ამასობაში ბატონი რობერტიც მოვიდა და ისე თბილად, საყვარლად მომესალმა, ლამის ვიტირე!.. და მესამე კლასელის გულუბრყვილობით ავლაპარაკდი! — ჩემს ამ მონოლოგში თხოვნაც იყო, მუდარაც, განრისხებაც და ბატონი გიზოს დაცვის უმწეო ცდაც!..

— ერთი სიტყვით, ანტიგონე თავის სიმართლეს უმტკიცებდა კრეონს?!

— უმტკიცებდა და მერე როგორ! სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, ისეთი მგზნებარე საბრალდებო სიტყვა წარმოთქვი თეატრში გამეფებულ მლიქვნელურ-მაამებლურ ატმოსფეროზე და

ბატონ რობერტზე, ამ ატმოსფეროს მთავარ სულისჩამდგმელზე, რომ იმ წუთში რატომ არ გამომაგდო, დღემდე მიკვირს!.

— დუელი არ მიიღო?!.

— წარმოვთქვი ეს ჩემი საბრალდებო მონოლოგი და ველოდები, რაღაც საშინელება მოხდება!.. და ამ დროს, მესმის ბატონი რობერტის დათაფლული ხმა — ქეთი, იცი რაშია საქმე?!.. შენ გიზოს ტელეფონი გაქვს?!. ჩამაწერინე ერთი!.. — ვითომ შენ აქ რა გულს იხეთქავ, დავურეკავ გიზოს და ყველაფერი მოგვარდებაო!..

— მეტი არაფერი უთქვამს ?!.

— როგორ არა! — ყველაფერი დირექტორის ბრალიაო!..

— დაიჯერე?

— რასაკვირველია! და როგორც ნამდვილი გმირი, ისე გამოვედი იქიდან — საქმეც გავაკეთე და თან, ხედავთ, სტურუას როგორ ველაპარაკე?!. იმ ადამიანს, ვის წინაშეც მთელი თეატრი, ლამის მუცელზე ხოხავს!..

— თეატრში ამის შემდეგ გაგირთულდა მდგომარეობა?

— გართულება იქიდან დაიწყო, როცა ჩემი სათაყვანებელი ადამიანი თეატრიდან წავიდა! გამიჩნდა პროტესტის გრძნობა, რომელსაც როგორც შემეძლო ისე გამოვხატავდი. თუმცა ვიცოდი, ამით არაფერი შეიცვლებოდა, გარდა იმისა, რომ ერთი მოჩხუბარი, უზრდელი გოგოს შთაბეჭდილებას დავტოვებდი!.. ბოლოს, ამ პროტესტისა და იმის გამოც, რომ დიდ სცენაზე ვერანაირად ვერ ვხედავდი ჩემს თავს, წამოვედი თეატრიდან.

— დიდხანს იყავით უმუშევარი?

— რვა წელი.

— რას აკეთებდით?

— ვზრდიდი შვილებს — ელენეს და ნიკუშას.

— ამჟამად რას აკეთებთ?

— ამჟამად ბედმა გამიღიმა და ვარ მარჯანიშვილის თეატრში. ამისათვის, ბედის გარდა ბატონი ოთარ მელვინეთუხუცესისაც დიდად მადლიერი ვარ.

არ შემიძლია, განსაკუთრებული სიყვარულით არ მოვიხსენიო, ჩემი მეგობარი, რეჟისორი ლევან წულაძე, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დგამს „ყვარყვარე თუთაბერს“ და გულთამზეს როლი მე მომცა.

— გაგიმართლათ ცხოვრებაში?

— რასაკვირველია. ზეიმითა და სიხარულით აღსავსე ათი წელი მქონდა რუსთაველის თეატრში!.. მაქვს შესანიშნავი ოჯახი. მიმიღეს მარჯანიშვილის თეატრში... და საერთოდ, ცხოვრება ხომ ჯერ კიდევ წინ არის!..

— რისი გახსენება განიჭებთ განსაკუთრებულ სიხარულს?

— მარტო სიხარულს კი არა, ძალიანაც შეამაყება ის, რომ შარშან თავად სოფიკო ჭიაურელმა დამირეკა და მასთან ერთად, თავის თეატრში თამაში შემომთავაზა! შემდეგ, მართალია, ეს სპექტაკლი აღარ დადგმულა, მაგრამ განა ცოტაა ის ფაქტი, რომ სოფიკო ჭიაურელს სწორედ მე გავახსენდი და არა სხვა?!.

— თეატრი ტაძარია?

— მსახიობისათვის თეატრი ტაძარიც არის და სახლიც. რადგან შენ მისით და მასში ცხოვრობ, ის შენი სახლია. მაგრამ, როცა შენ სცენაზე დგეხარ და ათასობით თვალი შემოგყურებს, ხარობს და განიცდის შენთან ერთად, შემდეგ კი იქიდან გრძნობებით დატვირთული, განწმენდილი და ამაღლებული გამოდის, რასაკვირველია, ტაძარია.

საერთოდ, თეატრი ის არის, რა დამოკიდებულებაც გაქვს მის მიმართ.

2000 X.

პაატა ბარათაშვილი

— პაატა ბარათაშვილი, მსახიობი, დაბადებული?..

— 1953 წლის 1 იანვარს.

— მშობლები?..

— დედა ერნა ხატიაშვილი, პედაგოგი, დაბადებული და გაზრდილი რუსეთში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 18 წლისა ყოფილა საქართველოში რომ ჩამოსულან. ქართული აქ უსწავლია. რადგან, ფაქტობრივად, რუსულენოვანი დედა მზრდიდა, სკოლაში წასვლამდე, ქართული არც მე ვიცოდი. მაგრამ რუსულ სკოლაში სწავლაზეც სასტიკი უარი მითქვამს — ქართველი ვარ და რუსულ სკოლაში რა მინდაო?!– მამაჩემი ყოველთვის ამაყობდა ამით! მამა — როსტომ ბარათაშვილი თავის დროზე ძალზე გახმაურებული ისტორიის ერთ-ერთი მოქმედი პირი გახლდათ. სინამდვილეში მომხდარი ეს ისტორია შემდეგ ნოდარ დუმბაძეს აქვს აღწერილი თავის „თეთრ ბაირაღებში“. ის მეგობარი, მასთან ერთად რომ დაიჭირეს რესტორანში მომხდარი მკვლელობის გამო, მამაჩემი იყო. რომანში როსტომ ამილახვარი. უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე იყო რომ დაიჭირეს და შვიდწელიწადნახევარი იჯდა. ციხეში ყოფნის მეოთხე წელს გაიგო სინამდვილეში მკვლელი ვინც იყო!..

— ტკივილიანი ბავშვობა გქონდათ?
— შეიძლება, მაგრამ ეს დიდად არ მიგვრძნია. წლის და ხუთი თვის ვიყავი მამა რომ დაიჭირეს.
— სკოლაზე რას იტყვით?
— ვსწავლობდი 55-ე სკოლაში, დავამთავრე 1970 წელს!
— თეატრი როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში?
— რომ გითხრათ ბავშობიდან თეატრის თავგადაკლული მოყვარული ვიყავი-მეთქი, სიცრუე იქნება. იმას არ ვთვლი, სკოლიდან რომ დავყავდით თოჯინებისა თუ მოზარდმაყურებელთა თეატრებში. მაგრამ მასზე ფიქრი როდის დავიწყე ზედმიწევნით მახსოვს. მეათე კლასში ვიყავი სპექტაკლს რომ ვესწრებოდი რუსთაველის თეატრში და უცებ გავიფიქრე — იმას, რასაც მსახიობები აკეთებენ მეც გავაკეთებ და შეიძლება გაცილებით უკეთესადაც-მეთქი!... ალბათ ეს ახლა თავხედურად ჟღერს, მაგრამ მაშინ ასე გადავწყვიტე. ეს იყო და ეს, თეატრზე ფიქრმა მაგნიტივით მიმიზიდა. სიარულსაც მოვუხშირე — მოსვენება კი საბოლოოდ მაშინ დავკარგე, თუმანიშვილის მიერ დადგმული „ანტიგონე" რომ ვნახე!.... ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე!... ბატონი სერგო ზაქარიაძე!... თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარების გარდა აღარც არაფერი მინდოდა! თუმცა მანამდე ხატვა და ძერწვა უფრო მიყვარდა. დღე და ღამე თიხა მეჭირა ხელში. მშობლებიც ფიქრობდნენ რომ სწორედ სამხატვრო აკადემია იყო ჩემი მომავალი. თუმცა ბოლო წუთს დიდი კონკურსის შეეშინდათ და გადაწყვიტეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სარკინიგზო მშენებლობის ფაკულტეტისათვის მოვემზადებინეთ. კერძო მასწავლებლებთან დამაწყებინეს მეცადინეობა. ძალიან გამიმართლა მათემატიკის მასწავლებელთან — სწორედ რომ საჩემო იყო. მივიდოდი და მეტყოდა: შენც გეზარება და მეც, წადი გაისეირნე, სახლში კი უთხარი ვიმეცადინეო!... მეც მეტი რა მინდოდა და ცხონებულ მამაჩემს ასე უქმად ვაყრევინებდი ფულს.

დადგა მისაღები გამოცდების დრო. მაგრამ არ მინდა ეს სარკინიგზო მშენებლობა!...შეეედი გამოცდაზე. უფრო ზუსტად ინსტიტუტის შენობაში, მაგრამ საგამოცდო ოთახის ნაცვლად გავემართე... ტუალეტისაკენ! გავხსენი ჩუმად მომარაგებული სიგარეტის კოლოფი და სანამ, ჩემი აზრით, წერითი გამოცდა გრძელდებოდა მთლიანად მოვწიე! მერე მივიღე გახარებული კაცის

გამომეტყველება და გამოუედი. მამაჩემმა ეტყობა იფიქრა კარგად არის საქმეო და თავადაც ბედნიერმა მკითხა:

— დაწერეო ?

— ვერა-მეთქი!..

— აბა, რა გიხარიაო ?! — გადაირია კაცი. დაიწყო ფიცი:

— ჯარში გიკრავ თავსო!...

ვფიქრობდი, ოღონდ ახლა გადავრჩე და ჯარში წასვლამდე დაშოშმინდება, აბა რა იქნება-მეთქი! არა და უარესი თურმე წინ მელოდა!– მამაჩემს ინსტიტუტში ახლობელი ჰყოლია, ვისთვისაც უთხოვია — ბავშს მიმიხედეო!.. და ისედაც გაცეცხლებულ მამაჩემს ის კაცი არ დაადგა თავზე?!

— შენი შვილი ვერსად ვნახე ჩემო როსტომო! — უთხრა.

იქ ამბავი ატყდა!..

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოუტყდი მშობლებს:

— გამოცდაზე იმიტომ არ გავედი, რომ პოლიტექნიკურში სწავლა არ მინდა-მეთქი!

— აბა, სად გინდაო?! — ვუთხარი სადაც მინდოდა!....

როსტომ ბარათაშვილი, ძველი ვერელი, თავმომწონე კაცი დიდად არ აღფრთოვანებულა იმით, რომ მისი შვილი არტისტი უნდა გამოსულიყო, მაგრამ რაღას იზამდა?!

მაშინ ასეთი წესი იყო — თუ არ სწავლობდი, უმუშევარი ვერ იქნებოდი. მუშაობის ცნობის გარეშე ინსტიტუტში საბუთებსაც კი არ მიიღებდნენ. და მამაჩემმაც თავის მეგობართან ეროსი მანჯგალაძესთან მიმიყვანა, რომელმაც სცენის მუშად მომაწყო თეატრში. უკეთესს რას ვინატრებდი? — ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელაც ბატონმა სერგო ზაქარიაძემ შემამჩნია და გამესაუბრა კიდეც. ხოლო, როცა გაიგო მსახიობობა მინდოდა, შემპირდა:

— ვეტყვი, უსიტყვო როლები გათამაშონო!

სიხარულისაგან მეცხრე ცაზე ვიყავი. სერგო ზაქარიაძე დაინტერესდა ჩემით! ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ მაშინ კი არა, დღესაც თვალუწვდენელ სიმაღლეზეა ჩემთვის!...

თეატრალურ ინსტიტუტში, სასცენო მეტყველების კათედრის გამგესთან ქალბატონ მალიკო მრევლიშვილთან, ჩვენმა დიდმა მსახიობმა ზინა კვერენხილაძემ მიმიყვანა. ქალბატონმა მალიკომ მომისმინა, მაგრამ მოსამზადებელ კურსებზე მაინც ვერ მოვხვდი,

მეტყველება დამიწუნეს. მერე ქალბატონი მედეა ჩახაუაც ჩაერია საქმეში. იგი ბებიაჩემთან იკერავდა კაბებს და ძალიან დაახლოებული იყო ჩვენს ოჯახთან. ქალბატონმა მედეამ ლექსისა და იგავ-არაკის კითხვა მასწავლა. მისმა ვაჟმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ კი ამიხსნა რა იყო ეტიუდი და როგორ უნდა გამეკეთებია. მოვიდა გამოცდების დრო. ჩავაბარე და მოვხვდი მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში.

— რას ნიშნავს შენთვის თუმანიშვილის მოწაფეობა?

— ცოდვა გამხელილი სჯობს, მაშინ ბევრს არაფერს!..ამდენი ხნის შემდეგ თეატრში ხელმეორედ რომ დავბრუნდი, მხოლოდ ახლა მივხდი, რომ ეს ბედის საჩუქარი იყო. როცა ასეთ პიროვნებასთან ყოველდღიური ურთიერთობა გაქვს, ფიქრობ, ეს ასე უნდა იყოს?! აი, დღეს როდესაც ის უკვე კარგა ხანია აღარ არის, ირგვლივ კი უამრავ უცოდინარს რეჟისორი ჰქვია, რასაკვირველია, გაცილებით მეტად აფასებ იმას, რაც ასე უხვად გიბოძა ცხოვრებამ. ასე მგონია, ჩვენი თეატრის გარდა, არანაირი წარმოდგენა არა აქვთ ქმედითი ანალიზის მეთოდზე. იმათაც კი, ვინც მასთან ისწავლა, მაგრამ შემდეგ მასთან აღარ უმუშავია. ხშირად, ტელერეკლამითაც შემიძლია იმის გამოცნობა თეატრის სახელით რა უბედურებასაც გვთავაზობენ. ამიტომ არ შემიძლია ყველა რეჟისორთან მუშაობა. თუ იგი იმ ენაზე არ ლაპარაკობს, რომელიც მესმის, არაფერი გამოგვივა. ჩვენი საუბარი ორი ყრუს ერთმანეთისათვის გაგებინების ამაო მცდელობა იქნება.

— თეატრალური ინსტიტუტიდან კიდევ ვინ დაგამახსოვრდათ?

— ქალბატონი ნათელა ურუშაძე. მის აზრს დღემდე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. ქალბატონი ნათელა არის მეტრი.

— პირველი სპექტაკლი, რომელშიც ითამაშეთ?

— ეს იყო ცოტნე ნაკაშიძის მიერ დადგმული დავით კლდიაშვილის „მსხვერპლი". მე და მურმან ჯინორია სოფლის აზნაურებს ვთამაშობდით. ეპიზოდური როლები იყო, მაგრამ ბატონმა მიშამ მათი ხასიათის თითოეული ნიუანსი დაგვამუშავებია. ამ დროს მესამე კურსზე ვიყავი. პირველი წარმატებული როლი კი დონ კიხოტი იყო. ესეც ინსტიტუტში. ნუგზარ ბაგრატიონმა თავის სარეჟისორო ნამუშევრად დადგა მიუზიკლის „ლამანჩელის" ბოლო სცენა. არასოდეს დამავიწყდება ის შეგრძნება, რომელიც მაშინ მქონდა.

— არტისტობის გემო იგრძენით?

— არა, გემოს შეგრძნებამდე ყოველთვის ხელახლა უნდა მიხვიდე. როცა რაღაც გამოგდის გემოც არის!.. თუ არა და კვლავ ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ გზა, რომელსაც ადგახარ, შენი არ არის! ეს ბოლომდე ასეა.

— ინსტიტუტი როდის დაამთავრეთ?

— 1975 წელს. ჩვენი სადიპლომო სპექტაკლი იყო „ახალგაზრდა გვარდიის სახელით". ვთამაშობდი ლევაშოვს. ეს მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლი გახლდათ. ის რომ ბატონი მიშა იმხანად ახალი წამოსული იყო რუსთაველის თეატრიდან, ჩვენი ჯგუფისთვის დიდ ბედნიერებად იქცა. მთელ თავის დროს, ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას და სიყვარულს მხოლოდ ჩვენ გვახმარდა. მის თეატრად ჩვენი მეთერთმეტე აუდიტორია იქცა, საიდანაც არ გამოვდიოდით. თუმანიშვილმა აუდიტორიას, „თეატრი ჭადრის ქვეშ" დაარქვა.

— შემდეგ მთელი ჯგუფი წაგიყვანათ კინომსახიობის თეატრში?

— არა, მხოლოდ რამდენიმე.

— რომელი როლები გიყვართ?

— მიყვარს და საუკეთესოდ მიმაჩნია ის როლები, რომლებიც მაყურებელსაც მოსწონს. მიყვარს დავით გელოვანი, სპექტაკლში „ჩემი პატარა ქალაქი". მიყვარდა ჟორჟი, სპექტაკლში „კარებს აჯახუნებენ". დღევანდელი გადასახედიდან არ ვიცი როგორი იქნებოდა, მაგრამ მაშინ დიდი წარმატება ჰქონდა. ძალიან შემიყვარდა ახლახან ნათამაშები ორი როლიც — ორგონი „ტარტიუფში" და ინჟინერი მამფრეტი დარიო ფოს პიესაში „თავისუფალი წყვილი". მაგრამ არის ორი როლი, რომლებიც საერთოდ ვერ გავითავისე. ერთია ჯოჯიკი, ნუგზარ ბაგრატიონის მიერ დადგმულ სპექტაკლში „შუშანიკის წამება" და მეორე რუსი „სეკრეტარი" — თუმანიშვილის სპექტკლში „ბაკულას ღორები". ჯოჯიკი თავისი სქემატურობის გამო მიშლის ნერვებს. რუს „სეკრეტარს" კი თავის დროზე გოგა მარგველაშვილი თამაშობდა ბრწყინვალედ. იმან, რომ მის ნაცვლად ვიყავი შეყვანილი სპექტაკლში, ძალიან შემიშალა ხელი. კი მეუბნებიან — შესანიშნავად თამაშობო, მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცის რას ვთამაშობ და როგორ?!...

— როგორ მუშაობთ როლზე?

— ვერ აუხსნი. მაგალითად, ორგონის გამო მე და რეჟისორი დავით საყვარელიძე გამუდმებით ეკამათობდით. ხან მეგონა რაღაცას მივაგენი, ხან ვფიქრობდი არაფერი გამოდიოდა. დადგა გენერალური რეპეტიციის დღე. მოვემზადე უნდა გამოვიდე და ეხედავ... ხალხია დარბაზში?! ხმამაღლა გამოვთქვი საყვედური, რაღაც მიპასუხეს. რა ექნა?!. მოვთოკე თავი და ვცადე როგორღაც დავწყნარებულიყავი, მაგრამ გულისყური მაინც დარბაზისკენ მაქვს — რა ეჩქარებოდათ მაყურებლის მოყვანა?!. რა უნდა ვაჩვენოთ?!.

— თუ ვივარგეთ კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ ვერა, მთელ ქალაქში გავარდება ხმა, რომ რაღაც საშინელება დაიდგა?!. ამ ფიქრებში ვარ და უცებ რაღაც პოზაში აღმოვჩნდი?1 — ფეხებიც უჩვეულოდ გავშალე!. რაღაცნაირად დავიწყე სიარულიც და ... როლიც დაიბადა, გაჩნდა ორგონი!. რაღაც ამდაგვარი მოხდა დავით გელოვანზე მუშაობის დროსაც. ვწვალობდი, ვწვალობდი მაგრამ რაღაც ისე არ გამოდიოდა. ბოლოს ჩაცმის დროც დადგა. შევარჩიე კოსტიუმი, ჩავიცვი გალიფე შარვალი, მოვირგე ფაფახი და ჩემი გმირიც გაჩნდა!.. ამას ვერანაირად ვერ აგიხსნით, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი, კარგად ვიცი როლის გაცოცხლებამდე გზა როგორ უნდა გავიარო.

— თქვენი პროფესიის ყველაზე დიდი სირთულე?

— ყველაზე დიდი სირთულეც და საშინელებაც არის ის, რომ ბრწყინვალედ ნათამაშები ასი როლიც კი შეიძლება წაშალოს ერთმა ცუდად შესრულებლმა როლმა.

— არისტოტელური-არაარისტოტელური, ილუზიური-ანტიილუზიური და საერთოდ, რაც არ უნდა ვუწოდოთ, საბოლოოდ მაინც განცდასა და წარმოსახვასთან გვაქვს საქმე. თქვენ როგორი თეატრის მომხრე ხართ?

— მე ამას წარმოსახვას კი არა, მოტყუებას დავარქმევდი. თუმცა ორი-სამი ბავშვი შეიძლება მართლაც მოატყუო, მაგრამ მთელ დარბაზთან ეს არ გამოვა. მსახიობმა თავად თუ არ განიცადე, სხვას რას გადასდებ?!.

— რატომ დატოვეთ თეატრი?

— მანამდე იყო ეროვნულ ძალებთან აქტიური კავშირი, რაც დღემდე ძალიან მეამაყება. ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბედნიერია ის დღე, როდესაც მე, როგორც ახალგანთავისუფლებული

საქართველოს დეპუტატმა ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს მოვაწერე ხელი.

— ბარათაშვილი ხომ ეროვნული თავისუფლების იდეამ შეიპყრო გასაგებია, მაგრამ არტისტი პოლიტიკოსად როგორ იქცა?

— ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას ჯერ შორიდან ვაკვირდებოდი, ვუსმენდი მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას. ისინი იმას ამბობდნენ, რასაც მე ვფიქრობდი, მაგრამ ვერ ვამხელდი. უფრო სწორად, რისი ნაწილობრივ გამოთქმა შეიძლება სიმთვრალეში გამებედა მხოლოდ. ამიტომაც არ გამიშვეს საზღვარგარეთ თეატრთან ერთად.

— საბჭოთა ხელისუფლების დროს?

— დიახ, კომკავშირის ცეკამ თეატრი ესპანეთის საგზურებით დააჯილდოვა, მე კი წასვლის ნება არ მომცეს. შემდეგ ჩემმა ერთმა მაღალჩინოსანმა მეზობელმა გაარკვია, რომ სუკის თანამშრომელს მოუსმენია როგორ ცუდად მოვიხსენიებდი საბჭოთა წყობას რესტორანში ქეიფის დროს! არც იმას მპატიებდნენ, რომ თვითმფრინავის გატაცების მცდელობისათვის დაპატიმრებული ბიჭების შეწყალების თხოვნაზე მოვაწერე ხელი. რაც არ უნდა დამმართოდა ამაზე უარს როგორ ვიტყოდი?! და აი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩემს სათქმელს ამბობდნენ!... ყველაფერთან ერთად, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ნათესავებადაც მეკუთვნოდნენ. ბებიაჩემი ნელი კოსტავა და მერაბი ძმათა შვილები იყვნენ. ზვიადი გვარიშვილობასაც ძალიან აფასებდა. მე და ირაკლი ჩხეიძე სწორედ ამ ნიშნით მიგვიღეს „მრგვალი მაგიდის" დამოუკიდებელ წევრებად. მანამდე ჯერ მონარქისტულ პარტიაში ვიყავი, მერე ტრადიციონალისტებთან. თუმცა თავიდან არც არანაირი წარმოდგენა არ მქონდა პარტიების სხვადასხვაობაზე. ვიცოდი ეროვნული მოძრაობა, ყველას გაფართოებული თვალებით შევყურებდი და მწამდა, რომ ყველა მათგანს საქართველოს კეთილდღეობა უნდოდა.

— როდის დატოვეთ თეატრი?

— 1992 წელს, როდესაც კრიმინალური გადატრიალება მოხდა და ხელისუფლების სათავეში შევარდნაძე მოვიდა.

— თუმანიშვილი ხომ თეატრში იყო, თქვენ მასთან უნდა გემუშავათ და არა შევარდნაძესთან?

— მაშინ იმხელა ტკივილს ვგრძნობდი, რომ არ მეთეატრებოდა!

— რამდენი წელი იყავით თეატრის გარეშე?
— ცამეტი.
— არ გენატრებოდათ?
— ერთი და იმავე სიზმარს ვნახულობდი გამუდმებით — ვიჯექი საგრიმიოროში და „ჩემი პატარა ქალაქის“ სათამაშოდ ვემზადებოდი, მაგრამ ვერაფრით ვერ ვახერხებდი ჩექმის ჩაცმას!.. ვწვალობდი, ვწვალობდი და ამ წვალებაში მეღვიძებოდა!.. ასე იყო.
— ასე ვთქვათ, შევარდნაძე ძალიან „დასაჯეთ“, მაგრამ შემოქმედების ცამეტი წელიც ხომ ქარს გაატანეთ?
— იცით რამდენი რამ გადამხდა?! — დაჭერილიც ვიყავი, გადაწვასაც მიპირებდნენ. ღამის ოთხ საათზე გაგვითიშეს დენი, ტელეფონი, წყალი და ცეცხლმოკიდებული პატრუქი შემოგვიგდეს სახლში. მეზობლების დახმარებით გადავრჩით. ეს გაფრთხილება იყო იმისათვის, რომ გროზნოში არ წავსულიყავი, მაგრამ მე მაინც წავედი!..
— ე. ი. ამ წლებმა დიდი ემოციური გამოცდილებაც შეგძინათ?
— რასაკვირველია. დროთა განმავლობაში, გინდა თუ არა, შტამპები მაინც გიგროვდება. ამ წლებმა კი მთელი შტამპები დამაკიწყა.!.. საკუთარი თავის დისტანციური მართვა მასწავლა.
— თეატრი რეჟისორის არის თუ მსახიობის?
— რეჟისორის თეატრი დღევანდელი რუსთაველის თეატრია. შეურაცხყოფის მიყენება არავისთვის მინდა, მაგრამ მგონია, რომ რობერტ სტურუამ ქართული თეატრი დაღუპა!.. მსახიობი რომელიც მასთან მოხვდება, თუ ის რამაზ ჩხიკვაძე არ არის, დაღუპულია!..
— იმის თქმა გინდათ, რომ რამაზ ჩხიკვაძეს, სანამ სტურუას სპექტაკლებში დაიწყებდა თამაშს, სტანისლავსკის სისტემაზე დაფუძნებული მიხეილ თუმანიშვილის სკოლა ჰქონდა გავლილი?
— ამ სკოლის გარეშე, პირდაპირ სტურუასთან მოხვედრილი ახალგაზრდები უბედურები არიან. მათ ისიც კი ეცლებათ ხელიდან, რაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებამდე იცოდნენ. რას ქვია რეჟისორის თეატრი? როგორ უნდა ვთქვა, რომ ადამიანი არის მისი რომელიმე ნაწილი?! — თეატრი ერთი მთლიანი ორგანიზმია და მისი დანაწევრება არ შეიძლება.

— იმ ფულის გამო „სამშობლოს„ დასადგმელად რომ იყო საჭირო, ქართული სცენის ერთ-ერთი სიამაყე ვასო აბაშიძე მუხრან ბატონის გასაცინებლად „შეხტა და შემობზრიალდა“ თქვენ თუ ხართ მზად ღირსება შეწიროთ თეატრს?

— განვლილმა წლებმა ისიც მიმახვედრა, რომ თურმე არ მცოდნია ვინ ვარ და რა დროს რას გავაკეთებ?!. ვერასოდეს წარმოვიდგენდი იმდენი გამბედაობა თუ მექნებოდა, რომ გამხეცებულ ნიჩაბმომარჯვებულ რუს ჯარისკაცს ქალს გამოვგლეჯდი ხელიდან და წიხლს ჩავარტყამდი?!. არც ის მეგონა, რომ პრინციპების გამო ცამეტი წელი უთეატროდ ვიქნებოდი?! ეს რომ სამოცდაათიან წლებში ვინმეს ეთქვა, გიჟი მეგონებოდა! ამდენად, წინასწარ არ ვიცი რისი გამკეთებელი ვარ და რისი არა.

— მარჯანიშვილს მიაჩნდა რომ „თეატრის დანიშნულება უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. თქვენ როგორ ფიქრობთ ?

— სწორედ ასე ვფიქრობ! მაყურებელს გული მაშინაც კი არ უნდა ვატკინო, როცა რაღაც მწარე მაქვს სათქმელი. ისე უნდა მივაწვდინო სათქმელი, რომ კი არ ვატკინო — დავაფიქრო.

— ჩვენი დიდი წინაპრები არტისტს ხალხის მოძღვარს, ხალხის მასწავლებელს უწოდებდნენ. თქვენთვის ვინ არის იგი?

— ჩემი აზრით, მსახიობი ერის სადარაჯოზე მდგომი ფიგურა უნდა იყოს. ამ ბოლო წლებში სულ ვფიქრობ, რამხელა ბედნიერების მომტანი პროფესიაა!? მარტო ტაშს არ ვგულისხმობ. თუმცა, ადრე ძალიან მიყვარდა ტაში. ახლა მუშაობის პროცესი უფრო ძვირფასი გახდა. რაღაცას რომ მიაკვლევ და ერთი სული გაქვს როდის მიიტან მაყურებლამდე.

— „დასაბამიდან იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან. და ღმერთი იყო სიტყვა.“ თქვენთვის რას ნიშნავს სიტყვა?

— „თეატრში სიტყვა მოქმედების მსახურია“. თეატრი არის მაშინ, როდესაც მოქმედება ბადებს სიტყვას.

— რას ფიქრობთ მოქალაქეობრივ ვალზე?

— მთელი ის ცამეტი წელი ჩემთვის მოქალაქეობრივი ვალი და ვალდებულება იყო!..

— „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“

— მე ეჭვი მაქვს, რომ ქართული თეატრი საერთოდ აღარ არის!..

— ეროვნული ინტერესები რას ნიშნავს?

— პირველ რიგში ერისათვის ანგარიშის გაწევას.

— თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ თეატრმცოდნეობის წყალობით „ძლებს“ დროში?

— თეატრმცოდნეები არიან ადამიანები, რომლებიც პროფესიონალურ დონეზე მესაუბრებიან ჩემს ნამუშევარში რა არის სწორი და რა არა. არ მიყვარს როცა რაღაცას გიწუნებენ, მაგრამ ვერ ასაბუთებენ. არიან ასეთებიც. თეატრმცოდნე, მე პირადად, იმისთვისაც მჭირდება რომ როლზე მუშაობის პროცესში გვერდზე მყავდეს და რჩევებით შემეშველოს.

— ჩვენ წინაპრებს მიაჩნდათ, რომ თეატრი ტაძარია. თქვენ რას ფიქრობთ?

— ჩემთვის ნამდვილად ასეა. სპექტაკლის წინ სანთელს ვანთებ.

— რას იტყვით თეატრში დაბრუნების შემდეგ ნათამაშებ როლებზე?

— 2003-04 წ. წ. სეზონის დასაწყისში მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრის ხელმძღვანელმა გოგა მარგველაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ არის ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორი დათო საყვარელიძე, რომელიც ჩვენთან დგამს მოლიერის „ტარტიუფს“ და ორგონის როლი უნდა რომ შენ ითამაშოო. მერე მე და დათო შევხვდით და წავედით... რესტორან „მარიოტში“!.. ძალზე სიმპათიური კაცის შთაბეჭდილება დატოვა — ადამიანი საყვარელიძე რომ არის, არასაყვარელიძე შეიძლება იყოს?!... თანაც, ყველაფერი ხომ ჩვენით არ იწყება. ფესვებიც ხომ გვაქვს. ჩემთვის იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დათო თუმანიშვილის მოწაფეა. დავიწყეთ მუშაობა. რაღაცეები მე შევთავაზე, რაღაც იმან და საბოლოოდ მგონი საკმაოდ კარგი სპექტაკლი გამოგვივიდა. მაყურებელს მოსწონს.

— ფიქრობთ რომ თემა დღეს აქტუალურია?

— პიესაში თითქოს მხოლოდ ოჯახზეა საუბარი, მაგრამ ჩემთვის ეს მთელი ქვეყანაა. ქვეყანა, სადაც თითქოს ყველაფერი მოწესრიგებულია, მაგრამ უცებ შემოძვრება ვიღაც ნაძირალა და აწეწავს ყველაფერს. შენთვის ყველაზე სანუკვარსაც არ დაინდობს, საკუთარ შვილს გაგაგდებინებს სახლიდან!... ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა დღეს ასეთი ტარტიუფებითაა გატენილი და ორგონის არ იყოს — „ვაი მათ, ვისაც ასეთი შეხვდება და ვერ ამოიცნობს, ვისაც თვალი აქვს და ვერ ხედავს, ყური აქვს და არ ესმის.“ მართლაც ვაი, მათ!...

— მეორე როლი?

— მეორე როლი თეატრში დაბრუნების შემდეგ ამ სეზონში ქეთი დოლიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში ვითამაშე. ეს გახლავთ დარიო ფოს პიესა „თავისუფალი წყვილი“. აქ მთავარი სიყვარულის გადარჩენისათვის ბრძოლაა.

— კმაყოფილი ხართ თქვენი ნამუშევრებით?

— კარგი იყო თუ ცუდი ამას ადრე ბატონი მიშა განსაზღვრავდა. იშვიათად გვაქებდა, მაგრამ მის ყოველ სიტყვას ფასი ჰქონდა, ახლა თითქოს საშინელ სიცარიელეში მოუხვდი. აღარ ვიცი ვის ვკითხო, ვისგან გავიგო — რასაც ვაკეთებ კარგია თუ ცუდი?!

— იქნებ უკვე იმ ასაკში ხართ, რომ საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ?

— ამას ვერ ვიზამ და აზრიც არა აქვს. ძალიან ხშირად, როცა გგონია რომ ბრწყინვალედ თამაშობ, მაყურებლისათვის თურმე კოშმარია!.. ზოგჯერ პირიქითაა — შენ გულშემოყრილი ხარ საკუთარი თამაშით, მაყურებელს კი მოსწონს?!. ამიტომაც მინდა, რომ თეატრმცოდნე მხოლოდ შემფასებელი კი არა, სპექტაკლის შექმნის თანამონაწილე და მრჩეველიც იყოს.

— თავის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გავუფრთხილდით, დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლეს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ქართველები?

— მეოცე საუკუნის დაწყებიდან მეშვიდე წელს ილია გავიმეტეთ!... მეოცე საუკუნის დასრულებამდე შვიდი წლით ადრე ზვიად გამსახურდია გავწირეთ! დღეს ვინ შეიძლება მეგულებოდეს გასაფრთხილებელი?!.

2004. VI.

მიხეილ ჯოჯუა

— ვინ ხართ თქვენ?

— მიხეილ მიხეილის ძე ჯოჯუა. არტისტი მგონია თავი!

— ხალხი რას ფიქრობს?

— ტაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა მათაც არტისტი ვგონივარ!

— ოჯახში რა ხდება?

— მყავს მეუღლე და ერთი შვილი, მაგრამ რა შვილი?!.

— სად და ვისთან სწავლობდით?

— თეატრალურ ინსტიტუტში, ბ-ნ მიხეილ თუმანიშვილთან. მასთანვე ვისწავლე მოთმენა, გაძლება, ტკივილის ჩაყლაპვა და ლოდინი!..

— პირველ რიგში ალბათ, სპეციალობა, არა?!

— ადამიანი სწავლობს იმას, რაც უნდა რომ ისწავლოს. მე მგონია, მასწავლებელზე უფრო მოწაფეა მნიშვნელოვანი. მოწაფეები ცოტაა, იმიტომ, რომ პედაგოგობაზე ძნელი მოწაფეობაა.

— ვიღაცის მოწაფე ხომ უნდა იყო?

— ჩემი მასწავლებელი ცხოვრებაა და არა რომელიმე ერთი ადამიანი. ბევრ რეჟისორთან მომიხდა მუშაობა და ყველასგან ვსწავლობდი. ვსავლობდი მსახიობებისგანაც. სულ თავიდან, ჩემი

პირველი მასწავლებელი მამაჩემის მეგობარი და ჩემი ნათლია ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე იყო.

— მამათქვენიც მსახიობია?

— ყოფილი ფეხბურთელი და მუდმივი დირექტორია! ამჟამადაც მეგობრობის თეატრს დირექტორობს.

— ინსტიტუტში ადვილად მიგიღეს?

— ინსტიტუტში ჩაბარება რომ გადავწყვიტე, მამაჩემმა ქვეყანა შეძრა! დიდი ამბები დაატრიალა! თავად ბ-ნ დოდო ალექსიძესთან მიმიყვანა! — დაუვიწყარი დღე იყო. ბ-მა დოდომ მიკარნახა ეტიუდი. დავიწყე ცოდვილობა. ბ-მა დოდომ მიყურა, მიყურა და უცებ თითქოს ვულკანის ამოფრქვევა დაიწყო — წინ და უკან დაქროდა, აკეთებდა წარმოუდგენელ მოძრაობებს, იცინოდა, ტიროდა, ხუმრობდა, ხარობდა, მერე უცებ განუსაზღვრელი სევდა ჩაუდგებოდა თვალებში!.. ბოლოს მეც გამაკეთებინა რამდენიმე ეტიუდი და გამომიშვა.

მივედი გამოცდაზე. მომცეს დავალება. მე, ეტყობა, დიდი ეშმაკობით არ გამოვირჩეოდი ან კარგი ციგანი ვიყავი მაშინაც, გამოვაცხადე — ეს ეტიუდი ვიცი, გუშინ ბ-მა დოდომ მასწავლა — მეთქი!..

ბ-მა დოდომ მამაჩემი კინაღამ მოკლა — შვილი თუ სულელი გყავდა ჩემთან რას მოგყავდა, გინდა ჩემი თავი დააჭერინოო?!.

ერთი სიტყვით, მივიღე სამიანი და ჩავირიცხე ინსტიტუტში.

— ინსტიტუტის შემდეგ?

— კინომსახიობის თეატრში დავიწყე მუშაობა, მაგრამ ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ერთ რომელიმე თეატრში მუდმივად ყოფნა, დამღუპველია. ამიტომაც ვარ ყველგან, სადაც როლს მთავაზობენ.

— მატერიალურად ეს რას ნიშნავს?

— დღეს, მსახიობი თავის პროფესიისგან ფულს თუ ელის, ე.ი. თავის ჭკუაზე არ არის! ამ დამშეულ ქვეყანაში, მსახიობს ფულს ვინ გადაუხდის?!

— ე.ი. კომპენსაცია როლებია. საუკეთესო რომელი გგონიათ მათ შორის?

— ჩემთვის ყველა როლი ძალიან ძვირფასია, რადგან მთელ არსებას ვდებ ყველა მათგანში. ასეთ დროს საკუთარი სახელიც კი მავიწყდება. ძალიან მიყვარდა ვოიცეკი, რომელიც ინსტიტუტში ვითამაშე. მასზე მუშაობის დროს, ჩემი პროფესიის ბევრი ნიუანსის

მიხვედრა დავიწყე და ისიც აღმოვაჩინე, რომ მსახიობობა საშიში პროფესიაა! — სხვა ადამიანად გარდასახვა მაგიაა და ამ დროს შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე! ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, ფსიქიკის მთლიან გადალაგება-გადაკეთებას მოითხოვს.

— რომელიმე ერთ ჟანრში მუშაობთ თუ?..

— არ შეიძლება მსახიობი ერთი ამპლუით იფარგლებოდეს. ეს სირცხვილიც კი მგონია. რა შედეგს ვაღწევ არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ, ჩარჩოებით არ შევიზღუდო.

— ვინ არის მსახიობი?

— ადამიანი, რომელიც ავანგარდში დგას და რომელსაც მაყურებელი მიყვება. ოფიციანტი ნამდვილად არ არის, რომ იქით მოემსახუროს მაყურებელს!..

არტისტი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი უნდა იყოს. ის არა, ახლა, ვისაც სცენაზე სიარული შეუძლია, მსახიობი რომ ჰგონია თავი. ცირკში ეს მართლაც ასეა — ვინც თოკზე დადის და ზედ ყირასაც ჭიმავს, ისე რომ არ ვარდება არტისტია, მაგრამ თეატრში სცენიდან თუ არ ვარდები ბევრს არაფერს ნიშნავს! აქ სამართებლის პირზე უნდა იარო ისე, რომ ფეხი არ დაისერო! ზოგადად არტისტი, ალბათ, თავგანწირული ადამიანია.

— თეატრი ტაძარია?

— ბ-ნი მიშა გვატყუებდა ასე — თეატრი ტაძარია და სიყვარული გადაგვარჩენსო! თეატრი არის თეატრი! გადარჩენით კი უფრო სიმართლე გადაგვარჩენს და არა ფარისეველობა.

— ყველაზე მეტად რა სჭირდება მსახიობს?

— ნიჭი. თუ ნიჭი არ გაქვს, თავიც რომ მოიკლა, არაფერი გამოვა.

— გაგიმართლა ცხოვრებაში?

— შეიძლება მართლაც გამიმართლა — ამდენი როლი, ამდენი პრემია. ამ ბოლო წლებში თეატრის დღე არ ჩატარებულა, რომელიმე როლის გამო პრემია რომ არ მიმეღოს.

— მათ შორის მაყურებლის სიმპათიის პრიზიც, არა?

— დიახ. სამადლობელ სიტყვაში ვთქვი — ჩემზე მეტი სიმპათიური თუ ვერავინ ნახეთ, კარგად ყოფილა თქვენი საქმე — მეთქი!.. გამართლებაა ის, რომ სამუშაო მუდმივად მაქვს, მაგრამ შიმშილისაგან რომ სცენაზე გული წაგივა, ეს გამართლებაა?! ჩვენ

ხომ დღეს არაკის ვჭირდებით?! შეიძლება მოუვლელი, მშიერი და უკბილო კაცი იდგეს სცენაზე და არტისტი ვარო! — იძახდეს?!.

— რა გაჩერებთ თეატრში?

— სიყვარული. მე თეატრით დაავადებული ადამიანი ვარ და უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ. და კიდევ, ცოტა იმედიც, იქნებ გამოსწორდეს რაღაც?! შეიძლება მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ ჩემი თაობა ვეღარ მოესწრება ამას.

— როგორია თქვენი თაობა?

— თაობა კი არა, გაგიჟებული, გამწარებული და განწირულ სახიანი არსებები ვართ, პირის დასაბან წყალს, მეათე სართულზე, ეზოდან რომ ვეზიდებით. ჩემი არტისტობა ამაში მაინც მშველის! — ბოლმას იმით ვიქარვებ, რომ წარმოვიდგენ ხოლმე, ვითომ წყლის მზიდავს ვთამაშობ!.. ან ჰამლეტი ვარ, რომელიც წყლით სავსე ვედროებით მიფოფხავს კიბეზე!.. აბა რა ვქნა. ყველაფერ იმას, რაც ჩვენს თავზე ხდება, სერიოზულად რომ შეხედო, ხომ გაგიჟდი?!.

— ასეთ ყოფაში, არტისტს შეუძლია გამორჩეული იყოს?

— მისაბაძი და გამორჩეული, უფალია ზეცაში!

— აბა, არტისტი გამრთობია?

— გამრთობი კი არა, მეომარია! ტერორისტია!.. სცენა ჩემთვის ბრძოლის ველია, საიდანაც უნდა ებრძოლო ადამიანთა მანკიერებებს.

სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილებს ჩემი გართობა უშველის?!. როგორ გავართო სოხუმელები, რომლებმაც თავიანთი ოცდაშვიდკაციანი რაზმი მაშინ შექმნეს, როცა აფხაზეთის ომი მთავრდებოდა?!. ლევან აბაშიძე, საშა იოსელიანი, სულხან სულხანიშვილი და სხვა უამრავი თბილისელი ბიჭი ამ დროს უკვე დაღუპული რომ იყო?! იმ დალოცვილებს, იქაურ ქართველებს, ცხრა სახლი რომ ჰქონდა და ათი მანქანა, ერთი ავტომატიც ეყიდათ, თავისივე ქონება რომ დაეცვათ?! მათ გართობა კი არა, გამოფხიზლება სჭირდებათ. მსახიობმა მაყურებელი გამუდმებით უნდა აფხიზლოს, რომ მოდუნების საშუალება არ მისცეს.

— თქვენი საბრძოლო არსენალი კიდევ რისკენ გაქვთ მიმართული?

— გულგრილობისკენ. დღეს, ჩვენი ყველაზე დიდი ავადმყოფობა, გულგრილობა მგონია.

— გამორჩეული რეჟისორი თუ გყავთ?

— გულსუნდა სიხარულიძე, გოგი მარგველაშვილი, სანდრო მრევლიშვილი, ლევან წულაძე, ოთარ ეგაძე.

— ადვილია თქვენთან მუშაობა?

— ეცდილობ ადვილი იყოს. ბევრს ვმუშაობ ჩემს თავზე, ყველგან და ყოველთვის, ამ წუთშიც კი!.. არ მინდა ზედმეტად შევაწუხო რეჟისორები. მათ ხომ ისედაც უჭირთ. სპექტაკლის დადგმა ძალზე ძნელი საქმეა!..

— მსახიობობა არ არის ძნელი საქმე?!

— მსახიობობა არის ოცდაოთხსაათიანი შრომა და გიჟად ყოფნა!..

— რას გულისხმობთ?

— სიგიჟეა, აბა რა არის, როცა გამუდმებით ვიღაცის ცხოვრებით ცხოვრობ?!. მე ამ წუთშიც ლორენცო ვარ!.. იმიტომ, რომ ყოველთვის ვცდილობ ყველაფერი იმ სახის შექმნას ემსახურებოდეს, რაზეც ვმუშაობ. არ მესმის, როცა ამბობენ კარგად თამაშობსო!..

— აბა რას აკეთებ?

— ეცხოვრობ! ის გმირი ვარ, ვინც უნდა ვიყო.

— კარგი პარტნიორი ხართ?

— მირჩევნია საინტერესო ვიყო პარტნიორისათვის, ჩემი საქციელებით, მოქმედებით, ამა თუ იმ ამოცანის მოულოდნელი გაღაწყვეტით.

— ლორენცო ვინ არის?

— თეატრალურ ინსტიტუტში გოგი მარგველშვილი დგამს შექსპირის „რომეო და ჯულიეტას". ლორენცო მოძღვარია, რომელიც საბედისწერო როლს თამაშობს ამ ტრაგედიაში. ბატონმა გოგიმ ძალიან საინტერესო ვერსია შემომთავაზა, რომლის მიხედვითაც ეს არის მღვდელი, რომელმაც ორი უმანკო სიცოცხლე დაღუპა.

— ეს როგორ?

— როცა მასთან რომეო და ჯულიეტა მივიდა, ერთმანეთი შეგვიყვარდა და დღესვე დაგვწერე ჯვარიო, მას არ უთქვამს — წადით შვილებო, მშობლებისგან ნებართვა აიღეთო!.. პირიქით, იქვე უფსკვნა ჯვარი!.. თან რაღაც წამალიც შესთავაზა — ჯერ მოგკლავთ და მერე გაგაცოცხლებთო!..

— გინდათ ლორენცო ცუდ საქციელში გამოიჭიროთ?!.

— საქმე ცუდსა და კარგ საქციელში არ არის. ამ ბავშვების საშუალებით იავის თამაშს რომ თამაშობს, იმაშია. ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება არ შეიძლება. ეს რომ დამღუპველია აქედანაც ჩანს. ვის რა უფლება აქვს, მოძღვარია თუ პრეზიდენტი, რომ სხვისი ბედით რაღაც გაუგებარი თამაშები ითამაშოს?! მერე რა, რომ შენი სჯერათ ან სულაც ეშინიათ?! ამას ხომ ჩვენი სიცოცხლე ეწირება?!.

— აღშფოთებული ხართ?!

— მერე როგორი!..

— ხუმარა და მხიარული კაცის შთაბეჭდილებას კი ტოვებთ?

— არა მგონია მხიარული ვიყო. რაც უფრო მეტს ვიგებ ცხოვრების შესახებ, უფრო და უფრო მემატება სევდა. ისე მტკივა გული!.. ის მშველის, რომ სამუშაო არ მელევა. როლზე მუშაობისას მასში წვდომის ცნობისმოყვარეობა იმდენად მიტაცებს, რომ ტკივილი და სევდა მავიწყდება.

2000. XII.

ნანა ფაჩუაშვილი

— მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი, დაბადებული?..

— 1943 წელს, ბედობის დღეს. ზოდიაქოს ნიშანი თხის რქა. მებრძოლი სულით აღსავსე, მიზანსწრაფული ადამიანი ვარ. თხის რქებს ბრძოლა იმიტომ გვჭირდება, რომ იოლად არაფერი გვეძლევა, ოიოოეული წინ გადადგმული ნაბიჯი ლამის სიცოცხლის ფასად გვიჯდება. თუმცა გარეგნულად ყოველთვის ისე ჩანდა თითქოს უმწეო არსება ვარ და ძალზე იოლად მომდის ყველაფერი. როლებსაც ასეთს მიკუაზობდნენ — ნაზი, ცისფერი, უზრუნველ-უდარდელი ქალებისას. მერე თანდაოან როგორღაც ყველაფერი შეიცვალა და გადაკიდა იქით, საითაც უნდა გადასულიყო.

— მშობლები?..

— დედა — ჯენი ბაქრაძე. დიასახლისი. იგი ამჟამადაც გვერდით მყავს და ბედნიერი ვარ ამით. მამა — ლევან ფაჩუაშვილი. უფრო სწორად, მამინაცვალი. ხუთი წლიდან მან გამზარდა და გვარსაც მისას ვატარებ. აწ გარდაცვლილი მამინაცვალით დღემდე ვამაყობ. ჩემი ნამდვილი გვარი ადამიაა.

— ბავშვობა, სკოლა?

— არაფრით გამორჩეული ბავშვი არ ვყოფილვარ, ერთი ჭორფლიანი, წიოურა გოგო ვიყავი. გარეგნულად თითქოს ნაზი,

მაგრამ კარგი ახტაჯანა. ჩემი სიმაღლის მიუხედავად შეუპოვრად დავდიოდი კალათბურთზე. ვსწავლობდი საშუალოდ, მაგრამ თანაკლასელი ფრიადოსანი ბიჭი მიყვარდა. ძალიან მეამაყებოდა მისი ფრიადოსნობა. სწორედ იმის ხათრით დავდიოდი კალათბურთზე, ის კი დავალებებს მიწერდა მათემატიკაში. ყველაფრის მიუხედავად სკოლის წლებში საკმაოდ მორცხვი ვიყავი და ვერანაირად წარმოვიდგენდი ოდესმე თუ მსახიობი გავხდებოდი. ჩემს მშობლებს უნდოდათ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ჩემი ცოდნით სამედიცინოზე ვერ მოვხვდებოდი, რის გამოც გადაწყვიტეს ბიოლოგიურ ფაკულტეტზე ჩამებარებია. ჩემი შემდგომი ბედი კი იმ ცრემლებმა განსაზღვრეს, რომლებსაც ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის სახელმძღვანელოებს ვაფრქვევდი!.. — ჩემი ასეთი ტანჯვის მრავალგზის მოწმემ, ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა, გამოჩენილმა კინორეჟისორმა ბატონმა სიკო დოლიძემ ჩემს მშობლებს ერთხელაც უთხრა:

— ნუ ტანჯავთ ამ ბაღანას, თეატრალურ ინსტიტუტში ჯგუფი ამყავს, წავიყვან და არტისტად გაუზრდიო!..

მართლაც, 1960 წელს, დავამთავრე თუ არა თბილისის მე-100 საშუალო სკოლა, თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. თუმცა, ინსტიტუტში მხოლოდ იმიტომ მოვხვდი, რომ ბატონი სიკოს პროტეჟე ვიყავი.

მოგვიანებით ეთერ გუგუშვილს მაინც ვახსენებდი — გახსოვთ, ჩემი მიღება როგორ არ გინდოდათ- მეთქი?.. უარყოფდა, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. ქალბატონი ეთერი, იმ დროს ინსტიტუტის პრორექტორი, ჩემი მიღების აქტიური წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბატონი სიკოს ავტორიტეტმა აჯობა.

სიკო დოლიძე პირველ კურსზე სულ რამდენიმე თვე გვასწავლიდა, შემდეგ იგი ინსტიტუტიდან წავიდა, ჩვენი ჯგუფი კი ბატონ დიმიტრი (დოდო) ალექსიძეს გადააბარეს. ძალიან ვამაყობ, რომ მისი მოწაფე ვარ. იგი არაჩვეულებრივი პიროვნება, რეჟისორი და პედაგოგი იყო.

— კონკრეტულად რა შეგძინათ მან?

— საკუთარი თავის რწმენა. ბევრი რეჟისორი გზღუდავს და მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ გაქცევს. ბატონი დოდო ცოდნასთან ერთად მთელი შენი გულწრფელობისა და უშუალობის გამოვლენის საშუალებას გაძლევდა. თუმცა, მხოლოდ სამი წელი

ვისწავლე მასთან, რადგან მეოთხე კურსზე ინსტიტუტიდან გამრიცხეს!..

— რატომ?

— მესამე კურსის ბოლოს ვითამაშე რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, ბადრი კობახიძის სადიპლომო სპექტაკლში „ღვთაებრივი კომედია". ევა ვიყავი მე, ადამი — კახი კავსაძე, ღმერთი — ეროსი მანჯგალაძე, ეშმაკი — გოგი გეგეჭკორი, ანგელოზი — კარლო საკანდელიძე, თამაშობდნენ აგრეთვე გიგოლა თალაკვაძე, ბორის წიფურია... ამ არაჩვეულებრივ ანსამბლში ერთადერთი ქალი მე ვიყავი და თანაც სტუდენტი!.. და რაც მთავარია, რეპეტიციებზე მუშაობდა მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც ბადრის დიპლომის ხელმძღვანელი იყო!. ვფიქრობ, რომ პირველად აქ წამომეწია ის იღბალი, რომელიც მსახიობს უნდა სდევდეს, თუ უნდა რომ წარმატებას მიაღწიოს. ჩემმა იღბალმა მაშინ მწვანე გზა გამიხსნა რუსთაველის თეატრში მისაღებად, მაგრამ ამას უბედურებაც დაერთო თან. ინსტიტუტის იმდროინდელ რექტორს ილია თავაძეს, ამბავი მიუტანეს: — თქვენი სტუდენტი რუსთაველის თეატრის სცენაზე ლამის შიშველი თამაშობსო!..

საბალეტო თეთრი რეიტუზი, რომელიც მეცვა, განათებისას მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა. ბატონმა ილია თავაძემ დამიბარა და გამაფრთხილა:

— ან ამ სპექტაკლში თამაშს დაანებებ თავს ან ინსტიტუტიდან გაგრიცხავო?!.

ვიფიქრე, დაე გამრიცხონ, მომავალ წელს აღვიდგენ თავს და ის იქნება-მეთქი!.. მართლაც ასე მოხდა. მომდევნო წელს მართლაც აღმადგინეს ინსტიტუტში. ასე შემრჩა რუსთაველის თეატრის სცენაზე თამაშიც და დიპლომიც.

დღეს მე ძალზე ბედნიერი ვარ იმით, რომ როგორც მსახიობი, ოთხი გენიალური რეჟისორისაგან მოვდივარ, ესენი არიან — დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა!.. ასეთ პედაგოგებთან და რეჟისორებთან სწავლისა და მუშაობის ფუფუნება, არ მგონია ბევრს რგებოდა წილად. ამიტომაც ვფიქრობ, თუ არა პირადი ცხოვრების ტრაგიკული პერიპეტიები, გაცილებით უკეთესი მსახიობი უნდა ვყოფილიყავი. თუმცა, როლები არასოდეს მაკლდა.

ევას მოჰყვა პოლი პიჩემი დოდო ალექსიძის სპექტაკლში „სამგროშიანი ოპერა“. თავიდან ერთ-ერთ მეძავ გოგონას ვთამაშობდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლის როლის შემსრულებელი მსახიობი თეატრიდან წავიდა და ბატონმა დოდომ მე დამნიშნა ამ როლზე.

— კვლავ იღბალი წამოგეწიათ?

— ეს მართლაც სასწაული იყო. უცებ ასეთი როლი?! . სოლო სიმღერა ორკესტრთან!.. ცეკვა!... რამაზ ჩხიკვაძე პარტნიორი და ფანტასტიური ანსამბლი!!!

— პირველი სპექტაკლი სადაც იგრძენით, რომ უკვე მსახიობი ხართ?

— ეს შეგრძნება ძალიან გვიან გაჩნდა ჩემში. ეს ალბათ კარგია. როცა მსახიობი იჯერებს, რომ მისაღწევი აღარაფერი აქვს, იღუპება.

— რომელ რეჟისორთან უფრო გიყვარდათ ან გიყვართ მუშაობა?

— ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ოთხეული უკვე ვახსენე. საერთოდ მე ვარ მგონი ის ბედნიერი ადამიანი, რომელსაც თითქმის ყველა ქართველ რეჟისორთან უმუშავია. ძალიან ვამაყობ იმით, რომ რეჟისორს, რომელიც თუნდაც ერთ სპექტაკლში შემხვედრია, რჩება სურვილი რომ კვლავ იმუშაოს ჩემთან. იმიტომ კი არა, რომ გენიალური არტისტი მგონია თავი, უბრალოდ, ხვდებიან, რამდენად ერთგული ადამიანი ვარ. ჩემი ეს თვისება კი რეჟისორებს ძალიან ხიბლავთ.

— რას ითხოვთ რეჟისორისაგან?

— მყარად რომ დამაყენოს ფეხზე. ისეთი არტისტი არ ვარ, საკუთარი თავი ძალიან რომ ეიმედება, მაგრამ იმის კარგად გაკეთება ნამდვილად შემიძლია, რასაც რეჟისორი მეტყვის. მაგრამ თუ რატომღაც მოხდა ისე, რომ მის მიმართ ნდობა არ გამიჩნდა, იქ არაფერი გამოვა.

— განცდის მსახიობი ხართ თუ წარმოსახვის?

— ჩემმა მასწავლებლებმმა, თავისი საქმის ვირტუოზებმა ერთიც მასწავლეს და მეორეც. ასეთი, რომელიც მითამაშია და ისეთიც. მაგალითად, თემურ ჩხეიძე, თავისი ხელწერით, ძალიან პგავს თავის მასწავლებელს მიხეილ თუმანიშვილს. მასთანაც ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევ რა გინდა, რას და რატომ აკეთებ. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. მიუხედავად იმისა, რომ მასთან შეხვედრამდე

ალექსიძესთან და თუმანიშვილთან ვიყავი ნამუშევარი, ფეხზე მყარად თემურ ჩხეიძემ დამაყენა. თემურს თავის თანამოაზრეთა გუნდი ჰყავდა, სადაც ქალი მხოლოდ მე ვიყავი. მამაკაცებიდან იყვნენ — გოგი ხარაბაძე, ავთო მახარაძე, ჟანრი ლოლაშვილი!.. როგორ არ ვიამაყო ამით?!

მაშინ რაღაც გამოკვეთილადაც ჩანდა ეს — თემურ ჩხეიძეს თავისი გუნდი ჰყავდა, რობერტ სტურუას თავისი. თემურს უფრო ახალგაზრდა მსახიობები ჰყავდა შემოკრებილი, სტურუა მაშინ უფრო სახელმოხვეჭილ მსახიობებს ირჩევდა. თემურ ჩხეიძის მიერ შერჩეულ პიესაში მაშინაც კი აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩემთვის როლი, როცა ვფიქრობდი რომ შეიძლებოდა არ ყოფილიყო. ასე მოხდა, მაგალითად, მაშინ როცა „მეუფება წყვიადისას“ ანაწილებდა. მე მეგობრულად, მაგრამ გულდაწყვეტით ვკითხე:

— აქ ალბათ მე არ ვიქნები-მეთქი?..

— არა, ხარო!.. — ისე გამიკვირდა?!.

— რატომ მაძლევ ამ როლს, როცა ჩემი აზრით სხვას უფრო შეეფერება-მეთქი?!.

— იმიტომ, რომ შენთან მუშაობა მიადვილდება! — იყო პასუხი.

თუმცა თემურის მოთხოვნების შესრულება იოლი არასოდეს ყოფილა. კარგად მახსოვს როგორ ვმუშაობდით ფაციას სახეზე სპექტაკლში „გუშინდელნი“. მართალი არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ფაციას სახეს ადვილად მივაკვლიე-მეთქი. საერთოდ, თავიდანვე იგრძნობოდა, რომ მისი ეს დადგმა ძალზე სერიოზული და თამამი განაცხადი უნდა ყოფილიყო. ჩემი ფაცია, თავისი გარემოს მსხვერპლი იყო, მაგრამ შურისძიებით აღსავსე მსხვერპლი. ვფიქრობ, ფინალში, გრენგოლმთან ერთად გასვლის დროს ამას ძალიან კარგად გამოვხატავდი. დრამატურგიულ ქსოვილში, სიტყვიერად იმის მსგავსი არაფერია მითითებული, რასაც მე ვაკეთებდი. პლასტიკურად ძალზე მრავლისმთქმელი სცენა იყო.

ერთ რეპეტიციაზე თემურმა მითხრა:

— გრენგოლმს უშენოდ ნუ გაუშვებ, მოგიცადოსო.

— ააა, მომიცადოს?!. — ეს ის მარცვალი იყო, რომელზეც შემდეგ ჩემი გასვლის ეპიზოდი აგაგე.

რასაკვირველია, რეჟისორმა მიმიყვანა აქამდე, მაგრამ ის, რასაც ვაკეთებდი, ჩემში იყო დაბადებული — მე და გრენგოლმს

მთელი სოფელი გვაცილებს. გრენგოლმი ჩქარობს, წინ მიიჭრება, თითქოს ძალით აკიდებული ფაციას გასწრება უნდა და სწორედ ამ დროს თითქოს რაღაც გარდაიქმნაო ჩემში, მარჯვედ ვეჭიდებოდი გრენგოლს — მოიცადე!.. უცერემონიოდ ვეუფლებოდი მის მკლავს და ამაყად თავაწეული გავდიოდი მასთან ერთად.

— ახლა მე მიყურეთ!.. — გამოხატავდა მთელი ჩემი არსება. იმ დროს არანაირი ნანა ფაჩუაშვილი აღარ არსებობდა, იყო მთლიანად ფაცია — გამართული წელით, სხეულით, მიხვრა-მოხვრით. ეს არაჩვეულებრივი შეგრძნებაა.

— თქვენ სტურუასთანაც მნიშვნელოვანი როლები გაქვთ ნათამაშები?

— პარალელურად რობერტ სტურუას თითქმის ყველა სპექტაკლში ვმონაწილეობდი: „მზიანი ღამე“, „საბრალდებო დასკვნა“, „სეილემის პროცესი“, მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა სტურუამ ეს სპექტაკლი დადგა და ერთ-ერთი გოგონას როლი მათამაშა. „ხანუმა“ — ამ სპექტაკლში ბელა მირიანაშვილი შევცვალე. ჯად გახდომამდე 4-5-ჯერ თამაში მოასწრო. დანარჩენ 500 წარმოდგენაში მე ვთამაშობდი. „მზიან ღამეშიც“ თავიდან იზა გიგოშვილი თამაშობდა მთავარ როლს, მაგრამ მოხდა ისე, რომ პრემიერამდე ათი დღით ადრე რეჟისორს გამოუცხადა — პრემიერაზე არ მოვალო!.. სტურუამ დამიბარა და მის როლზე მუშაობა დამაწყებინა. გამოცხადდა გასინჯვისა და პრემიერის დღე. უამრავი ბილეთი შევიძინე ჩემი სტუმრებისათვის. ამ დროს კი უცებ იზა ბრუნდება! — სტურუა მოდის ჩემთან და მეუბნება:

— გასინჯვას და პრემიერას იზა ითამაშებსო!..

ერთი შეხედვით რეჟისორი მართალი იყო. მას ერჩია ის მსახიობი, რომელსაც როლი უკვე მზად ჰქონდა, ვიდრე ის, რომელიც ის-ის იყო იწყებდა როლის შეცნობას, მაგრამ ეს ჩემთვის მძიმე ტრამვა იყო. საშინლად განვიცადე — ჩავიკეტე სახლში და ვტიროდი და ვტიროდი!.. მერე თეატრის დირექტორმა, არაჩვეულებრივმა, კეთილშობილმა ადამიანმა, ბატონმა ნესტორ ჭილაძემ მომაკითხა, მომეფერა, დამაწყნარა და თეატრში წამიყვანა.

მეგონა სტურუას იქვე დაავიწყდა ეს ყველაფერი, მაგრამ ოცი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, მეუბნება:

— ბოდიში მინდა მოგიხადო იმ ყველაფრისათვის, რაც მაშინ გაგიკეთეო!..

— პირველად რომ გამოხვედით რუსთაველის სცენაზე, მაშინ ფიქრობდით რომ...

— არაფერსაც არ ვფიქრობდი!.. უზომოდ ვიყავი შეყვარებული თეატრზე და ვიცოდი, წინ ურთულესი გზა მელოდა. შემდგომი გზა, ჩემმა ხასიათმა და იღბალმა განაპირობა. ამბიციური არ ვიყავი და არასოდეს ვამბობდი უარს, ვინმე შემეცვალა. სასწრაფო დახმარებასავით, დიდი ხალისით მოვეშურებოდი ყველგან, სადაც საჭირო ვიყავი. ამან ბევრი როლიც დამიგროვა და ფეხზეც მყარად დამაყენა. ყველა როლი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, სულ მცირე ეპიზოდიც კი. ერთხელ მგონი, გამოცდაც კი მომიწყო თეატრმა. უკვე ის პერიოდია, როცა სულ მთავარ როლებს ვთამაშობ და უცებ მაძლევენ როლს, რომელიც თითქმის არც იყო?!.. ახალგაზრდა რეჟისორს გოგა თავაძეს უნდა დაედგა ირაკლი სამსონაძის პიესა „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე." ხელმძღვანელი იყო რობერტ სტურუა.

თავაძე მეუბნება:

— სტურუამ თქვა, ოპერის ყოფილი მომღერლის როლს ნანა ითამაშებსო?!.

დავიწყეთ პიესის კითხვა, როლი კი არა და არ ჩანს. მხოლოდ შემოსვლა და გასვლა?!. ისე გავედით ბოლოში არც არაფერი შეცვლილა. ლამის დამახრჩოს ცრემლებმა! — დამცინიან?!.

— რა ვქნა?! — ვფიქრობ, — გავაგრძელო ტირილი თუ?!.

მაინც ვძლიე თავს, მოვიკრიბე ძალა, გავვარდი რობიკოსთან და ვუთხარი:

— მომცემ იმის საშუალებას, რომ არარსებული როლიდან სახე შევქმნა-მეთქი?!.

— კი ბატონო! — მითხრა.

შევუთანხმდი გოგასაც და დავიწყე მუშაობა.

ვთამაშობდი ოპერის ყოფილ მომღერალ, სულით ავადმყოფ ქალს, მისი ბიოგრაფია მე და გოგა თავაძემ ერთად შევთხზეთ; დავიწყე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სიარული და პაციენტების ქცევების შესწავლა!.. არიის შესრულებისას მარია კალასის ჩანაწერი მოვიშველიე და ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ჩემი როლი!.

— სტურუას ალბათ როლის შექმნის სწორედ თქვენი ამ უნარის იმედი ჰქონდა?

— შეიძლება, მაგრამ არტისტები ეჭვიანები ვართ და მე ამას რატომღაც უფრო გამოცდა დავარქვი. თუ რატომ? ამ შეკითხვას არასოდეს დავუსვამ ბატონ რობერტს, მაგრამ ვფიქრობ, მაშინ გაკეთდა ის, რაც არ უნდა გაკეთებულიყო. თუმცა ისიც ვიცი, რომ მსახიობი რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს, თავისი ტრაგიკული ხვედრის გამო, ასეთი რამეებისათვის მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს. მე ამისათვის დღესაც მზად ვარ, რადგან უზომოდ მიყვარს თეატრი.

— ამ როლით კიდევ ერთხელ ცხადყავით, რომ „არ არსებობს დიდი და პატარა როლები, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები“?

— მაინც დიდი როლები სჯობს! თუმცა მსახიობმა პატარა როლებსაც უნდა გაუძლოს! მე ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი შეშლილი მომღერლით და დღესაც ძალიან მიყვარს იგი. თუნდაც ის რად ღირს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შემიყვანა?! — ვესაუბრებოდი ავადმყოფებს, ვიწერდი მათ საუბარს. სრულიად მოულოდნელი მოსაზრებები ჰქონდათ და ხშირად საინტერესოც. ბევრი მათგანი გამოვიყენე.

— თქვენს ლედი ანაზე ვისაუბროთ?

— მე თემურ ჩხეიძის სპექტაკლის „მეუფება წყვდიადისა“, რეპეტიციები მქონდა, როცა სტურუამ „რიჩარდ III-ის“ დადგმა გადაწყვიტა და ლედი ანას როლი მე დამაკისრა. ასე დავიწყე ორ რეჟისორთან ორ როლზე პარალელური მუშაობა. სტურუას რეპეტიციიდან ჩხეიძესთან გავრბოდი და ჩხეიძის რეპეტიციის შემდეგ ისევ სტურუასთან!.. ამ სირბილსა და გაწამაწიაში რომ ვარ, ერთხელაც ბატონმა თემურმა კატეგორიულად მომთხოვა:

— ერთ-ერთი აირჩიე, ასე წინ და უკან სირბილით არაფერი გამოვაო!..

მე ამ დროს, ორივე როლზე ჭკუას ვკარგავ და არც ერთი არ მეთმობა?!. მაგრამ რას ვიზამდი? — გულმოკლული მივედი სტურუასთან და ვუთხარი:

— ერთდროულად ორ როლზე მუშაობა მიჭირს-მეთქი!..

— ჩემგან არანაირი პრობლემა არ გექნება, როცა გინდა მაშინ წადი თემურის რეპეტიციაზეო!..

ეს ისეთი კომპრომისი იყო, დღესაც მაოგნებს?!.

ერთხელაც ჩხეიძესთან რეპეტიციის შემდეგ გადაცმა ვერ მოვასწარი და სტურუასთან ნასტიას სარეპეტიციო ტანსაცმლით გამოვცხადდი. ეს იყო ჩემ მიერ შერჩეული სამოსი, რომელშიც ჩემი ფიქრით, კარგად ვგრძნობდი იმ გმირს, რომელიც უნდა მეთამაშა. ის იყო გამოსაცველელად უნდა გაუსულიყავი, რობიკომ შემაჩერა:

— არ გამოიცვალო, სწორედ ამ სამოსში ითამაშებ ლედი ანას?! ოღონდ, რუსულად წაკრული თავსაფარი მოიხსენიო.

მე გავოგნდი! — როგორ, სად ეს რაღაც განიერმკლავებიანი უბრალო კაბა და სად ლედი ანა?!.. თანაც ლედი ანას კაბა უკვე შეკერილი იყო — ჩინურ სტილში, ფარშევანგებით მოხატული, შლეიფით!.. ძვირფასი და მდიდრული. ლამის გაუგიჟდი, მაგრამ სტურუას როგორ შეეწინააღმდეგებოდი? — ეს გამორიცხული იყო და დავრჩი იმ სამოსში. რაც შეეხება თავსაფარს, ის შეეცვალე ქუდით, რომლის ნიმუში ჟურნალში ვნახე და ძალიან მომწონა. ეს იყო შავად შეღებილი თოკების რაღაცნაირი წნული, რომელშიც მარგალიტები იყო გაბნეული. ჩემს კოლეგას გულნაზი ბაქრაძეს მოვაქსოვინე და მივედი რეპეტიციაზე.

სტურუამ გადაჭრით მითხრა:

— ახლავე მოაშორე აქედან ეგ ქუდიო!..

იმდენი ჯაფა მქონდა გაწეული მის შესაქმნელად და იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემს ლედი ანას ეს ქუდი უნდა ხურებოდა, რომ მოვიკრიბე ძალა და ვუთხარი:

— გეხვეწები დამიტოვე, თორემ ამის გარეშე ვერ ვითამაშებ — მეთქი, — და... ავტირდი!..

ჩემი იარაღია ტირილი. მაშინვე ცრემლები წამომცვივა ხოლმე. რობიკომ რომ დამინახა თავს ვიკლავდი ამ ქუდისათვის:

— კარგი, კარგი, დაიტოვეო! — მითხრა.

— რატომ უჩნდებოდათ რეჟისორებს, ასე ხშირად, თქვენი გმირების საკმაოდ თამამ სიტუაციაში ჩაყენების სურვილი?

— შეიძლება იმიტომ, რომ ფიქრობდნენ — ნანა უარს არ იტყვისო!.. თუმცა, თავიდან, როცა რობიკომ მითხრა:

— რიჩარდი — რამაზ ჩხიკვაძე, გულისპირს ჩამოგახევს და მკერდი გამოგიჩნდებაო! — მე თავი მოვიკალი, არაფრით არ დავთანხმდი. მკერდის გაშიშვლება რაღაც მეტისმეტი მომეჩვენა.

ეს ჩამოხევა შემდეგ „მეფე ლირში“ მაინც გამოიყენა. თუმცა ბოლომდე ვერა, რადგან მარინა კახიანი — კორდელია იმდენად სწრაფად ტრიალდებოდა, მაყურებელი ვერაფრის დანახვას ვერ ასწრებდა.

უნდოდა ფეხშიშველაც შემოსულიყავი, მაგრამ ამაზეც უარი ვთქვი, ეს უკვე იმიტომ, რომ ცერა თითებთან ძვლები მქონდა წამოზრდილი. არ მინდოდა ეს ჩემი ნაკლი ყველას დასანახად გამომეფინა. გავიდა წლები და ოპერაციით მოვიცილე — ამან რატომ უნდა შემიშალოს ხელი — მეთქი?!. ჩემი პროფესიის გამო იმ საშინელი ოპერაციის არაადამიანურ ტკივილსაც გავუძელი.

— ე. ი. მზად ხართ ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოთ პროფესიისათვის?

— ასე ვიყავი დღემდე. ამჟამად არ ვიცი, უფრო ზუსტად, ვფიქრობ, არც არავის სჭირდება ჩემი მსხვერპლი!..

— რა გიყვართ თქვენს პროფესიაში?

— ძიების პროცესი. მიყვარს ის რეპეტიციები, როცა ძნელად ვპოულობ იმას, რასაც ვეძებ. როცა წვალობ და აღმოაჩენ იმას, რაც შენში არ არის, მაგრამ როლშია, ან გგონია რომ შენში არ არის. მაგალითად, როცა თემურ ჩხეიძემ მითხრა: — ტელევიზიაში „ჯაყოს ხიზნებს“ ვდგამ და მარგო შენ უნდა ითამაშოო! — გაოგნდი.

— მე, მარგო?!.

მარგო წარმომედგინა, როგორც ხორცსავსე და სექსუალური ქალი. ჩემმა ერთმა კოლეგამაც მითხრა:

— მარგოს შენ როგორ გაძლევს, როცა მე აქ ვარო?!.

თემურ ჩხეიძეს ეს რომ ვუთხარი:

— ჩემთვის მარგო სავსე მკერდი არ არისო! — მიპასუხა.

დიდი დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ მარგო კარგად ვითამაშე. შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი სცენის უკმაყოფილო ვიყავი. განსაკუთრებით მწყდებოდა გული ერთ-ერთი მთავარი მონოლოგის გამო. დღესაც ვფიქრობ, კიდევ ერთხელ რომ გადაეღოთ, უკეთ გავაკეთებდი.

თუმცა მქონდა სცენა, რომლითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს არის თეიმურაზისა და ჯაყოს ჩხუბის სცენა. მე აქ პასიური უნდა ვყოფილიყავი — მხოლოდ ზიზღი და შეცოდების გრძნობა უნდა გამომეხატა სახით, მაგრამ იმ დროს, როდესაც ჯაყო ყბაში წვდა

უბედურ თეიმურაზს და ის იყო თითქოს უნდა აეგლიჯა, თავი ველარ შეეიკავე და გამწარებული მივვარდი საშველად. შემდეგ, როდესაც ეს სცენა ვნახეთ, კადრში სამთავე ეჩანდით და ეს ძალიან შთამბეჭდავ სურათს ქმნიდა.

თემურს არ უთქვამს — მივშველებოდი თეიმურაზს. ამის სურვილი როგორღაც თავისთავად გამიჩნდა, რამაც თავის მხრივ მიბიძგა მოქმედებისაკენ. ეს არაჩვეულებრივი გრძნობა იყო.

— ტრისტან ყველაიძე და ნანა ფაჩუაშვილი?

— ტრისტანის შესახებ ცრემლის გარეშე ვერ ვსაუბრობ. დრო მიდის, მაგრამ მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი არ მიყუჩდება. ერთხელ ხუმრობით მითხრა: — ისეთ დროს დაგტოვებ, როცა არც იქით იქნები და არც აქეთო!.. მართლაც ისეთ დროს მიმატოვა, როცა არც ახალგაზრდა ვიყავი და არც მოხუცი. მისგან უზომოდ ვარ დავალებული, იგი ნაკითხი, მოაზროვნე ადამიანი იყო. თავისმა ავადმყოფობამ სხვაგვარ ადამიანად ჩამოაყალიბა. ძალიან დიდ დროს უთმობდა წიგნებს, რადგან ავადმყოფი გულის გამო ბევრი რამის კეთება არ შეეძლო. მისმა ჩვევებმა, მორალმა, ზნეობამ, დიდი კვალი დამატყო. მე ის არ ვიქნებოდი, რაც ვარ, ტრისტანი რომ ჩემს გვერდით არ ყოფილიყო.

— არტისტი გამორჩეული და სანიმუშო უნდა იყოს?

— სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. მთავარია არტისტი იყოს!..

— რას ნიშნავს თქვენთვის ეროვნული ინტერესები?

— სამშობლოს სიყვარულს. ჩვენ ჩვენი ქვეყნის, ხალხის, ტრადიციების მსახურნი უნდა ვიყოთ.

— თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი შემოქმედება სწორედ თეატრმცოდნეების წყალობით „ძლებს“ დროში ?

— მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელმაც კარგად იცის თეატრმცოდნეების ფასი. ბევრი მათგანი, თეატრალურ ინსტიტუტში, ჩემი პედაგოგი იყო. ისინი რჩეულები იყვნენ და დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. ეს აიძულებდა რეჟისორებს მოესმინათ და გაეთვალისწინებინათ მათი შენიშვნები.

— თეატრი ტაძარია?

— მე პირადად ასე მგონია, მაგრამ იქ მყოფთა შორის ცოტა თუ ფიქრობს, რომ ტაძარში იმყოფება.

— თაგის დროზე ილიას სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდით, დღეს თუ გეგულებათ ვინმე, ვის სიცოცხლესაც განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეთ ქართველები?

— ვფიქრობ, ასევე ვერ გაუფრთხილდით ჩემს დიდ პედაგოგს დიმიტრი ალექსიძეს, ვერ გაუფრთხილდით მიხეილ თუმანიშვილს, ვერ ეუფრთხილდებით — რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს. სამწუხაროდ, ასეა.

29. IX. 2004.

სარჩევი

ქალბატონი ლილი 6
გიგა ლორთქიფანიძე 13
გიზო ჟორდანია 34
მედეა კუჭუხიძე 42
თემურ ჩხეიძე 53
გოგი ქუთარაძე 63
გოგი მარგველაშვილი 70
გოჩა კაპანაძე 75
გიორგი თუთაძე 82
ლევან წულაძე 93
დათო საყვარელიძე 97
ზურაბ ყიფშიძე 113
მარინა კახიანი 119
ქეთი ჩხეიძე 126
პაატა ბარათაშვილი 132
მიხეილ ჯოჯუა 143
ნანა ფაჩუაშვილი 149